ჯვრის ხეიმი

2

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი - 2005

ჯვარი ვაზისა – შეძკოლი ძოსიექოლთა სწორების, წმდა ნინოს თმით. IVს.

ძლიერებაი ჯვარი ვაზისაი,
დაგვიხსევ და დაგვიფარე ჩვენ

ᲫᲕᲔᲚი ᲥᲐᲠᲗᲣᲚი



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ᲘᲚᲘᲐ II-ის ლოცვა-კურთხევით

ᚠᚢᚦᚩᚱᚳ

ᚹᚪᚾᚩᚱᚳᚪ

ᚩᚠ ᚦᚪᚾᚪᚹᚩᚱᚳᚪᚱ

ᚷᚪᚾᚪᚱᚳᚩᚾᚪᚱ

ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისადთა, მე, იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედად. მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა ხელითა ბექასითა, ქრისტე, შეიწყალე.

წარწერა ანჩისხატის მოჩარჩოების ქვედა არშიაზე.
ამჟამად ხატი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში

გრიგოლ ხანძთელი
მინიატურა XII ს-ს ხელნაწერიდან

აღმობრწყინდი, ვითარ მთიები ზეცისა სამყაროჲსა და შეჭურვილმან მადლითა სულისა წმიდისაჲთა განაბრწყინვენ სამწყსო შენი ღმრთისმეცნიერებითა, ღმერთშემოსილო მამაო, და მოიწიე რა სანახებსა კლარჯეთისასა, აღმართენ უდაბნოსა შინა მონასტერნი დიდშუენიერნი სადიდებლად ღმრთისა და იღუაწე სასოებითა და დაითმინენ მრავალნი განსაცდელნი. მოძღვარო და განმანათლებელო ივერთა ერისაო, ნეტარო გრიგოლ, განმამეოხგუეყავ წინაშე ქრისტესა მეუფისა და გჳთხოვე წყალობაჲ

ხანძთა

საგალობელნი აღვსებისანი საქვეყნო სათხოვარი

ერი შენი იკსენ სახიერებით,
განწირული და გლახაკი,
რომელი ღუაწლსა შინა
დაწუნებულ არს მარადის მტერთაგან,
არამედ შენდა მოივლტის,სახიერ,
ვითარცა ღმერთ ხარ, რათა იკსნე მტერთაგან
მადიდებელნი შენნი.

* * *

ნუ შეურაცხ–ჰყოფ
ერსა შენსა გლახაკსა და დაწუნებულსა,
არამედ შემწე ეყავნ
მარჯუენაჲ შენი ძლიერი და მაღალი,
შობილო ქალწულისაგან,
და მიკსენ ჩუენ მონებისგან მტერთა ჩუენთაჲსა
აგარის ნათესავთა,
და ძლევაჲ მოჰმადლე მეფესა ჩუენსა.

* * *

ევედრე ძესა
შენსა, და ღმერთსა ჩუენსა, ყოვლად უბიწოო,
რათა მოგუანიჭოს ჩუენ
გამოკსნად უღლისაგან მტერთა ჩუენთაჲსა,
და მეფესა ჩუენსა მოჰმადლოს
ძლევაჲ ბარბაროსთაჲ.

* * *

გარდააცვ მშჯლდსა ჰოი ძლიერო,
წარემართე და სუფევდ, რომელი იშევ ჩუენთჯს
ქალწულისაგან,
და მტერნი ჩუენი ურწმუნონი დაუმორჩილენ
მეფესა ჩუენსა მორწმუნესა,
რომელსაცა უპყრიეს ჯუარი შენი,
და აცხოვნე ერი შენი,
რომელნი სარწმუნობით
გალობითა გადიდებენ.

გრიგოლ ხანძთელი



ოპიზის (818 წლის ახლო დროის) ბარელიეფზე წარმოდგენილნი არიან ცენტრში იესო ქრისტე, მარცხნივ – აშოტ კურაპალატი, მარჯვნივ დავით წინასწარმეტყველი. აშოტი ამ ბარელიეფზე სიმბოლიზებულია, როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაჲთა". იგი წარმოდგენილია აქ, როგორც შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა, რომლის შთამომავლად ითვლებოდა თვით ქრისტე და ამის გამო აშოტის მეფობის უფლებაც თვით ღვთაებისგან წარმომდინარედ იგულისხმება.

ეკვთიმე თაყაიშვილი

ჟურნალი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს

არა დიდ არს სამოცდაათი წელი, არამედ მასში ჩატეული ღვაწლი და ამაგი თქუენი, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო ჩვენო...

განამრავლოს უზენაესმა დღენი თქუენი ცხოვრებისანი. გაკურთხოთ ყოვლითა კეთილითა ქუეყანისათა და სუფევდენ თქუენსა ზედა კურთხევანი მამისა ჩუენისაჲ.

გილოცავთ მომავალ დღეთა თქუენთა სიმრავლეს.

იგი შეიქმს წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთადო — ბრძანებს რუსთაველი.

არაფერი არს შეუძლებელი ღვთისაგან და...

გვენატრება საუკუნეთა მანძილზე მინავლებულ ამ დიდ ტაძრებში წირვა და ლოცვა თქვენი... მათ ხატებთან დანთებული წმიდა სანთლები და გალობა ქართული...

უფალო შენით, უფალო შენით!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმიდესი და უნეტარესი, ილია II

კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და
საქართველოს პირველიერარქები კაბადოკიაში

თურქეთის საქართველოში

გასული წლის 14-21 მაისის თვეში მისი ყოვლადუწმიდესობის, მსოფლიო პატრიარქის – ბართლომეოს I-ის მიწვევით თურქეთის რესპუბლიკაში – კაბადოკიისა და ტაო-კლარჯეთის მხარეში იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

მის უწმიდესობას ახლდნენ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), არქიმანდრიტი ზენონი (იარაჯული), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში, ბატონი ტარიელ ლებანიძე. დელეგაციას მუდმივად თან ახლდა და მასპინძლობას უწევდა სტამბულის გენერალური კონსული ბატონი თეიმურაზ შარაშენიძე.

14 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია სტამბულში ჩაფრინდა, სადაც გაიმართა შეხვედრა მის ყოვლადუწმიდესობა ბართლომეოს I-თან

საუბარი შეეხო საქართველოს ეკლესიისათვის ისეთ მტკივნეულ საკითხებს, როგორიცაა ჩვენი ეკლესიის ადგილი დიპტიხში... (სამწუხაროდ, ეკლესიათა დიდი ნაწილის თანხმობის მიუხედავად, რომ საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნოს თავისი კუთვნილი ადგილი, დღემდე გადაუჭრელია). ითქვა, რომ იგი საბოლოოდ მართლმადიდებელთა საერთო კრებაზე გადაწყდება.

შეხვედრაზე ასევე დაისვა საკითხი, რათა საქართველოს წარმომადგენლობის, დიპლომატებისა და მათი ოჯახებისათვის სტამბულში გაიხსნას ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინება. მსოფლიო საპატრიარქომ ეს ნებართვა უკვე დაადასტურა. დღეისათვის მხოლოდ თურქეთის ხელისუფლების ნებართვაა საჭირო.

თურქეთში საქართველოს დელეგაციის პირველი ორი დღე სტამბულში (ყოფილ კონსტანტინოპოლში) არსებულ წმიდა ადგილების მონახულებას დაეთმო. მოილოცეს წმიდა სოფიის დიდი და დიდებული ტაძარი. სამწუხაროდ, ეს დიდი სიწმიდე მართლმადიდებელთა ხელში უკვე დიდი ხანია, აღარ არის. იყვნენ ხორას, „წყარო ცხოვრებისასა“ და ვლაქერნის მონასტრებში. მოილოცეს ეს დიდი სიწმიდეები. მცირე პარაკლისი ჩატარდა ვლაქერნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატთან...

ეწვივნენ ხალკის ცნობილ აკადემიას, რომელიც სამწუხაროდ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიხურა. თავის სიტყვაში, რომელიც მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ სემინარიის წინ წარმოსთქვა, ბრძანა:

„მე ნამყოფი ვარ აქ და ვიცი ამ დიდი სასულიერო სასწავლებლის ისტორია. ჩვენთვის ცნობილია, რომ მრავალ დიდ პიროვნებას დაუმთავრებია ხალკის აკადემია, რომ აქ არის უნიკალური ბიბლიოთეკა, ისეთი, როგორიც მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არსებობს. დიდი სიყვარულით მოვედით აქ, რათა შევთხოვოთ წმიდა სამებას მშვიდობა, წინსვლა, სულიერი ამაღლება კონსტანტინოპოლისა და საქართველოს საპატრიარქოთა... ჩვენი ქვეყნებისა და ერებისა. ასევე აღვავლენთ ლოცვებს, წმიდა სამების მიმართ, რათა განახლდეს ხალკის აკადემიაში სწავლის პროცესი“...

16 მაისს დელეგაციის წევრები კაბადოკიისაკენ გაემგზავრნენ, რომლის დედაქალაქად უწინ ქალაქი კესარია ითვლებოდა. ეს ტოპონიმი, ფაქტობრივად, დღესაც შენარჩუნებულია. ამჯერად კაბადოკიის დედაქალაქს „კაისერი“ ეწოდება. სანახაობრივად საოცარი და მშვენიერია კაბადოკია. იგი სავსეა ეკლესიებით... მაგრამ დღეისათვის ისინი სდუმან... მათში წირვა-ლოცვა არ აღევლინება...

კონსტანტინოპოლისა და საქართველოს ეკლესიათა მეთაურების ვიზიტის პერიოდში კაბადოკიაში იმყოფებოდა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი, უნეტარესი პეტრე VII, რომელიც შარშან საქართველოს სტუმარიც ბრძანდებოდა.

სამწუხაროდ, საქართველოს დელეგაციისათვის მხოლოდ გამომგზავრების ჟამს გახდა ცნობილი, რომ კაბადოკიაში, იმ მრავალ ტაძართა შორის, რომელთაგან არც ერთი მოქმედი არაა, ქართული ტაძარიც ყოფილა. მისი ნახვა, დროის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა.

ვიზიტი კაბადოკიაში იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა, ამ მიწაზე პირველად აღევლინა მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა, რომელიც სამმა პატრიარქმა აღასრულა.

ამავე დროს, კაბადოკიაში ჩასული იყო ასევე, ქართული ეკლესიის მრევლიც...

ამ მოგზაურობის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას შეუერთდა კიდევ ორი მღვდელმთავარი: ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე) და ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წირვა-ლოცვა, რომელიც საუკუნეების შემდეგ წმიდა ელენესა და კონსტანტინეს სახელობის ტაძარში ჩატარდა. იგი ტრანსლირებული იყო ევროპის ასამდე ქვეყანაში, როგორც უმაგალითო ფაქტი. მწუხრის მსახურება ღია ცის ქვეშ შეასრულეს არქიმანდრიტმა ზენონმა და არქიდიაკონმა დემეტრემ, სხვა სასულიერო პირებთან ერთად.

მეორე დღეს, ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით, უკვე ტაძარში აღევლინა წირვა-ლოცვა, რომლის დიდი ნაწილი ჩატარდა ქართულ ენაზე. გაისმა ქართული საგალობლები... წირვა-ლოცვას უმეტესად ქართველი მრევლი ესწრებოდა. ეს იყო ერთი გამორჩეული და შთაგონებული დღე ყველა მათგანის ცხოვრებაში, ვინც ამ დიდებულ წირვა-ლოცვას ესწრებოდა. თავის ქადაგებაში, რომელიც მისმა უწმიდესობამ, ილია II-მ წარმოსთქვა წირვის შემდგომ, ბრძანა:

„...წმიდა მამები ამბობენ, რომ არსებობს სულთა კავშირი და ჩვენ გვწამს, რომ დღეს ჩვენთან ერთად აქ იმყოფებიან წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ბასილი დიდისა და სხვათა, კაბადოკიელ მამათა და დედათა სულები. აღვაყლენთ ლოცვებს, რომ მშვიდობა, სიხარული, სიყვარული სუფევდეს ჩვენს შორის. ამინ!“ *

და აი, დადგა განსაკუთრებით ნანატრი წუთები... საქართველოს ეკლესიის დელეგაცია და მრევლი ტაო-კლარჯეთისაკენ გაემგზავრა...

საუკუნეთა შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ტაო-კლარჯეთის მიწას პირველად დაადგა ფეხი.

ტაო-კლარჯეთში დელეგაციას კიდევ ერთი წევრი – ახალქალაქისა და კუმურდოს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) შეუერთდა...

დროის სიმცირის გამო მისმა უწმიდესობამ მხოლოდ სამი ტაძარი მოილოცა – ხახული, ოშკი და იშხანი.

საპატრიარქოს უწყებანი

დრონი მოვალნის ...
კარ გაიღების თავადა

ტაო-კლარჯეთი ადრინდელი შუა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერაა. აქ შენდებოდა დიდი ტაძრები, იქმნებოდა ბრწყინვალე მწერლობა — ორიგინალური და მთარგმნელობითი, კალიგრაფიული შედევრები, შედევრები ფრესკული და მინიატურული ხელოვნების, იჭედებოდა ჯვარ-ხატები, ნათობდა ნამდვილი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება, „მდულარებაჲ სულისაჲ“... ამ ყოველივემ განუმეორებელი ეპოქა შექმნა მთელი ქართული აზროვნების ისტორიაში...

ეს იყო ეპოქა გრიგოლ ხანძთელისა, აშოტ დიდი კურაპალატისა, გიორგი მერჩულესი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბაგრატიონთა გვარის აღზევებისა, ეპოქა საქართველოს გადარჩენისა, დასაწყისი მისი გაერთიანებისა. ეპოქა, რომელმაც მყარი ნიადაგი მოუმზადა დავითისა და თამარის მოსვლას, დიდთა საქმეთა მათთა.

ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ნაკლებად იცნობდა მის დროს უკვე ოსმალთა მფლობელობაში არსებულ ქართულ მიწა-წყლებს, მაინც ხშირად იხსენებდა და აღწერდა (ცხადია, შეძლებისდაგვარად) ამ მხარის ეკლესიებსა და ციხე-კოშკებს და მუდამ მათ გამორჩეულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო პირობითი ცნებაა. იგი მარტო ამ ორ კუთხეს არ მოიცავს, არამედ საქართველოს მთელ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

ძველ ქართულ წყაროებში მას ეწოდება ზემო ქართლი, რომელიც შემდგომ, XVI საუკუნის ბოლოდან ოსმალებმა დაიპყრეს. მასში ტაოსა და კლარჯეთის გარდა შედიოდა შავშეთი, ერუშეთი, არტაანი, კოლა, ოლთისი, ისპირი, ბასიანი, აჭარა, ლაზეთი და ასევე სამცხე-ჯავახეთი, ანუ ახლანდელი ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბოგდანოვკის რაიონი და თრიალეთის ნაწილი.

ცენტრი იყო არტანუჯი. იგი ვახტანგ გორგასალს დაუარსებია. აქვე განაგებდა ქვეყანას მეფე. აქვე ჩაისახა პირველად საქართველოს გაერთიანების დიდი იდეა... ტაო-კლარჯეთმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, IX-დან XI საუკუნის დასაწყისამდე იარსება. თუმცა, რა თქმა უნდა, ადრეც, არაბთა შემოსევამდე აქ ჰყვაოდა დიდი კულტურა... ეს მხარე ტაძრებით იყო მოფენილი, მაგრამ მტრის ხელმა იავარჰყო ყოველივე, მოსპო და თითქმის ნანგრევებად აქცია.

დიდხანს იყო გზები ჩაკეტილი ამ კუთხისაკენ. და მხოლოდ XIX საუკუნიდან, ისიც მხოლოდ უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა წიგნებში, გაჩნდა მსჯელობები ტაო-კლარჯეთის ქართულ ეკლესიურ ნაგებობათა შესახებ.

ასე მაგალითად, გერმანელი მეცნიერი (ბოტანიკოსი) კარლ კოხი, თავის წიგნში „მოგზაურობა პონტის მთებსა და თურქეთის სომხეთში“, რომელიც 1846 წელს გამოვიდა, იხსენიებს ბანას ტაძარს, რომელსაც თავისი სიდიდითა და სილამაზით გაუოცებია იგი. კოხი წერს, რომ მთელ აღმოსავლეთში, კონსტანტინოპოლის გამოკლებით, ბანას ბადალი ტაძარი არ შეხვედრია. მას ამ ტაძრის სქემაც ჩაუხატავს.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო ვენეციელმა მეცნიერმა ნერსეს სარგისიანმა. მან ამ მხარეში 1843-1853 წლებში იმოგზაურა. იგი ეძებდა სომხურ სიძველეებს... ყოველივეს, რასაც ჰპოვებდა, იწერდა კეთილსინდისიერად... მათ შორის ქართულ წარწერებსაც. ეს მან გადასცა მარი ბროსეს, რომელმაც ისინი სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა.

წარწერები ძირითადად ოშკიდან და იშხნიდან იყო. სახელწოდება „ოშკი“, სამწუხაროდ, პირველად მესმისო, წერდა ამის გამო მარი ბროსე; ვახუშტისაც არა აქვს იგი მითითებული თავის რუკაზე, არც ტექსტში, როცა თორთომის ხეობას აღწერს, და საერთოდ, არც ერთი რუკა და მოგზაურობათა მასალები, რომელიც შევამოწმე, ამ სახელობის ტაძარს არ მიუთითებენო.

1874 წელს აჭარასა, ლაზეთსა და ტაო-კლარჯეთის მხარეში იმოგზაურა პოლკოვნიკმა გიორგი ყაზბეგმა. იგი წერს: გეოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა აღიაროს, რომ თურქეთის საქართველოს რამდენიმე ნაწილის, მაგალითად, შავშეთისა და მთიანი ლაზეთის შესახებ მან ბევრად უფრო ცოტა იცის, ვიდრე შუა აფრიკის შესახებო. ყაზბეგი ხელოვნებისმცოდნე არ იყო და ნანახის შესახებ ჰყვებოდა მხოლოდ შთაბეჭდილებების მიხედვით. შორს იყო არქიტექტურის, საერთოდ ხელოვნების ისტორიის პრობლემებისაგან. მაგრამ მისი მოკლე ცნობები ინტერესს მოკლებული არაა.

1878 წლიდან, როცა ბერლინის ტრაქტატის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც თურქეთის მფლობელობაში იმყოფებოდა, რუსეთის იმპერიაში გადავიდა და, ამგვარად, ისევ საქართველოს დაუბრუნდა, ტაო-კლარჯეთის სიძველეთადმი ინტერესმა რამდენადმე ისევ გაიღვიძა.

ამავე პერიოდში ბათუმის ოლქში, როგორც ერთ-ერთი კომისიის წევრი, ჩავიდა დიდი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც იქ არქეოლოგიური მასალები მოიძია. მოიხილა ტბეთი, ოპიზა, ანჩა და დოლისყანა. 1881 წელს მან ასევე იმოგზაურა ყარსის ოლქშიც, რომელთანაც იმჟამად მიერთებული იყო არტაანი და ოლთისი... რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა, ხოლო არქეოლოგიურ ყრილობას წარუდგინა ვრცელი მოხსენება.

1888 წელს მამაწმიდაში, სვეტში, ფორთაში, ოპიზაში, დოლისყანასა და ენი-რაბათში იმოგზაურა აკადემიკოსმა ა. პავლინოვმა, რომელმაც 1893 წელს მოგზაურობის ანგარიში გამოაქვეყნა MAK-ის III ტომში. ძეგლების აღწერილობა მოკლეა, მაგრამ მათ თან ახლავს ძალზე კარგი ფოტოსურათები. მოცემულია მათი ზომები, ზოგჯერ არაზუსტად, მაგრამ დღემდე თითქმის შეუცვლელი.

ყველაზე მნიშვნელოვანი რევოლუციამდელი პერიოდის ნამუშევრებიდან, რომელიც უშუალოდ ტაო-კლარჯეთისადმია მიძღვნილი, სიძველეთა დიდ მკვლევარს, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს და დიდ მეცნიერს — ნიკო მარს ეკუთვნით.

ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამჯერ გაემგზავრა ექსპედიცია. ამ ექსპედიციათა მასალები გამოქვეყნებულია. მან შეისწავლა, აღწერა და ფოტოებზე გადაიღო უძვირფასესი ძეგლები ქართული ხუროთმოძღვრებისა (ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი).

ექვთიმე თაყაიშვილის ბოლო ექსპედიციის შემდეგ, რომელიც 1917 წელს მოეწყო, სამწუხაროდ, დიდი ხნით, სრულიად ჩაიხურა გზა სამუსულმანო საქართველოსკენ — ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთისაკენ. ეს რთული და მძიმე პერიოდი იყო. ჩამოთავდნენ ათეული წლები, თითქმის მთელი საუკუნე... ამ ხნის განმავლობაში დაზიანდა, დაინგრა, გაჩანაგდა ქართული ხუროთმოძღვრების საგსებით უნიკალური, განუმეორებელი ძეგლები და, აი, უკვე ჩვენს დროში გარედან, სხვა ქვეყნების მოგზაურთა და ხელოვნებისმცოდნეთა ნაწერებში, რომელნიც შედარებით იოლად აღწევდნენ ტაო-კლარჯეთის მთებამდე, გაიელვებდა ხოლმე ზოგადად, ძუნწად, მაგრამ უდიდესი შთაბეჭდილებებით სავსე შეფასებები და ნანახით მიღებული ტკივილების ანარეკლები... ასე წვეთ-წვეთად შეგროვდა უცხოელ ავტორთა ნაწერები და ჩვენამდეც მოაღწია. ამ ნაწერებს თითქმის ყოველთვის თან ახლავს ტაძრების ფოტო-სურათები.

და მაინც... ჩვენს დროში, არც ისე დიდი ხნის წინათ, 1979 წელს, კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ და კონოოპერატორმა ირაკლი ონოფრიშვილმა, დიდი წვალებით, მაგრამ ღვთის ნებითა და წყალობით, ტაო-კლარჯეთის აკრძალულ ზონაში შეაღწიეს და საოცარი ფილმი გადაიღეს. სასწაულს ჰგავდა ჩვენთვის მაშინ ამ ტაძრების ეკრანზე ხილვა...

აი, ეს არის თითქმის ყველაფერი, მთელი იმ დოკუმენტური მასალის ინფორმაცია, რომელსაც დღემდე ვფლობდით.

ამჯერად კი, მადლობა უფალს, „გაიღო კარი“... რა თქმა უნდა, ასე თუ ისე. და სულ ახლახან, მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ



ბანას ნანგრევი



დოლისყანა

ოშკი

ბანას ტაძარი დღეს

იმხანი. სამხრეთი ფასადი. IX ს-ის I ნახ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II დელეგაციის წევრებთან ერთად.

ოთხთა ეკლესია

ოთხთა ეკლესია

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ტაო-კლარჯეთში

სამღვდელოებასა და მრევლთან ერთად მოილოცა ტაო-კლარჯეთის ტაძრები... ნახევრად ჩამოშლილნი და მწუხარენი, მაგრამ მაინც დიდნი და თვალშეუდგამნი, მაინც მშვენიერნი...

ისინი გვიხმობენ ჩვენ, ყველას... ქართველნო... მათაც ისევე ვენატრებით, როგორც გვენატრებიან ჩვენ.

დაგვნათის დიდი გრიგოლ ხანძთელი – „ვარსკვლავი უდაბნოთაჲ". წაგვიძღვება მისი ნათელი სული.

ღრმად გვწამს ქართული ხალხური სიბრძნეც...

„... დრონი მოვალნის,
კარ გაიღების თავადა."

უფალო შენით... უფალო შენით...

ოპიზა

დრონი მოვალნის ...
კარ გაიღების თავადა

გაგრძელება, დასაწყისი გვ. 15

საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, VI, VII საუკუნეთა მანძილზე არსებობს ორი დიდი „ტეხილი“: ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულთა დამოუკიდებლობის გაუქმება VI საუკუნეში, ხოლო შემდეგ, VII საუკუნიდან, არაბთა ბატონობის ვრცელი პერიოდი.

პირველად მე-6 საუკუნეში ირანმა დაიპყრო და შეიერთა იბერიის (ქართლის) სამეფო, რომელსაც ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციები და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული ჰქონდა. და „დაესრულა მეფობა ქართლისა“.

იბერიის სამეფოს დაცემას მოჰყვა ლაზიკის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს დაცემა. მას შემდეგ წარმოებს ხანგრძლივი, დიდი ომები ირანისა და ბიზანტიის იმპერიებს შორის ლაზიკაში (დასავლეთ საქართველოში) პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისათვის. ეს ომები იმით დასრულდა, რომ ლაზიკა საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში დარჩა. ამის შემდეგ ბიზანტიამ იქ თანდათან გააუქმა მეფობა.

აღმოსავლეთ საქართველოში არაბებმა (VI, VII სს. განმავლობაში) სრულიად ახალი მიმართულება მისცეს არა თუ მხოლოდ იბერიას, მთელი კავკასიის ხალხთა ისტორიას. არაბები უკვე კარგა ხნით დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. და არა მხოლოდ იქ. მათი ყივილი და ცხენების თქარუნი დასავლეთ საქართველოსაც სწვდებოდა. მიმდინარეობდა განუწყვეტელი ბრძოლები დამპყრობელთა წინააღმდეგ. სრულიად აოხრებული და ღონისგან დაცლილი იყო ქვეყანა. ბრძოლა უსწორო იყო და ქართველ ხალხს ძვირად დაუჯდა იგი... ცეცხლითა და მახვილით გაიარა მურვან-ყრუმ თითქმის მთელი საქართველო... მოაოხრა და მიწასთან გაასწორა ქვეყანა... მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლები, ეკლესიები, ციხე-კოშკები. მოსრა ადამიანთა საცხოვრისები და, ცხადია, არა მხოლოდ მურვან ყრუმ... მომხდურთა ბელადები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ საქართველოს ნგრევაში...

დრო და დრო, რა თქმა უნდა, ქართველთა ერისმთავრები ახერხებდნენ არაბებთან ბრძოლას და სჯაბნიდნენ კიდეც მათ.

ასე იყო მაგალითად, ნერსე ერისთავის მთავრობის ჟამს, როცა მან დაამარცხა არაბთა სარდალი ბარაბა და განდევნა იგი.

ასე მოხდა VIII საუკუნის ორმოციან წლებშიც, როცა არაბულ ხალიფატში არეულობა დაიწყო და იგი ხალიფების პირველი დინასტიის დამხობით დასრულდა... ამ დროს საქართველოს დიდი ნაწილი გათავისუფლდა არაბთა მფლობელობისაგან და თუმცა არახანგრძლივად, აღდგენილ იქმნა „მეფობა ქართლისა“.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში იმ დროს იდგა გორგასლიანთა ძველი ეროვნული დინასტიის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი არჩილი, რომელმაც განაახლა ერთიანი იბერიის სახელმწიფოებრივი ტრადიცია. მიიღო „ქართველთა მეფის“ ტიტული. ეს კი უკვე ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. არაბებმა ისევ მოიბრუნეს სული და ახალი რისხვით დაატყდნენ საქართველოს. „მოაოხრეს და შემუსრეს ყოველი შენებული ქართლისა“ და მრავალგზისი ბრძოლის შემდეგ, საბოლოოდ მძიმე, უთანასწორო ბრძოლაში სძლიეს ქართველთა ლაშქარს.

მაგრამ, როგორც მემატიანე გვამცნობს, ქართველ ხალხში არ ჩამკვდარა, არ გატეხილა წინააღმდეგობის ძალა და მოლოდინი იმისა, რომ სათანადო ჟამის მიხედვით, „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“ ისევ განეგრძო ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და

თავისუფლებისათვის. მოვიდა ეს ჟამიც... ეს არის ხანა VIII-IX საუკუნეებისა, ოდეს ქვეყნის ცალკეული მხარეები თანდათან აღწევენ თავს უცხოელთა ბატონობას. ასე ეყრება საფუძველი ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ ერთეულებს.

პირველად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა დასავლეთ საქართველოში, ოდეს „მოუძლურდეს ბერძენნი" და საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოს „სამეფოს". ამავე ხანებში შეიქმნა ქართული ფეოდალური სამთავროები კახეთსა და ჰერეთში...

IX საუკუნის პირველ მეოთხედში 809–826 წლებში საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ სახელმწიფოებრიობას ცენტრალურ იბერიაში, ქართლ-მესხეთის მხარეებში, რომელიც ძველი იბერიის სახელმწიფოებრივი ტრადიციების მემკვიდრედ გამოდის და იწოდება „ქართველთა სამეფოდ".

თვით უფლის ნებით მოვიდა ტაო-კლარჯეთში აშოტ კურაპალატი. ეს იყო მაშინ, ოდეს ქართლი არაბებს ეპყრათ და ძალმომრეობის ტახტი თბილისში ედგა არაბ ამირას. აღარ შესწევდა ძალა კეთილმსახურ მეფეს მათ განსადევნად, ვერ ჰპოვა მან ეს ძალა თავის ერშიც; აიყარა ოჯახითა და მცირე რაზმით და დასახსნელი გზის საძიებლად წარემართა საბერძნეთს.

და აი, ფარავნის ტბასთან, შესვენების ჟამს, გარდამოუვლინა მას ღმერთმა სასწაული... შეიცნო აშოტმა უფლის ხმა და შედგა იგი ღვთით განჩინებულ მოწამებრივ გზაზე, რომელიც საბერძნეთის ნაცვლად შავშეთ-კლარჯეთისა და ერის სულის ხსნისაკენ უხმობდა.

და მოვიდა მეფე მურვან ყრუსაგან აოხრებულ შავშეთ-კლარჯეთში. იწყო დანგრეული ქვეყნის შენება.

გეოგრაფიული თავლსაზრისით, მტკვრისა და ჭოროხის აუზის ვრცელი ტერიტორიები და კერძოდ, ტაო-კლარჯეთის მხარე, უძველესი დროიდანვე დასახლებული იყო ქართველური მოდგმის ხალხით, რომლის სამხრეთი საზღვარი მდინარე არაქსზე გადიოდა. უცხოელ ავტორთა – აპოლოდორეს (ჩვ. წ. აღრიცხვამდე II ს.), ტაციტუსის (ჩვ. წ. აღრიცხვამდე III ს.), მიქაელ პორფიროგენეტის (XI ს.) და სხვათა ცნობებით, არაქსს აქეთ იმთავითვე იბერიის სამეფოში შემავალი მესხური ტომები ცხოვრობდნენ. პირველი საუკუნეებიდან ტაო-კლარჯეთის მხარე თანდათან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ებმება, რაც განსაკუთრებით შეინიშნება ვახტანგ გორგასალის დროიდან, როცა აქ ციხე-ქალაქი არტანუჯი დაარსდა. დიდი აღმავლობით ვრცელდებოდა ქართული ფეოდალური კულტურა და ეკონომიკურად მოღონიერებულ ქვეყანაში ფართოდ იშლებოდა შემოქმედებითი მუშაობა, შენდებოდა ეკლესია-მონასტრები. არაბთა შემოსევებმა შეაფერხეს საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკური წინსვლა. ტაო-კლარჯეთის მხარე არაბებსა და ბიზანტიელებს შორის ბრძოლის ასპარეზად იქცა. VIII საუკუნის პირველ ნახევარში იგი მთლიანად ააოხრა მურვან-ყრუს შემოსევებმა. ომის შემდეგ ტაო-კლარჯეთი ბიზანტიას დარჩა თავისი გადამწვარი სოფლებით, ამოვარდნილი მოსახლეობითა და დანგრეული ეკლესიებით. იგი მთლიანად გაუდაბურებული იყო. აქ თავიდან უნდა აღმოცენებულიყო ენაც, ეკლესიაც, მწიგნობრობაც, საერთოდ სიცოცხლე. სამწუხაროდ, ასეთივე უნუგეშობა სუფევდა მაშინ მთელ საქართველოში. და პირველად აქ გაიშალა „ერთიანი, ძლიერი საქართველოს ხის ფესვები". გაიშალა, ალბათ, იმიტომაც, რომ სარკინოზნი მოშორებით იყვნენ ამ კუთხისაგან და ხელს ვერ შეუშლიდნენ.

გაიშალა დიდი მშენებლობა მთელ სამხრეთ საქართველოში, რომელსაც აშოტ კურაპალატთან ერთად, სათავეში ჩაუდგა დიდი გრიგოლი. „ყოველი საქმენი და ღვაწლნი გრიგოლისანი, რომელი უჯერო არს", აღწერილია გიორგი მერჩულის თხზულებაში. ამ ნაწარმოების მიხედვით ვგებულობთ ტაო-კლარჯეთის არა მხოლოდ სულიერ, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების იმდროინდელ ისტორიასაც. სწორედ ამ ნაწარმოებში ითქვა პირველად, რომ **„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების"**.

აშოტ I იყო კაცი, არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით თვალსაჩინო და გამორჩეული. იგი საქართველოს ისტორიაში აშოტ დიდის სახელითაა ცნობილი. მეისტორიე გვამცნობს, რომ ამ ბრძოლების დროს აშოტს მტერთაგან გამოუხსნია თბილისი და თავისი სამშობლოს საზღვრებიც განუმტკიცებია. მაგრამ საბოლოოდ იმ დიდ უთანასწორო ბრძოლაში მან ვერ შეძლო თავისი მდგომარეობის შენარჩუნება.

შავშეთ-კლარჯეთი, სადაც აშოტ I მისულა, იყო „ქვეყანა კლდოვანი", რომელიც გიორგი მერჩულის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ყოვლით კერძო შეზღუდვილ არს მთათა მიერ, და ვენაკებისა და წყალთა მათგან, საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთათა".

აშოტ I და მასთან ერთად „ერი თჳსი მცირედი" გამაგრდა ამ მხარეში და იწყო მტერთაგან იავარქმნილი კუთხის ხელახლად შენება. დაიწყო საქართველოს მხარეთა ახლად შეკრება... და „სამეფოს" მკვიდრი საფუძვლის ჩაყრა.

სრულიად განადგურებული და იავარქმნილი იყო ამ დროს შავშეთ-კლარჯეთი და საერთოდ, მთელი დასავლეთ-მესხეთის თემები... ცხადია, მძიმე პირობებში უხდებოდა აშოტს ყოველივე ამის მოვლა და ხელახალი აღორძინება...

ამის შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობებია დაცული, უპირველეს ყოვლისა, გიორგი მერჩულის წიგნში „გრიგოლ ხანძთელის ცხორება".

ხოლო სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს, რომ როდესაც აშოტ I დამკვიდრდა შავშეთში, „კევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ სპარსთა (ე. ი. მუსულმანთა) უფლებისასა აოჯრდა, ოდეს იგი ყრუმან (მურვან) შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი". ამას დამატებია ქოლერაც და ქვეყანა სრულიად უკაცრიელი გამხდარა.

ტაო-კლარჯეთი, საერთოდ, იმთავითვე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

ტაოს საქართველოს წარსულში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერია. იგი იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მტკიცე კედელი და ევროპულ ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი მთავარი კარი.

ტაო გაშლილი იყო მდინარე ჭოროხის აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი მოიცავდა ყოფილი ოლთისის „ოკრუგს", თორთომს, იშხანს... ხშირად ტაოში შედიოდა ისპირიც. მისი სოფლები ღრმა ხეობებშია გაშენებული.

ტაო იმთავითვე ქართველთა ტომით, მესხებით იყო დასახლებული. მურვან ყრუს ლაშქრობის დროს აოხრდა ტაო. ნანგრევებად იქცა ეკლესია-მონასტრები. განადგურდა მოსახლეობა. ამ მხარის აღორძინება დაიწყო აქ აშოტ დიდი კურაპალატის მოსვლის შემდეგ. ამ დროიდან იწყება წინათ გასომხებული მოსახლეობის ხელახალი გაქართველება. სწორედ აშოტ I-ის დროს მოვიდა აქ დიდი გრიგოლ ხანძთელი. მას იმდენად აოხრებული დახვდა ყოველივე, რომ იშხანში ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე აშენებული წმიდა ტაძარი — „პირველი დიდებულებაჲ" საძებარი დაურჩა. მხოლოდ ღვთისაგან ეცნობა ტაძართან მისასვლელი გზა, „რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალი იყო ადგილი იგი და მირაივიდეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ".

ტაო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. იგი კლარჯეთთან ერთად გამოდიოდა საქართველოს გაერთიანების მესაძირკვლედ. დავით აღმაშენებლის დროს ტაო საქართველოს „ოქროს ხანის" ერთ-ერთი მშენებელი იყო.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში და გიორგი ბრწყინვალის დროს ტაო სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ეკუთვნოდა. XV საუკუნის დასასრულიდან მტრების განუწყვეტელი შემოტევების გამო იწყება საქართველოს დაკნინება. ერთიანი სახელმწიფო დაიშალა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ეს პროცესი შეეხო ტაოსაც. დაიწყო უმძიმესი პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. საბოლოოდ კი, 1921 წლის 13 ოქტომბრიდან ყარსში დადებული ხელშეკრულებით ოსმალეთმა მიიღო ოლთისის ოლქი, რომელშიც შედიოდა ტაო.

ტაომ კლარჯეთთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში.

სამწუხაროდ, **ტაოს დიდი ტაძარი**, რომლის ფოტოს გადაღება ექვთიმე თაყაიშვილს მოუსწრია, დღეს უკვე აღარ არსებობს... უაღრესად დიდ, ზემიწიერ შეგრძნებას იწვევს მნახველში ამ სურათის ნახვა... ტაძარი კი აღარ არსებობს... მტრისა და დროის მსახვრალ ხელს აღუგვია იგი პირისაგან მიწისა.

მაგრამ აქვე, სოფელ პარხალში, დგას დიდებული ბაზილიკა, რომელიც დღეს ჯამეთაა გადაკეთებული. ეს პარხალია.

სოფელი პარხალი პარხლის წყლის ვიწრო ხეობაშია, რომელიც პონტოს ქედზე ალთი-პარმაღის (ექვს-თითა) მთასთან იწყება. პარხალი და მისი მიდამოები ძალზე წყალუხვი მხარეა. იგი ოთხთა ეკლესიის გეგმის მიხედვითაა აგებული. თავის დროზე მოუხატავთ, მაგრამ ამჯერად ამ მხატვრობის მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი... ჯერ კიდევ 1874 წელს, როცა პარხალი მის პირველ მკვლევარს გიორგი ყაზბეგს უნახავს, ფრესკები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა. იგი წერს: „(საკურთხეველში), ყველაზედ უფრო თვალსაჩინო ადგილას, შენახულია წმიდანთა გუნდით გარსშემორტყმული მაცხოვრის გამოხატულება. წმიდანთა სახეები აქა-იქ-ღა გადარჩენილა, მაგრამ მაინც უკეთესადაა შენახული, ვიდრე ტბეთში“.

პარხალი იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა და X საუკუნით თარიღდება. ტაოში მდებარეობს **იშხნის** კათედრალიც, რომელიც IX საუკუნეში აუგიათ სოფელ იშხანში, ჭოროხის მარჯვენა შენაკადის, ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირას. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „... ამ კევზედ არის იშხანის ციხე, ფრიად მაგარი, დიდშენი და ეკლესია გუნბათიანი, დიდშვენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე, და აწ ცალიერ არს“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. 1941 წ., გვ. 136-137).

ამ ადგილას წინათაც არსებულა საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც VII საუკუნის პირველ ნახევარში აუგია მართლმადიდებელ ნერსე ეპისკოპოსს.

იშხნის ტაძრის აშენების ისტორია ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა გამოაქვეყნა დიდი მამის „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“. გრიგოლ ხანძთელმა, როგორც ცნობილია, VIII საუკუნის ბოლოს და IX საუკუნის პირველ ნახევარში ააშენა მონასტრები, პირველ ყოვლისა – კლარჯეთში, სადაც იგი გახდა კლარჯეთის თორმეტი უდაბნოს არქიმანდრიტი. ამ მონასტერთაგან, უშუალოდ მისი და მისი მოწაფეების მიერ აშენებული იყო ხუთი. იშხნის ტაძარი ერთადერთია ტაოში, რომელიც გრიგოლის სახელთანაა დაკავშირებული. გრიგოლის „ცხორებიდან“ ვგებულობთ, რომ მას „გამოეცხადა ღმრთის მიერ... იშხნისა პირველი დიდებულებაᲘ... და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ხელითა საბანისითა, და ეცნობა გზაცა მისავალად, რამეთუ მის ჟამსა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი“.

ამრიგად, **იშხანი** მეორედ იქნა აგებული IX საუკუნის პირველ ნახევარში. აშოტ I-ის, ბაგრატ I კურაპალატისა და მისი ძმების ნივთიერი დახმარებით აშენდა იშხნის საყდარი. მისი პირველი ეპისკოპოსი იყო საბანი. მისი სასულიერო ხელისუფლება ვრცელდებოდა კლარჯეთიდან ბაიბურთამდე, უფრო იქითაც და მთელ თორთომის მხარეზე.

ტაოს მეორე საეპისკოპოსო საყდარი იყო ბანაში, სადაც დიდად განთქმული მრგვალი ტაძარი იდგა (ამჟამად, ისე, როგორც ამ მხარის სხვა დიდებული ეკლესიები, ისიც სავალალოდ გამოიყურება). ეს ტაძარი ააგო ადარნასე II კურაპალატმა (იგი აღესრულა 923 წელს) X საუკუნის დასაწყისში.

კლარჯეთში ორი საეპისკოპოსო კათედრა იყო – ანჩისა და ტბეთის. ამათგან ადრინდელია ანჩისა (იგი იშხანისაზეც უფრო ძველია). შემდეგ მას მიემატა ტბეთის საეპისკოპოსო, რომელიც აშოტ კუხმა დააარსა (ქ. 918). მისი პირველი ეპისკოპოსი იყო სტეფანე მტბევარი.

ტაოსა და კლარჯეთის ეპისკოპოსები (აწყურის ეპისკოპოსთან ერთად) იწოდებოდნენ ზემო ქართლის ეპისკოპოსებად. მათ შორის, მეფის კარზე ყველაზე დიდი პატივი მინიჭებული ჰქონდა, როგორც ეს ხელმწიფის კარის გარიგებიდან ჩანს, იშხნის ეპისკოპოსს — **იშხნელს**.

ტაძარს, რა თქმა უნდა, თავისი პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. დაზიანებული ყოფილა იგი 1917 წელსაც, როცა ექვთიმე თაყაიშვილმა ნახა, შეისწავლა და აღწერა, ცხადია, შეძლებისდაგვარად.

გამორჩეულად დიდებული ყოფილა **იშხნის ფრესკები**. სამწუხაროდ, დღეს იგი მთლიანად მოსპობილია. ექვთიმე თაყაიშვილი გვაუწყებს: იშხნის მუხთარმა მითხრა: მეფის სალდათებმა ხიშტების წვერებით მოშალეს ფრესკები, თორემ წინათ საკმაოდ იყვნენ დაცულნიო; რომ პირველი მსოფლიო ომის დროს მართლა მოუვიდა ზიანი ამ ტაძარს, ამას კაპიტანი ნ. შუგუროვიც აღნიშნავს თავის ბროშურაში ხახულის მონასტრის შესახებო.

საგულისხმოა, რომ იშხნის ფრესკებით მუსლიმებიც კი მოხიბლულნი ყოფილან. მათი თქმით, „**სახელგანთქმულია სილამაზე ოშკის ტაძრისა, ადგილმდებარეობა ხახულისა და შხატყრობა იშხნისა**“. (ნ. მარი).

ისე, როგორც ამ მხარის სხვა დიდებული საყდრები, იშხნის საყდარიც ლაპიდარული წარწერებითაც მდიდარი ყოფილა...

ექვთიმე თაყაიშვილის მიკვლევით, ტაძრის უძველესი ისტორიული წარწერა ცოტა ნაკლოვანად შემორჩენილია ჩრდილო ეკვდერის კედელზე; ამ წარწერაში მოხსენიებულია ბაგრატიონთა შორის პირველი „ქართველთა მეფე“ ადარნასე II (ქ. 923) და მისი ოთხი შვილი. წარწერაში არსებული თარიღები აღნიშნავს 917 და 936 წლებს, ხოლო თვით წარწერა შესრულებულია 954-955 წლებში. „წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, მარტო მის აღმოსაჩენად ღირდა ჩვენი ექსპედიციის მოწყობაო“, — წერს ბატონი ექვთიმე.

იშხნის კათედრა არსებობდა ოსმალთა მიერ ზემო ქართლის დაპყრობის შემდეგაც. იგი საბოლოოდ XVII საუკუნის მეორე ნახევარში გაუქმდა.

ძველ ქართულ თემში, ტაოში, მდებარეობს **ოშკის მონასტერიც**. მაღალი მთის ფერდობზე, თორთომის წყლის მარცხენა ნაპირას. X საუკუნეში, როცა ამ ტაძარს აშენებდნენ, თორთომის ტბა არ არსებობდა. იგი გვიან, 1791 წელს, ძლიერი მიწისძვრის შედეგად გაჩნდა. მიწისძვრამ მოსწყვიტა ხორსბაშ დაღის მთის მწვერვალი, ჩააზვავა თორთომის წყალში და შეაგუბა. ამის შედეგად წარმოიშვა უზარმაზარი ტბა... ბუნების ასეთი ცვლილების გამო ოშკის უმშვენიერესი, დიდი ტაძარი განსაკუთრებით მიუვალის შთაბეჭდილებას ქმნის. აღმოსავლეთით მას უვლის მანუსორის ხევის ხრამი, სამხრეთ-დასავლეთით ოშკის ხევის ხრამი. ჩრდილოეთით აღმართულია მაღალი ქედი სობათი და მისი კლდოვანი მწვერვალი — ბალაბეთი. აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრიად ღრმა ხევებს თან ახლავს კლდოვანი ქედები მწვერვალებითურთ. ამ ღრმა ხევითა და მაღალ მწვერვალთა შორის, ხელოვნურად დაკავებულ ფართობზე აღმართულია უზარმაზარი ნაგებობა საუფლო სასახლისა,.. — ოშკის მონასტრის მშვენიერი გუმბათი უფრო მაღლა ადის, ვიდრე ორი მახლობელი მწვერვალი...

ექვთიმე თაყაიშვილის დროს, **ოშკის ტაძარი** ცუდად არ ყოფილა დაცული... ეს იმის გამო, რომ მაჰმადიანებს მისი სამხრეთი მხარე მიზგითად ჰქონიათ გადაქცეული... დანარჩენი ნაწილები კი ბოსლად, საჯინიბოდ, ფარეხად და თივის საწყობად გამოუყენებიათ და შესაბამისად კიდეც გადაუტიხრავთ. ამჟამადაც ასეა, ოღონდ ბევრად სავალალო მდგომარეობაში.

ტაძარი, იმთავითვე ფრესკებით შესამკობად ყოფილა განკუთვნილი. ეს იქიდან ჩანს, რომ მისი შიდა კედლები მსუბუქი, ფერადოვანი ქვით არის ნაშენი. წარწერის მიხედვით, მისი მოხატვა დაუწყიათ 1036 წელს (მთელი 75 წლის შემდეგ), რომელიც ასე იკითხება:

„ქ. სამებაო წმიდაო, ადიდენ შენს მიერ გჯრგჯნოსანნი მეფენი ბასილი და კონსტანტი, რომელთა მიერ განსრულებულ იქმნა მეორედ დაბურვითა ტაძარი ესე ღმრთისაჲ

მონაზონობასა გრიგოლისა და დავითისა. ქრისტე, შეიწყალე მონაჲ გრიგოლ და წყალობით მოიხსენე კალატოზი იესე".

ამ წარწერიდან ირკვევა, რომ ოშკის ტაძარი ხელმეორედ გადაუხურავთ იმპერატორებს ბასილი II-სა და კონსტანტის, ე. ი. ტაძრის დაბურვა უნდა მომხდარიყო 1022–1025 წლებში.

სამწუხაროდ, ოშკის მხატვრობიდან თითქმის აღარაფერი გადარჩენილა. მხოლოდ აქა-იქ-ღა ჩანდა მათი ნარჩენები. ამ ნარჩენებიდანაც კარგად იგრძნობა მათი მონუმენტური სტილი და სიდიადე. ამ ფრესკათა ფრაგმენტული ჩანახატები გაუკეთებია მაშინ ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილს...

ოშკის მონასტერში იმთავითვე დიდი სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობდა. აქ ამზადებდნენ მომავალ საეკლესიო მოღვაწეებს, ასწავლიდნენ წერა-კითხვას, კალიგრაფიას, ღვთისმეტყველებას, საეკლესიო გალობას, უცხო ენებს, საეკლესიო წეს-კანონებს და სხვ. დიდი გუმბათიანი დარბაზი განკუთვნილი იყო წიგნთსაცავისა და, უმეტესად, ხელნაწერთა გადამწერთათვის.

როგორ შეიძლება აუღელვებლად გახსენება ამ მთელი რიგი ძვირფასი ხელნაწერებისა. მათ უმეტესობას თან ერთვის მინაწერი, რომ ისინი სწორედ აქ, ოშკის მონასტერში არიან გადაწერილნი.

ოშკის ტაძარი, თავისი სიდიდითა და ქანდაკოვანი სამკაულის მხრივ ტაოში მეორეა, ბანას მრგვალი ტაძრის შემდეგ.

ტაძრის აღმშენებლები ყოფილან ტაოს ბაგრატიონები, ადარნესე კურაპალატის შვილები – ბაგრატ ერისთავთ ერისთავი (966 წ.) და დავით მაგისტროსი, შემდეგ დავით დიდად წოდებული, ტაოს კურაპალატი (1001 წ.).

ტაძრის გარეთა კედლები დაფარულია მრავალრიცხოვანი ასომთავრული, მეტწილად წითელფერადოვანი წარწერებით. „ბევრი მათგანი დაღუპულია, ზოგისგან ცალ-ცალკე სიტყვა, თუ ასოები დარჩენილა, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც ბევრი წარწერა გადარჩენილა და იკითხება. ეს წარწერები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ამ ტაძრის მშენებლობისა და სხვა ისტორიულ პირთა შესახებ და ამიტომ მათ საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთო", – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი 1917 წლის ექსპედიციის შემდეგ... სამწუხაროდ, ეს წარწერები მას შემდეგ კიდევ უფრო მეტად დაზიანდა, ზოგიც მთლიანად მოისპო...

ისტორიულ ტაოში მდებარეობს **ოთხთა ეკლესიაც**. იქ, სადაც ჭოროხს ერთვის ოთხთა ეკლესიის წყალი. ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა გარეგნულად ძალიან ჩამოჰგავს პარხლის ტაძარს. ძეგლს IX საუკუნით ათარიღებენ. იგი ამჟამად საკმაოდ დაზიანებულია.

ტაოს სიძველეთა შორის ყველაზე ხანდაზმულია **ბანა**. იგი თარიღდება VII საუკუნით (გ. ჩუბინაშვილი). არსებობს სხვა მოსაზრებაც (ე. თაყაიშვილი მას IX საუკუნით ათარიღებს). გერმანელმა მოგზაურმა კარლ კოხმა, როცა იგი 1843 წელს ნახა, ჯერ კიდევ დაუზიანებული იყო. კოხი ტაძრის გამაოგნებელი, გრანდიოზული სილამაზითა და სიდიადით მოხიბლული წერდა: „ყველაზე ლამაზი და ყველაზე მშვენიერია მათ შორის ბანა, რაც მე ამგვარი რამ მინახავს მთელს აღმოსავლეთში, კონსტანტინოპოლის გამოკლებით".

ტაძარი მდებარეობს ოლთისის წყლის შენაკადის, მდ. ბანას მარჯვენა ნაპირას. დღეს იგი ნანგრევებადაა ქცეული, მაგრამ ამ ნანგრევებიდანაც დიდი სილამაზე და სიდიადე გამოსჩანს. იგი მარად დაუვიწყარი შთაბეჭდილებით გავსებთ.

ხახულის მონასტერი მდებარეობს თორთომის წყლის მარცხენა შენაკადის, ხახულის წყლის ხეობაში. მონასტერი გაშენებულია შუახევში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, მთის ძირას.

მთავარ ტაძარს, ადრე, ჩვეულებისამებრ, გარს ერტყა მცირე ეკლესიები.

მაჰმადიანებს, იმთავითვე, მთელი ტაძარი ჯამედ გადაუქცევიათ... ამის გამო, შედარებით უკეთაა შენახული.

ტაძარი მოხატული ყოფილა, მაგრამ დღეს მისი მცირე ფრაგმენტებიღაა. შემორჩენილია ასომთავრული წარწერები.

ხახულის მონასტერი ძველი საქართველოს განათლების ერთ-ერთი კერა იყო. აქ სწავლობდნენ შემდგომში ცნობილი სასულიერო მოღვაწენი, ღვთისმეტყველნი, მქადაგებელნი, მთარგმნელნი, კალიგრაფნი და სხვა. აქ მიულია პირველდაწყებითი სწავლა და აქვე აღკვეცილა ბერად დიდი გიორგი მთაწმიდელი... ჩვენამდე მოაღწია ხახულის მონასტერში გადაწერილმა ხელნაწერებმაც...

ტაძარი აუშენებია დავით კურაპალატს X ს. II ნახევარში.

საოცრებაა ქართული სულისა და ქართული ხასიათის ფენომენი... წვალებით მოჰყვებოდნენ ჩვენი წინაპრები ამქვეყნიური ცხოვრების გზას. ცეცხლისა და მახვილის მრისხანებაში, როცა არც კი იცოდნენ, გადაურჩებოდა თუ არა მათი ნაღვაწი დამპყრობლის შემოსევას, თითქმის მუდამ რომ მძვინვარებდა და ქვეყანას აღარყოფნით ემუქრებოდა. ქართველი კაცი არა მხოლოდ ქვეყნის საარსებო მატერიალურ დოვლათს ქმნიდა, არამედ სულიერ საზრდოსაც დიდ ძალისხმევას ახმარდა. ახალი ტაძრების კედლებიც ამოჰყავდა და ისეთ ფრესკებსაც ხატავდა, მრავალი საუკუნის შემდეგ განათლებულ კაცობრიობას რომ აღაფრთოვანებდა. მტერი ანგრევდა, თვითონ კი მაინც ქმნიდა, მაინც აშენებდა, მაინც ხატავდა და სწამდა, ამითაც ამარცხებდა მტერს.

აქ იგრძნეს, ტაო-კლარჯეთში, ყველაზე ადრე და ყველაზე კარგად ქართველთა ერთობის აუცილებლობა. არაფერი არ გვიშველის, თუ ერთად არ ვიქნებითო და შეერთდა მაშინ ქართველი ხალხი. ამ შეერთებამ იმ შორეულ საუკუნეში საქართველო გადაარჩინა...

უფლის ხელი მიუძღოდა მაშინ აშოტსაც, გრიგოლსაც, ბაგრატსაც... ყოველთა საძმოთა მათთა, და ერსა ჩვენსა, რომელთაც იწამეს ეს ერთადერთი ჭეშმარიტება. იმ დიდ ტაძრებში დანთებულმა წმიდა სანთლებმა და მარადისმა მხურვალე ლოცვამ საქართველოს ახალი გზა უჩვენა.

არის, ალბათ, ქართველთათვის დიდი სიმბოლო ტაო-კლარჯეთისაკენ ახლად გახსნილი გზის შეცნობაში.

ქვეყნად არაფერია შემთხვევითი და ტაო-კლარჯეთი, თავისი დიდი სალოცავებით, დიდთა მამათა მადლით, გრიგოლისა და აშოტის მადლით, ბაგრატიონთა მადლით, ისევ მოვიდა ჩვენთან, რათა როგორც მაშინ, დღესაც იხსნას საქართველო ვაქრობისაგან. გვიხსნას ჩვენც. ოღონდაც, ამ მძიმე შეჭირვების ჟამს, ყური მივუგდოთ უფლის ხმას, რომელიც გვმოძღვრავს — „იყუარებოდეთ ურთიერთას“. ყური მივუგდოთ დიდი გრიგოლის ვედრებასაც, ურთიერთდანდობისაკენ რომ მოგვიწოდებს.

უფალო შენით, უფალო შენით...



ასე გამოიყურებოდა ბაგრატიონთა სატახტო ქალაქი არტანუჯი ერთი საუკუნის წინ

ამონარიდი წიგნიდან: — ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ

ტახტის მფლობელობის ხანგრძლივობის მიხედვით ბაგრატიონები ევროპის ერთ-ერთი უძველესი სამეფო დინასტიაა.

წარმოშობით ისინი, დღეს თურქეთის შემადგენლობაში მყოფ, ძველი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონიდან, სპერიდან (დღევანდელი ისპირი) არიან.

სპერიდან გამოსულ ბაგრატიონთა ერთი შტო ქართლში დამკვიდრდა და ისინი ქართველები არიან, ერთი შტო სომხეთში. ისინი სომეხი ბაგრატიონები არიან, ხოლო ერთიც ალბანეთშია.

ქართველი ბაგრატიონები პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე VI ს-ის 50-იან წლებში გამოდიან და ხელისუფლებას XIX საუკუნის დასაწყისამდე ფლობენ.

VI ს-ის 50-იან წლებში ქართლი აჯანყდა ირანელთა წინააღმდეგ. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი წერს, რომ აჯანყების მოთავეებმა გუარამ განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატონიანი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული საისტორიო თხზულება, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ქართლის პირველ ერისმთავრად იმავე გუარამს ასახელებს, თუმცა არაფერს ამბობს მისი ბაგრატიონობის შესახებ. ისტორიკოსი წერს: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა". ამ წყაროს ცნობით ქართლის მომდევნო ერისთავნი (ერისმთავარნი) ამ გუარამის ჩამომავალნი იყვნენ.

რომ ქართველ ბაგრატიონებს ხელისუფლება VI ს-დან უპყრიათ, ამას X ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი კონსტანტინე VII პორფიროგენეტიც ადასტურებს.

ბაგრატიონთა ქართლში დამკვიდრების შესახებ არსებობს სხვა ვერსიაც. XI ს-ის ისტორიკოსის, ჯუანშერის („ქართლის ცხოვრება") თანახმად არჩილ ერისმთავართან (VIII ს.) ქართლში მოვიდა დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი „ადარნასე, ძმისწული (ძისწული) ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მზახებულ იყო ბაგრატონიანათადვე და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა და ტყუეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე, ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც ქუეყანა" და მისცა შულავერი და არტანი". XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის, ვარდან დიდის ცნობითაც ბაგრატიონები ქართლში VIII ს-ში მოვიდნენ.

ჩანს, სომეხი ისტორიკოსის, ვარდანისა და „ქართლის ცხოვრების" ამ ავტორის (ჯუანშერი) ცნობა ბაგრატიონთა ქართლში მოსვლის შესახებ ერთი საერთო, ჩვენთის უცნობი, სომხური წყაროდან მომდინარეობს. საეჭვოა, რომ სომხეთიდან მოსული სომეხი (თუ ის სომეხი იყო) ქართლის ერისთავად დაედგინათ. ასევე საეჭვოა, რატომ უნდა ელვაწა მას ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისათვის.

რატომ ვენდოთ ჩვენთვის უცნობ სომხურ წყაროს და არა ბაგრატიონთა გვარის მემატიანეს. მართალია, არ არის გამორიცხული, რომ გვარის მემატიანე (როგორც ვარაუდობენ, თვითონაც ბაგრატიონი), გარკვეულ ტენდენციურობას იჩენს, მაგრამ სუმბატ დავითის-ძე სარგებლობს ბაგრატიონთა სახლის „ქრონიკით", „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-თ. მისი ცნობების გარკვეული ნაწილი დასტურდება უცხოური წყაროების, სხვა ავტორთა ცნობებით, წარწერებით. ივანე ჯავახიშვილი იხილავს რა ამ თხზულებას, მაღალ შეფასებას აძლევს მას, როგორც სანდო საისტორიო წყაროს. ამ ავტორის მრავალი სხვა ცნობა უცილობლად დასტურდება სხვადასხვა წყაროების მონაცემებით და რატომ მაინცდამაინც ბაგრატიონთა ქართლის ერისმთავრებად დამკვიდრების საკითხში უნდა იყოს ის შემცდარი (თუ ყალბი). ამასთანავე, გასათვალისწინებელია ჯუანშერის ცნობა, რომ არჩილთან მოსული ადარნასე დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი

ტბეთის ეკლესიის შიგა სვეტის საყრდენი

იყო და არა სომეხი, რომლის მამა ბიზანტიის ხელისუფლების მიერ სომხითის მხარეთა ერისთავად იყო დადგენილი და მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ დაემკვიდრა კლარჯეთს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დგება საკითხი, როდის შეიძლება ჩამოყალიბებულიყო თვალსაზრისი ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ. მარკვარტის აზრით ეს თეორია IX ს. ბოლოს და X ს. დასაწყისში შემუშავდა, კ. კეკელიძის და პ. ინგოროყვას აზრით IX ს-ის დასაწყისში, აშოტ I ბაგრატიონის მმართველობის დროს. ე. თაყაიშვილის აზრით – VIII ს-ში. ექვ. თაყაიშვილი თვლის, რომ ამ თეორიამ გარკვეული ცვლილებები განიცადა და გადამუშავდა და XI ს-ის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორიც ის წარმოდგენილია სუმბატ დავითის ძის თხზულებაში.

VIII ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო არაბთა მფლობელობაში იმყოფებოდა. ამ დროს მიმდინარეობდა ეროვნულ გამათავისუფლებელი ბრძოლა; VIII-IX ს-თა მიჯნაზე უცხოელთა წინააღმდეგ (არაბები, ბიზანტია, ხაზარები) ბრძოლის პირობებში ხდება ეროვნული ძალების შეკრება, იწყება ქართული ქვეყნების გაერთიანების პროცესი. ყალიბდება ახალი ქართული სახელმწიფოები. მათ შორისაა ტაო-კლარჯეთის (ქართველთა) სამთავრო, რომლის სათავეში აშოტ ბაგრატიონი დგას. აშოტი კურაპალატის ტიტულს მოიპოვებს. სამთავრო მის დროს აღწევს სიძლიერეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართველთა სამთავრო საგრძნობლად სუსტდება. ამდენად ვფიქრობთ, თეორია ბაგრატიონთა გვარის ღვთიური წარმომავლობის შესახებ სათანადოდ IX ს. დასაწყისში გაფორმდა.

ბაგრატიონთა წარმომავლობის პრობლემას სხვადასხვა ასპექტები აქვს. ერთი, რომ ისინი წინასწარმეტყველის ჩამომავლები, ე.ი. ღვთიური წარმოშობისანი არიან და რომ მათი ხელისუფლება ღვთის მიერაა დადგენილი.

როგორც ცნობილია, ანტიკურ ხანაში შესაძლებლად მიაჩნდათ სახელმწიფოს სათავეში მდგომ პირთა (ფარაონი, კეისარი) გაღმერთება. ქრისტიანული რწმენა ასეთ შესაძლებლობას არ უშვებს, მაგრამ ადასტურებს, მეფეთა ხელისუფლების ღვთის მიერ დადგინებას. პავლე მოციქულის მოძღვრების თანახმად, „ყოველი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დამორჩილდენ, რამეთუ არა არს ხელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი იგი ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (25, თ. 13, მუხლი 1). ევროპულ ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ქვეყნების შექმნისას ღმერთმა სანიმუშო წესრიგი დაამყარა და განსაზღვრა ყველას ადგილი, რომ მეფეს ძალაუფლება ღვთისაგან ებოძა და არ შეიძლება მის წინააღმდეგ გამოსვლა.

თეორიები სამეფო ხელისუფლების ღვთისმიერობის შესახებ სამეფო ხელისუფლების გაძლიერების დროს იქმნებოდა. ასე მაგ., რუსეთში, ივანე II მრისხანეს დროს, XVI ს-ში საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ მისი ხელისუფლება ღვთის მიერ იყო დადგენილი. ასევე დადასტურებულია ევროპელი დინასტიებისათვის ხელისუფლების ღვთის მიერ ბოძება.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბიზანტიის იმპერიაში ვერც ერთმა დინასტიამ ვერ დაამკვიდრა თავისი საგვარეულოს უფლის მიერ დადგინების იდეა. ბიზანტიაში გაღმერთებული იყო იმპერატორის ტახტი, თვით ბასილევსი, მისი ადგილი საზოგადოებაში, მისი რანგი, მაგრამ არა დინასტია.

ქართულ სინამდვილეში ადრიდანვე აღიარებული იყო, რომ ბაგრატიონები უფლის ჩამომავალნი არიან. ძნელია გადაჭრით თქმა, როდის ჩამოყალიბდა ეს კონცეფცია, მაგრამ უდავო უნდა იყოს, რომ ის ბაგრატიონთა სახლის ძლიერების ხანაში უკვე არსებობდა. IX ს-ის 20-იან წლებში გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს ბაგრატიონთა ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამაარსებელს, აშოტ კურაპალატს: „დავით წინასწარმეტყველის და უფლის მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“, ხოლო XI ს-ის 30-იან წლებში ისტორიკოსმა სუმბატ დავითის-ძემ საგანგებო თხზულება უძღვნა ბაგრატიონთა სახლის ისტორიას, და წარმოადგინა ამ გვარის ღვთიური წარმომავლობის გენეალოგია. ეს თხზულება შესულია ქართველთა წმიდა წიგნში „ქართლის ცხოვრება“. ამასთანავე ქართულ სინამდვილეში მყარადაა წარმოდგენილი თვალსაზრისი მეფის ხელისუფლების ღვთის მიერ დადგინების შესახებ. მეფე დავით IV

აღმაშენებელი თავის „ანდერძში“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფობა მას ღვთისაგან „ერწმუნა“. ბაგრატიონთა მეფობა უცილობლად დასაბუთებულია მათი წარმომავლობით. ასევე თამარ მეფე დარბაზს მიმართავს, რომ საყდარი, სამეფო ტახტი, „რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემთაგან“.

სუმბატ დავითის ძის თხზულების „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა...“ „შესავალი“ ნაწილისათვის (გენეალოგიური ნუსხა) წყაროა „ბიბლია“, სახელდობრ „დაბადება“ (თავი 10), ადამიდან აბრაამამდე. აბრაამიდან სუმბატის სქემა მიჰყვება მათეს სახარებას (1,1-16). სუმბატი აღნიშნავს, რომ იოსები იყო ძმა კლეოპასი, აქ მისი წყაროა ევსევი კესარიელის საეკლესიო ისტორია. შთამომავლობის სქემას აგრძელებს კლეოპადან, მიჰყავს სოლომონამდე, რომელსაც ჰყავდა 7 შვილი. წარმოდგენილია რა ბაგრატიონთა უფლისაგან წარმომავლობის გენეალოგიური ნუსხა, სუმბატი ქართველ და სომეხ ბაგრატიონებს საერთო, ღვთიური ძირიდან წარმოშობილად თვლის.

ამგვარად, ქართულმა საისტორიო ტრადიციამ სომეხი და ქართველი ბაგრატიონები საერთო ძირიდან წარმოშობილად წარმოადგინა და მათ მიერ ამიერკავკასიაში ხელისუფლების მიღება მონათვლასთან, გაქრისტიანებასთან დააკავშირა, რითაც კანონიერი გახადა მათი გამეფება ქრისტიანულ სამყაროში. აღსანიშნავია, რომ იმავე სუმბატის თანახმად ეს შვიდნი ძმანი პალესტინიდან („ფილისტიმით“) მოდიან, პალესტინასთან საკუთრივ იერუსალიმთან აკავშირებს მათ კონსტანტინე პორფიროგენეტიც.

„მეფე“ საქართველოში სახელმწიფოს არსებობის და მომავლის რწმენის სიმბოლო იყო. მართალია, VI ს-ის 30-იან წლებში ირანელებმა გააუქმეს ქართლში მეფობა, მაგრამ როდესაც იმავე საუკუნის 70-იან წლებში აღსდგა ადგილობრივი ხელისუფლება და შეიქმნა ე.წ. ერისმთავრის ინსტიტუტი, თვით ეს ერისმთავრები და მათი თანამედროვე ქართული საზოგადოება მათ „მეფედ“ თვლიდნენ. საინტერესოა ქართული წყაროს ცნობა, რომ გუარამის მემკვიდრემ „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა (ბიზანტიელთა, მ. ლ.) შიშისაგან, არამედ ერისთავთა-მთავრად ხადოდეს“. ე. ი. ქართველთა გაგებით ის „მეფე“ იყო. ამ სახლის მემკვიდრე, სტეფანოზ ერისმთავარი პირდაპირ ამბობს: „მე მეფეთა საყდართა ვზიო“.

საქართველოს მეფეთა ტიტულატურა ზუსტად ასახავს დინასტიის პოზიციას, ადასტურებს მათ ბიბლიურ წარმოშობას: **„იესიან, დავითიან, სოლომონიანი“**.

თვალსაზრისი ქართველ ბაგრატიონთა მეფე დავითისაგან წარმომავლობის შესახებ გაზიარებულია X ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის კონსტანტინე პორფიროგენეტის, ასევე X ს-ის სომეხი ისტორიკოსის ჰოვაჰანეს დრასხანაკერცის მიერ.

X ს-ის ბოლოს და XI ს-ის დასაწყისში ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა და დასავლეთ საქართველოს დინასტიათა გამაერთიანებელ ბაგრატ III ბაგრატიონით იწყება ერთიანი საქართველოს მეფეთა ზეობა, მიუხედავად იმისა, რომ XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში ერთიანი საქართველო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად (და სამცხის სამთავროდ) დაიშალა, ყველა ამ სამეფოთა სათავეში ბაგრატიონთა სამეფო სახლის სხვადასხვა შტოთა წარმომადგენლები დასხდნენ. არაბაგრატიონი „მეფედ“ არ აღიქმებოდა.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბაგრატიონები ევროპის ერთ-ერთი უძველესი დინასტიაა, ხოლო მეფობით – ყველაზე ხანგრძლივი. ევროპაში ბაგრატიონებზე ადრინდელი მეროვინგების დინასტია იყო, რომლის დამაარსებელია ხილდერიკ I (457-481). მაგრამ მეროვინგებმა მხოლოდ 751 წლამდე იარსებეს – ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში მეროვინგების „სამეფოს“ უფრო ტომთა კავშირად თვლიან და პირველ სამეფოდ კაროლინგების სახელმწიფოს მიიჩნევენ, რომელიც 751 წელს დაარსდა. ევროპაში ყველაზე ხანგრძლივად ხელისუფლება უპყრიათ მონაკოს მეფეებს (მთავრებს), XIII ს-ის ბოლოდან (თუ XIV ს-ის დასაწყისიდან – ზოგი ხარვეზებით) დღემდე. ბაგრატიონთა მეფობას IX საუკუნიდან თუ ვიანგარიშებთ, მათ 900 წელი უმეფიათ, თუ მივიღებთ მათი ხელისუფლების საწყისად VI ს-ის 70-იან წლებს – 1250 წელი. აქვე დგება ბაგრატიონების ფარნავაზიანთა დინასტიასთან გენეტიკური

კავშირის საკითხი. IV ს-ის სომეხი ისტორიკოსის, ფავსტოს ბუზანდის და ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ბაგრატიონები ფარნავაზთა განშტოებას წარმოადგენენ, რაც იძლევა საცთურს მათი „მეფობის" ხანგრძლივობა 21-22 საუკუნით ვივარაუდოთ.

დიდია ამ საგვარეულოს დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს მათ გამეფებისთანავე. იმ დროს, როდესაც ჩვენს ირგვლივ და მთელს ევროპაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო დინასტიათა ცვლა, ჩვენში ეს არ მომხდარა. უდავოა, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის მიერ მათი ღვთიური წარმომავლობის აღიარებას, რაც IX ს-ის დასაწყისში გრიგოლ ხანძთელის ზემოთმოტანილი სიტყვებით დასტურდება. მაგრამ ამ აღიარებასაც დამსახურება უნდოდა. XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში, როდესაც ერთიანი საქართველო სამ – ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად დაიშალა, სამთავეს ტახტი ისევ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლებმა დაიკავეს, და ფაქტიურად საგვარეულოს შეცვლის ცდას ადგილი არ ჰქონია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმერეთის სამეფოში XVII-XVIII სს. არაბაგრატიონთა მიერ ტახტის დაკავების რამდენიმე უშედეგო ცდას). ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ XI ს-ში, როდესაც საქართველო ბოლომდე გაერთიანებული არ იყო, 50-იან წლებში, ლიპარიტ კლდეკარის ერისთავთან ბრძოლაში ფაქტიურად დამარცხებული მეფე ბაგრატ IV ბიზანტიაში გაემგზავრა და წარსდგა საიმპერატორო კარზე, „ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა და დაყო მუნ სამი წელიწადი". ამ წლებში ქვეყანას ფაქტიურად ლიპარიტი განაგებდა, მაგრამ ის თავს „მეფედ" ვერ აცხადებდა. ეს მაშინ, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში ჩვეულებრივი იყო იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდება. ლიპარიტმა მხოლოდ ის გააკეთა, რომ ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი გიორგი, რომელიც მეფე ბაგრატმა კონსტანტინოპოლში გამგზავრების წინ ქუთაისში მეფედ აკურთხა, გამოიყვანა და ხელმეორედ აკურთხა მეფედ. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი წერს: „ვიდრეღა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რათ მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა, მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ". ჩანს ლიპარიტმა იცის, რომ არც ერი და არც ეკლესია არაბაგრატიონის მეფობას არ დაუშვებს, და ის მხოლოდ „მზრდელის" ფუნქციით უნდა დაკმაყოფილდეს. ბაგრატიონებს ამ დროს უკვე ისეთი მდგომარეობა აქვთ, რომ ყოვლისშემძლე, ბიზანტიისაგან ზურგგამაგრებული ლიპარიტიც კი ვერ ბედავს ტახტის ხელყოფას.

დინასტიის შიგნით ტახტისათვის ბრძოლა არც თუ იშვიათია. XV ს-დან საგვარეულოს შიგნით მთელი რიგი განშტოებები იქმნება, მაგრამ ტახტი მხოლოდ ბაგრატიონებისაა, ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავს: „... ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, რამეთუ არა ვისმე იპატრონებდიან, უკეთუ ჰყავთ მემკვიდრე მეფეთა ნათესავი".

ბაგრატიონთა სამეფო სახლის მდგომარეობის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ქართულმა ეკლესიამ სცნო თვალსაზრისი მათი ღვთიური წარმოშობის ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების უფლის მიერ დადგინების შესახებ.

საკუთრივ საქართველოში მეფე იყო ის ცენტრი, რომლის ირგვლივ ერთიანდებოდა სახელმწიფოს ცნება. მეფის ხელისუფლების არსებობა საზოგადოებას მომავლის რწმენას უნერგავდა. ეს მეფე საქართველოში ბაგრატიონი იყო. საქართველოსთვის „მეფე" სახელმწიფოს არსებობის, მომავლის რწმენის სიმბოლო იყო. ეს კარგად იცოდა რუსეთის ხელისუფლებამ და ამიტომ იყო საქართველოს ანექსიის შემდეგ სამეფო სახლის წარმომადგენლები სამშობლოდან რომ გაასახლეს.

მარიამ ლორთქიფანიძე

აკადემიკოსი

ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ

რამეთუ ბუნებით ერთ-გუამ არს
ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ,
და კეთილად შეზავებულ
მზისაგან და ჰაერისა

რამეთუ არცა ფრიადი სიცხეჲ
შესწუავს მათ,
და არცა გარდარეული სიცივეჲ
შეაურვებს მყოფთა მისთა.

არამედ განწესებით დგას
თჳსსა საზღუარსა
უნოტიოჲ, უხორშაკოი,
უმიწოჲ, მზუარეჲ,

რამეთუ კაცთა
ნახჭნი ფერხთანი—
არაოდეს თიხიან ექმნებიან
სლვასა მათსა.

ხოლო წყალი კეთილი
და შეშაჲ ნებისაებრ—
უნაკლულოდ აქვს აღმოცენებული
ქვშათა მათ შინა.

ურიცხვ მდინარი
და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ,
ბუნებით მხიარულებაჲ
მოცემულ არს ღმრთისაგან.

და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით
სოფლისა წესისა მცხოვრებელთაგან,
რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა
არა მკვიდრობაჲ მათი.

და მორტყმულ არს ერთ-კერძო მთათა იგი,
და ერთ-კერძო (ხევნი კლარჯეთისანი.
ხოლო) შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა
გარემოსლვაჲ
გარე-მოადგას ზღუდის სახედ უძრავისა.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲮᲐᲜᲫᲗᲔᲚᲘ

ქადაგება

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა

ქრისტე აღსდგა!

წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „დიდ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. ღვთის საქმენი და საკვირველებანი კი ამქვეყნად ადამიანთა შორის გამოვლინდება – „უფალი მეფობს!“ სწორად მცხოვრები ადამიანი ღვთის ნების აღმსრულებელი უნდა იყოს; მისი ნება ღვთის ნებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ამ შემთხვევაში სიკეთე იზეიმებს. უფალი ირჩევს ადამიანებს თავისი სამწყსოდან. დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „აღამაღლა უფალმან რჩეული ერისაგან თვისისა“. უფალია განმგებელი ცათა და ქვეყანისა.

ამ ქვეყანაზე მრავალი ერია, მაგრამ, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს ღვთის სახელისათვის და მის სადიდებლად იმდენი თავდადებული მოწამე, რამდენიც ჩვენს ერშია. შემთხვევით არაა, რომ ჩვენი დიდი წმიდანი ილია მართალი ამბობს: „მაცხოვარი ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით უფლისათვის“. მართლაც, რომ გადავხედოთ საქართველოს წარსულს, მის ისტორიას, დავინახავთ, რომ მთელი ოცი საუკუნის განმავლობაში ქართველი სიცოცხლის ფასად იცავდა თავის მამულს, თავის ენას, მართლმადიდებელ სარწმუნოებას. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ერი, საქართველო, შეიძლება ითქვას, არის ახალი ისრაელი, ერი, რომელიც აირჩია უფალმა. მაგრამ ერთიც უნდა გვახსოვდეს, – როცა უფალი ირჩევს ადამიანს, ან ერს, ან გვარს, მას დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს, რადგან იგი უნდა იყოს მაგალითი ყველასათვის. ხშირად მიფიქრია, რამ მისცა ძალა წმიდა ნინოს, რომ ჯერ კიდევ ბავშვი შორეული კაბადოკიიდან წამოსულიყო საქართველოში, წამოსულიყო იმისათვის, რომ ექადაგა სახარება. რამ მისცა ძალა წმიდა გიორგის და სხვა წმიდანებს, რომ ასეთი წამება გადაეტანათ ქრისტესათვის?

რამდენიმე დღის წინ ჩვენ დავბრუნდით თურქეთიდან, სადაც მსოფლიო პატრიარქის მიწვევით ვიმყოფებოდით. კაბადოკია აუცილებლად უნდა ნახოს ადამიანმა. ახლა თანდათან იხსნება გზები და მრავალ თქვენთაგანს მიეცემა კაბადოკიის ხილვის საშუალება. ეს არის საოცრება. ეს ის გამოქვაბულებია, სადაც ასი ათასობით ბერი და მონაზონი მოღვაწეობდა. ამასთან, ამგვარ გამოქვაბულებს საერონიც აკეთებდნენ და ისინიც მოღვაწეობდნენ. საოცრებაა ეს. მსოფლიოში ერთადერთი ადგილია ასეთი.

როცა ნახავ კაბადოკიას, მის ტაძრებს, გამოქვაბულებს, მის მხატვრობას, – მიხვდები, რომ იმ სულიერებამ, რომელიც სუფევდა კაბადოკიაში, იმ დიდმა რწმენამ, თავდადებულმა სიყვარულმა და სასოებამ წამოიყვანა წმიდა ნინო საქართველოში. უფალმა მისცა მას ეს ძალა. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ კაბადოკია დღეს დადუმებულია. სულიერი კაბადოკია დღეს აქ არის, საქართველოშია. იქ მხოლოდ

ცარიელი გამოქვაბულებია, რომლებიც ამჟამად მუზეუმადაა გამოცხადებული. იქ არ შეიძლება სანთლის დანთება, არ შეიძლება წირვა-ლოცვა. მხოლოდ ტურისტების რიგი დგას, რომლებიც ამ საოცრებას ათვალიერებენ.

ჩვენთვის კაპადოკიაც, იერუსალიმიც, ათონიც და სხვა წმიდა ადგილებიც საქართველოშია.

კონსტანტინოპოლში რომ ჩავედით, იქ ასევე ჩამობრძანდა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი პეტრე VII. თქვენ მას იცნობთ, რადგან საქართველოში ბრძანდებოდა. და აი, სამმა პატრიარქმა, მთავრობის ნებართვით, კაპადოკიის წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესიაში შეასრულა წირვა. წინა საღამოს შესრულდა მწუხრი. მოხდა საოცრება, ესეც ღვთის განგებით, მსოფლიო პატრიარქმა დამავალა მე და საქართველოს დელეგაციას, რომ მწუხრი ჩვენ ჩაგვეტარებინა. ასე რომ, კაბადოკიაში მწუხრი ქართულად დაიწყო. იქ იყო ჩვენი სამღვდელოება, მგალობელთა გუნდი და ლოცვის აღვლენა საქართველოს ხვდა წილად. ეს ღია ცის ქვეშ ხდებოდა. მეორე დღეს თურქეთის მთავრობამ უკვე დაგვრთო ნება წირვა ეკლესიაში შესრულებულიყო. კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევაა, რომ კაბადოკიაში წირვა შესრულდა. და მასშიც ქართველი მგალობლები აქტიურად მონაწილეობდნენ. ეს წირვა მრავალმა ტელეკომპანიამ პირდაპირი ეთერით გადასცა. მინდა გითხრათ ისიც, რომ მთელი კაცობრიობა აღნიშნავს კონსტანტინოპოლის დაცემის 550 წლისთავს. ამდენი დრო გავიდა, იქ წირვა-ლოცვა არ შესრულებულა. და აი, ჩვენ მოვესწარით ამ დიდ მადლს.

საოცარი კიდევ ის იყო, რომ მთელი ტაძარი თითქმის სულ ქართველებით იყო სავსე. ისინი ჩამოსულნი იყვნენ როგორც საქართველოდან, ასევე კონსტანტინოპოლიდან და ანკარიდან. ქართველები რომ არ ყოფილიყვნენ, ტაძარი, ალბათ, ცარიელი იქნებოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, თან გვქონდა წმიდა ნინოსა და წმიდა გიორგის ხატები (ისინი ხომ კაბადოკიელები არიან), საოცარი განცდა დაგვეუფლა. ვგრძნობდით, რომ წმიდა ნინო და წმიდა გიორგი ჩვენთან ერთად იყვნენ. ლოცვის დროს თითქმის ყველა ტიროდა – ციდან საოცარი მადლი გადმოდიოდა და ჩვენს სულებს ავსებდა. ღვთის განგებით, ალბათ, დადგა ამის ჟამი, – წარმოიდგინეთ, რომ წირვა აქ ხუთასი წელია არ ჩატარებულა და პირველი ლოცვა საქართველომ დაიწყო.

კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ მსოფლიო პატრიარქმა და ალექსანდრიის პაპმა და პატრიარქმა ასე მომმართეს: **„რა კარგია, რომ ჩამოვიდნენ ქართველები, რა ძლიერია საქართველოს ეკლესია!“** ვმადლობთ უფალს ამ სულიერი ძალისათვის, რომელსაც ის გვანიჭებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიმსახურებთ იმ დიდ მადლს, რომელიც გადმოდის ღვთისაგან, მაგრამ, ალბათ, ისევ ჩვენი წინაპრების ლოცვით ხდება ეს ყველაფერი.

წირვის შემდეგ, თურქეთის გავლით, მანქანებით წამოვედით. როცა იმ საზღვართან მივედით, რომელიც ძველად საქართველოს ეკუთვნოდა, დავანთეთ სამი სანთელი, დავდგით წმიდა სამების ხატი და უფალს ჩავაბარეთ ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენთან ერთად იყო ახალციხის ეპისკოპოსი თეოდორე და იქ, ადგილზე, ჩავაბარეთ მას **ტაო-კლარჯეთის ეპარქია**.

ჩვენი მიზანი იყო მოგველოცა ქართული ტაძრები – ხახული, ოშკი, იშხანი. ეს საოცარი ტაძრებია. წარმოიდგინეთ სვეტიცხოველი ან ბაგრატის ტაძარი – აი, სწორედ ამხელა ეკლესიებია ისინი. მაგრამ, სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია. იმედი გვაქვს, რომ ღვთის მადლით, დადგება დრო, როცა იქ იქნება ქართული წირვა-ლოცვა.

მინდა აღვნიშნო, რომ საოცარი სითბოთი გვხვდებოდნენ თვითონ თურქები, რა თქმა უნდა, ქართველებიც. ისინი ახლა გამაჰმადიანებულნი არიან, თუმცა ქართული იციან. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. და აი, როცა ჩვენ ახლანდელ საზღვარს, სოფელ სარფს მივუახლოვდით (თქვენ იცით, სოფელი სარფი შუაზეა გაყოფილი), თურქეთის მხარეს გაგვაჩერეს. ჩვენთან მოვიდა ერთი გამაჰმადიანებული ქართველი და იქვე, თავის სასტუმროში მიგვიწვია: „ეს სასტუმრო ჩემია და თუ შეიძლება, შემობრძანდით და დამლოცეთო". მე დავლოცე ისიც, თურქეთში მცხოვრები ქართველებიც და იმ ქვეყნის ყველა კეთილი ნების ადამიანი, რომელიც იცავს, უფრთხილდება და უვლის როგორც ჩვენს, ისე იქ არსებულ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სხვა ნიმუშებს.

კაბადოკიის მადლი გეწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს! წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ბასილი დიდის, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვა მრავალი კაბადოკიელი წმიდანის, ასევე ტაო-კლარჯეთში და ლაზეთში მოღვაწე მამებისა და დედების მადლი გფარავდეთ.

ამინ!



კაბადოკიის შესახებ იხილეთ გვ. 193

კლარჯეთში იყო დიდებული ლავრა „შატბერდი", ხანძთა აშენებული იყო ისეთს კლდეზე, რომელიც „უფიცხეს არს უფრო ს ყოველთა მათ უდაბნოთა კლარჯეთისა უდაბნოთა". იგი მდებარეობს კარჩხალის წყალზე და ეხლა ხოსტად იწოდება; უდაბნო კლარჯეთისა ოპიზას, ხანძთასა და ოპიზას შუა დახატულია (სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავარნი. დ. ბაქრაძე) „შუა კლარჯეთს კლდეზე სოფელსა, რომელსა ერქუა არტანუჯი, ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგ გორგასარმა ააგებინა „არტანუჯისა ციხე". იქვე მახლობლად იყო „ახიზისა ციხეც". ტყეში მყოფი არტანუჯი შემდეგ აოხრებულა და განაახლა და ხელმეორედ „აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა, ქუეშეთ აღაშენა ქალაქი" აშოტ დიდმა კურაპალატმა. გიორგი მერჩულის სიტყვით, „აღაშენა ციხე არტანუჯისა საცხოვრებლად დედუფლისა მეუღლისა თ სისა „და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა." ...არტანუჯი დიდი სავაჭრო ცენტრიც ყოფილა. ... სადაც დიდი აღებ-მიცემობა იყო გაჩაღებული. ამას გარდა არტანუჯის ციხე საქართველოს ზღუდე და კარი იყო...

ტაო კლარჯეთის სამხრეთით მდებარეობდა, რომლის სამხრეთ საზღვარი, მაშასადამე, ტაოს ჩრდილოეთის საზღვარი უნდა ყოფილიყო. ტაო ორად იყოფებოდა. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავით კურაპალატს მეფე „ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოსა ტაოსაო".

არსებობდა „იმიერ-ტაო" და „ამიერ-ტაოც". იყო „ქუემო ტაო" და რასაკვირველია, ზემო ტაოც იქნებოდა.

... შავშეთ-კლარჯეთსავით ტაოც VIII-IX ს სრულებით აოხრებული, უშენი და უმკვიდრო იყო, ასე, რომ, როდესაც ქართველი ბერები ამ ქვეყანაში თავიანთ ნაყოფიერს მოღვაწეობას შეუდგნენ, მაშინ მსოფლიონი ერის კაცნი იქ ჯერ ცოტანი იყვნენ. საზოგადოდ, „კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს შენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ. იქ, სადაც ოდესღაც ცხოვრება სდუღდა და ხელოვნების დიდებული ნაშთები იყო აგებული, მაშინ დაბურული უგზო-უკვლო ტყე იყო ამტყდარი. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ იშხანიც კი, რომლისა „პირველი დიდებულება " თავის დროს ანცვიფრებდა გრიგოლ ხანძთელსა, „მის ჟამსა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი" და როდესაც, როგორც იყო, მაინც გზას მიაგნეს, „ფრიად უხაროდა პოვნაი დიდებულისა მის ადგილისა ო", — დასძენს ისტორიკოსი. ახალმა ქართლით გადმოსულმა მოსახლეობამ თავისი მზნეობითა და ნიჭით კვლავ ააყვავა ეს კუთხე, დიდებული ეკლესია-მონასტრებით მოჰფინა და ქართული მწერლობის ერთ გამოჩენილ სადგურთაგანად აქცია.

ივანე ჯავახიშვილი

ტომი II 1983

გურჯული ვაიზი

(ამონარიდი შუშანა ფუტკარაძის წიგნიდან — „ჩვენებურების ქართული“)

ერთი ვაიზი ვქნათ გურჯიჯა ენით, გამჩენელი დუვჯეროთ ჰემ სულით, გულით, ვეხუეწნეთ გამჩენელს სულ ყუელა ენით.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

იცოდე, გურჯული რომ ქართულია, ქართული ენა მეტად ტკბილია. იმ დუნიას ენა ჩუენებურია.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე..., კითხვა და ლოცვა ემრი გვიზამა, გუასწავლა თეელი ჩუენ ფიღამბერმა, ეყურბანოს მას სულმა და გულმა,

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ამ დუნიაში ჩუენ მუსაფირი ვართ, პაწა ხან უკან საფლავში წავალთ, ღმერთ გამჩენელის უზურზე მივალთ...

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ლოცვა და კითხვა დეიკარგა, წევიდა, სულ ყველამ მისდა დუნიაში წევდა, ქალებმა კაცებ ქეჲა გუუხდა.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ულოცავი თუ არი კაცი და ქალი, ძაღლი და ღორი მაზე კაი არი. დეიხრუკვის ჯოჯოხეთში მისი ხელ-პირი.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

...რათ გინდა დუნიაში კაი სმა და ჭამა. ყუელა ესენი გეიარს და წავა, სული გეიწმინდე, გული გეისუფთე

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

რათ გინდა დუნიაში დიდი ქონება, ცოტაჲ იკმარე, მეიკრიფე გონება. დიდი ქონების სავალი ბევრია.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

...სახლში იმდენი ქონება მეიტაი, ოჯახს და სტუმარს ერთათ რომ გეიტანს, იმაზე მეტი რათ გინდა ნეტაი.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

სახლ-კარი რომ გაქ ასე ამსილი, რატომ არ გახსოვს ხალხი დავსილი... იცოდე მაგის პასუხს მოქთხოვენ.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ჰელცარიელი არნა დატიო; კარზე მომდგარი, ატირებული, არ დაგავიწყდეს, ღმერთის შვილია ყუელა თხუელი და გაჭირვებული. შეძლებისდაგუარ ხომ დაეხმარე?

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

სიკდილის საათი ჩუენთან რომ მოვა, თეთრი სინათლე თუალიდან წავა; გონჯი ეშმაკი ჰემ მაშინ მოვა, ვეღარ გვიშველის ტირილი, გლოვა. მთელი ნასაქმი მოგვნახავს, მოვა.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ეშმაკს გაგუაცლის ნასაქმი მადლი, სანთლად დაგუადგება სინათლე ბადრი. აღარ გუექნება სიკდილის შიში.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

მეგონა სიკდილი ზალიან შორეთა. სიკდილი არ აქცთება, ეცადე ფარითა, ცოდვა და მადლი რომ ეიწონება, ესნა დევნახოთ იმ დღესა თუალითა, ცოდვებს ვერ აცდები ვერსად დამალვითა.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

გაყრა კაი არ არი ამ დუნიას დედ-მამაზე, გულის საყუარელ ქოჩორა შვილზე, გასქდება გული იმ წარე წამზე.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

შეიყრებიან ხალხი, გზას დაგვილოცავენ, სამოთხეს გვისურვებენ, დაგუალაგებენ, მარტუაჲ საფლავში მიგუალაგებენ.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

დაქვჩება ამ ქუეყნის სახლი და კარი, ფარა, საქონელი რაცხა, რომ არი. საფლავში ჩამოქყუება, მადლი რაც არი.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

თუ გაქ საფლავში შენი იმანი, მაშინ მოქცილდება შავი ეშმაკი. საფლავი გახდება კაი გულის სახლი.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

თუ არ გაქ იმანი, ჩახუალ საფლავში. დარტყმენ თოფუზს, შეხუალ ღეზაბში, არ გამოგაქცევენ იმ წმინდა კარში. **ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...**

არ იქნება დუნჲაში იმ სოჲ ასაბი, გახდები მაშინ ცეცხლის ქაბაბი. არ მოვლენ შენთან შენი ბაღმენები.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ილოცე, იკითხე, ღმერთი დეიჯერე. ქვეყნის სახელი ცრემლით იტირე, თავში ჭკუა მეიკრიფე. კარგად დეიფიქრე.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ზუელი კდარები, თლათ შენიანები, შენიდან მადლსა გულით ელიან. მადლი აკეთე. მათაც უგზავნე.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

იმათთვინ ეს დუნია დეიწუა, არ დარჩა. გუანახვოს ისენი ღმერთ გამჩენელმა.

ერთმანებ შევხდეთ სამოთხის კოშკში.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ჰურები მოვლენ, ხალ გეგვიგებენ, სამოთხის კარებ თან გეგვიღებენ. შიში არ ქვქონდეს, მუჟდეს გვიზამენ.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

...ილოცე, იკითხე, ზიარეთზე წაჲ, შეიბრალე დუნიის ღარიბი ყველაჲ.

ობოლ შეხედავ, გახდები სულ კაჲ.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

გული გეისუფთე ღმერთზე ხუეწნაში, შენი ნალოცი წავა ზეცაში... სამოთხე მოვა ამდენ ლოცვაში.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

... არიგებენ ცოდვა და მადლის დეფთერებს. ეწერება თელათ, რაცხა ისაქმე. გამოაჩენენ დამალულ ცოდვებ.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

მადლი ისაქმე შენ ამ დუნიაში, ისე შემოხვალ იმ დუნიის ჯენნეთში.

მუდამ გახსოვდეს ღმერთ-გამჩენელი.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

...ნეტაჲ შენ, რომ გაქ ენა ქართული, სხუაზე რათ გექცევა თუალი და გული.

შეინახე ენა, გულში ჩარგული.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

გახსოვდეს ვინ ხარ საიდან მოსული, ვისი სისხლი გაქ ტანში გართული. იცოდე, რომ გაქ სისხლი ქართული. ქართულ ქოქზე ხარ ამომართული...

ქართული ენა გულში დამალე.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

დიდ ბატონს უყუარს ყუელაი მილლეთი. ყუელა ენაზე ესმის სათქმელი.

ღმერთ შეეხვეწე, შეთხუე სამოთხე.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ღმერთს შეეხუეწე ლამაზ ქართულით, ღმერთის ემანეთი ტკბილი გურჯულით.

ღმერთ ესმის ჩვენი გულში ფურჩულიც.

ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ტკბილი ქართულით, ტკბილი გურჯულით ღმერთ ეხვეწება სულ ჩუენი გული.

იმ ქუეყნის ენა ჩუენი ქართული.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ზამანი მოვა და შეიყრება იმ ღერესეთის წარე მეიდანზე, ამ ტყული ქუეყნის ყუელა მილლეთი ღმერთ ეხუეწება თავის ენაზე.

გამჩენელს ესმის ყუელას სათქმელი, ყუელას მოუსმენს ადრე თუ მალე.

უფალო კალთა გადაგუაფარე.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ღმერთო სამოთხის ქოშქზე ამყოფნე, მწერავ-მკითხავი, დამყურებელი.

შენიდამ ველით ყუელა კარგობას, შენ ხარ მილლეთის დამპურებელი, ქართული ენის დამბრუნებელი.

ღმერთო, შენ გეგვიღე სამოთხის კარი, გურჯული ვაიზი ჰემაც ეს არი...

უფალო კალთა გადაგვაფარე.

ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ამინ!

ვაიზს კითხულობდა მანატბელი **ხოჯა ნაიზ ჯიჯანიძე**

(ვიდეოჩანაწერი)

რედაქტორის მინაწერი:

უფალო, ისმინე ლოცვა და ვედრება მისი... დაუბრუნე მას და მოძმეთა მისთა ენა ქართული „კარი სამოთხისა“. „ღმერთის ემანეთი“.

ეს ვაიზი ბევრად დიდია. ჩვენ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი მოვიტანეთ... მკითხველს ვერ დასტოვებს იგი გულგრილად. მასში არა მხოლოდ დიდი მლოცველი კაცის სულია გაცხადებული, არამედ, ჭეშმარიტი პოეტისაც.

წარმოვიდგენ ბედნიერ წუთებს, როცა დიდებულმა ქართველმა ქალმა, საკუთარი ქვეყნის ტკივილებს შეწირულმა და ჭირისუფალმა – **შუშანა ფუტკარაძემ** პირველად მოისმინა და ჩაიწერა იგი.

მადლობა მას ამისათვის.

ღმერთო, რამდენი ასეთი ამაღლებული ტკივილი ჩაკარგულა ჩვენი ბედუკულმართი ისტორიის სიღრმეში...

„შენიდამ ველით ყველა კარგობას,
შენ ხარ მილეთის დამბურებელი,
ქართული ენის დამბრუნებელი.
. . . . . .
უფალო, კალთა გადაგვაფარე,
ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე.“

განმარტებანი:

ვაიზი – სწავლება, შეგონება, ქადაგება
აყურბანოს – ემსხვერპლოს, შეეწიროს
უზური – ღვთის რჩეული
თეელლი – მთელი, მთლიანი
მუსაფირი – სტუმარი, მგზავრი
იმანი – ღვთის რწმენა
თოფუზი – კვერთხი
ღეზაბი – წვალება, დარდი, გაჭირვება
ასაბი – ვაჟკაცი, რაინდი
ჰურები – სამოთხის ფერიები, მზეთუნახავები
ხალი – ნოხი
მუჟდე – სიხარული
დეფთერი – რვეული
ზამანი – დრო, ჟამი
ღერესეთი – ადგილი, სადაც საშინელის სამჯავროს დღეს მკვდრეთით აღმდგარი სულები თავს შეიყრიან
ჰემაც – თანაც, კიდევაც
ემანეთი – საპატრონოდ ჩაბარებული



საქართველოს სინაჲ, ანუ კლარჯეთის თორმეტი სავანე

VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე, კლარჯეთში დაარსდა მთელი რიგი სავანეებისა (განახლებულ იქნა მრევლიც...), რომლებიც იქცევიან ქართული განათლების კერებად, კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებად საშუალო საუკუნეებში. ეს სავანეებია:

1. **ოპიზა**. იგი, როგორც ირკვევა, ეკუთვნის საქართველოს უძველეს სავანეთა რიცხვს. ოპიზა პირველად დაარსებულა V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს. მაგრამ ვინაიდან VIII საუკუნის 30-იან წლებში, მურვან ყრუს ლაშქრობის დროს კლარჯეთში, ოპიზა განადგურებულა და დაცლილა, ისევე, როგორც განადგურებულა და დაცლილა კლარჯეთის სხვა სავანეების და დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი. ამის შემდეგ ოპიზა ხელმეორედ აღუდგენიათ VIII საუკუნის 50-იან წლებში (სამოელ ოპიზარის მოღვაწეობით). ამრიგად, ეს ხელახალი აღდგენა ოპიზისა მომხდარა უფრო ადრე, ვიდრე იბერიის (ქართველთა სამეფოს) პოლიტიკური ცენტრი გადმოტანილი იქნებოდა კლარჯეთში.

2. ამავე პერიოდში, VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (782 წლის ახლო ხანებში), დასრულებულ იქნა **ხანძთა**, დიდი გრიგოლის მიერ, რომელიც დამკვიდრდა კლარჯეთში და რომელიც შეიქნა ხელმძღვანელი კულტურული მშენებლობისა ამ მხარეში.

მთელი IX საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე კლარჯეთში დაარსდა და განახლდა შემდეგი სავანეები.

3. **შატბერთი** (შატბერდი) — დაარსებული უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის მიერ;
4. **მიძნაძოჲ** — დაარსებული დავით მიძნაძორელის მიერ;
5. **წყაროსთავი** — დაარსებული ილარიონ წყაროსთაველის მიერ;
6. **ბარეთელთა** — დაარსებული ზაქარია ბარეთელის მიერ;
7. **მერე** — განახლებული მოღვაწე ქალის — ფებრონიას მიერ (თავდაპირველად მერე დაარსებული ყოფილა V საუკუნეში).

ამავე დროსვე დაარსებულ და განახლებულ იქნა კლარჯეთში სავანეები:

8. **დაბა**, 9. **ჯშერკი**, 10. **ბერთა**. ხოლო მათ შემდეგ, 11. **პარეხნი** (ბერთაისა პარეხნი) და 12. **დოლისყანა.**

ეს თორმეტი სავანე ტერიტორიულადაც ერთ ზონაში იყო გაშენებული და ეჭირათ კლარჯეთის პროვინციის ჩრდილოეთი მხარე, შავშეთის წყლის ხეობიდან ღადოს მთებამდე.

მათ მხარეს ძველ ქართულ წყაროებში მიემართება სახელწოდება „საქართველოს სინაჲ“ (სინის მთა). ამ ზედწოდებით ხაზგასმულია ამ სავანეთა მნიშვნელობა. ისე, როგორც ბიბლიური თქმულებით, სინის მთა ითვლებოდა წმიდა ადგილად, საიდანაც ღვთისაგან მიღებული იქნა მცნება. ასევე საშუალო საუკუნეთა ქართველი მწიგნობრები კლარჯეთის ამ თორმეტ სავანეთა მხარეს უწოდებდნენ „საქართველოს სინაჲს“, როგორც ქართული განათლების კერას, როგორც ყველასაგან აღიარებულ უმნიშვნელოვანეს ცენტრს.

თუ რამდენად დიდი იყო კლარჯეთის სავანეთა მნიშვნელობა ქართული განათლებისათვის VIII-IX საუკუნეთა მანძილზე, ეს შეიძლება გავითვალისწინოთ იმ როლით, რომელიც ეკუთვნოდა იმ ხანაში კლარჯეთის სალიტერატურო სკოლას, რომლის წარმომადგენელნი იყვნენ: გრიგოლ ხანძთელი, არსენი დიდი კათალიკოზი, სოფრონ შატბერთელი, იოანე-ზოსიმე შატბერთელი-სინელი, ილარიონ პარეხელი, ქართველი ჰიმნოგრაფების პლეადა და სხვები. ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა გიორგი მერჩულეც, რომელიც კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის უდიდესი წარმომადგენელია X საუკუნეში და რომლის წიგნი „ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისა", აქ, კლარჯეთში, ხანძთაში არის დაწერილი.

პავლე ინგოროყვა



ენი რაბათის ეკლესია
გადაღებულია ნიკო მარის მიერ

ვარსკვლავი უდაბნოთაჲ

გრიგოლ ხანძთელის

ძეგლი ახალციხეში

ავტ. რამაზ კორშია

დიდი მეუდაბნოე როდის გახდა „ვარსკვლავი“? ალბათ დაბადებიდან, ან უფრო ადრეც — იგი ხომ „საშოითგან დედისაით შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა“. იგი ბავშვობიდან მმარხველია; ხალხმრავლობასა და თამაშებს გაურბის. ყრმას შინაურებმა „დაყუდებული“ შეარქვეს. დედამ იგი თავის მულს — ნერსე ერისთავის მეულლეს მიანდო. ამ დიდ ეროვნული მოღვაწის ოჯახში ხდება ტაოკლარჯეთის მაშენებლის ცნობიერების ჩამოყალიბება. გრიგოლის დედა კი „სიწმიდით დადგრომილ იყო ლოცვასა შინა და მარხვასა და მარადის შიშსა ღმრთისასა“.

ახალგაზრდა მეუდაბნოეს თან სდევდა და მიწყივ შეეწეოდა მმარხველი დედის მხურვალე ლოცვა. ერთადერთი, ვისთანაც ხანძთელ არქიმანდრიტს საბოდიშოდ აქვს საქმე — მისი ნეტარი დედაა, რომლისაგან კურთხევაც ვერ აიღო, ისე გამოვიდა ქართლიდან მოყვასებთან ერთად. სწორედ ღვთის ნებით დადგა გრიგოლი ისეთი ზნემაღალი და სათნოებებით აღსავსე ჰიერომონაზონი, როგორსაც დედა ნატრობდა.

შვილის სიკეთისა და წარმატებების შესახებ რომ გაიგო, წელში გასწორდა, „აღეშენა“ მოხუცებული და სანატრელი ძის სანახავად მერეს დედათა მონასტერს მიაშურა. სახელოვანი არქიმანდრიტი მსწრაფლ გაეშურა დედასათან და მოუბოდიშა: „შენდობა იყავნ შენ მიერ, დედაო ჩემო, არამედ არა ნებითა განგეშორე, გარნა ნებასა ღმრთისასა ესრეთ სათნო უჩნდა“... და აღუთქვა: ამიერიდან ისე მოგემსახურები და მოგივლი სულიერად და ხორციელად, როგორც უფალი ბრძანებს „პატივისათვის მშობელთაჲსაო“.

ღირსეულად იტვირთა უდაბნოს მოქალაქის უბრალო და უბიწო ცხოვრება მამამან გრიგოლ და მრავალთათვის მისაბაძ მაგალითად იქცა. მოწაფენი თავიანთი სულიერი მოძღვრის ცხოვრების ყველა წვრილმანს იცნობდნენ და მხოლოდ მათ უწყიან მისი ქვიშაზე უმრავლესი სათნოებანი. ამიტომაც თავს არ ზოგავენ, რომ ღირსეულად ატარონ მისი სულიერი შვილის სახელი. აშოტ კურაპალატს რომ წარუდგინა ხანძთელი მამა გაბრიელ დაფანჩულმა, წინასწარ გააცნო მისი მაღალი წარმომავლობა, ღირსებანი და განსაკუთრებით, „მოწაფეთა მისთა სათნოებაჲ“.

გრიგოლ არქიმანდრიტის წინამძღოლობით მოილოცეს ჴახალნაშენი მონასტრები ბაგრატ კურაპალატმა და მისმა ამალამ, ბოლოს ხანძთას მიაშურეს და ილოცეს წმიდა გიორგის ეკლესიაში. აქ „უმეტეს განკვირდა გონებაჲ ხელმწიფეთაჲ მათ, რაჟამს იხილნეს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი უფიცხლესსა მონაზონებისა კანონსა, რამეთუ იყვნეს ივინი, ვითარცა ზეცისა ანგელოზნი“... და აქ აღმოხდა დიდთა მათ ხელმწიფეთა: „წმიდანო მამანო, ვინაითგან გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვჰგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკვიდრებულ ვართ, რამეთუ თქუენ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მდგომარე ხართ“.

დიდი მღვდელია მამაჲ გრიგოლ, ამას ჩვენც ვხვდებით მისი „ცხორების“ წამკითხველნი. მაგრამ იგი ღვთით იყო დიდი. მისგანვე იყო დიდი საქმეებისათვის მოწოდებული და განმზადებული. ნერსე ერისთავის ახლობელთა წრეში მხოლოდ ახალგაზრდა გრიგოლია ისეთი, რომელიც აღბეჭდილია დიდი მადლით, უზაკველი გულითა და წმიდა საქმეებით და მას ბადალი არ ჰყავს თავის დიდგვაროვან სანათესაოში. საყოველთაო აღიარებით, მხოლოდ მას შეუძლია საკურთხეველთან წარუდ-

გეს უფალს და შესწიროს უბიწო მსხვერპლი. მხოლოდ იგია რჩეული „უბრალოჲ ხელითა და წმიდაჲ გულითა“.

თავისი სამონაზვნო ცხოვრების გარიჟრაჟზეც უკვე დიდ მოღვაწედ იქნა მიჩნეული მათგან, ვისაც „ყურნი ასხენ სმენად და თვალნი ხედვად“. ოპიზის წინამძღვარმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით შეიტკბო ქართლიდან მოსული გრიგოლ მღვდელი. ამბა გიორგიმ „ვითარცა იხილნა სანატრელი მამაჲ გრიგოლ და მოყუასნი მისნი, გულის-ხმა-ყო საღმრთოჲთა ცნობითა ღირსებისა მათისა მადლი და შეიწყნარნა იგინი სიხარულით, არა ვითარცა მოწაფენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი მისა“.

საღმრთო ცნობიერებით აღიქვა ჭაბუკი გრიგოლ მღვდლის სიდიადე ხანძთაში მარტოდ დაყუდებულმა მოხუცმა ასკეტმა ხუედიოსმა. საოცარია მათი პირველი შეხვედრა. როგორ გაუხარდათ ერთიმეორის ნახვა, ილოცეს... მერე ხუედიოსმა კურთხევა აიღო ახალგაზრდა მღვდლისაგან და აღიარა მისი უპირატესობა: „დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმით კულა უხუცეს ხარ ჩემსა“.

მოხუცმა ბერმა მასში შეიცნო დიდი მონასტრის სახელოვანი წინამძღვარი და უწინასწარმეტყველა, შეიქმნებიო „მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყველთა საცხოვართა ქრისტესთა“. ორი საღმრთო მოღვაწე ისე შეხვდა ერთმანეთს, „ვითარცა მრავალჟამისა მეგობარნი საყვარელნი“, მოიკითხეს ერთმანეთი და იწყეს ბაასი სულის საცხოვნებელი. ისე დაუღამდათ და დაათენდათ უძილოდ ლოცვასა და გალობაში, სასულიერო საკითხთა ზრახვაში, ვერც კი გაიგეს რა დრო გასულა.

ხუედიოსმა მეორედ რომ იხილა გრიგოლი, რომელსაც საბა, თევდორე და ქრისტეფორე ახლდნენ, ასეთი სიტყვებით შეამკო ისინი: „თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფნი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენუერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავსენი... ამიერითგან იხარებდინ უდაბნოი ესე თქუენ, ქრისტეს ნებისმყოფელთა ამას შორის დანერგვითა“.

საროჭიკოდ მოსულ ახალგაზრდა ხანძთელ წინამძღვარში მარიამ დაფანჩულმა საღმრთო ცნობიერებით შეიცნო დიდი მღვდელი. ამიტომაც მდიდრულად დაასაჩუქრა, მრავალფერი სანოვაგე შესწირა ხანძთას და ორი მსახურიც გაატანა, რომ ეს შესაწირი მიეტანათ მონასტერში, გზაც დაესწავლათ, რათა მამა გრიგოლის საზრუნავი აღარ ყოფილიყო საძმოს სარჩო-საბადებლით მომარაგება. ამიერიდან ამაზე ჩვენ ვიზრუნებთო, — დაპირდა. გაბრიელ დაფანჩული შინ რომ დაბრუნდა, კეთილმსახურმა მეუღლემ მოახსენა ხანძთის მაშენებელი დიდი მღვდლის სტუმრობის შესახებ. გაბრიელი, დიდი აზნაური აშოტ კურაპალატს ედგა მხარში, ქვეყნისათვის თავდადებული კაცი იყო. ახლაც სწორად შეაფასა ვითარება, მეუღლეს მადლობა გადაუხადა, რომ პატივი მიაგო მამა გრიგოლს და თვითონაც გამოთქვა სურვილი, ახლოს გაცნობოდა ღირს მამას. არქიმანდრიტი ეახლა დაფანჩულების ოჯახს, დაჰყო იქ კარგა ხანს და ბოლოს გაბრიელისაგან შემდეგი სიტყვები მოისმინა: „ჩეუნ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესენი შევზავნეთ ურთიერთას“.

ნეტავი იმათ, მკითხველო! ნეტავი იმ დროს, როცა ერი და ბერი ერთმანეთს გვერდში ედგა, რომ მამულს შეწეოდნენ გაერთიანებული ძალით!

ასევე კეთილად განაწყო და სამონასტრო მშენებლობაში დაიხმარა დიდმა მღვდელმა აშოტ კურაპალატი და მისი ვაჟები, შემდეგ კი — აფხაზთა მეფე დემეტრე. თვითონ აფხაზთა მბრძანებელი ევედრება ამ ღვთის კაცს, ნუ დასტოვებ აქაურობას ისე, რომ შენი აშენებული მონასტერი არ დარჩესო აქ. მამა გრიგოლი აქვე, ხარაგაულის რაიონში — მაშინდელ აფხაზეთში აარსებს უბისის მონასტერს, რომელსაც ხანძთელმა მამებმა უხვად შესწირეს ქართული წიგნები და წინამძღვრადაც ქართულ ღვთისმსახურებაში გაწაფული მოხუცი ილარიონი დაუტოვეს.

მრავალ კეთილ საქმეთა მოქმედი ნეტარი გრიგოლ ბუნებრივი სისადავით, უბრალოებითა და სიმდაბლით გამოირჩეოდა. სწორედ სიმდაბლე და თვინიერება დაანათლა მან სახელოვან ნათლულებს — დავით კურაპალატსა და გურგენს. დიდი მოძღვრისა და ნათლიმამისაგან შეისისხლხორცა ეს უმთავრესი სათნოება დავითმა. აკი ანდერძით სთხოვა გურგენს: „ნათლიმამისა ჩემისა ძუალთა მახლობლად დამდევით ფერხთა თანა მისთა და სხუათა მამათა ძუალნი ჩემ ზედა დაუსუენენით“-ო.

მამა გრიგოლმა ჭეშმარიტად მოიგო „ზეცათა

შინა სიმაღლეი“ ამქვეყნიური სიმდაბლის ფასად. მისი უბრალო სამოსელი და კუკული ხომ გაბრწყინვებული სამოსისა და ძვირფასი ქვებით შემკულ სამეფო გვირგვინივით იხილეს არქიმანდრიტთან ზედა ჯავახეთის კრებაზე შემოკრებილმა ეპისკოპოსებმა.

* * *

წმიდა გრიგოლი გაუდაბურებულ და გაურჯულებულ მხარეში პირველ ეკლესიას წმიდა გიორგის სახელზე აშენებს და აქედან მოყოლებული ხანძთის სახელოვანი მონასტრის საძმო წმიდა გიორგის საყმოა. წმიდა და ძლევაშემოსილი დიდმოწამე „საყმოს საშველად მშიერია“ და ურჯულოებასთან ბრძოლაში უწინამძღვრებს ხანძთელ ძმებსა და მთლიანად ქართლს, რათა გასდევნონ ურჯულო დამპყრობელი და აღკვეთონ ბოროტ სულთა თარეში. წმიდა გიორგიმ შექმნა თავისი ერთგული ყმა გრიგოლ არქიმანდრიტი „სულთა უკეთურთა მაოტებელი“, უზნეო და გაურჯულებული ცქირის აღსასრულიც ხომ წმიდა გიორგის დიდი მეოხებით უნდა მომხდარიყო. აკი სთხოვა მამა გრიგოლმა ხანძთის დასარბევად ცქირისაგან გამოგზავნილ ერს: „შვილნო, დრო-მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღედმდე, რაითა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებაჲ წინაშე ქრისტესა და შევიწიოთ წმიდაჲ გიორგი და ყოველნი წმიდანი და ყოს უფალმან სასწაულ კეთილ“. შეეწია საძმოს წმიდა გიორგი და „ყო უფალმან სასწაულ კეთილ“, რამეთუ მალე მოვიდა მაცნე — „ნუღარ დაარღვევთ ხანძთას, რამეთუ დამარღვეველი მაგისი მოკუდა“.

გრიგოლ არქიმანდრიტი მამა და მაშენებელია შატბერდისაც, რომლის ეკლესია დედა ღვთისმშობლის სახელზე ააგო წმიდა მამამ. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში უფლის ყოვლადწმიდა დედის სახელზე ეკლესიის აგება არაა შემთხვევითი. სწორედ ზეციურმა დედოფალმა უნდა დაიფაროს და გაამლიეროს იქ, მტრისაგან მრავალგზის დარბეულ და გაუკაცრიელებულ მხარეში, ქართული მართლმადიდებლური სული, თორემ აქა-იქ შემორჩენილი თითო-ოროლა ოჯახი, გადასახადებით რომ სული სძვრებათ, სარწმუნოებრივადაც ვეღარ არიან მტკიცენი.

მამა გრიგოლი ისეთ ტრადიციას განამტკიცებს, რასაც ქართული სულის წმიდა გიორგის ყმობა და ღვთისმშობლის რაინდობა ჰქვია.

დღესაც ქართულ სოფლებში თუ სადმე ერთი ან ორი ეკლესიაა, უმეტესად დედა ღვთისმშობლისა, ან წმიდა გიორგის სახელობისა იქნება. შატბერდის საძმო იმ ერთგულ შვილთგანია, იოანე ღვთისმეტყველის სახით რომ უანდერძა დედას ჯვარცმულმა მაცხოვარმა. ხანძთისა და შატბერდის ძმობა, მიუხედავად ამ მონასტრების ტერიტორიული სიშორისა, მაინც ერთ სამონასტრო ერთეულად განიხილებოდა.

მონაზონთა ადგილობრივ დასებს ბრძნულად განაგებდა არქიმანდრიტი კლარჯეთის უდაბნოთაჲ. ღვთივმიმადლებული მაღალნიჭიერებით ახერხებდა ნეტარი მამა, შეექმნა ისეთი მყარი და დიდებული მონასტერი, როგორიცაა ხანძთა, სადაც მრავლისმნახველ დიდებულებსაც კი დაავიწყდათ, რომ ჯერ კიდევ აქ, დედამიწაზე იყვნენ და არა ზეციურ სასუფეველში.

მაღალი ზნეობის ბერებისათვის შეიქმნა წესდება, რომელიც ამ ორ მონასტერში კანონობდა. მამა გრიგოლი ხომ „არავის უდებთაგანთა შეიწყნარებდა“ და ამიტომ მისი საძმო მუდამ იყო „უფიცხლესსა მონაზონებისა წესსა“. ამ ბერების გულებში მარადის სიმართლის ნერგი იხარებდა. ბერებს ერთმანეთისა და ღვთის დიდი სიყვარული ასაზრდოებდა და ამაზე დაეშენებოდა სხვა ახალ-ახალი სათნოებანი, რომელთაც დიდი ღვაწლის ფასად მოიპოვებდნენ.

მამაჲ გრიგოლ უდაბნოში მიმოფანტულ ფარულად მოღვაწე ბერთაგან სწავლობდა სათნოებებს, ზოგიერთისგან შეისწავლა სიმდაბლე და სიყვარულიო, — გვეუბნება მერჩულე. ხანძთელმა მოძღვარმა ღრმად ჩაიბეჭდა გულში მაცხოვრის სიტყვები, სიყრმიდან რომ ასაზრდოებდა მის სულსა და გულს: „**ამით უწყოდიან ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, ოდეს იყუარებოდეთ ურთიერთარს**“. ხოლო მამა გრიგოლის მთელი „ცხორება“ კაცთა სიყვარულის მსახურებაა, არსიყვარულის ეშმაკი ძირფესვიანად აღმოიფხვრა და განეშორა წმიდა მამის სავანეს.

გავიხსენოთ ამოტისა და მისი სატრფოს განშორების ეპიზოდი. მამა გრიგოლმა გაიგო ამოტ ხელმწიფეს არტანუჯის ციხეში „დედაკაცი სიძვისაჲ“ მიუყვანიაო და „შეწუხნა ფრიად“. ჯერ პირისპირ ამხილა კურაპალატი, რომელიც დაეთანხმა და აღუთქვა, განვეშორებიო მას.



ხანძთის სამრეკლო



შატბერდი

მაგრამ ვერ შეძლო ეს, „რამეთუ დაემონა გულის-თქუმასა“. ხანძთელმა გადაწყვიტა დახმარებოდა ხელმწიფეს.

მამა გრიგოლი არტანუჯის ციხეს აშოტის იქ არყოფნისას მიადგა. ციხის ძირს დადგა და იმ ქალს შეუთვალა, ჭამდი გამოეგზავნა მისი თანამგზავრებისათვის და „დადგომის მიზეზი შეუთვალა“. აშოტის რჩეული ხელგაშლილი მასპინძელი აღმოჩნდა, გაეხარდა ხანძთელის მისვლა და მრავალფერი სანოვაგე გაუგზავნა ბერებს.

დილას დაიბარა გრიგოლმა დედაკაცი ივი და როცა პირისპირ დარჩნენ, ამხილა: რატომ ურღვევ ოჯახურ სიმყუდროვეს ხელმწიფეს და ასეთი ცოდვით ეშმაკს რად ემონები. დიაცი შეწუხდა: მეც არ ვიცი, რა უნდა ვქნა? შენმა სიტყვებმა შემაძრწუნა, მაგრამ მე ვერ განვაგებ ჩემს თავს, „ვინაითგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა“-ო. მოძღვარი მიხვდა, რომ ქალს წრფელად და უანგაროდ უყვარდა აშოტი, დაინახა მისი მორჩილებაც და გადაწყვიტა მასაც დახმარებოდა. გამოუცხადა: თუ ჩემს სიტყვებს დაემორჩილები, „მე თავსმდებ გექმნე ქრისტეჲს მიმართ, რაჲთა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს“. მაშინღა აკურთხა ქალი, შეჭურა მადლითა და მისცა თავისი ფეხსაცმლის საბელი, რაჲთა სარტყელად შეირტყას. დიაცი დაემორჩილა. ენდო მოძღვრის სიტყვას და სულის ცხოვნების გზა ირჩია, დიდი მღვდელი კი კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ დიაცი ვერცხლისმოყვარეობის დემონს ცოდვიან ცხოვრებაშიც არ დამონებია. სწორედ ამიტომ წაუძღვა მას სულის ხსნის გზაზე, ჩააყენა ქვეყნისათვის სიყვარულით მლოცველ ბერ-მონაზონთა რიგებში და ახარა: „შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხონებაჲ სულისა შენისაჲ, რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიაჲს წინაშე მიგიყვანებ შენ“. ქალი გრიგოლის მოწაფეებთან ერთად გაუყვა გზას, ვინაიდან მოძღვარმა უთხრა: „წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩუენსა“. ეს რაღად დასჭირდა მამა გრიგოლს? მხოლოდ იმიტომ, რომ დედაკაცს უკან არ მოეხედა. დედა ფებრონიამ და მამა გრიგოლმა იზრუნეს ამ ქალის სულის გადასარჩენად, იხსნეს აშოტიც ამ მძიმე ცოდვისაგან.

საუკუნეზე მეტი გავიდა და ამ ეპიზოდის თხრობას ავტორი ასე დაასრულებს: „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს“. მაგრამ დედა ფებრონიასა და მამა გრიგოლს აშოტთან ისეთი ურთიერთობა არა ჰქონიათ, ეანგარიშათ, ვინ ვის სძლევდა — სასულიერო თუ საერო. ისინი ხელმწიფის ერთგულნი და თავიანთი ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივარნი იყვნენ.

ხანძთელი მიწყივ ზრუნავდა თავისი ერის ზნეობრივ გაჯანსაღებაზე, იღვწოდა, რომ ქართველებს ჭეშმარიტი მართლმადიდებლური წესით ეცხოვრათ და მტკიცედ გამოჯნოდნენ დამპყრობლების ცხოვრების წესს. აშოტ კურაპალატის რომანის ჩაშლით გრიგოლ არქიმანდრიტმა იხსნა ხელმწიფე სულიერი კრახისაგან, ერი უზნეო მაგალითისაგან, ხოლო ქალი, რომელშიც დაინახა მორჩილება და უანგარობა, დიდი სიყვარულის უნარი, მერეს მონაზონთა შორის ჩააყენა.

მამაჲ გრიგოლ მხიარულად მესტუმრე იყო და გლახაკთმოღვაწე. ამასაც მოყვასის სიყვარული ედო საფუძვლად. ივი იყო მამაჲ ტკბილი და მოძღვარი სახიერი, სიყვარულს თესდა და საპასუხო სიყვარულს ამა ქვეყნადვე იმკიდა.

მამა გრიგოლი ახალგაზრდობაში ეკურთხა მღვდლად, მაგრამ მას ღმერთმა მისცა „კეთილი მოხუცებულებაჲ გონებისაჲ“. მისი ღვაწლის მიზანი, როგორც ყველა ქრისტიანისა, ზეცათა სასუფევლის დამკვიდრებაა. ივი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოყვასი შეიყვანოს სასუფეველში. მარადისობას დიდთა საქმეთა გამო ეზიარა. ამ მარადისობის თანამემკვიდრე და ღვთისაგან რჩეული კი ივი ბავშვობიდანვეა. ნეტარ მამას სიჭაბუკეში მოხუცებულება გონებისა ახასიათებს, ღრმად დაბერებულს კი — ახალგაზრდული ჯანმრთელობა და ენერგიულობა.

ას ორი წლის საკვირველთმოქმედს, რომელმან თავისი თავი ჭეშმარიტად ღვთის ნების სამკვიდრებელად აქცია, ასაკი არც დასტყობია: „ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა“, არც თვალის ჩინი დაკლებია, ხორციოთაც ძლიერი იყო — „უძლურებაჲ სიკუდილადმდე არა იპოვა მის თანა“.

დრო მხოლოდ კალენდრის სახით არსებობს, საეკლესიო დღესასწაულების ასათვლელად. მამა გრიგოლის ცხოვრებაში წლები თითქოს არ გადის, ასაკი არ ემატება. მახსოვრობაც საარაკო აქვს.

მისი ცხოვრება მეტაფიზიკურია, ივი დროის ფიზიკური აღქმის მიღმაა. ნეტარმა მოღვაწემ დრო უფრო ფილოსოფიურად შეიმეცნა და

ამდენად, სწორად გაიაზრა დროსა და სივრცეში თავისი ადგილი. ამ კონკრეტულ სივრცეს კი სამშობლო ჰქვია და მასთან მიმართებაშიც გაიაზრება გრიგოლის პიროვნება, როგორც მამულის ფიზიკური და სულიერი ხსნისათვის მზრუნველისა. იგი თავისი თანამედროვე ქართლის გაძლიერებისა და განმტკიცების დიდი ამაგდარია და ქვეყნის ზნეობის ფხიზელი გუშაგი.

გრიგოლ მონაზონმა დროის (უფრო ზუსტად მომენტის) მარჯვედ გამოყენებაც იცის. იგი დროის მოთხოვნებისა და ამოცანების უებარი მცოდნე და შემგრძნობია. ხანძთის ბრწყინვალე წესდება რომ შექმნა, თავისი დროის უცხოური — ბერძნული და პალესტინური სამონასტრო ცხოვრების გამოცდილებაც გაითვალისწინა და შეადგინა ზედროული ტიპიკონი, რომლიდან მცირეოდენი გადახვევის უფლებაც გაითვალისწინა სამომავლოდ, და ისიც მხოლოდ დროებით („უკუეთუ ჟამმან ჭირისაგან წესი სცვალოს, რომელ სულისა ფრიად არა საკნებელ იყოს, შენდობა იყავნ ჟამსა მას და არა სამარადისოდ, არცა შუებისა მრავლისა მიდევნება"). ასეთი ტიპიკონი დრო-ჟამის მიღმაა — სამუდამოდ უნდა კანონობდეს, რომ ნამდვილი სამონასტრო ცხოვრება სუფევდეს.

ხანძთელი წინამძღვარი არ უგულებელჰყოფს დროს, ითვალისწინებს მის მოთხოვნებს, და მაინც, მხოლოდ მარადიულს — უფალ ღმერთს — ემსახურება. ამაო და დროებით საქმეთაგან შორსაა მიქცეული მისი გონება. ამქვეყნიურზე თუ შეჩერდება მისი თვალი, მხოლოდ ქვეყნის გასაჭირი ან მოყვასის უბედურება იქნება ეს, ამასაც შეეშველება ნეტარი მამა და მერე მთელი სულითა და გულით ისევ მარადიულს უბრუნდება. იგი ხომ ერთგული მონა და მსახურია იმ ღმერთის, „რომელი მიეცა ცოდვათა ჩუენთათვის და აღდგა განმართლებისა ჩუენისათვის" (პავ. რომ. 4,25).

სახარება გვამცნობს: „სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ხორცი უძლურ" (მათე 26,41). მამამ გრიგოლ შეძლო უძლური ხორცი მთლიანად ჩაეყენებინა სულის სამსახურში და ამით გვამითაც გაძლიერდა. მან თავისი სიცოცხლის ასწლიან მიჯნას ისე გადააბიჯა, ბებრულ უძლურებისა არაფერი ეცხო.

გრიგოლ ბერმა სამშობლოს სამსახური თავისი დროის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას შეუხამა. ხანძთელი არქიმანდრიტი რომ მონასტრებს აშენებს ასე გულმოდგინედ, იქ ხომ ქართული სულიერების გუშაგები დასახლდებიან და იქიდან მოამარაგებენ და განამტკიცებენ ხალხის გულ-გონებას ურჯულო მტერთან საბრძოლველად. იქ გაჩაღდება სასულიერო კულტურის მდიდარი კერა, შეიქმნება თარგმნილი თუ ორიგინალური საღვთისმეტყველო და ლიტურგიკული ლიტერატურა. მამა გრიგოლი ჯვრით, აშოტ კურაპალატი ხმლით ნელ-ნელა, ყოველდღიური ქმედებით ცდილობენ არაბთა შესუსტებას, მშობლიური მიწა-წყლის შემომატებას. აშოტი იგერიებს ხილულ მტერს, წმიდა მამა — უხილავს. ორივე პირნათელი წარუდგა უფალს, როგორც ჭეშმარიტად კაცნი ღვთისა, რომელთაც ღვთისა და ქვეყნის წინაშე მოუღლელი მსახურებით დაიმკვიდრეს ნანატრი ადგილი ცათა სასუფეველში.

ქართული ხალხური პოეზიის მშვენებაა „ხმით ნატირალები" — რომელთა დიდი ნაწილი მამაკაცების შექმნილია. კაცებმა დატირებაც კაცურად ზომიერი, ბრძნული იცოდნენ და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა მწუხარების ამგვარი გამოხატვა. ამას მოწმობს სვანური „ზარი" და თუშური „დალაჲ", ჩოფიკაშვილის ფანდურით დატირება მოხევე ელგუჯას მიერ და სხვა მრავალი. გავიდა დრო და სატირალში ტირილი დაბალი ფენების დამახასიათებლად მიიჩნიეს. ეს არ იყო სწორი.

როგორ ტიროდნენ ძველად საქართველოში? ვინ უნდა დაიტიროს მკვდარი: ქალმა თუ კაცმა? ღირსეულად აღსრულებულნი, ალბათ, კაცმაც უნდა დაიტიროს და ქალმაც.

არისტოკრატი და უგანათლებულესი სასულიერო პირი გრიგოლ ხანძთელი, როგორც მოძღვარი და მეგობარი, საქვეყნო საქმეებში თანამებრძოლი და თანამზრახველი, მადლმოსილი-გულისხმიერებით დაიტირებს აშოტ კურაპალატს.

საბერძნეთის წმიდა ადგილების მომლოცველი ნეტარი გრიგოლ სამშობლოში ბრუნდება. გზად შეატყობინეს, რომ არაბების შეკვეთით მოღალატე ქვეშევრდომებს მოუკლავთ თავიანთი ქომაგი, დიდი ხელმწიფე აშოტ კურაპალატი. მამა გრიგოლმა დაკარგა დიდი თანამდგომი, მას თითქოს მხარი მოსტყდა, დიდ სინანულს გამოთქვამს. საყვედურობს კიდეც ხელმწიფეს, აწ გარდაცვალებულს, რატომ ენდე მუხანათ კაცებს, რომლებმაც შენ ისე გაგიმეტეს, როგორც იუდამ ქრისტეო. ამ მოთქმაში ისეთი გულში ჩამწვდომი სიტყვებია, ისეთი სინანული,

როგორიც ხალხურ ლექსებში მხოლოდ შვილმკვდარ დედებს გამოუთქვამთ. გამწარებული დედა ხომ ეხვეწება შვილის ცხედარს: სადღა გეძებო, მითხარი; საიდანმე მოდი, სიზმრად მაინც მანახე შენი თავიო. ასე მიმართავს ხანძთელი მამა აშოტსაც:

„ჰოი, მეფეო, ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაითმე მოგელოდი, აღმოსავალითმე, ანუ დასავალით, ჩრდილოითმე, ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელ იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვირველ ეგე დიდებული, ღვთისმსახური ხელმწიფე. აწ ვითარმე მიეცი ხელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაის მსგავსად შენ უფლისა თვისისა მკვლელ იქმნეს მოსაკუდინებელად ჩუენ გლახაკთა, მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“

მამა გრიგოლი მჭერმეტყველი და სწორუპოვარი რიტორია. სადად და ლაკონურად, ამასთან, მადლიანად და ლამაზად, ექსპრესიულად გამოხატვა სათქმელისა ახასიათებს მას. რომელი რომანტიკოსი იტყოდა უარს, იყოს ავტორი უდაბნოს იმგვარი აღწერისა, ხანძთელმა მეუდაბნოემ რომ დაგვიტოვა. რა საოცრად დაგვიხატა ის ორგანული კავშირი ბერის ცხოვრებას, მონაზვნურ განწყობასა და უდაბნოს პეიზაჟს შორის!

არქიმანდრიტ გრიგოლის მონასტრებში დამკვიდრებულ ქცევის ნორმებს თუ ჩავუკვირდებით და თვით მამა გრიგოლის ცხოვრებას დავისახავთ მაგალითად, იგი სამონასტრო ცხოვრების ბევრ საკითხზე გაგვცემს სწორ პასუხს.

მამა გრიგოლმა ქართული ეკლესიისა და ქართველი ერის ისტორიაში დიდი და ნათელი კვალი დატოვა და დღესაც დაუცხრომელად ჰვედრის ღმერთს თავისი ქვეყნისა და ეკლესიისთვის. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით უნდა შევთხოვდეთ მას ყოველჟამს, რათა შეგვეწიოს ჩვენ და გვექმნეს ღირსეულ შუამდგომლად წინაშე უფლისა.

დღესაც დავალს ქართულ ზეცაზე დღითა და ღამით „ვარსკვლავი უდაბნოთაჲ“.

საქართველოს თანმდევ უკვდავ სულთან — ილიასეულ აჩრდილთან ერთად მყინვარის მთას მუდამ დაჰნათის ეს ვარსკვლავი, რომელსაც იშვიათად ვხედავთ, რადგან ნიადაგ ღრუბლის ნაჭერი ფარავს მას. ალბათ, ეს ვარსკვლავია ვარსკვლავი უდაბნოთაჲ — გრიგოლი. მან ხომ ამქვეყნიური ცხოვრებითა და ღვაწლით დაგვიტოვა ნათელი ხატი ღვთისა და მამულის მსახურებისა. იგი მარად და ყველგან სამშობლოსთანაა. საუკუნეთა მიღმიდან დღესაც გვაკურთხებს და კეთილგონიერებისაკენ მოგვიწოდებს:

„შვილნო, სულისა სიბრძნითა, გულისა ტკივილითა სძლეთ და ნუ შეძრწუნდებინ გონებაჲ თქვენი, რამეთუ ესრეთ აღგითქუამ: არაჲ დაგაკლოს თქვენ ქრისტემან აქა და საუკუნესა მას, უკუეთუ ეგნეთ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს ჩემგან პირველთა წმიდათა მამათა შეწირული მონაზონებისა წესი“.

ჩვენც დავიმახსოვროთ ეს დარიგება საოხად სულთა ჩუენთა და გადასარჩენად მამულისა.

ღირსო მამაო გრიგოლ, მეოხ გვეყავ ჩვენ, ცოდვილთა!

ელენე (ნელი) გიგოლაევა
მხეცალი ღვთისა



კლარჯეთის ქართული

ნაშთი ძველი დიდებისა

ისტორიული ზემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე – კლარჯეთი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. იგი გაშლილი იყო მდინარე ჭოროხის ხეობის უდიდეს ნაწილში, შუა წელიდან მოყოლებული შესართავამდე. კლარჯეთში შედიოდა შავშეთი, იმერხევი, ნიგალისხევი, მაჭახელი, აჭარა და თვით კლარჯეთი, ამ სახელის ვიწრო მნიშვნელობით. საისტორიო წყაროების მიხედვით, კლარჯეთი არის „არსიანითგან ზღუამდე" (ჯავახიშვილი ივ. თხზ. ტ. I, თბ., 1983, გვ. 22).

საუკუნეთა მსვლელობაში სისხლით, ოფლითა და ცრემლით იწერებოდა ამ მხარის რთული ისტორია. კლარჯეთი იხსენიება უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში. იგი ოდითგანვე დაკავშირებული იყო საქართველოს სხვა კუთხეებთან ადმინისტრაციულად, ეკონომიკურად და კულტურის მხრივ. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის სამეფოს არსებობის პერიოდში კლარჯეთი, მეფე ფარნავაზის მიერ განწესებულ რვა საერისთავოს შორის, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. არაბების შემოსევამდე ეს მხარე რამდენჯერმე აღმოჩნდა სომხეთის ფარგლებში, მაგრამ ხანმოკლედ; ქართველები მალე იბრუნებდნენ (ექვთიმე თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება", ტ. I, თბ., 1991, გვ. 204).

მეხუთე-მეშვიდე საუკუნეების კლარჯეთის შესახებ ძვირფას ცნობებს ვპოულობთ არა მარტო „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში", არამედ ძველი ქართული მწერლობის ისეთ ძეგლებშიც, როგორებიცაა: „ცხორება ვახტანგ გორგასალისა" და ბასილი ზარზმელის თხზულება „ცხორება სერაპიონ ზარზმელისა". ამ ნაწარმოებებიდან ვიცით, თუ როგორ ჰყვაოდა შავშეთ-კლარჯეთში ქრისტიანული კულტურა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში აგებული ოპიზის, დაბის, მერეს, შინდობანის, ახიზის ეკლესია-მონასტრების შემწეობით. ეს პროცესი მერვე საუკუნის პირველი ნახევრიდან შეაჩერა არაბების მრავალგზისმა თავდასხმებმა. მაგრამ არაბთა შემოსევებითა და ქოლერის ეპიდემიით გაჩანაგებული ქვეყანა მალე გამოაცოცხლა ქართლიდან არაბთა ბატონობით ლტოლვილმა მოსახლეობამ. ამ პერიოდში აქ საცხოვრებლად გადმოდის ქართლის ერისთავი აშოტ დიდი, აყალიბებს ტაო-კლარჯეთის ძლიერ საერისთაოს და საფუძველი ეყრება ბაგრატიონების სამეფო დინასტიას, საქართველოს სახელმწიფოებრიობას. ქვეყნის აღორძინებას ხელს უწყობს გრიგოლ ხანძთელის მეთაურობით გაშლილი სამონასტრო მშენებლობა, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ბაგრატ მესამის დროს (978 -1014 წწ) კი კულტურისა და განათლების ცენტრად გადაქცეული ტაო-კლარჯეთი გამოდის საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის მედროშედ. ერთიანი საქართველოს „ოქროს ხანაში" ცხოვრობდა ეს მხარე მონღოლთა შემოსევის დაწყებამდე. მონღოლთა ბატონობის დროს ტაო-კლარჯეთი მოაქციეს სამცხე-საათაბაგოში. მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი მთელი სამცხე-საათაბაგო გადადის ოსმალთა მფლობელობაში. ოსმალებმა 1552 წელს აიღეს არტაანი და არტანუჯი. კლარჯეთი ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ჩილდირის ვილაიეთს (ჩელები ევ., მოგზაურობის წიგნი, I, თბ., 1971, გვ. 299). 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ბერლინის საზავო ხელშეკრულებით, რუსეთმა შემოიერთა ყარსისა და ბათუმის ოლქები. ბათუმის ოლქში შედიოდა ტაო-კლარჯეთი. სახელმწიფოთა საზღვრები შეიცვალა პირველი იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ. 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების თანახმად ტაო-კლარჯეთი კვლავ აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერიაში. ამჟამად ისტორიული კლარჯეთის უმეტესი ნაწილი შედის თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით იგი მოქცეულია შავშეთის, არტანუჯის, ართვინის, მურღულის, ბორჩხის რაიონებში – ართვინის ვილაიეთში.

კლარჯეთის ზოგიერთი ადგილის მოსახლეობა და ბუნება კარგად არის აღწერილი გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში": „ბუნებით ერთგვამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ... კეთილად შეზავებული მზისაგან

და ჰაერისა. არცა ფრიად სიცხეი შესწვავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა... უნოტიო, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზვარეჲ... წყალი კეთილი, ურიცხვი მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაი. ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ. ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა ძრვისა ჟამსა ხელმწიფეთა მტრობისასა"...

კლარჯეთის დიდი ნაწილის მომხიბვლელის ბუნებისა და მოსახლეობის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი. ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის... პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი... კაცნი და ქალნი მზგავსნი ქართველთანი, უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემართებულნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვანების მოყუარენი". დღევანდელ მნახველს თვალს სტაცებს ხეხილის ბაღებში ჩამჯდარი სოფლები.

ისტორიულ კლარჯეთში დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები (ოპიზა, ფორთა, ბერთა, დოლისყანა, ტბეთი, აწჩა...) თვალწინ გვიშლიან ამ მხარის დიდებული წარსულის სურათს. მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეებში კლარჯეთი წარმოადგენდა ქართული კულტურისა და განათლების მჩქეფარე კერას. კლარჯეთის თორმეტს სავანეთა მხარეს, რომლის არქიმანდრიტი გრიგოლ ხანძთელი იყო, ძველ ქართულ წყაროებში „საქართველოს სინაჲ" ეწოდებოდა. მაშინ აქ ოცამდე განთქმული მონასტერი მოქმედებდა. ამ სამონასტრო ცენტრებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული კულტურისა და რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

კლარჯეთის უძველესი საყდარი — ოპიზის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მეხუთე საუკუნის მიწურულს დაუარსებია ვახტანგ გორგასალს, საუკუნეთა განმავლობაში წამყვან როლს ასრულებდა ქართული კულტურის შენებაში... დღემდე მოღწეულია ოპიზაში 913 წელს გადაწერილი ქართული ოთხთავის ერთერთი უძველესი ნუსხა, რომელიც დაცულია ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში. ოპიზის სახელს უკავშირდება ორი დიდი ხელოვანის, ოქრომქანდაკებლების — ბექა და ბეშქენ ოპიზარების მოღვაწეობა. ისინი თამარ მეფის თანამედროვენი იყვნენ. ქართული ხელოვნების შედევრებია მათი ნამუშევრები. მათ შექმნეს ქართული ოქრომჭედლობის საკუთარი სკოლა, სტილი, რომელიც ცნობილია „ოპიზის მხატვრული სკოლის სახელით" (ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 299).

ტბეთის საყდარი 914 წელს აუშენებია აშოტ კუხს. აქ მოღვაწე მტბევარი ეპისკოპოსები იყვნენ გამოჩენილი მწიგნობრები. ტბეთის ტაძარი განთქმული ყოფილა ოქრომჭედლობითაც. ჭედური ხელოვნების ტბეთის სკოლა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ოპიზის სკოლისაგან. ტბეთის ტაძარი უჩვეულო სილამაზით ხიბლავდა მნახველს. „ტბეთის ტაძარი თავისი გრანდიოზულობით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე მცხეთა, ზარზმა, საფარა... იგი დაამშვენებდა თვით რომსაც კი", — ვკითხულობთ გ. ყაზბეგის დღიურში. ეს ტაძარი აღწერეს და წარწერები გამოაქვეყნეს უვაროვამ და მარმა. ტბეთი ამჟამად დანგრეულია. სოფელში ცხოვრობენ სომხები და შავშები, რომლებმაც ქართული აღარ იციან და ქართველობის შეგნებაც დაკარგული აქვთ.

გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ მონასტრებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო შატბერდის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი — ქართული კულტურის უდიდესი ცენტრი კლარჯეთში. აქ ითარგმნა და დაიწერა ძველი ქართული ლიტერატურის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები. კერძოდ, 973 წელს აქ შეადგინეს შატბერდის კრებული, რომელშიც ბერძნულიდან თარგმნილ ნაწარმოებთა გარდა, მოცემულია წმიდა ნინოს ცხოვრება. 897 წელს აქ გადაუწერიათ და დაუსურათებიათ ჰადიშის სახარება, რომელიც საქართველოში დაცულ ძეგლთა შორის უძველესი თარიღიანი ხელნაწერია. 936 წელს აქ გადაიწერა მეორე სახარება, რომელიც ცნობილია ჯრუჭის ოთხთავის სახელით. 940 წელს იგი შეამკეს მინიატურებით. ძეგლი ძალიან ფასეულია. ესაა წიგნის მხატვრულად გაფორმების პირველი ნიმუში საქართველოში. 978 წელს აქ იოანე ბერმა გადაწერა სახარება, რომელიც შესწირეს პარხლის ახლად აგებულ ეკლესიას და

მექორწინენი

ამიტომ ცნობილია პარხლის ოთხთავის სახელით.

ფორთის ტაძარი ამჟამად მეჩეთად არის გადაკეთებული, ამიტომაც საკმაოდ მოვლილია და დაცული. აქ არის ზიარეთიც, სადაც მოდიან მლოცველები და ღმერთს შველას სთხოვენ. აქაურებს არ ახსოვთ ტოპონიმი „შატბერდი", „ხანძთა" (ხანსტა//ხანზთა) კი ახსოვთ სოფელ უბეში. „ხანსტა" ჰქვია უბესთან ახლოს მდებარე ვაკე ადგილს, ჭალას. ეს ადგილი ჯერ კიდევ ნიკო მარმაც ნახა სოფელ დიობიდან უბისაკენ მიმავალ გზაზე და დღიურში მიუთითა რატომღაც ასე: ნანგრევების კვალიც არ ჩანსო. ამ ჭალის შუაგულში ამჟამად აშკარად შეიმჩნევა ნანგრევების ნაშთი. იქნებ ეს ჭალა არის ის დავაკება, სადაც იდგა დიდი ტაძარი. „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში" ვკითხულობთ: „იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყნისა დავაკებად, რამეთუ კლდეჲ იგი ხანძთისაჲ უფიცხლეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა". ხანძთის შემოგარენი კლდოვანი ადგილია დღესაც. ამიტომაც „სათესი ყანაი და სათიბელი ქუეყანაჲ" მონასტერს არ ჰქონია. ამის გამო აშოტ კურაპალატმა „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდსა ადგილი აგარაკად ხანძთისა", სადაც გრიგოლმა ააშენა განთქმული შატბერდის მონასტერი, ე. ი. შატბერდი და ხანძთა ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს უნდა მდებარეობდეს. მართლაც დღევანდელი ფორთა და ხანძთა არც თუ ისე შორს არიან ერთმანეთისაგან. ამიტომ საფუძველს მოკლებული არაა მარის ვარაუდი, რომ ფორთა არის ისტორიული შატბერდი. შატბერდისა და ხანძთის ისტორიით დაინტერესებულმა მომავალმა მკვლევარმა ეს უნდა გაითვალისწინოს.

მეჩეთად გადაკეთებული ძველი ეკლესიები დღესაც დაცულია დოლისყანაში, ბერთასა და ანჩაში. ჯერ კიდევ მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებში საეპისკოპოსო კათედრა იყო ანჩაში. თამარის თანამედროვე მთავარეპისკოპოსმა იოანე ანჩელმა ბექა ოპიზარს მოაჭედვინა ანჩისხატი — კლარჯეთის სიწმიდის სიმბოლო და საგანგებო საგალობლითაც შეამკო იგი.

კლარჯეთის გმირულ წარსულზე მეტყველებენ ნანგრევების სახით მოღწეული ციხეები — ჩაქველთა, ჯვრები, სათლელი, თამარა გეითაუსი... თავისი გრანდიოზულობით გამოირჩევა არტანუჯის ციხე-ქალაქი, რომელიც მეხუთე საუკუნეში ააშენა ვახტანგ გორგასალმა, 813 წელს განაახლა აშოტ კურაპალატმა და ბაგრატიონების სამეფო დინასტიის რეზიდენციად აქცია. ძველი დიდების ამ ნაშთებში შემონახული ჩვენი წინაპრების დიდებული შემოქმედების სურათების ხილვა სიამაყის გრძნობით აღგვავსებს, მაგრამ მწარედაც დაგვაფიქრებს სამშობლოს ბედზე.

კლარჯეთის ქართული ისევე მრავალფეროვანია და ძველი, როგორც მისი მატერიალური კულტურის ძეგლები. აქაურთა მეტყველებაში ყურადღებას იპყრობს ქართული ენის განვითარების წინა პერიოდებისათვის ნიშანდობლივი მოვლენები, უჩვეულო ნეოლოგიზმები, ზანიზმები და თურქიზმები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კლარჯეთის ქართული დასაბამიდანვე რთულ გარემოში ყალიბდებოდა. ამ მიწაზე ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა მოდგმის ხალხები: ქართველები, ბერძნები, სომხები, არაბები, სელჯუკები, თურქები... ყურადსაღებია ისიც, რომ კლარჯეთ-ისპირის თავდაპირველი მკვიდრნი იყვნენ ზანური (მეგრულ-ჭანური) ტომები. კერძოდ, მათ ეჭირათ პონტოს ქედის ორივე მხარე ტრაპიზონამდე და მდინარე ჭოროხის ხეობა შუა წელიდან მოყოლებული შესართავამდე (თაყაიშვილი ექვთ., დასახ. ნაშრ. გვ. 203). მომდევნო ეპოქებში ისინი დამკვიდრდნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ამჟამად მათი საცხოვრისი აღწევს ქალაქ რიზემდე.

შუშანა ფუტკარაძე
კლარჯელ ბავშვებთან

აქაურთა ქართულში საძებარია სომხურისა და ბერძნულის კვალიც, რადგან არაბთა შემოსევებამდე ჭოროხის აუზის დიდი ნაწილი ხან საბერძნეთს და ხან სომხეთს ექვემდებარებოდა. შავშეთში დაცული თქმულების თანახმად, ექვსასი წლის წინ გადმოსახლებულა ნახევარ მილიონამდე სომეხი მურღულის ხეობაში, იქიდან კი გადასულან ართვინში. ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, ცხადია, მოსახლეობის სიჭრელემაც დააჩქარა კლარჯეთში ქართული ენის დასუსტება და ბევრგან სრულიად დაკარგვა.

დღეს კლარჯეთის ყველა კუთხეში აღარ ახსოვთ ქართული. არტანუჯის რაიონში თითქმის მთლიანად დავიწყებიათ. ახლა აქ უმთავრესად სომხები ცხოვრობენ. მათ დაგვისახელეს რამდენიმე ქართული სოფელი — ბაცა, ანაკერტი, ანჩა, ტანზოთი, ახიზა და კლარჯეთი (სოფელსაც რქმევია ეს სახელი). ჯერ კიდევ 1874 წელს ამ მხარეში მოგზაურობის დროს გ. ყაზბეგი შენიშნავდა: რაც უფრო ვუახლოვდებით არტანუჯს, მით უფრო ცოტა გვხვდება ქართულის მცოდნეო. ამასთანავე დასძენს, რომ არტანუჯის თორმეტი სოფელი, რომელიც მთა გობიხვეწის მიდამოებში მდებარეობს, ქართულად მოლაპარაკეა და მცხოვრებნი იწოდებიან გურჯისტანის ხალხადო. (ყაზბეგი გ. „სამი თვე თურქეთის საქართველოში"). ჩვენ ვერ შევძელით ამ სოფლებში მისვლა. მომავალი მკვლევარი უსათუოდ მადლიერი დარჩება აქაურ ქართველებთან მუშაობით.

ქართულად აღარ ლაპარაკობენ შავშეთის რაიონის უმრავლეს სოფლებშიც, თუმცა მცხოვრებნი ტომით ქართველები არიან. შავშეთში ოჯახის ენა თურქულიაო, შენიშნავდა ნ. მარი 1904 წელს თავისი მოგზაურობის დღიურში. მაგრამ ქართული ენის კვალი მთლიანად არ წაშლილა. აქაურთა თურქულ მეტყველებაში ქართულიდან შესულა ბევრი სიტყვა და გამოთქმა, რასაც თურქი ენათმეცნიერების ყურადღება მიუქცევია. ამ მხრივ საინტერესოა თოქათის უნივერსიტეტის დოცენტის თურგუთ აჯარის შრომა „ქართული ენის გავლენა ართვინულ დიალექტზე".

კლარჯეთის სოფლები გაშენებულია მდ. ჭოროხის შენაკადების (მაჭახლისწყალი, ქლასკურისწყალი, ბაგენისწყალი, იმერხევისწყალი, სათლელისწყალი, შავშეთისწყალი, მურღულისწყალი, ხატილა, იჩხალა, ბელლევანი...) ხეობებში, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულია მაღალი მთებითა და კლდოვანი ადგილებით. ასეთ გეოგრაფიულ პირობებშია ჩამოყალიბებული ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ტომობრივი დასახლებანი, როგორიცაა: მაჭახელი (მაჭიხიანი), იმერხევი, შავშეთი, ნიგალი (ლიგანი// ლივანა) და საკუთრივ კლარჯეთი. აღნიშნულის შესაბამისად, ენობრივი და ეთნიკური ფაქტორების ზემოქმედებით, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩანს კლარჯეთის ეთნიკურ-ტერიტორიული, ე. წ. კლარჯული დიალექტები (აღმოსავლეთ საქართველოს მთაში არსებული ფხოური დიალექტების მსგავსად), როგორიცაა: იმერხეული (ისტორიული შავშური), მაჭახლური და ლივანური. მათ შორის ექცევა აჭარულიც, რადგან აჭარა ისტორიულ-გეოგრაფიულად კლარჯეთის შემადგენელი ნაწილია. მაშასადამე, კლარჯული დიალექტებია: აჭარული, იმერხეული (ისტორიული შავშური), ლივანური და მაჭახლური.

შუშანა ფუტკარაძე



შატბერდი, იგივე ფორთა
(აკადემიკოს ნიკო მარის მიხედვით)

* * *

ქვეყნის ეს ნაწილი, რომელსაც „ოსმალოს საქართველო" ეწოდება, ქართულ მატიანეებში ცნობილია მესხეთის, ზემო ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს სახელით. საქართველოს საუკეთესო საერო მწერლები, ძველი და ახალი აღთქმების, საღვთო და საეკლესიო წიგნების მთარგმნელთა უმეტესობა წარმოშობით ზემო ქართლიდან იყვნენ. ყველაზე განვითარებული ქართული ენა ზემოქართლური იყო. ქართული ენა დღემდე ისმის მთელ ოსმალეთის საქართველოში ბაიბურთამდე და ტრაპიზონის საზღვრამდე. ზემო ქართლი მე-8 საუკუნეში ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის აკვანი და ის ცენტრი იყო, რომელმაც საქართველოს მიანიჭა ერთიანობა და ძლიერება, აფხაზეთ-საქართველოს მეფეების დროს, მე-10-მე-12 საუკუნეებში, ქართული მატიანეები აქ აღნიშნავენ ყველაზე ძველ დიდძალ ქართულ საეკ-ლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, რომლებსაც, რამდენადაც ვიცით, დღემდე იცავს სანახევროდ მუსულმანი, სანახევროდ ქრისტიანი ადგილობრივი მოსახლეობა. ოსმალეთის საქართველოს ის მცირერიცხოვანი წარწერები, რომლებიც, სხვათა შორის, გადმოწერეს აბიხმა, სანიკოვმა, კოხმა, ნერსეს სარგისიანმა, მე-9—მე-12 საუკუნეებს განეკუთვნება. მხითარისტი სარგისიანი, რომელმაც 1843-53 წლებში მოიხილა ჭოროხის აუზი, მწუხა-რებით აღნიშნავს, საშუალება არ მქონდა გადმომეწერა უამრავი ქართული წარწერა, რომე-ლიც იქ ვნახეო.

ჩვენში ყოველგვარი მეცნიერული წამოწყების წარმატება შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის უშუალო მონაწილეობით. კავკასიის ყოველმხრივ შესწავლას ჩვენ სწორედ მთავრობის დახმარებას უნდა ვუმადლოდეთ. ასე მაგალითად, რაინეგსის, გიულდენშტედტის, კლაპროთის, შეგრენის, ბროსეს, აბიხის, ნაწილობრივ დიუბუა დე მონპერეს ნაყოფიერი მოგზაურობა კავკასიაში მთავრობის ინიციატივითა და ხარჯით მოეწყო.

...საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა კი, რომელსაც სათავე დაუდო მარი ბროსემ, მეოთხედი საუკუნის წინათ, როგორც ჩანს, მისივე შრომით დამთავრდა. ამასობაში თუ გავიხსენებთ, რომ მეცნიერთა წრეში ცნობილ ჟან სენ-მარტენს, ქართული მწერლობის ძეგლები არა მარტო კავკასიის, არამედ აზიის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნია, შეუძლებელია სინანული არ გამოვთქვათ, რომ ცხოვრება, დიუბუას სიტყვით რომ ვთქვათ, „ძველი ქართველი ერისა, რომელიც უხსოვარი დროიდან დარაჯობდა კავკასიის ყელს და პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა ყველა ცნობილ ხალხთან, დღემდე არასაკმაოდ არის შესწავლილი მისი საუკეთესო და ყველაზე სარწმუნო ძეგლების, მისი ეკლესიებისა და ხატების მრავალრიცხოვანი წარწერების, ხელნაწერთა და უამრავი საბუთის მიხედვით. უაღრესად საშიშია დაყოვნება; ისიც კმარა, რა დროც დავკარგეთ. თუმცა ტფილისსა და ქუთაისში შენახული საბუთები დაცულია გაფუჭებისა და დაკარგვისაგან, მაგრამ, ამას ვერ ვიტყვით იმ მრავალრიცხოვან საბუთზე, რომლებიც, როგორც მე პირადად ვიცი, მოიპოვება სამრევლო ეკლესიებსა, მონასტრებსა და ოჯახებში და, რომელიც დაუდევარი მოპყრობის გამო, იკარგება ან ლპება. ასეთსავე ხვედრს იზიარებენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოჯახებში გაბნეული ძველი ხელნაწერები. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი ხელნაწერი საქართველოდან გაიტანეს, ალბათ, კიდევ გაიტანენ, და, მაშასადამე, მეცნიერებისათვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება წარწერებს, მათი ბედი კიდევ უფრო სავალალოა. ამ წერილის ავტორს ამ მხარეში მოგზაურობისას შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ აკადემიკოს ბროსეს მიერ 1847-48 წლებში გადმოწერილი ზოგიერთი წარწერა ან აღარ გაირჩევა, ან სამუდამოდ გაქრა. ამ მხრივ ერთად მოქმედებს დროც და ადგილობრივ მცხოვრებთა უმეცრებაც. ...ახალციხის მაზრაში მოსული მოსახლეობა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იყენებს თავისი სახლების ასაშენებლად ეკლესიების ქვებს. ამასთან, ბუნებრივია, არც მათ წარწერებს ინდობს.

დიმიტრი ბაქრაძე



დავით კურაპალატის საწინამძღვრო ჯვარი, X საუკუნე
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

ოსმალოს საქართველო

ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის გულის ძგერას, თავის ზნეობითს და გონიერებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ურთიერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულოვნებამ, ერთგულობამ თავისის ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის, და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძველითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს, მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში. როდესაც საქართველო დაყოფილი იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზედ მოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთ ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თავისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველს საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით, უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა, ჯერ ისევ წმიდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ასტყდა შესანიშნავი ბრძოლა ლაზიკის თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოს დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათოლიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდნენ კათოლიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტეს შობიდან. ამ გვარად მთელის საქართ-

ველოს ერთობის წილად ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად, მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გუარამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეუერთდა საქართველოსვე. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მიჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას სცდილობდნენ, ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა, წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსანის" მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა. ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი და ივივეა სამარეც ჩვენის ყოფილის ადამიანობისა. სწავლა-განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი, მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლნდელმა ოსმალოს საქართველომ ამ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენ ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ესე იგი, მას ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა, და იგი ადგილი წოდებულ იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ, და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავგანწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე, რომ ოსმალებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თვისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, მიიღო ორთუღიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა. ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობითა; სამღვდელონი და ეპისკოპოსნი მოსწყვიტნეს, საყდრები დაძარცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მომმე ქრისტიანი

ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ, და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნული და განადგურებული, ნელ-ნელა მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტი წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენსავით ჯვარსაც იწერს ოსმალების იდუმალად, თურმე.

ეგრეთ, მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლს-დანთხეულს საქართველოსა. სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენ შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნულნი და ჩაგრულნი — აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ თუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...

(1877 წ.)

ილია მართალი



ქართული წარწერებიანი ქვაჯვარი

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ქვეყნის სამწერლო გარემო პოლიტიკურ მოვლენათა ცენტრში აღმოჩენილა, მაგრამ ძნელად თუ მოიძებნება ფაქტი, რომ მწიგნობრობას ქვეყნის ბედი გადაეწყვიტოს. ქართული ლიტერატურის ისტორიაში არსებობს ასეთი უნიკალური პერიოდი — ეს არის VIII-X საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სათავეში უდგას რელიგიურ-კულტურული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი. მერვე საუკუნეში ამ ისტორიული პიროვნების მიერ ტაო-კლარჯეთში წამოწყებული სარწმუნოებრივ-კულტურული აღმშენებლობა მეთორმეტე საუკუნეში დაგვირგვინდა ძლიერი და ერთიანი საქართველოს შექმნით, რომელიც დავით აღმაშენებლის ძალისხმევით განხორციელდა. ოთხი საუკუნის განმავლობაში მოვლენები ვითარდებოდა თანმიმდევრულად, შინაგანი ლოგიკის მიხედვით; შეუფერხებლად მიმდინარეობდა სულიერ-კულტურული ტრადიციის უწყვეტი პროცესი, წინასწარმეტყველური სიზუსტით გათვლილი პროგრამა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ეროვნული მწიგნობრობის განვითარების გზით ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის ბრძოლა.

ბუნებრივია, რომ სწორედ ტაო-კლარჯეთში, გრიგოლ ხანძთელის დროს გაცხადდა საქართველოს ერთიანობის იდეა, რომელიც გიორგი მერჩულემ ფორმულის სახით ჩამოაყალიბა: ,,ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების''.

ამ კუთხეში ჩაეყარა საფუძველი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, ტაო-კლარჯეთში მოღვაწე მღვდელმთავრებმა დაიწყეს ზრუნვა იმისათვის, რომ ქართული ეკლესია თანდათან გამოსულიყო იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების გავლენისაგან.

ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში ჩამოყალიბებულმა მწიგნობრობის სკოლამ განსაზღვრა ქართული კულტურის განვითარების გზა: რომ არ ყოფილიყო ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა, არ იქნებოდა ათონის ლიტერატურული სკოლა; აქედან გამომდინარე, არ იქნებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ის ბრწყინვალე პერიოდი, რომელსაც შოთა რუსთაველის გენიალური პოემა აგვირგვინებს.

სავსებით მართებულია აზრი, რომ ,,ხანძთა სულიერად მშობელი არს ჩვენ ყოველთა'' (გიორგი მერჩულე).

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული კერები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართველ და საზღვარგარეთელ მკვლევართა მიერ. მეოცე საუკუნის განმავლობაში დაიწერა უამრავი აღწერილობა, გამოკვლევა, სტატია თუ მონოგრაფია. ყოველივე ეს თავმოყრილი და გაანალიზებულია ლევან მენაბდის ვრცელ ნაშრომში — ,,ძველი ქართული მწერლობის კერები'', რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ტაო-კლარჯეთის თითოეულ მონასტერში მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას.

მაშასადამე, რა ხდებოდა სამხრეთ საქართველოს ლიტერატურულ ცენტრებში? დავიწყოთ კლარჯეთის უდაბნოდან.

ოპიზა. ეს არის კლარჯეთის უძველესი ლიტერატურული კერა. ,,ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზა'', — გვაუწყებს გიორგი მერჩულე. მართალია ამ მონასტერმა სახელი გაითქვა ბექა და ბეშქენ ოპიზარების ნატიფი ხელოვნების მეშვეობით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოპიზა არის ის ადგილი, საიდანაც იწყება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა. სწორედ ოპიზელი ბერების შემწეობით აშენდა ხანძთის, პარეხის, შუარტყელის, მიძნაძორისა და სხვა მონასტრები. გრიგოლ ხანძთელის გარდა აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი, ათანასე ოპიზელი, ილარიონ ოპიზელი და სხვანი.

ოპიზის ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრიგოლ ოპიზელის მიერ 913 წელს გადაწერილი სახარება, რომელიც ათონის მთაზეა დაცული. ამ ხელნაწერის მეშვეობით დგინდება ახალი აღთქმის ქართული რედაქციების რაობა; ათანასე ოპიზელმა 1093 წელს გადაწერა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი პარაკლიტონი, რომელიც, როგორც პავლე ინგოროყვა ამტკიცებდა, შევსებულია კლარჯული საწელიწდო იადგარიდან გამოკრებილი მასალით; XIII საუკუნეში ცნობილია დავით ნარინის მოძღვარი ილარიონ ოპიზარი – გადამწერი და ბიბლიოფილი, რომელმაც უცხოეთში გაფანტული არაერთი ხელნაწერი დაუბრუნა სამეფო წიგნთსაცავს.

ხანძთა. ამ მონასტრის ისტორიული მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. ახალი ტიპიკონი პირველად ხანძთაში შემოიღეს. გრიგოლ ხანძთელმა საგანგებოდ შეისწავლა კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის სამონასტრო წესდებანი და ამის საფუძველზე დაადგინა ხანძთის ტიპიკონი, რომელიც, მართალია, განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ხელს უწყობდა კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების განვითარებას. ხანძთაში აღიზარდა ეფრემ მაწყვერელი.

ხანძთაში აღიზარდა არსენ საფარელი (830-887); აქ მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე მაკარი ლეთეთელი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერის, 864 წლის სინური მრავალთავის გადანუსხვაში. აღარაფერს ვამბობ თვით გრიგოლ ხანძთელზე... თუმცა ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: როგორც ირკვევა, გრიგოლ ხანძთელს დაუწერია პოეტური ჰიმნების კრებული „საწელიწადო იადგარი", რომელსაც პავლე ინგოროყვამ დიადი ძეგლი უწოდა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 548).

შატბერდი. ეს არის ლიტერატურული თვალსაზრისით ყველაზე პოპულარული მონასტერი, ანუ, როგორც ძველი ავტორები იტყოდნენ, „სიქადულ ყოვლადვე მახლობელთა მონასტერთა". შატბერდი არის რიგით მეორე მონასტერი, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა. რამდენადაც ბევრს არაფერს გვეუბნება აქ მოღვაწე მწერლების სახელები – სოფრონ შატბერდელი, გაბრიელ შატბერდელი, იოანე ბერაჲ, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩემორელი, სტეფანე შატბერდელი – იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია მათ მიერ გაწეული შრომა, რომელიც მაღალ ლიტერატურულ ფასეულობებზე არის ორიენტირებული. შატბერდის მონასტერში შემუშავებული კონცეფცია თანდათან ვითარდება, ივსება, იხვეწება და ბოლოს თავის ბრწყინვალე გამოხატულებას ჰპოვებს ათონის ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბებაში. შატბერდში არის გადაწერილი არაერთი ბრწყინვალე წიგნი. მათ შორის, ჰადიშის ოთხთავი (897 წ., სოფრონ შატბერდელი), ჯრუჭის სახარება (936 წ., გაბრიელ შატბერდელი), პარხლის ოთხთავი (973 წ., იოანე ბერაჲ), „განმარტება დავითნისა" (დავით და იოანე ჯიბისძეები), ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის შრომები (გრიგოლ ვაჩემორელი), ვანის სახარება (XII ს., სტეფანე შატბერდელი) და ბოლოს შატბერდის კრებული, ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული, ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი (976 წ., იოანე ბერაჲ). საკმარისია დავასახელოთ კრებულში შესული ზოგიერთი თხზულება, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას მის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობაზე: 1. გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის", 2. ეპიფანე კვიპრელის „თვალთაჲ", 3. იპოლიტე რომაელის ხუთი თხზულება, მათ შორის თარგმანებაჲ „ქება ქებათაჲსა", 4. „მოქცევაჲ ქართლისაჲ", 5. ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი", 6. ცხორება წმიდა იაკობ ნასიბინელისა, 7. ფსალმუნთა განმარტებანი.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ როცა XII საუკუნის შუა ხანებში ბაგრატ მეოთხემ გიორგი ათონელი მოიწვია საეკლესიო რეფორმების ჩასატარებლად, მამა გიორგი შატბერდში დაბინავდა და იქ შეიმუშავა ახალი კანონმდებლობა.

პარეხი იმთავითვე ცნობილი ლიტერატურული ცენტრი ყოფილა, მაგრამ ჟამთა სიავისაგან გაპარტახებულა და მხოლოდ გადმოცემით ვიცით, რომ აქაურ მამებს აღუწერიათ მონასტრის დამაარსებლის მიქელ პარეხელის ცხოვრება (რომელიც დაკარგულა), ხოლო

ილარიონ პარეხელი (მე-9 – მე-10 ს.) ისეთი სახელგანთქმული მწერალი ყოფილა, რომ, გიორგი მერჩულის აზრით, სწორედ მას ხელეწიფებოდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა.

ბერთა. აქ იყო დაცული ბეშქენ ოპიზარის ნახელავი, ოქროჭედური ოთხთავი, რომელიც იოანე ოპიზელს უბოძებია მონასტრისათვის. სხვათა შორის, ეს არის ბეშქენ ოპიზარის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნამუშევარი; ბერთაშივე იყო დაცული მეათე საუკუნის ბოლოს გადაწერილი ოთხთავი, რომელიც 1830 წელს ყარსიდან წაუღიათ ამერიკელ მისიონერებს; მიქელ (ზეპეკე) ბერთელს (X ს.) ეკუთვნის პავლენზე გაკეთებული მინაწერი იამბიკოდ: „მე, მიქელ მღდელმან, ზეპეკე ბერმან, ქუაბისა შვილმან, ბერთას აღზრდილმან, ესე წმიდაჲ პავლე მოვიგე“.

წყاროსთავი. ამ მონასტერში იყო დაცული ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი სახარება (1195); აქ მოღვაწეობდა ცნობილი ეფთვიმი გრძელი, რომელმაც სარწმუნოებრივ პაექრობაში დაამარცხა სომეხთა ერთ-ერთი საეკლესიო მოძღვარი სოსთენი (იხ. თხზულება „სიტყვის-გება ბერისა ეფთვიმი გრძელისა სოსთენი სომეხთა მოძღვრისა მიმართ“, რომელიც პირველად მ. საბინინმა დაბეჭდა „საქართველოს სამოთხეში“).

ანჩა. თამარ მეფის ბრძანებით, სახელგანთქმულმა ჰიმნოგრაფმა იოანე ანჩელმა ბექა ოპიზარს მოაჭედვინა ანჩის ცნობილი ხატი, რომელსაც თვითონვე უძღვნა „ვალობანი ანჩის ხატისანი“.

არანაკლებ საინტერესოა ტაოს მხარეში მდებარე სავანეთა ლიტერატურული ისტორია. რა თქმა უნდა, აქაც იგივე ცხოვრებაა, აქაური წმიდა მამებიც იმავე მიზნებისთვის იღვწიან, იმავე საქმეს ემსახურებიან, რასაც კლარჯელი მოღვაწენი.

ოშკი. გრიგოლ ოშკელი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს თარგმნის და ამ თარგმანებს იყენებს თავის სამეცნიერო შრომებში ეფრემ მცირე; სტეფანე დეკანოზი 977 წელს ამთავრებს ცნობილი წიგნის „სამოთხის“ გადაწერას, რომელშიც შედის იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვათა სწავლანი. წიგნის დამკვეთები არიან ათონელი მოღვაწეები იოანე თორნიკ-ყოფილი და იოანე ვარაზვაჩე; ერთი წლის შემდეგ სრულდება ოშკის ბიბლიის გადაწერა (სხვათა შორის, ეს არის უძველესი თარიღიანი ქართული ბიბლია); დაახლოებით ამავე ხანებში გადამწერი იოანე ჩირა ამზადებს ორ წიგნს. – იოანე ოქროპირის ცხოვრებას და კოზმანის „აღმოყვანებისათვის ნაწილთა წმიდისა იოვანე ოქროპირისათა“.

შემთხვევით არ არის, რომ ყველა ეს ხელნაწერი ათონზე გაიგზავნა. ქართული მწიგნობრობა ტაო-კლარჯეთის გავლით მსოფლიო ლიტერატურულ გარემოს უკავშირდება. ტრადიციული კავშირების დამყარება საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებთან – აი, ტაო-კლარჯეთის კულტურული არეალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა. ოშკელი მოღვაწე უნდა ყოფილიყო მიქაელ მოდრეკილი, პოეტი-ჰიმნოგრაფი, ავტორი ქართული პოეზიის ანთოლოგიისა (978–988 წწ), რომელშიც შედის იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, ეზრას, კურდანაჲსა და სხვა დიდებულ პოეტთა ჰიმნები.

იშხანი. საბა იშხნელმა თარგმნა იპოლიტე რომაელის თხზულების „დავითისათვის და გოლიათისათვის“ ერთი ეპიზოდი, რომელსაც გიორგი მერჩულე იყენებს თავის თხზულებაში; ილარიონ იშხნელის დაკვეთით არის გადაწერილი ასკეტური ხასიათის თხზულება (რომელიც ნიქოზის ეკლესიაში აღმოაჩინეს) და ეგრეთ წოდებული მესტიის სახარება (1033 წ.). იშხანში არის გადაწერილი 1233 წლის ძვირფასი ხელნაწერი, რომელშიც შესულია აბუსერისძე ტბელისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა შრომები.

ხახული. ხახულის ლიტერატურულ სკოლაში აღიზარდა გიორგი მთაწმიდელი. იოანე ხახულელმა (X-XI სკ.) გადაწერა ორი ხელნაწერი: თებერვლის თვენი და კირილე ალექსანდრიელის სწავლანი;

პარხალი. მე-11 საუკუნის მოღვაწემ გაბრიელ პატარაიმ გადაწერა ოთხთავი, წმიდა მამათა საკითხავები და ცნობილი მრავალთავი. ამ კრებულში შედის ისეთი თხზულებები, როგორებიცაა იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელის და იოანე ბოლნელის სწავლებანი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ და იოანე საბანისძის „აბოს წამება“.

ბანა. მწიგნობარი და სახელმწიფო მოღვაწე ზაქარია ბანელი კონსტანტინოპოლში დასახლდა და დიდი ღვაწლი დასდო ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. ბანაშია დამზადებული წიგნი – საბაწმიდის ტიპიკონი.

სწორედ ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო ცხოვრების ისტორიის მიმოხილვისას წერდა პავლე ინგოროყვა: „ჩვენ ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ძველი ქართული ლიტერატურა არის მაღალი რანგის ლიტერატურა, რომელიც, ამავე ხანის ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურასთან ერთად, დგას საშუალო საუკუნეების ევროპული მსოფლიოს ლიტერატურათა რიგში". (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 552).

ტაო-კლარჯეთში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მიუხედავად, აქაური მოღვაწენი მაინც ახერხებენ სულიერების აღორძინებას და ინტელექტუალურ-შემოქმედებითი, ტრადიციების დამკვიდრებას.

შემოქმედებითი ენერგიის ბორგვა ვულკანურ ამოფრქვევას იწყებს სულიერი ფასეულობების შესაქმნელად (რ. ბარამიძე, ქართული პროზის საკითხები, 1996. გვ. 92).

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ეს ყველაფერი ერთ პიროვნებას – გრიგოლ ხანძთელს უკავშირდება. საერთოდ, ისტორიას სჩვევია პიროვნების გაიდეალება და იდეალების გაპიროვნება ნიშნეულ მოღვაწეებში, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოვლენასთან, როცა პიროვნება ქმნის ისტორიას და არა პირიქით.

„გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით ტაო-კლარჯეთი იქცა სრულიად საქართველოს რელიგიურ და კულტურულ ცენტრად. შემთხვევითი როდია, რომ ეს მხარე შემდგომ განავითარეს დიდმა ათონელებმა, რომელთაც „განანათლეს ენაჲ და ქუეყანაჲ ქართველთა" (რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, 987 წ. გვ.141).

ივანე ამირხანაშვილი



იშხანი
მცირე ეკლესიის სამრეკლოს
მორთულობა

ხახული. საკურთხევლის მოხატულობა

ოშკი. მოხატულობის ფრაგმენტი

ტაო-კლარჯეთის მხატვრობა

შუა საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის მხარეში, განსაკუთრებით IX-XIII საუკუნეებში, წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ დაწყებულმა არნახული მასშტაბის სამონასტრო მშენებლობამ და სავანეების დაარსებამ ხელოვნების ყველა დარგის აყვავება გამოიწვია. ეკლესია-მონასტრების ხუროთმოძღვრებასა და ქანდაკებასთან ერთად აქტიურად ვითარდება მხატვრობაც.

X-XIII ს-ში ტაო-კლარჯეთში შეიქმნა და განვითარდა ფერწერული სკოლა, რომელიც, თუმც კი იზიარებს ზოგადად შუა საუკუნეების ქართული მხატვრობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაინც მკაფიოდ გამოხატული თავისებური სახით გამოირჩევა.

მისი თავისებურება ბევრწილად განაპირობა ამ რეგიონის სიახლოვემ ბიზანტიასთან, როგორც ტერიტორიულად, ასევე პოლიტიკურადაც. სწორედ ამ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს რეგიონი ფაქტობრივად ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი ხდება, რომლიდანაც ბაგრატიონთა საგვარეულოს თაოსნობით მოდის ქართული სახელმწიფოს გაერთიანების მძლავრი ტენდენცია. ეს მხარე კულტურული თვალსაზრისითაც წამყვანი გახდა X-XI სს-ში და ბევრწილად განაპირობა საქართველოს სხვა რეგიონების ხელოვნების განვითარება; უდიდესი გავლენა იქონია როგორც ხუროთმოძღვრების, ასევე მხატვრობის ფორმებსა და სტილზე. ტაო-კლარჯეთის კედლის მხატვრობის ნიმუშები ამჟამად საკმაოდ ფრაგმენტული სახით არის შემორჩენილი, მაგრამ ეს მცირედი ნაშთებიც კი გვარწმუნებს ამ ფერწერული სკოლის უაღრესად მაღალ მხატვრულ დონეში.

ტაო-კლარჯეთის ფერწერული სკოლის ჩამოყალიბება-განვითარება X-XIII საუკუნეებს მოიცავს. იგი ჩვენს დრომდე მოღწეული რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლით არის წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერთათვის ეს რეგიონი დიდი ხნის მანძილზე მიუწვდომელი იყო. ექვთიმე თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციის შემდეგ იქ მხოლოდ XX ს-ის 90-იან წლებში ჩატარდა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი კვლევითი ექსპედიცია, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო.

ტაო-კლარჯეთის მხატვრობის შესწავლაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ექვ. თაყაიშვილის ექსპედიციის მასალები და მისი დასკვნები, ფრანგი მეცნიერის ნ. ტიერის გამოკვლევები, განსაკუთრებით კი ე. პრივალოვას სტატიები და მისივე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებული ვრცელი გამოკვლევა. გარდა ამისა, ამ მხატვრობის შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანეს თ. ვირსალაძემ, შ. ამირანაშვილმა, ე. ჯობაძემ, ნ. ალექსიძემ, ზ. სხირტლაძემ და სხვა ქართველმა მეცნიერებმა.

ტაო-კლარჯეთის ტაძართა მოხატულობების უმეტესობამ ჩვენს დრომდე საკმაოდ ნაკლული სახით მოაღწია და დღეს მათ შესახებ უფრო სრული წარმოდგენის შექმნისათვის ძველი აღწერებისა და ჩვენი უცხოელი კოლეგების მონაცემების გამოყენება გვიხდება.

როგორც თვით ტაძრები, ასევე მათი შემამკობელი მოხატულობები ამჟამად საკმაოდ დაზიანებულია, მათ არ ჩატარებიათ რესტავრაცია, შემორჩენილი გამოსახულებებიც ძალიან ნაკლულია, თუნდაც 1917 წლის ექსპედიციის მონაცემებთან შედარებით.

მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ზოგი ფერწერული ანსამბლის დათარიღების თაობაზე. დასაზუსტებელია ცალკეულ გამოსახულებათა იდენტიფიკაცია, რაც ხანგრძლივ და სისტემურ კვლევით მუშაობას მოითხოვს ხარაჩოებისა და ხელოვნური განათების გამოყენებით. გარდა ამისა, ჩასატარებელია სათანადო ტექნიკური კვლევა. მაგრამ მიუხედავად ამ „ნაკლული" სახისა, ტაო-კლარჯეთის ფერწერული ანსამბლები დღესაც ანცვიფრებს მნახველს დიდებულებითა და სრულყოფილებით და ტაო-კლარჯელი ოსტატების ძალიან მაღალი დონის შემოქმედებით მოღვაწეობას მოწმობს.

საქართველოს ამ უძველესი რეგიონის ტრაგიკული ისტორია მრავალი ძეგლის განადგურების მიზეზი გახდა და ამჟამად ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილიღა შემოგვრჩა იმ მოხატულობე-

ბისა, რომლებიც ერთ დროს ტაო-კლარჯეთის დიდებულ ეკლესიებს ამკობდა.

დღესდღეობით მოხატულობები შემორჩენილია ოთხთა ეკლესიაში (X ს-ის მიწურული), ხახულში (XI ს-ის მიჯნა), ოშკში (X-XI სს.), იშხანში (XI-XII სს.), ტბეთში (XI ს.), ვაჩეძორში (XIII ს.), დოლისყანაში (XI-XII; XIII სს.), ოპიზაში (XII-XIII სს.), პარხალში (X ს-ის მიწურული). ტაო-კლარჯულ ფერწერულ სკოლას მიაკუთვნებენ კუმურდოსა და მანგლისის ტაძართა (XI ს-ის დასაწყისი) კედლის მხატვრობის ფრაგმენტებსაც. ამ რეგიონს გარკვეულად უკავშირდება სამცხის ხელოვნებაც, თუმცა საფარის, ზარზმის, ჭულეს ამჟამად არსებული მოხატულობები უფრო გვიანი, XIV ს-ის ხანისაა და მხატვრული თვალსაზრისით ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლისადმი მათი მიკუთვნება ან დაკავშირება ძნელია. იგივე ვარძიის გამოქვაბული ეკლესიის XII ს-ის მოხატულობა საქართველოს ცენტრალური რეგიონების სამეფისკარო მხატვრობას უფრო უკავშირდება.

ტაო-კლარჯეთის მოხატულობებს, რაგინდ განსხვავებულ ოსტატთა ხელწერას უნდა ავლენდნენ, ძალიან ბევრი საერთო ნიშანი აქვთ. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს, რა თქმა უნდა, საკურთხევლისა და გუმბათის მოხატულობათა პროგრამის მსგავსი ლაიტმოტივები: მაცხოვარი – თეოფანიური დიდება – ზეციურ ძალთა გარემოცვაში გამოსახული, აღსაყდრებული, დიდებით მოსილი უფალი ძალთა (ოთხთა ეკლესია, ხახული, ოშკი, იშხანი, ტბეთი); დოლისყანასა და ოპიზის გუმბათში ბიზანტიური ტრადიციის შესაბამისად, „მაცხოვრის ამაღლება". საკურთხევლის ქვედა რეგისტრებში – მოციქულთა და ეკლესიის მამების ფიგურათა რიგები, ღმრთისმშობლის აუცილებელი ფიგურით ცენტრში ან ანგელოზებს შორის („ამაღლების" მინიშნება), ან წმიდა იოანე ნათლისმცემლის ფიგურით მის გვერდით („ვედრების" მინიშნება).

გუმბათების პროგრამაში, ბიზანტიისგან განსხვავებით, უმეტეს ტაძრებში ჯვრის გამოცხადების თემა იყო წამყვანი. ზოგან „ჯვარი ძლევისა" (ხახული), ზოგან „ჯვრის ამაღლება" (იშხანი). გარდა ამისა, ტაო-კლარჯეთის ფერწერული სკოლისათვის დამახასიათებელ საგანგებო ნიშნად გვევლინება გუმბათის მოხატულობის კომპოზიციაში ძველი აღთქმისეული თეოფანიური მოტივების ჩართვა („ზაქარიას ხილვა" იშხანში, „ელიას ამაღლება" ხახულში), ასტრალური პერსონიფიკაციები (მზისა და მთვარის გამოსახულებები ხახულსა და იშხანში), რომელთა გამოძახილს მანგლისის გუმბათშიც ვხვდებით. გუმბათის ყელში, სარკმლებს შორის, როგორც წესი, წინასწარმეტყველთა ფიგურებია, უმეტესად გაშლილი გრაგნილებით ხელში. იშხანში მათ მთავარანგელოზთა და მოწამეთა ნახევარფიგურები ემატება.

გუმბათში ჯვრის დიდების თემის გამოსახვას ესოდენი ერთგულებით იერუსალიმური ტრადიციის მიმდევრობით ხსნიან ხოლმე, თუმცა, ამასთან ერთად, როგორც ეს ა. ოქროპირიძემ დაასაბუთა, თვით ქართული რეალობა, ქრისტიანობის საქართველოში დაფუძნებაგავრცელების ისტორია არის ამის კიდევ ერთი (შესაძლოა, მთავარი) ბიძგი, კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲში" მოთხრობილი ძლევის ჯვარის გამოჩინება ცის კაბადონზე მცხეთის თავზე. გასაკვირი არ არის, რომ სახელმწიფოებრივი ერთიანობისაკენ, ბიზანტიისგან პოლიტიკურად და ეკლესიურ-ადმინისტრაციულად დამოუკიდებლობისკენ მსწრაფ ქართველობას, მეფეებსა და საეკლესიო მოღვაწეებს, სწორედ თავისი ქვეყნის, თავისი ეკლესიის ისტორიაში დადასტურებული სასწაულების ასახვა თუ მინიშნება სურდათ.

იშვიათ იკონოგრაფიულ სახეს წარმოადგენს „სიონის" პერსონიფიკაცია ოთხთა ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის თაღში და მასთან მოსესა და მელქისედეკის ფიგურების დაკავშირება. სავარაუდოდ, ასევე სიონის პერსონიფიკაციას წარმოადგენს იშხნის ტაძრის სარკმელში გამოსახული გვირგვინოსანი ქალი ეკლესიის მოდელით ხელში.

ისევე, როგორც ტაო-კლარჯული ტაძრების შემამკობელ ქვის რელიეფებზე, კედლის მხატვრობაშიც გარკვეული ადგილი ეთმობოდა საერო პირთა – ტაძართა აღმშენებლებისა და ქტიტორების გამოსახულებებს. ამჟამად საკმაოდ ცოტა შემორჩა – მაგალითად, ჯოჯიკ პატრიკიოსი ოშკში, დედოფალი ნანა იშხანში: ექვთიმე თაყაიშვილის დროს ჯერ კიდევ გაირჩეოდა ბაგრატიონთა პორტრეტები იშხნის დასავლეთ მკლავში: ადარნასე კურაპალატი,

ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე, ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, ძე ადარნასე კურაპალატისა. შესაძლოა, დავით კურაპალატიც იყო გამოსახული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ოშკის ტაძრის სამხრეთ მკლავში შემონახული ფრაგმენტი ისტორიული შინაარსის სცენისა, რომელიც ბანას ტაძრის გამოსახულების ფონზე იშლება (ტაძრის სახელი წარწერაში არის მითითებული). სავარაუდოდ აქ ბაგრატ IV-ის და ბიზანტიელი უფლისწულის, ელენეს ქორწილი არის გამოსახული.

უმეტეს ტაძრებში კედელ-კამარებზე გამოსახული იყო საუფლო დღესასწაულთა გამოსახულებები და ახალი აღთქმის სხვა სიუჟეტები, ისეთი იშვიათი გამოსახულებების ჩათვლით, როგორიცაა, მაგალითად, იშხანში „ეგვიპტედ ლტოლვა", „მოციქულებისადმი მაცხოვრის აღდგომის ხარება" და სხვა. ოთხთა ეკლესიაში ქრისტოლოგიური ციკლის სცენები თვით საკურთხეველში არის გამოსახული. ვაჩეძორის ეკლესიის ეგვტერში წმიდა გიორგის ცხოვრების სცენები იყო გამოსახული. დოლისყანაში „განკითხვის დღის" ფრაგმენტებია შემონახული.

ტაო-კლარჯეთის ფერწერული სკოლა გამორჩეულია არა მხოლოდ მოხატულობათა თეოლოგიური პროგრამების თავისებურებით, არამედ მათი მხატვრული გადაწყვეტის განსაკუთრებული მაღალი დონით. გრანდიოზულობა და დიდებულება, რაც ესოდენი ძალით აისახა საქართველოს ამ მხარის ხუროთმოძღვრებაში, ასევე კედლის მხატვრობის ერთი გამორჩეული ნიშანია. დღევანდელი შელახულ-ფრაგმენტირებული სახითაც კი, ტაო-კლარჯეთის მოხატულობანი სწორედ ამ განცდას ბადებენ. მოხატულობებს პლასტიკური, დენადი ნახატი და დახვეწილი, მდიდარი ფერადოვნება ახასიათებთ, რომელშიც ჭარბობს ლურჯი, მწვანე, ოქროსფერი, წითელი და თეთრი ფერები. ასევე დამახასიათებელი ნიშანია ფიგურათა დაგრძელებული პროპორციები, ფორმათა სინატიფე, სამოსლის ნაკეცების ნახატის ხშირი ხაზების გრაფიკული დახვეწილობა; პოზების წარდგენითობა, დიდებულება.

კიდევ ერთ განსაკუთრებულ ნიშნად უნდა დასახელდეს ორნამენტული მოტივების ხასიათი და მათი ადგილი მოხატულობის საერთო ანსამბლში. განსაკუთრებული ძალით ელინისტური ტრადიციები სწორედ ამ ელემენტებში გამოვლინდა: სიუხვის რქის მრავალრიცხოვანი ვარიაციები, საქართველოში არნახული მრავალფეროვნებითა და მოტივების სიუხვით, თანაც დიდ სიბრტყეებზე მოცემული, ძნელად თუ რამეს შედარდება (ოთხთა ეკლესია, ხახული, იშხანი).

ტაო-კლარჯულ ფერწერაში არის შეხამება თითქოს შეუხამებელი მოვლენებისა – მოცულობითობა და ხაზობრიობა; ორნამენტაციის სიუხვე, ცხოველხატულობა, ფერწერულობა, „ძარღვიანობა" და ფიგურათა ნახატის სიმკაცრე, სწორხაზოვნება, სისადავე.

თითქმის უკლებლივ ყველა მოხატულობაში ქართული წარწერებია, თანაც ეტყობა, რომ ტექსტები ქართულენოვანი ნაწარმოებებიდანაა ამოწერილი.

ზოგჯერ ცდილობენ პირდაპირი გავლენები მოიძიონ მცირეაზიულ, ბიზანტიურ, სომხურ ნიმუშებთან. მაგრამ, როგორც ირკვევა, მხოლოდ ცალკეული ელემენტების მსგავსებაზე თუ შეიძლება ლაპარაკი, კონცეპტუალურად კი ამ ფერწერული ანსამბლების შედარება ძნელად თუ რამესთან შეიძლება. გაუმართლებელია ამ ნაწარმოებების დაკავშირება, მაგ., სომხურ ხელოვნებასთან, ან, მით უმეტეს, მისდამი მიკუთვნება. ცალკეული მსგავსებები, მაგ., ახტამარისა თუ კირანცის მოხატულობებთან ანდა სომხურ ხელნაწერთა დასურათებასთან, უფრო საერთო ნიმუშების გამოყენების შედეგია და საერთოდ, აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების განვითარების საერთო ტენდენციების ამსახველი. ის კი არა, პარალელურად ყველაზე ხშირად მოტანილი ტოკალის ახალი ეკლესიის კაბადოკიური მოხატულობა ძალიან შორეულ მსგავსებას ავლენს. ცალკეული მოტივების გარდა, სუფთა სახით ვერც ბიზანტიურ მხატვრობაში გამეფებულ „მაკედონურ რენესანსს" ვპოულობთ აქ. ისე კი, სრულიად ბუნებრივია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოვნება მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა იქვე ახლოს არსებულ სომხეთის, ბიზანტიის, კაბადოკიის ხელოვნებასთან და ადვილად იღებდა და სარგებლობდა ცალკეული ელემენტებით, მოტივებით. თანაც მხატვრული გავლენა უთუოდ

ორმხრივი იქნებოდა. ის, რასაც ჩვენ ეროვნულ ნიშნებს ვუწოდებთ ხელოვნებაში, სიტყვიერი დახასიათებისათვის მოუხელთებელ მხატვრულ გემოვნებაში ვლინდება, რომელიც მხატვრისათვისაც მხოლოდ ქვეცნობიერის დონეზე არსებობს.

გაცილებით მეტი საერთო მოეძებნება ტაო-კლარჯეთის ფერწერულ ანსამბლებს საქართველოს სხვა რეგიონების მხატვრობასთან. თუმცა ეს გრანდიოზული მასშტაბი, ეს გაქანება, ეს წარმოუდგენელი დიდებულება აქაც არ არის. მაგრამ როგორ ჰგავს ოშკის სამხრეთ აფსიდის მოხატულობა სვანეთში მეფის მხატვარ თევდორეს შემოქმედებას, ანდა იმავე ოშკის პასტოფორიუმის უფლის დიდების კომპოზიცია გარეჯის საბერეების ერთ-ერთ მოხატულობას; ანდა ტბეთის საკურთხევლის პროგრამა სვანეთისავე საკურთხევლის პროგრამებს; დოლისყანის მოციქულთა რიგი — ატენისას. თუმცა, X ს-ისა და XI ს-ის დასაწყისის სხვა ქართული რეგიონების მხატვრობაში ვერ ვნახავთ ისეთ პლასტიკურობას, ხაზთა სიუხვეს, სინატიფეს, კოლორიტის სიმდიდრეს, რაც, მაგალითად, იშხანშია.

ტაო-კლარჯული მხატვრობის განვითარებაში აისახა იგივე ძირითადი ტენდენცია, რაც ქართული ქანდაკების განვითარებაშია გამოვლენილი: X ს-ში ბლოკისებრი ფორმები და პლასტიკური, სწორხაზოვანი ნახატი შემდგომ, XI ს-ის დასაწყისისთვის იცვლება მეტი პლასტიკურობით, მოქნილი, დენადი ხაზებით, რბილი მოდელირებით, სიმსუბუქითა და სინატიფით, რაც, თავისთავად, ქართული ხელოვნების ერთიანობასა და ჰომოგენურობას მოწმობს.

ტაო-კლარჯეთის ფერწერულ სკოლაზე საუბრისას არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ხელნაწერთა დასურათების ხელოვნება. საქართველოს ამ რეგიონის სულიერი ცხოვრების მაღალ დონეს აქაური მონასტრების ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობაც მოწმობს. სწორედ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკრიპტორიუმებში გადაიწერა, ითარგმნა და შეიქმნა შუა საუკუნეების ქართული სასულიერო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები, მათ შორის, დასურათებულიც. უნდა ითქვას, რომ ხელნაწერი წიგნი, მაშინაც კი, როცა ფიგურატიულ გამოსახულებებს არ შეიცავს, თავად წარმოადგენს მხატვრულ მთლიანობას, რომელსაც განსაზღვრავს ტექსტის წერის მანერა, ასოების ფორმა, ტექსტის განლაგება ფურცელზე, მელნის ფერი, საზედაო ასოების თავსართების გაფორმება, ტექსტში ჩართული, სხვა ფერით — სინგურით — გამოყოფილი ადგილები და სხვა. ამ მხრივ ტაო-კლარჯული სკოლა მართლაც გამორჩეულია, დახვეწილი, მაღალი გემოვნების მაჩვენებელი.

მაგრამ შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ისტორიისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ფიგურატიული მინიატურებით შემკული ხელნაწერები. შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათების საუკეთესო ნიმუშთა დიდი ნაწილი სწორედ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკრიპტორიუმებშია შექმნილი. საკმარისია დავასახელოთ, თუნდაც, ადიშის ოთხთავი (897 წ.), ჯრუჭის I ოთხთავი (940 წ.), მესტიის ოთხთავი (1030 წ.), ბერთას ოთხთავი (988 წ.), წყაროსთავის ოთხთავი (X-XI სს-ის მიჯნა) და სხვა. ეს ხელნაწერები გამოირჩევა როგორც მინიატურების შესრულების მაღალი დონით, ასევე ტექსტის დამწერლობის კალიგრაფიული დახვეწილობით.

ტაო-კლარჯეთის მონასტრებში შექმნილი ხელნაწერების მხატვრული გაფორმება ფაქტობრივად საფუძველს უქმნის შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების ძირითად პრინციპებს. სწორედ აქ შექმნილ ხელნაწერებში ვხვდებით პირველად „კანონთა“ (კამარათა) ნიმუშებს, საგანგებოდ შემკულ საზედაო ასოებს, ოლეებზე გამოტანილ გამოსახულებებს, ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს შორის ჩართულ თავსართებს. ეს ხელნაწერები თვით ტექსტის, შრიფტის მხატვრული გააზრების ძალიან მაღალი დონითა და დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა და საფუძველს უქმნის შემდგომ განვითარებას XII-XIII ს-ში. ისევე, როგორც კედლის მხატვრობაში, აქაც მკაფიოდ ჩანს ტენდენცია მონუმენტური გადაწყვეტისაკენ, დიდებულებისა და ზეიმურობისკენ, რაც, ამავე დროს, დახვეწილობასა და სინატიფესთან არის შერწყმული.

უდავოა, რომ ტაო-კლარჯულ მონასტრებში სკრიპტორიუმებთან ერთად ხატწერის სახელოსნოებიც არსებობდა. ქართული ჭე-

დური ხელოვნების მრავალი ნიმუშის წარმომავლობა სწორედ ამ რეგიონს უკავშირდება, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე შემორჩენილი ქართული ფერწერული ხატებიდან არც ერთის შესახებ არ გაგვაჩნია დადასტურებული ცნობები მათი ტაო-კლარჯული წარმომავლობის შესახებ.

ტაო-კლარჯეთის ფერწერული სკოლის ბრწყინვალე ნაწარმოებები ჯერ კიდევ ბევრ კითხვას აყენებს მკვლევართა წინაშე. ჩვენი ერის სულიერი კულტურის ეს შესანიშნავი ნიმუშები სათანადო კონსერვაცია-რესტავრაციას და მოვლა-პატრონობას ითხოვენ. აუცილებელია მათი მაღალ აკადემიურ დონეზე გამოცემა სხვადასხვა ენაზე, შესაბამისი გრაფიკული და ფოტომასალის თანხლებით, რათა დამსახურებული ადგილი დაიკავონ მსოფლიო კულტურის ისტორიაში და თანაც მკაფიოდ და აუცილებლად დადგინდეს მათი განუყოფელი ერთობა შუასაუკუნეების ქართული მხატვრობის მდიდარ მემკვიდრეობასთან.

მარიამ დიდებულიძე
ხელოვნებისმცოდნე

ოშკი. წმიდა ნინოს რელიეფი (ესტამპაჟი)

ოშკი. წმიდა თეკლეს გამოსახულება სამხრეთის მკლავის მეორე სარკმელში (ფრესკა)

პატრიარქის ტიტული X ს-ის პარხლის წარწერაში

ძველი ქართული მონასტერი პარხალი მდებარეობს ისტორიულ ტაოში (ამჟამად თურქეთში), მდ. პარხლისწყლის ხეობაში, რომელიც თანამედროვე თურქულ ქალაქ იუსეფელისთან მდ. ჭოროხს უერთდება და მისი მეშვეობით შავ ზღვაში ჩაედინება. დღეს სოფელს, სადაც პარხლის მონასტერია, ალთიფარმაქი ეწოდება. ძველი მონასტრიდან შემორჩენილია მთავარი ტაძარი – დიდი ზომის (28,4X18,3 მ)სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც კარგადაა დაცული და მასში ამჟამად მეჩეთია მოწყობილი. პარხლის ტაძრის აგების დრო ხელოვნებათმცოდნეთა მიერ 961-973 წწ. განსაზღვრული. იგი ოთხთა ეკლესიასთან ერთად, X ს-ის ქართული სამნავიანი ბაზილიკების ჯგუფს განეკუთვნება და ერთ-ერთი ბრწყინვალე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლია.

პარხლის მონასტერი ძველი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. მასთან დაკავშირებულია ან აქ გადაიწერა მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან სამი განსაკუთრებით აღსანიშნავია: პარხლის I ოთხთავი, გადაწერილი 973 წელს (ხელნაწერთა ინ-ტი, A-1453), პარხლის მრავალთავი X-XI სს. მიჯნისა (იქვე, A-95) და პარხლის II ოთხთავი X-XI სს-ისა (იქვე, S-4927).

გარდა აქ დასახელებული უმნიშვნელოვანესი ძველი ქართული ხელნაწერი წიგნებისა, საკუთრივ პარხლის ტაძართან დაკავშირებულია ასევე მეტად მნიშვნელოვანი ძველი ქართული წარწერები, როგორც ქვაზე ამოკვეთილები ან რელიეფურად გამოყვანილები, ისე კედლებზე საღებავით მიწერილები, რომელთაგან, ექვ. თაყაიშვილის აღნიშვნით, დროთა განმავლობაში ბევრი დაიკარგა, მაგრამ ბევრმა ჩვენ დრომდეც მოაღწია. მათ შორის ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია ტაძრის სამხრეთ ფასადის შუა ნავზე, წითელი საღებავით, მსხვილი ფუნჯით მიწერილი წარწერები, რომლებიც, მიუხედავად მათი მეტად მაღლა მდებარეობისა, ქვემოდანაც თავისუფლად იკითხება. წარწერები შესრულებულია სწორი, ვერტიკალური ნუსხა-ხუცური დამწერლობით, რომელშიც მხედრულისაკენ გარდამავალი მოხაზულობის ასოებია შესული (ანი, ზოგან თანი და სხვა).

დროთა განმავლობაში წარწერები გადარეცხილა ან საღებავი მზისგან გახუნებულა, მაგრამ ერთი ვრცელი წარწერა, ჩაწერილი ფასადის კამარნარის მე-6 და მე-7 თაღებს შორის, მთლიანად შემორჩენილია და თავისუფლად იკითხება.

წარწერის ტექსტი ასეთია:

„† სახ(ელი)თა ღ(მრთ)ის(ა)ჲთა, მე-(ო)ხებითა წ(მიდ)ისა ღ(მრთი)სმშობ-ლისაჲთა, წ(მიდ)ისა იოვ(ა)ნე ნათლ(ი)ს-მცემელისაჲთა, ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ, ქ(რისტ)ეს მიერ ქ(ართლისა) და ყ(ოვ)-ლისა აღმ(ო)სავლ(ე)თისა პ(ა)ტრ(ი)აქსა იოვანეს პარხალს ეკლ(ე)სი(ა)სა ზ(ედ)ა ჩასდ(უ)დარ(ა)ჲ კ(უ)რ(აპალა)ტსა აეშე-ნა, აღარავ(ი)ს ეკ(აზ)მა და მ(ა)ნ შე-კ(ა)ზმა, ჰგი(ან)-მცა დ(იდე)ბ(ა)ჲ მისი უკ(უნისამდ)ე. წ(ინამძღურის)ა გ(იორგ)ი ღ(ა)ღ(უე)ლისა ს(ულს)ა შ(ე)ეწ(ი)ნ ღ(მერთმა)ნ, ამენ, ა(მე)ნ. ი(ოვა)ნე წ(ი)-ნ(ა)მძღ(უა)რი (sic)“.

როგორც ვხედავთ წარწერა „ხელმოწერილია“ – მისი შემდგენელი და შესაძლებელია შემსრულებელიც ყოფილა იოანე წინამძღვარი, ცხადია, პარხლის მონასტრისა. ტექსტის ბოლოს იგი ასახელებს კიდევ ერთ წინამძღვარს – გიორგი ღაღუელს, რომელიც წარწერის შესრულების დროისათვის გარდაცვლილი ყოფილა, რადგან ტექსტში მისი სულის შეწყალებაზეა აღნიშნული. გიორგი ღაღუელი იოვანე წინამძღვრის წინამორბედად უნდა ვიგულისხმოთ, რომლის დროსაც შენდებოდა, ალბათ, ტაძარი კურაპალატის მიერ და „ჩასდუდარა“ უკაზმავი დარჩა, როგორც წარწერაშია აღნიშნული. მართალია, ექვ. თაყაიშვილი გიორგი წინამძღვარს იოვანე წინამძღვრის თანამოღვაწედ მიიჩნევს, რადგან „საქართველოში მონასტრებს ზოგჯერ ორ-ორი წინამძღვარი ჰყავდათ ხოლმე და ორიდან



იმხანი. საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



იმხანი. წარწერა წინასწარმეტყველთა გრაგნილზე გუმბათის ყელში

ერთი მთავარ წინამძღვრად ითვლებოდა"-ო, მაგრამ გიორგის გარდაცვლილად მოხსენიება მის იოვანესთან თანამოღვაწეობას გამორიცხავს, ყოველ შემთხვევაში წარწერის შესრულების დროისათვის.

იმთავითვე ყურადღება მიუქცევია ტექსტის მთავარ სიტყვას „ჩასდუდარაჲ", რომლის შეკაზმვის შესახებაა წარწერაში მოთხრობილი. ექვ. თაყაიშვილს მოჰყავს ნ. მარის განმარტება ამ სიტყვისა, რომელიც მისი გადმოცემით ასეთია: „ჩას-დუდ-არა" ნიშნავს, ერთსა და იმავე დროს, თაღს, კამარას და შემდეგ კამარათა მთელ ჯგუფს, ე. ი, კამარნარს, ანუ არკატურას". მართლაც, წარწერის რუსულად გამომცემლები ტექსტის ამ ადგილს თარგმნიან, როგორც „верхняя аркатура"-ს. თვითონ სიტყვა მიჩნეულია ჭანურ-მეგრული წარმომავლობისად. ბოლო დროს ეჭვი გამოითქვა ამ სიტყვის ნ. მარისეული ეტიმოლოგიის მართებულობის შესახებ – „ნ. მარის ეტიმოლოგიის გაზიარება შეუძლებელია... ტერმინი ჩასდუდარაჲ ახსნას მოითხოვს" (კ. დანელია, ზ. სარჯველაძე).

შეიძლება ამ სიტყვის ეტიმოლოგია გაურკვეველია, მაგრამ სემანტიკურად იგი რომ თაღნარს აღნიშნავს, ეს ფაქტობრივი მონაცემებით მტკიცდება – სამხრეთი ფასადის შუა ნავი თერთმეტი სადა თაღითაა დაყოფილი; მათში მოთავსებული იყო სხვადასხვა პირთა წარწერები, რომლებიც ახლდა კედლის გასამშვენებლად მათ მიერ ან მათი ხარჯით შესრულებულ სხვადასხვა გამოსახულებებს: მარაოები, წრეები, მზის დისკო, საწინამძღრო ჯვარი და სხვა. ამდენად, კედლის კამარნარი მორთულია არა ჩუქურთმებით, როგორც ეს იყო ჩვეულებრივ მიღებული და გავრცელებული და რომელიც ტაძრის მაშენებელ კურაპალატს ვერ შეუსრულებია („არა ეკაზმა"), არამედ პოლიქრომული გაფერადებით, რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული ტაოკლარჯეთის X ს-ის ტაძრებში – ოშკში, ოთხთა ეკლესიაში, ხახულში, დოლისყანაში და სხვაგან, ხოლო ამ შემთხვევაში პარხალშიც.

წარწერაში დასახელებულია ორი ისტორიული პირი – კურაპალატი სახელის გარეშე და იოვანე ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი. კურაპალატი, რომელიც ტექსტში ტაძრის მაშენებლადაა დასახელებული („პარხლის ეკლესიასა ზედა ჩასდუდარაჲ კურაპალატსა აეშენა"), ცნობილი დავით კურაპალატია. მან საფუძველი დაუდო ფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას და იგი ქართული წყაროების ცნობით 1001, ხოლო სომხური წყაროებით 1000 წელს გარდაიცვალა. პარხლის ტაძრის მშენებლობას ადგილი ჰქონია 961–973 წლებში და იგი მთლიანად დავით კურაპალატის სახელთანაა დაკავშირებული. ეს თვალსაზრისი, ექვ. თაყაიშვილიდან მოყოლებული, ყველა მკვლევრის მიერ საყოველთაოდ გაზიარებულია.

რაც შეეხება იოვანე ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქს, ექვ. თაყაიშვილმა იგი გაცილებით გვიანდელი დროის მოღვაწედ მიიჩნია; ჩათვალა, რომ ეს უნდა იყოს კათალიკოს-პატრიარქი იოვანე VIII (1497–1507) და წარწერაც ამ დროით დაათარიღა. ექვ. თაყაიშვილის სავსებით დამსახურებული დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის გამო, სხვა თვალსაზრისი არავის გამოუთქვამს წარწერის დათარიღების შესახებ, თუმცა, ყველა გრძნობდა წინააღმდეგობას მის შინაარსსა (ტაძრის აგება X ს-ში დავით კურაპალატის მიერ) და დათარიღებას შორის. პირველად აკად. ვ. ბერიძემ აღნიშნა (1981), რომ, ვფიქრობ, წარწერა უნდა მიეკუთვნოს გაცილებით ადრეულ დროს, ვიდრე XVI ს-სო.

დღეს, როდესაც უკვე სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, მხედრული ან მხედრულისკენ მიდრეკილების ასოების შერევით, აგრეთვე, გარდამავალი, ანუ მდივანმწიგნობრული დამწერლობით შესრულებული ათეულობით წარწერაა გამოვლენილი, შესწავლილი, გამოცემული და მტკიცედ დათარიღებული, ეჭვი არაა, რომ პარხლის ტაძრის აქ განხილული წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის წერილობითი ძეგლების რიგში დგას, რაშიც პირადად დავრწმუნდი ძეგლის ადგილზე შესწავლისას 2002 წლის 5 ოქტომბერს.

წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით დავით კურაპალატის მიერ დაწყებული და დამთავრებული ტაძარი სხვას შეუმკია, რაც პირდაპირ და არაორაზროვნადაა ტექსტში აღნიშნული, იგი X ს-ის დასასრუ-

ლით, დავით კურაპალატის გარდაცვალებამდე დროით (1000, 1001) უნდა დათარიღდეს, რასაც მისი პალეოგრაფიული ნიშნები საესებით ეთანხმება.

მართლაც, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში დავით კურაპალატის დროს ცნობილია კათალიკოსი იოვანე I ოქროპირი (980–1001), რომელიც უნდა იყოს დასახელებული პარხლის წარწერაში და რომლის შესახებ სხვა წყაროებიცაა ცნობილი. კერძოდ, იგი დასახელებულია შიომღვიმის ხელნაწერში მოთავსებულ კათალიკოსთა მოსახსენებელ ნუსხაში, ასევე კათალიკოს ბასილი III (1090–1100) თხზულებაში „თხრობაჲ სასწაულისათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსი". ეს იოვანე კათალიკოსი საქართველოს ეკლესიამ შერაცხა წმიდანად, მისი ხსენების დღეა 3/16 მარტი. მაგრამ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პარხლის წარწერაში იოვანე დასახელებულია „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქის" ტიტულით. აღსანიშნავია, რომ წარწერის ტექსტში იგი ორგზისაა დიდებით მოხსენიებული, რაც რამდენადმე უჩვეულოა სასულიერო პირების მიმართ: „ადიდენ ღმერთმან" და „ჰგიან-მცა დიდება მისი უკუნისამდე". ვფიქრობ, ეს მისი ისევ და ისევ პატრიარქობით მოხსენიებასთან, „ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქის" ტიტულის ტარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

აქამდე მიღებული იყო, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელებმა პატრიარქის ტიტული XI ს-დან მიიღეს და პირველი ასეთი იყო მელქისედეკ I (1010–1033) – მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალური ტაძრის ამშენებელი და ცნობილი ისტორიული საბუთის, ე.წ. „მცხეთის დაწერილის" შემდგენელი. ეს საბუთი, როგორც ცნობილია, შეიცავს იმ ხელნაწერების, ხატების, ჯვრების, საეკლესიო სამოსელის, ეკლესიების, მონასტრების, სოფლების და სხვათა სიას, რომელიც მას სვეტიცხოველისათვის მოუპოვებია ან შეუწირავს. მელქისედეკის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღებას მისი ბიზანტიაში ხშირი მოგზაურობით, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე დიპლომატიური საქმიანობით, ბიზანტიის სამ იმპერატორთან – ბასილი III (976–1025), კონსტანტინე VIII (1025–1028) და რომანოზ III არგვიროსთან (1028-1034) ახლობლობით ხსნიან; თითქოს, კონსტანტინოპოლში ერთ-ერთი ვიზიტის დროს, აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ მიეღოს თანხმობა პატრიარქის ხარისხში აყვანის შესახებ.

ვფიქრობ, ქვეყნის საეკლესიო საჭეთმპყრობელისათვის პატრიარქის უმაღლესი ტიტულის მოპოვებას და მინიჭებას უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა და ქვეყნის საერთო პოლიტიკური განვითარებით, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დასახული მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო განპირობებული. საქართველოს ისტორიაში ასეთი იყო სწორედ დავით კურაპალატის ეპოქა, როდესაც დაისახა ქვეყნის ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების მკაფიო გეგმა და დაიწყო მისი თანმიმდევრული განხორციელება. პოლიტიკურად დამოუკიდებელ (ბიზანტიის იმპერიისაგან), ძირითადად გაერთიანებულ ქვეყანას ეკლესიური დამოუკიდებლობაც ჭირდებოდა, რაც მისი ეკლესიის საჭეთმპყრობელისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებაში უნდა გამოხატულიყო. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობდა – მრავალი (40-ზე მეტი) საეპისკოპოსო კათედრა და მონასტერი, ამ დროისათვის უკვე ორი საკათალიკოსოს – ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების არსებობა; ჯერ კიდევ V ს-იდან წმ. მირონის ხარშვის უფლების მოპოვება.

ასეთ ვითარებაში, დავით კურაპალატის დროს, მისი დროის საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, ქართლის კათალიკოს იოვანეს მიენიჭა პატრიარქის ტიტული და იგია ამ ტიტულის პირველი მატარებელი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში და ამას დოკუმენტურად ადასტურებს პარხლის ეკლესიის შესანიშნავი წარწერა X ს-ის ბოლო ოცწლეულისა.

არ არის გამორიცხული, რომ 980 წელს ქართლის კათალიკოსად ნაკურთხმა იოვანემ იმთავითვე მიიღო პატრიარქის ტიტული, რასაც იმდროისათვის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება განაპირობებდა – ორი წლით ადრე, 978 წელს, დავით კურაპალატის შვილობილი უფლისწული ბაგრატი კურაპალატის სიცოცხლეშივე დიდწილად გაერ-

თიანებული ქვეყნის მეფედ იქნა ნაკურთხი „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ტიტულით, რომელსაც მოგვიანებით შექმნილი, ასევე პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, ჯერ 1003 წელს და შემდეგში 1010 წელს, „კახთა და რანთა მეფის“ ტიტულიც დაემატა.

ატარებდა თუ არა იოვანეს მომდევნო ქართლის კათალიკოსი სვიმეონი (1001–1012) პატრიარქის ტიტულს, უცნობია, რადგან წყაროები ამის შესახებ არ შემონახულა. უფრო სავარაუდებელია, რომ ატარებდა, რადგან მომდევნო კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I (1010–1033) პატრიარქის ტიტულით ორ დოკუმენტურ წყაროში იხსენიება – ერთია მცხეთის, XI ს-ისა, რომლის XVIII ს-ის ასლით მოღწეულ შესავალ ნაწილში მას „ქართლისა კათალიკოს-პატრიარქი“ ეწოდება და მეორეა ტყობა-ერდის ტაძრის (ინგუშეთი, ჩრდ. კავკასია) წარწერა, რომელიც ამჟამად ქ. გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება; მისი ტექსტი ასეთია: „ქრისტე, ადიდე [ყოვლისა] აღმოსავლეთისა პატრიაქი მელქისედეკ, ამენ“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატრიარქის ტიტულის ტარება X ს-ის საქართველოს ეკლესიაში უცხო არ იყო და ამ საუკუნეში აქ ამ ტიტულით მხოლოდ იოვანე არაა ცნობილი. კერძოდ, ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელის ანდერძში, რომელიც დართული აქვს A-648 ხელნაწერს და რომლის მონაცემები აკად. ელ. მეტრეველის დასკვნით, X ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ვითარებას ასახავს, ზაქარიას მოძღვართა და მშობელთა შორის დასახელებულია „პატრიარქი ასათი“. იგი, ელ. მეტრეველისავე აზრით, ბანელი მღვდელმთავარი უნდა იყოს, რომელიც, როგორც ტაოს უპირველესი მღვდელმსახური, პატრიარქის რეალური შინაარსისაგან დაცლილ ტიტულს ატარებდა“. ე.ი. იგი ამ ტიტულს ფლობდა, მაგრამ მთელი ქვეყნის ეკლესიის მეთაური არ იყო. როგორც ჩანს, ტაოს მფლობელმა დავით კურაპალატმა, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა ბანას ეპარქია, მისი მმართველისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა, რაც საბოლოოდ ქართლის კათალიკოსისთვის ამ ტიტულის მინიჭებით დამთავრდა, როგორც ამას ამტკიცებს პარხლის წარწერა.

საინტერესოა, რომ წარწერის ტექსტში იოვანე იწოდება „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიაქად“, ასევე „ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიაქი“ ეწოდება მელქისედეკს ტყობა-ერდის წარწერაში; ცნობილია, რომ „აღმოსავლეთი“ და „ყოველი აღმოსავლეთი“ X-XI სს. ბიზანტიურ და ქართულ წყაროებში საქართველოს ეწოდება. მაშასადამე, იოვანეს ტიტული „ქართლისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარქს“ აღნიშნავს. ამით ხაზგასმულია, რომ საქართველოში, გარდა ქართლის საკათალიკოსისა, მეორე, აფხაზეთის საკათალიკოსოც არსებობს, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ასევე ცალკე მსჯელობის საგანია „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქის“ სტატუსის მიმართება სხვა თანადროულ მსოფლიო პატრიარქებთან. მართალია გვიანდელია, 1260 წლის ახლო დროის საბუთით დამოწმებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, ადრინდელი ტრადიციის ამსახველია კათალიკოს ნიკოლოზ III (1250-1282) ხელრთვაში წარმოდგენილი რეალობა, როდესაც იგი წერს: „ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიაქთა და უპირველეს მათსა ზეგარდამო მოსულთა უბიწოთა დედისა მისისა ჟელითა შეთელილისა კუართისა საუფლოსა მიერ სუეტის-ცხოველის მეექუსე პატრიაქი და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი ნიკოლაოზ ვამტკიცებ და წარვწერ“. მაშასადამე, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ უკვე XII ს-ში და, ალბათ, ამაზე ადრეც, თუმცა წყაროები არ შემონახულა, საქართველოს ეკლესიის მეთაური მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ მეექვსე ადგილზე აყენებდა პატრიარქის ტიტულით თავის თავს, მაგრამ ამისთვის მას გრძელი და რთული გზა უნდა გაევლო, რომელიც სათავეს X საუკუნეში იღებდა.

ვალერი სილოგავა
პროფესორი

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი

1917 წლის ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში

როცა პირველი მსოფლიო ომის დროს რუსის ჯარმა თითქმის მთელი ანატოლია დაიკავა, ჭოროხის ხეობა ზურგს უკან მოექცა რუსის ჯარს, და 1917 წელს ჩვენც საშუალება მოგვეცა, მოგვეწყო მესამე ექსპედიცია ტაო-თორთუმ-ისპირის ძეგლების შესასწავლად. ამ ექსპედიციაში, რომელიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით იყო მოწყობილი, ჩვენ მოვიწვიეთ სამოქალაქო ინჟინერი ა. კალგინი, მხატვარი დ. შევარდნაძე, მოხალისე ხუროთმოძღვარი ალპინისტი. ზდანევიჩი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი, მხატვარ-მსახიობი მიხეილ ჭიაურელი და ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი იპოლიტე. ეს უკანასკნელი საქართველოს სამღვდელოების მიერ და პირადად ლეონიდე კათალიკოსის რჩევით იყო მოწვეული. ის ჩვენთან ერთად უნდა გასცნობოდა ხახულის, ოშკისა და იშხნის მონასტერთა ნაშთებს და, თბილისს მობრუნების შემდეგ, ისევ უნდა გამგზავრებულიყო თორთუმის ხეობაში, რათა მიეღო ზომები მათ დასაცავად და შესაკეთებლად. ჩვენი თბილისს მოსვლის შემდეგ მღვდელ-მონაზონი იპოლიტე მართლაც გავგზავნეთ დიდის მარაგით თორთუმში, მაგრამ იგი იძულებული გახდა გზიდანვე დაბრუნებულიყო, ვინაიდან ამ დროს რუსის ჯარმა მიატოვა ფრონტი და თურქებმა ხელახლა დაიჭირეს მათ მიერ დაცლილი ადგილები.

ჩვენი ექსპედიციის სუსტ მხარეს შეადგენდა სპეციალისტი ფოტოგრაფის უყოლობა. კავკასიის განთქმული ფოტოგრაფი დ. ერმაკოვი, რომელსაც წინათ დიდი სურვილი ჰქონდა ჩვენთან ერთად ემგზავრა „თურქეთის საქართველოში", უკვე ცოცხალი აღარ იყო. ჩვენ წარვუდგინეთ სამხედრო უწყებას რამდენიმე ფოტოგრაფის კანდიდატურა, მაგრამ მან არც ერთს ნება არ დართო ჩვენთან ემგზავრა, და იძულებული გავხდით ფოტოგრაფის როლი დაგვეკისრებინა ჩვენი ექსპედიციის ზოგიერთი წევრისათვის.

ფულით დაგვეხმარნენ თბილისის თავად-აზნაურობა და საქართველოს სამღვდელოება, მაგრამ ფული ვერას გვიშველიდა, რომ სამხედრო ორგანიზაციას არ შეეწყო ხელი: ფულით არაფრის შოვნა არ შეიძლებოდა ჩვენ მიერ გამოსაკვლევ რაიონში. ომისაგან ის მხარე სრულიად განადგურებული იყო და ხალხი — დამშეული. დახმარებისათვის მიემართეთ სრულიად რუსეთის ერობის კავშირის გამგეობას, რომელმაც ნება დაგვრთო, მიგვეღო მათი საწყობებიდან ყველაფერი, რაც კი საჭირო იქნებოდა ჩვენი ექსპედიციისათვის. ამის განხორციელება დაევალა მათ მოხელეს ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილს, ჩემს ყოფილ მოწაფეს, რომელიც დიდი ხალისით და თანაგრძნობით შეუდგა ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას: ყარსიდან ფორდის მანქანებით მიგვიყვანა ხახულში, და საერთოდ, ისე მოგვიწყო საქმე, რომ მთელი ექსპედიციის განმავლობაში არაფერი დაგვკლებია. ალექსანდრე ციციშვილი საოცარი ენერგიის პატრონი აღმოჩნდა, ზრდილი, პატიოსანი, თავმდაბალი და დაუღალავი მუშაკი. მას ყველა მისი თანაშემწენი და ხელქვეითნი დიდად აფასებდნენ, ალექსანდრე ციციშვილი დღეს ცოცხალი აღარ არის, და ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად ვთვლით, პატივი ვსცეთ მის ხსოვნას და განვაცხადოთ, რომ, თუ არ მისი ენერგიული დახმარება, ჩვენი ექსპედიცია თავის მოვალეობას ჯეროვნად ვერ შეასრულებდა.

ჩვენი მუშაობა დაიწყო ხახულის მონასტრიდან. ხახულიდან ვინახულეთ სოფელი თორთუმი და თორთუმის ციხე („თორთუმ-ყალა"), თორთუმის წყლის სათავეში (თორთუმის წყალი ჭოროხის მარჯვენა შენაკადია).

ეს დიდი ციხე აშენებულია მაღალ, მოგრძო კლდოვან კუნძულზე, შუა წყალში. იგი კარგადაა დაცული და საკვირველად ჰგავს ქალაქ გორის ციხეს. აქედან ექსპედიციის ორი წევრი წავიდა ექექის ეკლესიის დასაზომად, რომელიც თორთუმის მახლობლად მდებარეობს, მაღალ მთაზე. შემდეგ ჩვენ ყველანი დავბრუნდით ხახულში და იქიდან გავემგზავრეთ ოშკში. გზა მიდიოდა თორთუმის წყლის კალაპოტით. როცა ოშკში მუშაობა გავათავეთ, წავედით იშხანში. იშხანში ოშკიდან ორი გზა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ორი ბილიკი მიდის: ერთი თორთუმის ტბის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება, მეორე — მარცხენა ნაპირს. ჩვენ ყველანი, გარდა ერთი წევრისა, გავემგზავრეთ მარცხენა ნაპირით, ხოლო ის ერთი გაჰყვა მარჯვენა ნაპირს, რომ გამოერკვია, არის თუ არა ეკელსიის ნანგრევები იმ მხარეში. მართლაც, სოფელ ისთან, თორთუმის ტბის ნაპირას, მან აღმოაჩინა და დაზომა ეკლესიის ნაშთები. მარცხენა მხარის სოფლებში ჩვენ მიერ გასინჯული ეკლესიები კი ყველა ჩვეულებრივი რიგისა იყო და თან სულ განადგურებული.

როცა დავამთავრეთ იშხანში მუშაობა, იმ ხანში ჩემი და კალგინის შვებულების ვადა უკვე გასული იყო და ჩვენ უნდა დავბრუნებულიყავით თბილისში. იმედი გვქონდა, რომ მეორე წელს განვაგრძობდით ჭოროხის ხეობის გამოკვლევას იშხნიდან ბაიბურთამდე. მიუხედავად ამისა, მაინც მაშინვე მივავლინე ჩვენი ექსპედიციის ორი წევრი (რომელნიც თავისუფალნი იყვნენ სამსახურისაგან) ოთხთა ეკლესიაში და პარხალში წინასწარი გამოკვლევის ჩასატარებლად. ეს საქმე კარგად მოვიდა, ვინაიდან შემდეგ წელს რუსის ჯარმა მიატოვა თურქეთის ფრონტი. ყველა ეს ადგილები უკანვე დაიბრუნეს თურქებმა და ახალ ექსპედიციაზედ ოცნებაც კი აღარ შეიძლებოდა. მოხალისეებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი მიზანი: ინახულეს და დაზომეს ოთხთა ეკლესია და პარხალი, გადმოიღეს წარწერები და ძეგლების ფოტოგრაფიული სურათები და მშვიდობით დაბრუნდნენ თბილისში, ბათომის გზით.

ამ დროს თბილისში ჩამოვიდა მთელი კომისია ხუროთმოძღვრებისა, რომელნიც მონაწილეობდნენ აკადემიკოს პ. უსპენსკის ტრაპიზონის ექსპედიციაში: მ. კერნი, ბ. რიაბოვი და ნ. სევეროვი. გეგმებისა და ნახაზების დამუშავება რომ არ დაგვიანებულიყო, მოვიწვიეთ ისინი და დავავალეთ გეგმებისა და ნახაზების გაკეთება

იმ მასალების მიხედვით, რომელნიც ჩამოიტანა ჩვენმა ექსპედიციამ. მათ ეს დავალება კეთილსინდისიერად შეასრულეს ინჟინერ კალგინის ხელმძღვანელობით (მათ ეხმარებოდნენ კიდევ ტექნიკოსები კებერა და მელიქოვი). დამზადებულ იქნა ბარელიეფები; ზოგი წარწერა გადატანილ იქნა ტილოზე და თავი მოეყარა გუდიაშვილისა და ჭიაურელის სურათებს.

როდესაც მთელი მასალა მზად იყო, 1920 წელს თბილისში მოვაწყეთ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების პირველი გამოფენა. გამოფენის ქართული კატალოგი შევადგინე მე, ხოლო რუსული — დ. გოდეევმა. ყველა აქ მოხსენებული მასალა, ჩვენ მიერ ჩატარებული სხვა ექსპედიციათა მასალებთან ერთად, ინახებოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში, ხოლო ამჟამად ნაწილი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და ნაწილი კიდევ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

რამდენიმე სიტყვა 1917 წლის ექსპედიციის შედეგების შესახებ

მანამ შევუდგებოდეთ შესწავლილი ძეგლების განხილვას, ჩვენ ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია დიდი პატივით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული ინჟინერი ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინი, რომელმაც დაზომა იშხნის, ოშკისა და ხახულის ტაძრები, გადმოიღო ზოგიერთი ბარელიეფის ესტამპაჟები და სამივე ტაძრის დიდი ფოტოგრაფიული სურათები. შემდეგ უგულითადეს მადლობას მოვახსენებ ჩვენი ექსპედიციის ყველა წევრს, რომელთა დაუღალავი, მეგობრული საერთო შრომის მეოხებით ჯეროვნად ჩატარდა ეს რთული და მძიმე ექსპედიცია.

ექსპედიციამ გააკეთა ყოველივე, რის გაკეთებაც შეიძლებოდა იმ მცირე ხნის განმავლობაში, რომელიც მის განკარგულებაში იყო, დაამზადა გეგმები და განაკვეთები ყველა ნახული ეკლესია-მონასტრისა, მულაჟით გადმოიღო მრავალი ბარელიეფი და ჩამოიტანა ისინი თბილისში (მულაჟით გადმოღება წინათ ქართული ძეგლების შესასწავლად სხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებს არ უწარმოებიათ). ექსპედიციამ გადაიღო ბევრი ფოტო-სურათი ყველა ძეგლისა.

ექპედიციამ აღმოაჩინა და ფოტოგრაფიულად ან ხელით გადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა, გამოარკვია ზოგი მონასტრისა და ტაძრის სახელი, რომელიც ლიტერატურაში არ იყო ცნობილი.

თუ განვიხილავთ ამ ექსპედიციის შედეგებს და, აგრეთვე, ჩვენი წინა ორი ექსპედიციისას საქართველოს სამხრეთ პროვინციებში, აღმოჩნდება მრავალი ახალი და მეტად ძვირფასი მასალა საქართველოს კულტურის ისტორიისათვის.

გარდა ქართული ტაძრებისა და ეკლესიების საერთო ტიპებისა, აქ გვხვდება უნიკუმები, როგორიცაა, მაგალითად, ტაძარი ტაოსკარში, რომლის გეგმა და ხედები მოთავსებულია ჩემს „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომში" (ტაბ. 12,13,14).

ამას გარდა, არის რამდენიმე ეკლესია, რომელთა გეგმა იშვიათად მოიპოვება სხვა ქვეყანაში. ასეთია, მაგალითად, სამ-აფსიდიანი ეკლესიები. ასეთი ეკლესია ჩვენ ვიპოვეთ ოთხი: ერთი სოფელ ორთულში, მეორე — ბაღჩალო-ყიშლაში, მესამე დორთ-ქილისაში (კოლას რაიონში; ტაბ. 23 იმავე ალბომში) და მეოთხე — სოფელ ისი-ში, თორთომის ტბის ნაპირად (ტაბ. 114).

ორ-აფსიდიანი ეკლესია ვნახეთ სოფელ ფარსადნში (კოლას რაიონში: „ალბომში", ტაბ. 24). სოფ. ჩახმუსიში (ბანას ახლოს, ოლთისის რაიონში) ჩვენ ვნახეთ ნაშთი

ეკლესიისა, რომელიც აშენებულია მცხეთის ჯვრის გეგმის თანახმად. ეკლესია ოთხაფსიდიანი ყოფილა, აფსიდებს შორის კუთხეებში მოთავსებული ყოფილა ოთახები სამწახნაგიანი მოყვანილობისა, მაშინ, როდესაც მცხეთის ჯვარში ეს მოყვანილობა სხვანაირია. სამწუხაროდ ეს შენობა ისე დანგრეული იყო, რომ შეიძლება მხოლოდ გეგმა აღადგინოს კაცმა, მეტის თქმა კი არაფრისა არ შეიძლება.

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) ტაო-კლარჯეთში

მეტად საინტერესოა, აგრეთვე, მეორე ეკლესია – სუხბეჩის ტეტრაკონქი: მასალისა, წყობისა და სტილის მიხედვით ეს ეკლესია უთუოდ სხვებზე უძველესია და უნდა ეკუთვნოდეს V – VI საუკუნეებს.

ჩვენი 1917 წლის ექსპედიციის ანგარიში წარმოადგენს მხოლოდ წინასწარ დაკვლევას ყოფ. ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის ოკრუგების ძეგლებისას.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ამ ძეგლების შესახებ უკანასკნელი სიტყვაა თქმული. არა, ამ აზრისაგან ჩვენ შორსა ვართ. საქმე ის არის, რომ ისეთი ძეგლები, როგორიცაა იშხანი, ხახული, ოშკი, ოთხთა ეკლესია და პარხალი, მოითხოვენ თვითეული მათგანი მთელი წლობით შესწავლას, დეტალურ გაზომვას, დეტალურად გადმოღებას შენობის ნაწილებისას, ფრესკების ნაშთებისას, წარწერებისას, ბარელიეფებისას, ჩუქურთმებისას და სხვა. არც ყველა წარწერაა ჯერ შეგროვილი და გარჩეული. მაგალითად, მე მგონია, სპეციალისტი პარხალში ბევრ რამეს ამოიკითხავს იმ ასომთავრულ და ძველ მხედრულ წარწერებში, რომელნიც ფრაგმენტულად ყოფილა დაცული შიგნით კედლებზე. იგივე ითქმის ოთხთა ეკლესიის ერთი ასომთავრული წარწერის შესახებ, რომელიც მოტანილ ფოტოგრაფიაზედ სრულად არ განირჩევა. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: ფოტოგრაფიის საშუალებით მე ვერ შევძლებდი წამეკითხა ხახულის გალერეის სვეტის წარწერა. ადგილობრივ დაკვირვებით კი მისი გარჩევა შესაძლებელი შეიქნა. ნერსეს სარგისიანის ხელით გადმოღებულ წარწერებს ბროსე ზოგჯერ შეცდომაში შეჰყავდა. შეუძლებელი იქნებოდა, აგრეთვე, ოშკის მრავალი წარწერის გარჩევა, რომ ეს წარწერები ადგილობრივ არ მენახა.

ამრიგად, ჩვენი ნაშრომი, ექსპედიციის მასალებზე დამყარებული, ზოგადი ხასიათის წინასწარი გამოკვლევაა, რომელიც თუ შესაძლებელი შეიქნა და თუ ეს ძეგლები მოსპობილი და განადგურებული არაა, შემდეგმა ექსპედიციებმა უნდა შეავსოს და გააღრმაოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი რამ ამ ძეგლთა შესახებ და აგრეთვე, მათი საერთო მნიშვნელობა ეხლაც გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. ასეთი საკითხებია, მაგალითად, დრო დიდი ტაძრების აშენებისა (ოთხთა ეკლესიის ბაზილიკის გარდა, რის შესახებაც მხოლოდ ის ითქმის დანამდვილებით, რომ იგი დავით კურაპალატის ხანას უსწრებს წინ), დრო ზოგიერთი ეკლესიის ფრესკებით შემკობისა, გარჩევა დიდძალი წარწერებისა და დადგენა მათში მოხსენებულ პირთა ვინაობის; საზოგადოდ, ამ ძეგლების მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისა და კულტურისათვის.

ყველა ამასთან ერთად უაღრესად სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გულითადი გრძნობით და სრული შეგნებით განვაცხადო შემდეგი:

ამ უმნიშვნელოვანესი ექსპედიციის შედეგების გამოქვეყნებას დიდად დააგვიანდა.

იმედი მაქვს, რომ წინამდებარე წიგნი სათანადო წვლილს შეიტანს ქვეყნის კულტურული წარსულის დაცვა-შესწავლის საქმეში.

იგი წარმოადგენს საერთო ხასიათის წინასწარ გამოკვლევას და, რა თქმა უნდა, მასში არაა ნათქვამი უკანასკნელი სიტყვა განხილულ ძეგლთა მნიშვნელობის შესახებ. ამ ძეგლთა შესწავლა მომავალი კვლევის საქმეა.

ეკვთიმე თაყაიშვილი



იერუსალიმში შესვლა,
ლადო გუდიაშვილის გადმოღებული პირის მიხედვით
ფრესკა დაზიანებულია

ბრიგოლ ხანძთელი

ეპოქა, ეკლესია-მონასტრები, მეფეთა გენეალოგია VIII-IX ს.ს.





აშოტ IV ძეგლის მაკეტით ხელში მაცხოვრის წინაშე (ოპიზის ბარელიეფი, X ს.)

ტაო-კლარჯეთში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად

1917 წელს, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის — ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ჩავედით ოსმალოს საქართველოში — ტაო-კლარჯეთში, რათა გვენახა და შეგვესწავლა დიდებული ქართული ძეგლები... ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდია. დიდი საქმე გაკეთდა მაშინ. ამ ექსპედიციამ დიდი სამუშაო ჩაატარა.

ამ მოგზაურობას ჩემი მომავალი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მშვენიერი, თვალის წარმტაცი სილამაზისაა თორთომის ხეობა, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებს დიდებული ქართული ტაძრები. გვაოცებდა ამ ხეობაში ასეთი უზარმაზარი ძეგლების არსებობა. იმის გამო, რომ ტაძრები დაზიანებული იყო, სიჩქარეს საჭიროებდა ფრესკების, ბარელიეფების, წარწერების შესწავლა, ჩუქურთმების გადმოღება. ბევრ ტაძარს ჭერიც ჩამონგრეული ჰქონდა...

მოსახლეობა მოშორებით ცხოვრობდა. მათი დიდი ნაწილი, თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა ქართულად. ისინი ერთი წუთითაც არ გვტოვებდნენ... მახსოვს ექვთიმემ თქვა: — შეხედეთ, როგორ ეტყობათ, ქართული წარმოშობისანი რომ არიანო. ახლაც ჩამესმის მათი ხმა.

— მოხვედით? მოხვედით?

ერთმა მოხუცებულმა კი ასეთი რამ გვითხრა: — წყალი ივლის, ივლის და ბოლოს თავის ნაგუბარში ჩადგებაო.

ახლა რომ ვიგონებ, ზღაპარი და სიზმარი მგონია ის დღეები.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, თუ არა ექვთიმე თაყაიშვილის დიდი თავგანწირვა და მეცნიერული შეუპოვრობა, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა ზუსტი დათარიღება და ყოველმხრივი აღწერა ისეთი ბრწყინვალე ქართული ძეგლებისა, როგორიც არის ოშკი, ხახული, ბანა და სხვა... ჩვენს შემდეგ ამ კუთხეში სამეცნიერო ექსპედიცია აღარ ჩასულა... (მოგონება ჩაწერილია 1977 წელს. რედ.).

იქიდან ჩამოვიტანეთ ფრესკების პირები, აღწერანი, დეტალები... მასალა ისე უხვი იყო, რომ ექვთიმეს თქმით, ერთ მუზეუმს ეყოფოდა.

ექსპედიციამ გაარკვია, დაადგინა ტაძრების, ეკლესიების, ციხეების სახელწოდებები და ადგილმდებარეობა, რაც მანამდე უცნობი იყო.

ფანატიკური ინტერესითა და სიყვარულით ვმუშაობდით ყველანი. გვაოცებდა ექვთიმეს ენციკლოპედიური ცოდნა. მისი დიდი ერუდიცია. ყველაფერი თითქმის წინასწარ იცოდა, სად რა იყო. ჭოგრიტით ათვალიერებდა კედლის წარწერებს და ტაძრის ფასადზე ასულებს ქვემოდან ამოგვძახებდა ხოლმე:

— ცოტა იქით, ცოტა იქით გადადით... მანდ, ახლოს, უსათუოდ ესა და ეს წარწერა უნდა იყოსო... ან კიდევ:

— აი, მანდ, ქრონიკონებს დააკვირდით... ზუსტად გადმოხატეთ... არ შეგეშალოთ...

ძალიან ხშირად ჩვენ მიერ ამოკითხული წარწერა ზუსტად ემთხვეოდა მის ნავარაუდევს და მაშინ მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ვმუშაობდით ყარსის, არტაანისა და ოლთისის ვრცელ უბანზე. აქ არსებულ ძეგლთა შორის არის ჩვენი ხუროთმოძღვრების შედევრებიც... იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია, პარხალი... ამ დაუღლელი მეცნიერის წყალობით დაზუსტდა მათი აგების თარიღები, დეტალურად გაირკვა მრავალი წარწერა,

დადგინდა მოხსენებულ პირთა ვინაობა და სახელები.

როგორ უხაროდა ყოველივე, რაც ქართველი ხალხის გენიის გამოსხივება იყო!..

იგი მთელი ცხოვრება უანგაროდ ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს. არც დაღლა იცოდა, არც დასვენება...

მისნაირ ადამიანებს, ხომ ძველად წმიდანებად ხატავდნენ ტაძრების კედლებზე... (ძვირფასო ბატონო ლადო! თქვენი ნატვრა ასრულდა... არც ისე დიდი ხნის წინ საქართველოს ეკლესიამ დიდი ექვთიმე თაყაიშვილი წმიდანად შერაცხა... ხოლო თუკი ოდესმე ქართველი კაცი ტაო-კლარჯეთში ეკლესიას ისევ ააშენებს, ალბათ, მისი კედლის მომხატველი წმიდა ექვთიმეს ფრესკასაც გააცოცხლებს... რედ.).

საოცარი მეცნიერული წვდომა და ძველი წარწერების წაკითხვის შეუდარებელი უნარი ჰქონდა. უმრავლესობას იქვე, გადმოღებისთანავე კითხულობდა. ჩვენ, ახალგაზრდები, ვისვენებდით, ის კი უჯდა სქემებს, ფოტოებს, ნახატებს...

თუ რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს ამოიკითხავდა ამა თუ იმ ძეგლზე – აქ კი, ყველაფერი ახალი იყო, – მაშინვე აფორიაქდებოდა, აღმოჩენაა, აღმოჩენაო, – იძახდა.

მცოცავთა შორის ყველაზე მოქნილი „აკრობატი" ილია ზდანევიჩი გამოდგა. ყველაზე მუყაითი მუდამ დაუღალავი დიმიტრი შევარდნაძე იყო – ექსპედიციის მთავარი მხატვარი, კედლის მხატვრობის დიდი მოტრფიალე. ექსპედიციაში ჩემი მონაწილეობაც სწორედ დიმიტრი შევარდნაძის წყალობა იყო. ყველაზე ხალისიანი და მუდამ დაუცხრომელი კი, რა თქმა უნდა, მიხეილ ჭიაურელი გახლდათ.

ძეგლთა უხვ სამკაულებს შორის განსაკუთრებით დამამახსოვრდა ხახულში ნანახი, ქვაში ამოტვიფრული სიმბოლო – ქართული ფასკუნჯი – მუდმივი აღორძინების იდეა.

მაგონდება ერთი შემთხვევაც. ოშკში წმიდანების ბარელიეფი ვნახეთ. ერთ-ერთს თავი აკლდა. ქვევით კედლის ძირში ნამსხვრევების გორა ეყარა. დავძებნე და ამ წმიდანის თავს მივაგენი. ექვთიმეს ისე გაეხარდა, რომ გულმხურვალედ გადამკოცნა.

მთლიანობის აღდგენა უძნელესი და უკეთილშობილესი შემოქმედებაა, შენ კი იმედი გამიმართლეო, მითხრა.

მე დამატყვევა ამ ტაძრების კედლის მხატვრობამ, ფრესკები გასაოცარი ჰარმონიით ერწყმოდნენ ტაძართა არქიტექტურას, ნაგებობათა მთელ ანსამბლს, ასევე მთელ გარემოს. მათ უნატიფესი და ულამაზესი მზექალებისა და მზეჭაბუკების სახეები ჰქონდათ...

უმშვენიერესი ბუნების გარემოცვაში უპატრონოდ იდგნენ ეს ბუმბერაზი ძეგლები... ჩვენ დროულად შევაღეთ მათი საუკუნეთა მანძილზე დახშული კარები.

და ახლა, წლების შემდეგ, როცა ისევ ექვთიმე თაყაიშვილზე ვფიქრობ, მთელი მისი ხატება უზარმაზარ ფრესკად წარმომიდგება, ხახულის კედელზე გამოსახულ ფრესკად.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის საქართველოს მრავალჭირნახული მიწა.

მე კი, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: – სამხრეთ საქართველოს ძაგლების ნახვამ და შესწავლამ უფრო მეტად დამაახლოვა ჩემი ხალხის ისტორიასთან... მისი წარსულის ფესვებთან.

ლადო გუდიაშვილი

საუბარი
ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მმართველ, ეპისკოპოს თეოდორესთან



მეუფე თეოდორე

კითხვა: რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რა გამორჩეულად მნიშვნელოვანი ეპარქიაა, თუნდაც მხოლოდ ახალციხისა, ახლა, ჯერჯერობით, ცხადია, სიმბოლურად, მაგრამ მაინც... თქვენს სამწყსოს (თუ შეიძლება ასე ითქვას), ტაო-კლარჯეთი და ლაზეთიც შემოუერთდა... ყველანაირი გაგებით, თქვენი ტვირთი მძიმეა, მაგრამ ახალგაზრდა მღვდელმთავარი ბრძანდებით, შთაგონებული, უაღრესად დაინტერესებული და აღნთებული სურვილით, რწმენით, ნატვრით, რომ შეძლოთ საუკუნეთა მანძილზე ადამიანთა სულებში ძალმომრეობით ჩამქრალი ქრისტიანული რწმენის კვლავ გაღვიძება... არამც თუ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში, ახალციხის მხარეშიც კი... მიუხედავად, ხალხის ძირითადი ნაწილის გაღვიძებისა, მაინც ბევრი საზრუნავი გაქვთ... როგორია თქვენი გეგმები... ვფიქრობ, თვით ეპარქიაშიც გყავთ თანამდგომნი და მოამაგენი.

პასუხი: დიახ, რა თქმა უნდა... რომ არაფერი ვთქვათ თვით მორწმუნე მრევლზე, რომელიც თანდათან მატულობს, დიდი სიკეთეა ჩვენთვის, ახალციხის უნივერსიტეტის პედაგოგთა და სტუდენტთა თანადგომა.

რაც შეეხება ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთს, ცხადია, ძალიან მიხარია და ახალი და ახალი ენერგიით მავსებს... მართალი გითხრათ, აღარც კი მძინავს... სხვა აღარაფერზე ვფიქრობ... ცხადია, ჯერჯერობით იქ განსაკუთებულად არაფერი არ შეიძლება შეიცავლოს. ეს თანდათან უნდა მოხდეს. ადამიანების ცნობიერებაში უნდა დამკვიდრდეს აზრი, რომ ეს რეგიონები ქართულია, ქრისტიანულია... დიდად სასიხარულოა, რომ ქართველი საზოგადოება აღფრთოვანებით გამოეხმაურა თურქეთის საქართველოში გზების გახსნას... თვე არ გავა, რომ რამდენიმე ექსპედიცია არ ჩავიდეს იქ... ეს ცხადია, პირველი ნაბიჯებია. პროცესი არ უნდა შენელდეს... იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება... ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება. მით უმეტეს, რომ დღესდღეობით თურქეთის ხელისუფლება ჩვენდამი კეთილგანწყობილია... ჩვენმა სახელმწიფოებმა უკვე შეძლეს წარსულის დავიწყება თუ არა, მიტევება და დღეს მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ეს მადლი და სიკეთე ჩვენზეც გადმოდის... მაგრამ აუცილებელია გვახსოვდეს... აჩქარება არ შეიძლება. სარწმუნოება უაღრესად ფაქიზი ცნებაა და მასთან ნაჯახით მისვლა არ შეიძლება... თურქეთის ქართველები ჩვენი სისხლისმიერი ძმებია, მაგრამ არა მათი მიზეზით, დღეს ყველანი,.. დღეს კი არა, უკვე მეოთხე საუკუნეა, გამუსულმანებულები არიან. ჩვენ მათ უნდა მოვეფეროთ, გული გავუთბოთ, ვესაუბროთ, ცხადია, შესაძლებლობის მიხედვით და დანარჩენი მათი ნებაა. განა, ასე არ მოხდა თუნდაც ახალციხეში?.. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

კითხვა: დიახ. სავსებით მართალი ბრძანდებით. მაინტერესებს, რამდენჯერ იყავით ტაო-კლარჯეთში... ანაც ლაზეთში...

პასუხი: ტაო-კლარჯეთში ორჯერ... ლაზეთში ჯერ არ ვყოფილვარ... ღვთის ნებაა ყველაფერი. ალბათ, ეს დღეც დადგება...

კითხვა: საინტერესოა თქვენი პირველი შთაბეჭდილება...

პასუხი: ძნელია ამის გადმოცემა... მხოლოდ ერთი სიტყვა გამოხატავს მას — **გრანდიოზული**. იმთავითვე, როცა ის საოცარი ტაძრები აიგო, მას „მეორე იერუსალიმი" უწოდეს. ამ სიტყვებით ყველაფერია თქმული. უდიდესი სიამაყის გრძნობა გეუფლება, როცა ამ საოცრებებს ხედავ... მაგრამ აქვე გიჩნდება გრძნობა დიდი სიმძიმისა. ღვთის ანაბარადაა მიტოვებული ყველაფერი. მორწმუნე ადამიანისათვის ძალიან ძნელია ამის ხილვა და შეგნება. ტაძრებში ლოცვა უნდა ისმოდეს. სანთელი უნდა ენთოს, მრევლი უნდა იდგეს. მაგრამ ისევ და ისევ, მინდა გითხრათ, რომ, ალბათ, თანდათან ესეც მოხდება. ღვთის ნებაა ყველაფერი.

კითხვა: ილიას განდეგილიდან მახსენდება: „ხსნა ყველგან არის, მაგრამ გზა ხსნისა, ასეთი მერგო მე უბედურსა".

პასუხი: ჰო, მაგრამ ჩვენს სასჯელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღმერთს არ ვაბრალებთ. თითონ არა ვართ ღირსნი...

ხშირად ვამბობთ, რომ ვისჯებით, მაგრამ, ისჯება ის, ვინც უყვარს უფალს.

კითხვა: დიახ... ქართველმა კაცმა იმთავითვე იცნო იესო...

და მაინც, ისევ მინდა გკითხოთ... თუ არსებობს რაიმე პერსპექტივა, იმედი, რომ თუნდაც ერთ ტაძარში, ამ ახლო პერიოდში, ზოგჯერ მაინც წირვა-ლოცვა რომ ჩატარდეს?

პასუხი: ჯერ ამაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ იმედი მაქვს... ცოტა ხნის მერე... ღმერთო, შენით, ღმერთო შენით... გარდა ამისა, ტაძრების უმრავლესობა უნდა გამაგრდეს... ბევრი მათგანი საშიშროების წინაშე დგას.

კითხვა: რაღაც ძვრები უკვე, როგორც ჩანს, დაწყებულია. ბევრ ეკლესიასთან მისასვლელი გზები უკვე მოწესრიგებულა, მაგრამ არა ყველგან...

ლაზეთზე რას იტყოდით.

პასუხი: ლაზეთში, სამწუხაროდ დღესდღეობით ტაძრები ძალზე ცოტაა... ოდესღაც ეს მხარე ქრისტიანული სალოცავებით იყო მოფენილი... ახლა აღარ არსებობს. დაანგრიეს... განადგურდა.

კითხვა: არქეოლოგების ერთ ჯგუფში გაჩნდა იდეა, რომ დაიწყონ ერთობლივი გათხრები თურქებთან ერთად. ეს ხომ ძალიან კარგი იქნებოდა. არც ერთი ძეგლი შესწავლილი არაა.

პასუხი: დიახ. ეს ძალიან კარგი იქნებოდა. ალბათ, ესეც მოხდება...

კითხვა: რამდენადაც ვიცი, ახალციხის უნივერსიტეტში არსებობს „გრიგოლ ხანძთელის საზოგადოება".

პასუხი: დიახ. მე ვარ ამ საზოგადოების თავმჯდომარე. უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, ბატონმა მერაბ ბერიძემ დააფუძნა ეს საზოგადოებაც და თვით უნივერსიტეტიც... დიდი ღვაწლმოსილი კაცია. ქვეყნისათვის, ეკლესიისათვის თავდადებული. ახლახან ახალქალაქში გაიხსნა უნივერსიტეტის ფილიალი... შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ახალციხეში ნამდვილი ქართული სამყაროა.

კითხვა: რას იტყვით ეკლესიის მრევლზე.

პასუხი: მრევლი ძალინ კარგი გვყავს. ძალიან თბილი და უშუალო ხალხი ცხოვრობს აქ. ყოველთვის მიხარია მათთან ურთიერთობა. ძალიან უნდათ ტაო-კლარჯეთში წასვლა, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებთ... შესაძლოა, საერთოდ გაიხსნას გზა...

კითხვა: თქვენ ხომ პირველად უწმიდესთან ერთად იყავით...

პასუხი: დიახ... იქ ჩამაბარა ეს უძვირფასესი განძი... აღვავლინეთ ლოცვები ოთხთაში და ხანძთაში... საოცარი მადლი იგრძნობა ყველგან, მიუხედავად იმ სამსაუკუნოვანი სიშორისა, რომელიც ჩვენს შორის იყო ჩამდგარი. დიდებული და განუმეორებელია... ყველა ტაძარი განსაკუთრებულია. რომ შენდებოდა, ღვთის მიერ შენდებოდა და ეს ჩანს.

ბერთის ოთხთავის მოჭედილობა, XII საუკუნე
ბეშქენ- ოპიზარი

ერთი ეპიზოდი მინდა გიამბოთ... იმის დასტურად, რომ იქაურ ქართველებში თუმცა მინავლებით, მაგრამ მაინც კრთის თავისი წინაპრის რწმენა და სიყვარული.

ოშკის უზარმაზარ ტაძართან ვიყავით... უეცრად დავინახეთ ბარელიეფს ქვემოთ ვიღაცას ხის მორი შეუდგამს... ვინ გააკეთა-თქო ვიკითხეთ და გურჯმაო გვიპასუხეს. ეს მაძლევს იმედს, რომ ტაო-კლარჯეთის ეკლესიებში წირვას შევესწრები...

ესაუბრა **თინათინ კობალაძე**

პავლე ინგოროყვას სურათთან



ოცი წლის წინ, 26 ივნისს, მთავარანგელოსთა და ანგელოსთა ხსენების დიდ დღეს აღესრულა ბატონი პავლე. ეკლიანი, მაგრამ ნათელი იყო მისი გზა ამქვეყნად. ვალმოხდილი წავიდა და თანამედროვეთა გულის ტკივილთან ერთად იმ უძველესი, ქართული გალობის ხმები მიაცილებდნენ, რომლის წვდომისა და ახსნის ურთულეს ხვეულებში მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იკვლევდა გზას... დავიწყებას რომ სტაცებდა ყოველივე ქართულს.

გვწამს, სიხარულით მიეგებნენ მას დიდნი ხანძთელნი და ოპიზარნი... მათებრ ნათელი და მათნაირი ბრძანდებოდა თავადაც.

დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს... და თანდათან უფრო მაღლდება იგი, ერთი იმ დიდ ქართველთაგანი, უკანასკნელი წარმომადგენელი თავისი თაობის დიდ მამულიშვილთა, მამულის მოამაგეთა...

და ახლა ისტორიას ეკუთვნის... ახლა იმ ტაძრის ნაწილად გვეგულვის, რომლის კედელთანაც მისი მყარი აგურიც დევს.

მთელი სიცოცხლის მანძილზე, წიგნებში ჩაძირული, თითქოს ბერის სენაკში ცხოვრობდა. ამ სენაკში იგი დამეებს უთენებდა თავის საქართველოს და როგორც ერთი მწერალი წერს: „მას სხვა არაფერი უნდოდა და არც მოუთხოვია. ისიც გრიგოლ ხანძთელის შინაგანი სინათლით იყო განათებული; მასაც მეუდაბნოე ბერის რწმენა ეწეოდა თავდაუზოგავი, თავდავიწყებული შრომისაკენ – ხოლო თავად ისიც კი არ იცოდა, მაგალითად რომ იქცა დაუნჯებული, ცხოვრების ყაყანს განრიდებული, მეუდაბნოე მეცნიერის მაგალითად...

საუკუნის აღმართზე ჯვრის სიდვა ასე ხანგრძლივად და ქედშეუხრელად მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს (გ. ასათიანი).

ნათელი გადგათ, ბატონო პავლე! ნათელი ადგას თქვენს სათაყვანო სამშობლოს, თქვენს ერს... ტანჯულს, მაინც მშვენიერს, თქვენს ახალგაზრდობას... ნათელი ადგას იმ მაღალ რწმენას, რომლითაც ამქვეყნად იცხოვრეთ და იღვაწეთ.

დიდი მეუდაბნოის ხორცთაგან განსვლა

გიორგი მერჩულემ თავისი მოთხრობა ზღაპრის ელემენტით დაასრულა. სიკვდილის კარად მიმდგარი გრიგოლი საოცარ სახილველს ხედავს, მას ანგელოზები შემოერტყნენ და ამცნეს უფლის ნება, რომ ცაში დამკვიდრდეს მისი სული.

და დასასრული ყველაზე უფრო ლოგიკური, და თუ გნებავთ, რეალისტური დასასრულია, სხვაგვარი დასასრული თითქოს არც შეიძლებოდა ამ მოთხრობას ჰქონოდა.

გრიგოლ ხანძთელი ბავშვობიდანვე გაემიჯნა პიროვნულ სურვილებს. ის დაადგა იმ უძნელეს გზას, რომელზეც მხოლოდ რჩეულნი მიდიან და სადაც მხოლოდ ნებისყოფა, სიმტკიცე, სათნოება და სიყვარული უნდა წაიღო საგზლად. გრიგოლმა ეს გზა თვალშეუკრთომლად გალია. ის მოძღვარი იყო. ის მეუდაბნოე იყო. მას სულის სიმტკიცის და „დიდი სოფლის" დროშა მიჰქონდა. ადამიანის ადამიანური სიმაღლისათვის ბრძოლა ყველა დროში უწმიდესი ბრძოლაა, ეროვნული სიმრთელის და სიმტკიცისათვის ბრძოლაა.

მეუდაბნოე გრიგოლ ხანძთელის ზარების რეკვა მთელ საქართველოს ესმოდა – „ხოლო ნეტარი მამა ჩვენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა ხანძთას და შატბერდს იქცეოდა მარადის და მოძღვრებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თვისთასა... და ამის მიერ არა ხოლო თუ მონასტერში მისნი განმტკიცნებოდეს, არამედ სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვეოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი."

...და აი, კვდება უბრწყინვალესი პოეტი, ავტორი ისეთი საგალობლებისა, რომლებშიც, პავლე ინგოროყვას თქმით, „საქვეყნო სათხოვარნია" გადმოცემული:

ნუ შეურაცხ-ჰყოფ
ერსა შენსა გლახაკსა და დაწუნებულსა,
არამედ შემწე ეყავ
მარჯვენაჲ შენი ძლიერი და მაღალი,
შობილო ქალწულისაგან,
და მიხსენ ჩვენ მონებისაგან მტერთა
ჩვენთაჲსა,
აგარის ნათესავთა,
და ძლევაჲ მოჰმადლე მეფესა ჩვენსა.

დაბოლოს, მიდის კაცი-სიმბოლო, კაცი-მაგალითი, კაცი, რომელმაც მზესავით გააბნია თავისი ნათელი სული, უბრწყინვალესი ტაძრების კედლებში ჩაატანა თავისი სისხლი. კაცი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, თავისი სულიერი შემართებით ერთმანეთთან აპირისპირებდა წარმავალს და წარუვალს. კაცი, რომელიც დიად ლოცვას აღავლენდა კლარჯეთის უდაბნოში:

ერთი მართლმადიდებელი,
მორწმუნე აღმსრულებელი,
შენთა მიმართ მვედრებელი,
გევედრებით შენ,
ქრისტე, მიხსენ ჩვენ
ისმაჲტელთაგან ყრმათა
და შეახეთქენ კლდესა წმიდასა.

ასეთი კაცის სიკვდილის აღწერისას მერჩულე გულგრილად ვერ იტყოდა, ამა და ამ წელს, ამ თვესა და დღეს გრიგოლი გარდაიცვალა და დიდი პატივით დაასაფლავესო. მას უნდა მიეგნო უფრო სხვაგვარი, უფრო ბუნებრივი ფინალისთვის და მიაგნო კიდეც. ბოლოს მკითხველი გრიგოლ ხანძთელს ანგელოზებით გარშემორტყმულს, ცაში გასაფრენად გამზადებულს ხედავს. მისი ჩვეულებრივი სიკვდილი არ შეიძლება. მან მფარველი სულივით უნდა იტრიალოს კლარჯეთის ცაში და მისი მზერა კლარჯეთის ცის ვარსკვლავების მზერას უნდა დარჩეს კლარჯეთის უდაბნოში და თავისი დიდი სინათლით გააბნიოს სულმდაბლობის საზარელი ღრუბლები.

ჩემს ცნობიერებაში განუყრელად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ერთი მხრივ, პავლე ინგოროყვას მეცნიერული პორტრეტი და მისი განთქმული წიგნი „გიორგი მერჩულე" და, მეორე მხრივ, პავლე ინგოროყვა და გრიგოლ ხანძთელი.

ისინი ერთნაირები არიან. კაცი წიგნს ჰგავს და წიგნი კაცს, ერთმანეთს ცვლიან და ერთმანეთს ავსებენ.

პავლე ინგოროყვა და გრიგოლ ხანძთელი – ისინი ერთნაირი მასალის, ერთი სულითა და სისხლით შენივთული პიროვნებებად წარმომიდგებიან ხოლმე. ძნელია ამ წიგნს ერთი გამოკვლევა უწოდო. ასეთი წიგნებით ხშირად როდი გვასაჩუქრებს ფილოლოგიური თუ ისტორიული მეცნიერება. ეს წიგნი მეუდაბნოეს ასკეტური ფანატიზმით დაწერილი წიგნია. ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას რაღაც დიდი, გონებისთვის მიუწვდომელი ძალის სიყვარული ანათებს.

ჩვენ ვიცით, რა სიყვარულია ეს და რა შეუძლია ასეთ სიყვარულს. ასეთი სიყვარულითაა ჩვენი მიწიდან ცისკენ ასროლილი კედლები ციხეებისა და ტაძრებისა, კედლები კოშკებისა და გალავნებისა. ეს სიყვარული დაუოკებელ და იდუმალ ძალად დგას შემოქმედის სულსა და ძარღვებში და ჟამით ჟამად უკვდავ ლექსებად, ტაძრებად, ჰიმნებად ამოენთება ხოლმე.

ეს სიყვარული შემოქედის რელიგიაა და თავის წიაღში აერთიანებს წარსულსა და მომავალს, გმირობასა და ფანატიზმს, პატრიოტიზმსა და დიად სულიერ ენერგიას, სიკვდილსა და სიცოცხლეს...

უმშვენიერესი სიყვარულის ეს ძალა სისხლის ყოველ წვეთს მოითხოვს შემოქედისგან. სისხლის ყოველი წვეთის გაღება კი მხოლოდ გმირებს შეუძლიათ. ამიტომაა, რომ ბევრი მიმდევარი ჰყავს ხელოვნებას, მაგრამ დიდი ხელოვანის დადით დასმული რაინდები ცოტანი არიან და მათი სიცოცხლე და შემოქმედებითი გზა მართლაც სისხლითაა განათებული.

პავლე ინგოროყვას ფარი და მახვილი, მისი ჯილდო და დიდება ეს სიყვარული იყო. მას სხვა არაფერი უნდოდა და არც მოუთხოვია. ის ამ სიყვარულით იყო ბედნიერიც და უბედურიც, აღზევებულიც და დაცემულიც. ისიც გრიგოლ ხანძთელის შინაგანი სინათლით იყო განათებული, მასაც მეუდაბნოე ბერის შინაგანი რწმენა ეწეოდა თავდაუზოგავი, თავდავიწყებული შრომისკენ.

„მან ისიც კი არ იცოდა, რომ მაგალითად იქცა – დაუნჯებული ცხოვრების ყაყანს განრიდებული „მეუდაბნოე მეცნიერის" მაგალითად.

არც ის იცოდა, რა დიდი იმედი გვქონდა მისი. ის ჩვენი ციხე-სიმაგრე იყო. ჩვენი ხალხის სიმტკიცის, ენერგიის ნიშნად გვექცა. ის დიდი იყო. მის გავლილ გზაზე ყოველთვის დიდი, დინჯად და მტკიცედ მიმავალი კაცის ნაფეხურები რჩებოდა. ის ჩვენი დიდი მამა და დიდი პაპა იყო.

ამბობენ, შეცდომებიც ჰქონდაო, ზოგიერთი შეცდომა აშკარა ტენდენციურობიდან მოდისო... არ ვიცი, რამდენად სწორია ეს ეჭვები... იქნებ სწორიცაა. ნუმოთ მის სიყვარულზე ვლაპარაკობდი – დაუზოგავ, უსაზღვრო, აულაგმავ, ნამდვილ სიყვარულზე. ნამდვილ სიყვარულში კი ყველაფერი ბუნებრივი და ყველაფერი ლამაზია – გატაცებაც და ბრძოლაც, თავგამეტებაც და შეცდომაც. ჩვენ პავლე ინგოროყვა, მისი შემოქმედება, მისი ცხოვრება სწორედ ისეთი გვიყვარს, როგორიც ისაა – თავგანწირული და თავმდაბალი, შეუდრეკელი და შეუპოვარი, თავისი სამშობლოს უმშვენიერესი შვილი.

მამუკა წიკლაური

მწერალი



ხანძთა

ქარდუ... ურარტუ... ხეთა... შუმერი

პავლე ინგოროყვას

გარდასულ ჟამით ხარ გარუჯული,
ვით გაბოლილი ცეცხლით ღუმელი
და კვლავ მოგესმის ტკბილი ჩურჩული:
ქარდუ... ურარტუ... ხეთა... შუმერი...
შუამდინარის ტიგრის, ევფრატის
გაშლილ რუქაზე მძლავრობს ისრები
წაუკითხავი ქვის ნატერფალის,
უთვისტომობის დარდით იხრები.
ხედავ, ეთერში მზის სხივს დარწეულს,
შავთელის ჯურღმულს რომ ჭრის ალმასით,
ამოალაგებს შენთვის განძეულს
ძველი ბაგინეთ, მცხეთა, არმაზი.
რუსთველის სიტყვის მცველს და მერჯულეს
გსურდა შემუსვრა კალმით ქაჯეთის.
შენ ახლებურად ახსენ მერჩულე
და მოგვანატრე ტაო, კლარჯეთი...
სიბრძნის შიკრიკი ხელს შენსკენ იშვერს,
რომ შენ შიფრავდე ჟამინდელ ნიშნებს...
მოხდეს გონების გადანათება
და კვლავ თამარის ამონათება.
იგი მარადჟამს შენს სულს განაგებს,
გარდასულ ჟამის ნექტარი შესვი
და უცხო განძებს შენთვის ალაგებს
ქართული მიწის ძირი და ფესვი.

ლავროსი კალანდაძე

ბანას ეკლესიის ნანგრევი



ეკლესიის ნანგრევი



ოთხთა ეკლესია

* * *

დიდება მიწას, რომ გეაკვანათ,
თქვენი მადლი რომ დაუფენია,
ნეტავ, რა ძალამ ამოაქანა
შუქნასხივარი თქვენი გენია.
ვინ დაგვიტოვა უკვდავნაგები
ციხე-კოშკები სისხლით სოველი,
დიდი ტაძრები ნაქანდაკები,
ღვთიურ ჩუქურთმით გამოქსოვილი!
იქ ვინ აზიდა ქვაკუთხედები,
სადაც არც კი ჩანს ნაბილიკარი,
იქ ვინ აზიდა კამარედები,
ერთი ვაზიდან გათლილი კარი?
ვინ გამოჰკვეთა ნუკრი მწოვარი,
მტევნები, მტრედი გამომფრინალი,
ფასკუნჯის ფრთებქვეშ ვერხვი მწოლარი,
ჩასაფრებული, როგორც ფირალი!
და თქვენი აზრი, ქვაზე დამყნილი,
აყვავებული ვაზის რტოებად...
თქვენი ოცნება, თქვენი ძახილი,
მქროლი არწივთა გასატოლებლად.
თქვენი ვარაყი, ოქროხატული,
ალის შხეფი და ცეცხლის წვერია.
თქვენი წიგნები ასოხლართული,
უმეტეს ღამით რომ გიწერიათ...
იხდიდით ბოდიშს, თუ რამ ჰკლებოდა,
ჰმარგალიტავდით თვითეულ წერტილს.
მთაზე რომ ელვა იკლაკნებოდა,
იქნებ იმ ელვით იმ ლექსებს წერდით?

გიორგი ლეონიძე

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ხსენებისას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასში შემავალ სხვადასხვა ისტორიულ რეგიონებს შორის, თურქეთის მხარეში დარჩენილ, უდიდესი ისტორიული, რელიგიური და მხატვრული მნიშვნელობის სამონასტრო ნაგებობებს ვგულისხმობთ. ეს მხარე, საიდანაც იწყება ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი ერთიანობა, კულტურულ-სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი აყვავება — უმდიდრესია ჩვენი არქიტექტურის პირველხარისხოვანი ნიმუშებით. ხანძთა, ოპიზა, ოშკი, იშხანი — მათი ხსენებაც კი საკმარისია უდიდესი, მსხვილმასშტაბიანი და უბადლო ხუროთმოძღვრების წარმოსასახად.

ამ რეგიონის უდიდესი მეფეების — დიმიტრისა და ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული შენობები დღემდე თითქმის არ შემონახულა და მათ შესახებ მხოლოდ წერილობითი წყაროებით ვიგებთ.

სამაგიეროდ, ადრეულ ხანას გვიხასიათებს უმნიშვნელოვანესი ნაგებობა — ბანას გარშემოსავლელიანი ტეტრაკონქი, თაღებით გახსნილი აფსიდებით, ელინისტურს ნაზიარები მრავალფეროვანი კაპიტელებით, მცხეთის ჯვრისაგან შთაგონებული გუმბათქვეშა პილონებით, საფასადო, მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ნაგებობების მინაგვანიდან გარდასახული დეკორით — ვაზის, სამოთხის მცენარეების სახეებით.

ინტენსიური აღმშენებლობა კი აქ, არაბობით გავერანებულ, თითქმის გაუკაცრიელებულ სანახებში, წმიდა მამის, გრიგოლ ხანძთელის სახელს უკავშირდება... პერიოდს, როდესაც აქ ტაოელი ბაგრატიონები მკვიდრდებიან.

ამ ხანებში არსდება ხანძთის, ჯმერკის, მიძნაძორის, გუნათლეს, მერეს, წყაროსთავის, ბარათელთას მონასტრები. ახლად შენდება იშხნის საკათედრო ტაძარი.

ტაო-კლარჯეთის ამ პერიოდის, VIII-IX საუკუნეთა ნაგებობები ძლიერ ასკეტურია (მათ შესახებ მიძნაძორისა და წყაროსთავის ტაძრების ნანგრევებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ) — თითქმის უმკობი, უხეშად თლილი ქვით ნაგები, თუმც სუფთა მოხაზულობებით სახასიათო, გუმბათიანი, სივრცეში ჯვრისებრი მოცულობებით. ამგვარივეა ოდნავ მოგვიანებით, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა მიერ აგებული მონასტრებიც მეზობელ თორში, ბორჯომის ხეობაში (სამეკლესიანი ბაზილიკები: — ნიქვი, საკვილიკე და სხვა).

ამ პერიოდის არქიტექტურის თვისებებს სრულად გვიხასიათებს ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი საგულისხმო ნაგებობა — ნუკა — საყდარი, კარჩხალას ხეობის კლდოვანი ფერდის ქიმზე ისეა აღმართული, რომ მსგავსი არსად მოიძებნება; ქარაფ-ქარაფ მიმავალი ვიწრო ბილიკით მისადგომი, ცალი ფერდით კლდეში შეჭრილი და მის განუყოფელ ნაწილად ქცეული, ნაწილად, რომელიც, ამავე დროს, ყველა მხრიდან დაუბრკოლებლად აღიქმება. ესაა ორნავიანი ბაზილიკა დიდი, უხეში, ერთმანეთზე მიმჯდარი ლოდებით, ძლიერისა და სახოვანის შთაბეჭდილებით.

„უბრალო“ სამონასტრო, ასკეტური და მკაცრი ნაგებობებიდან „სარწმუნოების ტრიუმფის“ გამომხატველ მრავალფეროვან არქიტექტურისკენ გზას ხანძთის მონასტრის მესამედ მაშენებელი, გიორგი მერჩულის სიტყვისამებრ — „სიბრძნით სრულად მაშენებელი — ამონა“ იწყებს. ამონას მიერ 1910-20 წლებში აგებული ხანძთის ტაძარი თავისი ტიპოლოგიით „დროის წინ მსწრებია“ — ორ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით, აფსიდის აქეთიქით პასტოფორიუმებითა და მკლავთაშორის დასავლეთის სადგომებით... რითაც მან, ერთერთმა პირველმა, განახორციელა უფრო შემდგომ, XI საუკუნიდან დამკვიდრებული „სივრცეში ჩახაზული ჯვრის“ ეკლესიის სტრუქტურა — ფორმულასავით დაწერილი და „უზედმეტო ერთიანობა“. შესრულების დონეც ძლიერ მაღალია — უზადოდ თლილ ქვა-ფასადებზე, გუმბათზე, რთული პროფილებითა და დახვეწილი დეტალებით: ისე, რომ დღესაც, როცა ტაძარს გუმბათქვეშა საყრდენი გამოცლილი აქვს და გუმბათის ხსნარიც სულ გამოქარული, ქვათა წყობა მყარ სტრუქტურად ინარჩუნებს მის ფიზიკურ სტატიკურობას.

ჩანს, ამონას შემოქმედების ამგვარმა სისრულემ მისცა ბიძგი ტაო-კლარჯეთის, X საუკუნის ნახევრიდან მოყოლებული, სულ სხვაგვარ, ახალ ეტაპზე ამავალ ბრწყინვალე ხუროთმოძღვრებას.

ახალი ნიშები უკვე 954–958 წლებში მეფე სუმბატის მიერ აგებულ დოლისყანის ეკლესიაში გვხვდება, რომელიც ფლეთილი ქვის კია, მაგრამ კარგად თლილ გუმბათსა და სარკმელ-კართა გარშემო, მის მონაკვეთებზე რელიეფები და წარწერები უხვად მკულის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქვეა ტაო-კლარჯეთისთვის დამახასიათებელი – ეკლესიიდან უშრეტი ნათლის დენის სახოვნად მაჩვენებელი – მარაოსებრი შემკულობის პირველი მაგალითიც, სუმბატის რელიეფი ეკლესიით ხელში და სხვა დეტალებიც.

სხვა ეტაპის მაჩვენებელია 945–954 წლებში განახლებული ოპიზის ტაძარიც – ნახევრადგაშლილი ქოლგის ფორმის გუმბათით, ზედ თორმეტმალიანი თაღნარითა და მცენარეულორნამენტიანი კაპიტელებით (ნაგებობა 1960-იან წლებში ძლიერ დააზიანეს).

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ამ რეგიონის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა – ტბეთის ტაძარი. საეპისკოპოსო კათედრა ჯერ კიდევ აშოტ კუხმა დააარსა X საუკუნის დამდეგს. ეს ნაგებობა X საუკუნის 60-იან წლებში განაახლეს და სამხრეთ საქართველოსთვის ძალზე სახასიათო – მრავალმკლავიან ტაძრად აქციეს. მსხვილი საფასადო, თითქმის მძიმე თაღნარითა და ასეთივე თავსართებით სარკმელთა თავზე. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე და XI საუკუნის I ნახევარში ტბეთი კიდევ განახლდა – პლასტიკურად დაძერწილი თაღოვანი კორპუსის წიაღში მოექცა, შეიცვალა გეგმაც – ჯვრული, მკლავებთან აღმართული ბურჯებითა და მასზე დაფუძნებული გუმბათით, გაიმართა პასტოფორიუმები, ჩუქურთმაც დახვეწილი და პლასტიკურ დენადი გახდა.

X საუკუნის შუა ხანები და II ნახევარი დავით III კურაპალატის მმართველობის დროა, დრო ქართულ სამთავროთა ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების სიმწიფისა. ამ დროს შენდება უდიდესი ბაზილიკები – ოთხთა ეკლესია და პარხალი, ხახულის მონასტერი, ოშკის კათედრალი.

ხახულის მონასტრის მთავარი, ღმრთისმშობლის ეკლესია ჯვრისებრია, ორი გუმბათქვეშა ბურჯით, მარაოსებრად შეღრმავებული აფრა-ტრომპებით, სამნაწილედი დასავლეთი მკლავით და უზადოდ თლილი ქვის ინტერიერითა და ფასადებით. ჰორელიეფური არწივით სამხრეთ სარკმელთან, წითელზოლოვანი მარაოებით, თაღნარებიანი გუმბათით, მრავალფეროვანი, თუმც ჯერ კიდევ გრაფიკული ორნამენტაციით.

დროის სულ მცირე მონაკვეთში ამგვარმა წინსვლამ, ახალმა შემოქმედებითმა იდეებმა და მათმა უზადო ხორცშესხმამ გამოიწვია, რომ ტაო-კლარჯეთის ამ პერიოდის ხუროთმოძღვრება იქცა მთელი საქართველოს, „ზოგადქართული“ ხელოვნების უპირველეს მაფორმირებლად და წარმომჩენად.

ოშკი ერთ-ერთი პირველია გაერთიანებული საქართველოს უდიდეს კათედრალთა – ბაგრატის ტაძრის, ალავერდსა და სვეტიცხოველთან ერთად, რომელიც ადგილობრივ პოპულარულ თემას – ტრიქონკს მისი მაშენებელი მასშტაბებს სძენს. თუ სულ ცოტა ხნით ადრე ეკლესიათა ინტერესები სრულებით სადა იყო, ახლა ძლიერი დეკორი შიგნითაც უხვად იჭრება და რთავს კოლოსალურ ბაზისებს, ქტიტორების – მეფეთა – დავითისა და ბაგრატის სადგომ ნიშნებს, სამხრეთ გალერეის კამარებსა და სვეტებს (ერთზე წმიდა ნინოს უადრესი გამოსახულებით). კიდევ უფრო უხვია მორთულობა ფასადებზე, რომელიც აქამდე უნახავ, ამიერიდან კი მისაბაძ და ტრადიციულ სისტემას ქმნის – ცენტრისკენ მზარდი დეკორაციული ხუთთაღედით. ძალზე პლასტიკური რელიეფებით, რომლებიც თითქმის მრგვალ ქანდაკებებს ემსგავსებიან, ქტიტორთა თითქმის ნატურალური ზომის ქანდაკებებით, მთავარანგელოზთა, მესვეტეთა გამოსახულებებითა და სხვა.

ასეთივე „დიდი ხელოვნების“ მაჩვენებელია ამავე დროს აგებული ოთხთა ეკლესიის ხუროთმოძღვრებაც – ვერტიკალურად ზემსწრაფი და უზადოდ თლილი, „მატერიალური“ მძლავრი კვადრებით მკვრივად ნაშენი, ძლიერი და იმავდროულად მსუბუქი, პატრინიკეთი, სივრცეში ტრიუმფალურად გადაყვანილი განსხვავებულმალიანი ბურჯთა თაღებით, ინტერიერის თაღოვანი სახატეებითა და ფასადების მძლავრი თაღნარით.

დეკორატიულობა, უბადლო მორთულობათა სიუხვე, არქიტექტურული დახვეწილობა – ყველა ეს საუკეთესოდ ჩანს შატბერდის (ენი რაბათის) ეკლესიის ხუროთმოძღვრებაში. ეს „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპის შენობა თაღნარით მორთული გუმბათითა და თაღნარიანი ძირითადი კორპუსით, უხვი, თუმც ჯერ

კიდევ თხელი ჩუქურთმითაა შემკული: აღმოსავლეთითაც ორი ნიშის მაგიერ ოთხი აქვს. ფასადებიანი დეკორი „შიგნითაც აღწევს“ და მის გუმბათს თაღნარი მიუყვება. აფრა-ტრომპებს ფარშავანგის კუდივით ელვარე ნაირფერი წვეთები რთავს. მონასტრის სიძლიერესა და ბერთა სიმრავლეს აჩვენებს დასავლეთის პატრონიკენი, მაღლა გაჭრილი კარით.

მაგრამ ისე არსად წარმოჩენილა აქური ქართული ხელოვნების დიდებულება, არქიტექტურული აღნაგობის სირთულე-დახვეწილობა, ორნამენტაციის სისუფთავე და „ოქრომქანდაკებლობა“, როგორც იშხნის ტაძარში. იგი რამდენიმე ფენას მოიცავს — „უბრალოდან“ „დიდებულისაკენ“. იგი ჯერ 820-იან წლებში შეაკეთა წმიდა გრიგოლ ხანძთელის დისწულმა საბამ. შემდეგი ფენა 950—960-იან წლებს ეკუთვნის. საბოლოო სახე კი ტაძარმა XI საუკუნის I მესამედში 1014—1027 და 1032 წწ-ში მიიღო (ხუროთმოძღვარი ივანე მორჩაიძე). ეკლესიის ჯვრული მოცულობა ოთხ ბურჯსა და მასზე აღმართულ გუმბათს შეიცავს, აფრა-ტრომპებით. ინტერიერის ღია, თაღოვანი საკურთხეველი ბანას ტაძარს მოგვაგონებს, ქანდაკებასავით პლასტიკური სვეტ-კაპიტელებით, ნალისებრი თაღებით, სივრცულ ფენებად გაშლილი „უკანა ფონით“, რომლებიც VII ან X საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს. უმდიდრესია ეკლესიის ფასადები და გუმბათი — ამ უკანასკნელზე დაფერილი საბურავითა და მილიმეტრებით ფაქიზად კვეთილი ორნამენტაციით, ზედ წითლის, ფასადებზე კი ხასხასა ლურჯის გამოყენებით, სარკმელ-კართა მორთულობის „ამოუწურავი“ რეპერტუარით.

ცალკე მოსახსენებელია ამ რეგიონის განსაკუთრებულობისა და სიძლიერის მაჩვენებელი, დღემდე ნანგრევებად მოღწეული, სხვა სამონასტრო ნაგებობებიც. დიდრონი თლილი ქვით ნაგები სარკმლებიანი სენაკები პარეხში, ხანძთის დიდ ტერიტორიაზე გაშლილ სენაკთა ნაფუძრები, ხანძთისვე წყარო-ეკლესია, ბერთასა თუ წყაროსთავის მონასტრების სატრაპეზოები — ბურჯებით დაყოფილი ინტერიერებით, სამყურა მოხაზულობის სარკმლით (წყაროსთავი) თუ თლილი ფასადებით, ოპიზის გალავანს გაყოლებული კამაროვანი სენაკებითა და ბერთა საძვალეებით.

აქაურ ხუროთმოძღვრებას „გამაოგნებელი“ მხატვრული ძალის გარდა უდიდესი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. აქ მუშავდებოდა ის არქიტექტურული ტიპები, რომლებმაც საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჰპოვეს გავრცელება. აქ შემუშავდა და ქვეყნისათვის „საზიარო“ გახდა მთელი რიგი დეკორაციული მოტივები, ხერხები, რეპერტუარი, სახვითი საშუალებები. სხვა რომ არაფერი, ამ რეგიონის ხელოვნების „სიმაღლე“ იქცა საქართველოს სხვა რეგიონთათვის „ზოგადქართულისა“ და „სახელმწიფოებრივის“ სინონიმად.

ამ მემკვიდრეობის შენარჩუნება დღეისათვის საქართველოს მხრიდან მეტი ყურადღებითა და „ხსოვნის გაღვივებითაა“ შესაძლებელი.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ხელოვნებისმცოდნე



პარხალი

ტაო-კლარჯული ჯვარ-ხატები

ტაო-კლარჯეთის ქართული სიძველეებიდან, გარდა ეკლესია-ტაძრებისა, მხატვრობისა თუ ქვაზე კვეთილობის ბრწყინვალე ნიმუშებისა, ოქრო-ვერცხლისაგან ნაკეთები ნივთებიც შემოგვენახა: ხატები, ჯვრები, სამწერობლები და სხვა, საეკლესიო ცხოვრებისათვის აუცილებელი „საჭურველი". ეს ოქრო-ვერცხლეული ტაო-კლარჯულ ოსტატთა ნახელავია, აქვე ტაო-კლარჯეთის საოქრომჭედლო სახელოსნოებში შექმნილი, ტაო-კლარჯეთის დიდი კათედრალებისა თუ სხვა ბევრად მომცრო ეკლესიების სამსახურად.

მას შემდეგ, რაც ისტორიული ბედ-უკუღმართობის გამო საქართველოს ამ ძირძველ მიწას უცხოელი დამპყრობლები დაეპატრონენ, ტაო-კლარჯეთის ამ ნივთებმა ჩვენი ქვეყნის ასე თუ ისე მშვიდობიან საეკლესიო ცენტრებში გადმოინაცვლა. ასე აღმოჩნდა სხვადასხვა დროს შემოქმედში (გურიაში), გელათში (იმერეთში), ზოგიც საღოლაშენში, ბრილში, ბრეთში (ქართლში), ზემო სვანეთშიც თავისი თავდაპირველი ადგილებიდან გამოხიზნული ტაო-კლარჯული ჯვარ-ხატები, ხელნაწერები, რიპიდები და ა.შ. დღეს ეს ნივთები ძირითადად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია თავმოყრილი (თბილისში). მათი უმეტესობა მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციას ამშვენებს — როგორც მაღალი ხელოვნების ნიმუშები.

ტაო-კლარჯული წარმომავლობის ჩვენამდე მოღწეული ჭედურ ნაწარმოებთა ეს კოლექცია მრავალი კუთხით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას — მხატვრული ღირსებებითაც, იკონოგრაფიულადაც, ისტორიული ცნობების მომცველი ქართული ასომთავრული წარწერების სიუხვითაც. მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ სწორედ ამ ძეგლების მოშველიებით წარმოაჩინა, უწინარესად გიორგი ჩუბინაშვილმა ქართული რელიეფური სკულპტურის თანმიმდევრული განვითარების გზები X-XI საუკუნეების მანძილზე. ამ ძეგლებს მიუძღვნა გამოჩენილმა ხელოვნების ისტორიკოსმა ცალკეული სტატიებიც, მოზრდილი გამოკვლევებიც (გასული საუკუნის 30-40-იანი წლები), ხოლო ცოტა მოგვიანებით მისსავე ფუძემდებლურ ორტომეულში ქართული ოქრომჭედლობის შესახებ (1959 წ.) მთელი სისრულით გამოჩნდა ტაო-კლარჯელ ოქრომჭედელ-ოსტატთა განსაკუთრებული წვლილი, მათი შემონაქმედის განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა მთელი ჩვენი შუასაუკუნოვანი ოქრომჭედლობის ისტორიაში.

ტაო-კლარჯეთი დღესდღეობით თურქეთის ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული (XVI საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული), „თურქეთის საქართველოში". მაგრამ ადრე, ქართველ ბაგრატოვანთა ეს სამთავრო (VIII-IX, X სს.) გაცილებით დიდ გეოგრაფიულ სივრცეს მოიცავდა — მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვრცელ რეგიონს. ჩვენი ქვეყნის სხვა ისტორიულ პროვინციებთან ერთად, აქ შედიოდა სამცხეც (დღევანდელი ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის რაიონები). სამცხესთან არის სწორედ დაკავშირებული ზარზმის „ფერისცვალების" ხატი — შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ქრონოლოგიურად ერთი უპირველესთაგანი და მხატვრული თუ ისტორიული თვალსაზრისით დიდად ღირებული ნაწარმოები.

დიდი გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც ზარზმაში დგას დღეს, XIV ს. დასაწყისშია აგებული. მაგრამ სამონასტრო აღმშენებლობა აქ ბევრად ადრე დაიწყო. ამ ნაგებობათაგან აღარაფერია დარჩენილი. ბასილი ზარზმელის თხზულებაში კი, რომელიც სერაპიონ ზარზმელის „ცხორებას" ასახავს და რომელიც IX ს-ზე ადრეა დაწერილი, დაწვრილებითაა მოთხრობილი, როგორ წამოვიდნენ კლარჯეთიდან „ქუეყანად სამცხისად" სერაპიონი და მისი ძმა, როგორ გამოიყოლეს მათ თან „ცხოველი ხატი ფერისცვალებისაჲ თანაშემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა", როგორ მოიძიეს მათ ადგილი ღმერთით მინიშნებული, როგორ გააშენეს აქ მონასტერი — „სულთ — სამზრუნველოჲ"; ბასილი იმასაც გვაუწყებს, რატომ შეერქვა ამ ადგილს ზარზმა („რომელი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს"). ხოლო როცა „სრულ იქმნა ეკლესიაჲ... აღმართეს მას შინა ცხოველისმყოფელი ხატი ფერისცვალებისაჲ".

ზარზმის ეს ადრინდელი „ცხოველი ხატი ფერისცვალებისაჲ“, როგორც ირკვევა, საღებავებით იყო შესრულებული და ეს ფერწერული ხატი შეუმოსავთ მოგვიანებით ვერცხლის მოჭედილობით, კერძოდ, 886 წელს (ასომთავრული წარწერის თანახმად „ქრონიკონი იყო *რვ*“).ხატის ფერწერული ფენიდან არაფერი შემორჩა. მოჭედილობაც ძალზე შელახულია. როგორ გამოიყურებოდა მთელი თავისი ასახულობით ზარზმის ეს „სასწაულმოქმედი“ ხატი, ახლა არაფრის თქმა არ შეიძლება. მაგრამ ამჟამინდელი სახითაც იგი საოცარ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს.

წარმოდგენილია „ფერისცვალების“ საყოველთაოდ გავრცელებული ჩვეული სურათი: ზემოთ, ცენტრში, მაცხოვარი მაკურთხეველი მარჯვენით, აქეთ-იქით — ელია და მოსე წინასწარმეტყველნი, ქვემოთ — მოციქულები (წმ. პეტრე, იაკობი და იოვანე). „ფერისცვალების“ ეს კომპოზიცია, გარდა შინაარსობრივი, ქრისტიანული იდეოლოგიით ნაკარნახევი დატვირთულობისა, თავისი ფორმალური, სტილისტური მონაცემებითაც იპყრობს ყურადღებას. ცენტრალური გამოსახულებაც კი, ქრისტეს ფიგურა, რომელიც აშკარად მაღალი ნიჭიერების, უკვე კარგად გამოცდილი ოსტატის ნამუშევარია, არსებითად სრულიად ბრტყელი ფორმებითაა გადმოცემული, მთელი რელიეფი აქ თითქოს ლითონზე გამოკვეთილი გრაფიკული ნახატია. ეს ჭედურობა არ არის ჯერ ნამდვილად სკულპტურულ ენაზე მეტყველი ხელოვნება, მაგრამ ეს ის ადრეული და აუცილებელი ეტაპია, რომელსაც მომდევნო ხანებში, X-XI საუკუნეებში, ქართული ოქრომჭედლობის დიდი „სკულპტურული ეპოქა“ მოჰყვა.

ამ დიდი ეპოქის ერთი უპირველესი და სამაგალითო ნიმუშები იშხნის საწინამძღვრო ჯვარია, იშხნელი ეპისკოპოსის ილარიონის შენაწირი და წარწერით ზუსტად დათარიღებული — 973 წ.

იშხნის ჯვარი თავისი უმაღლესი მხატვრული ხარისხოვნებითა და სამემსრულებლო — ტექნიკური ოსტატობით შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწარმოებია. ყველაფერი აქ ზედმიწევნით ზუსტადაა გააზრებული და უზადოდ მოწესრიგებული: ჯვრის მთლიანი სტრუქტურული თუ პროპორციული აღნაგობაც, მისი მდიდრული დეკორის განწყობაც — ზოგადი ასახულობა იქნება ეს, თუ ცალკეული ელემენტები და დეტალები (წინაპირზე მკვეთრად გამოყოფილი ჯვარცმულის გარშემო ძვირფასი თვლებისგან შედგენილი მძლავრი ფერადოვანი აქცენტები, ორნამენტული მოტივები, ასომთავრული წარწერები). რაც შეეხება ფიგურის სკულპტურულ აღქმასა და გადმოცემას, სრულიად აშკარად შეინიშნება, რა დიდი სხვაობაა ამ მხრივ იშხნის ჯვარცმულსა და ზარზმის „ფერისცვალების“ ხატის მაცხოვარს შორის. იშხნის ჯვარზე გამოჭედილი ქრისტეს ფიგურა ფონიდან მძლავრად ამოწვდილი მოცულობითი რელიეფია და არა ხაზოვანი კონტურით გამოყვანილი ბრტყელი გამოსახულება, როგორც ეს ზარზმის ხატზეა. იშხნის ჯვარცმული მაცხოვარი ჯერ კიდევ არ არის პლასტიკურად გამართული, ცალკეულ ფორმათა მოდელირებითა და რბილი გადასვლებით „გამოძერწილი“, ნაქანდაკევი (ასეთი ამოცანა არც დგას ოსტატის წინაშე). მაგრამ იშხნის ჯვრის ფიგურა უკვე ნამდვილი სკულპტურული ხელოვნებაა. ეს უკვე ჩვენში ამ დარგის, რელიეფური სკულპტურის განვითარების ახალი საფეხურია.

ამ შემოქმედებითი ძიებებისა და აშკარა წინსვლის ამსახველია რიგი ძეგლებისა, რომლებიც X–XI საუკუნეების მიჯნაზეა შექმნილი ტაო-კლარჯეთის საოქრომჭედლო სახელოსნოებში. ორი ამ ძეგლთაგან ისევ საწინამძღვრო ჯვარია, ორივე ქართლიდანაა გადმოტანილი ხელოვნების მუზეუმში — ერთი ბრეთიდან, მეორე ბრილიდან.

ორივე ეს ჯვარი ზოგადად იშხნის საწინამძღვრო ჯვრის ტიპისაა. ძირითადი თემაც ორივეგან იგივეა — „ჯვარცმა“. მაგრამ თუ იშხნის ჯვრის წინაპირზე მხოლოდ ერთადერთი, მხოლოდ ჯვარცმული ქრისტეს ფიგურაა წარმოდგენილი, ბრილისა და ბერთას ჯვრებზე, გარდა ჯვარცმულისა, სხვა, უფრო მომცრო ფიგურები თუ ნახევარფიგურებიც არის დამატებული (ღმრთისმშობელი და იოანე მახარებელი, ანგელოზები, წმიდანები). აქაც, ორივეგან, ზურგზეც (ერთიანად), წინაპირზეც, მოჭედილობის საერთო ანსამბლში ჩართულია ორნამენტული სამკაულიც. მაგრამ ნიშანდობლივია: იშხნის ჯვარზე ძვირფასი

თვლებითა და მარგალიტებით გაწყობილი, ოქროს ბუდეში ჩასმული მსხვილი ვარდულები თავისი ხმოვანებით, მხატვრული აღქმის თვალსაზრისით, ცენტრალური ფიგურის ტოლფასია თითქოს, მაშინ, როცა ბერთასა და ბრილის ჯვრებზე სკულპტურულ კომპოზიციას სხვა ვერაფერი ექიშპება. არ არის შემთხვევითი, რომ არც ერთ მათგანზე საერთოდ არაა გამოყენებული ძვირფასი ქვები. ოქრომჭედელ ოსტატთა უმთავრესი მხატვრული ამოცანა ახლა სკულპტურული ფიგურის პლასტიკური დამუშავებაა, არა მარტო ზოგადი მოცულობების გადმოცემა, არამედ ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების გამოვლენა, მათი, ასე თუ ისე, ბუნებრივი ურთიერთშეკავშირება. ეს არის ქართული ოქრომჭედლობის მთელი ამ ეპოქის, X-XI საუკუნეების ქართველ ოქრომქანდაკებელთა სკულპტურული ხელოვნების უმთავრესი მხატვრული პრობლემა. ამ შემოქმედებითი ევოლუციის მაჩვენებელი მკაფიო მაგალითებია ბერთასა და ბრილის საწინამძღვრო ჯვრებში.

გარდა სკულპტურული და ორნამენტული დეკორისა, ორივე ამ ჯვარს ასომთავრული წარწერებიც ახლავს. არც ერთზე არ არის აღნიშნული შესრულების წელი. მაგრამ ტექსტში მოხსენიებული ისტორიული პირების იდენტიფიკაციის წყალობით, ზუსტადაა განსაზღვრული: 1. ბერთას ჯვარი 994–1001 წლებს შორისაა შექმნილი საფარაში (ე.ი. იმავე სამცხეში, საიდანაც ზარზმის „ფერისცვალების“ ხატია). ვიცით ოსტატიც – „შეიქმნა ხელითა გაბრიელ საფარელისაჲთა“; 2. ბრილის ჯვარი დავით კურაპალატის დაკვეთაა, დავით II-ისა (გარდ. 1001 წელს. ტაო-კლარჯეთის სამეფოს მფლობელი. დიდად გონიერი და გამჭრიახი პოლიტიკოსი, რომლის როლი იმ ბრძოლაში, რასაც საქართველოს გაერთიანება მოჰყვა, განსაკუთრებულია, და რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ტაო-კლარჯეთის კულტურულ აღზევებას, ამ რეგიონის სამონასტრო აღმშენებლობას. საკმარისია ითქვას, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული ტაოს დიდებული ტაძრები – ოშკი და ხახული).

დროის იმავე მონაკვეთს, X საუკუნის მიწურულს და XI საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება ჭედური ძეგლების ორი სხვადასხვა ჯგუფი: საღოლაშენის ხუთი ფირფიტა („ხარება“, „მირქმა“, „მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა“, „ნათლისღება“ და „ამაღლება“) და სამი ფირფიტა ზარზმის მონასტრიდან („იერუსალიმად შესვლა“, „ფერისცვალება“, „ჯვარცმა“). ეს სამი ფირფიტა მოგვიანებით შემოქმედში მოხვდა, ხოლო გასული საუკუნის 20-იან წლებში სამივე ანტირელიგიურ კამპანიას შეეწირა. მათი მხოლოდ ფოტოები დაგვრჩა.

ორი სხვადასხვა სერიის ეს ფირფიტები, დაახლოებით ერთი ზომისა და ერთი კომპოზიციური სქემით შემკული – „ათორმეტი დღესასწაულის“ სცენებითა და ორნამენტირებული მოჩარჩოებით, გიორგი ჩუბინაშვილის თანახმად, ეკლესიის საკურთხეველში მდგარი ტრაპეზის მოჭედილობის დეტალებია. ჩუბინაშვილისავე ვარაუდით, ერთი ეს ტრაპეზი, კერძოდ, საღოლაშენის ფირფიტებით შემოსილი, საფარის მონასტრის ერთ-ერთ ეკლესიაში იდგა, შესაძლოა, საფარაში შემონახული X საუკუნის „მიძინების“ ეკლესიაში, ხოლო მეორე (ე.ი. ზარზმისეული ფირფიტებით), ბუნებრივია, ზარზმის ერთ-ერთი ადრეული ეკლესიის ინტერიერში უნდა მდგარიყო, იქნებ, სულაც იქ, იმ ტაძარში, სადაც ზემომოყვანილი ზარზმის „ფერიცვალების“ ხატი ესვენა.

საღოლაშენისა და ზარზმის ფირფიტებზე ბევრია ასომთავრულით შესრულებული წარწერები – სცენებისა თუ ცალკეული პერსონაჟების განმმარტებელი მინაწერებიც, სახარების ტექსტიდან შერჩეული სტრიქონებიც; იხსენიებიან ამ შეწირულობათა დამკვეთნი პირნიც, თუმცა მათი ვინაობის დადგენა არ ხერხდება. და, რაც მთავარია, ერთ-ერთ ფირფიტაზე ზარზმის ჯგუფიდან („ჯვარცმა“) აღნიშნულია ზუსტი თარიღი, როდესაც ზარზმის ეს ტრაპეზი მოუჭედიათ – 1008 წელი. ე. ი. ქრონოლოგიურად ცოტა ადრინდელია საღოლაშენის ფირფიტები; და აშკარაა, რომ ყველა გამოსახულება ზარზმის ფირფიტებზე – იქნება ეს ადამიანის სხეული, მისი შესამოსელი, სახედრის მოცულობა, რაიმე მცენარეული მოტივი თუ არქიტექტურული დეტალი – პლასტიკურად უფრო მეტი ხარისხითა და მეტი სიმკვეთრით არის გამოვლენილი. ასეთი სხვაობა დროით არც თუ ისე დაშორებულ მოჭედილობათა შორის ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, როგორი შემოქმედებითი აქტი-



ღვთისმშობელი. ანჩისხატის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს
მოჭედილობის დეტალი. ბექა ოპიზარი.

ვობით იკაფავდა გზას სკულპტურის ხელოვნება X-XI საუკუნეების საქართველოში.

კიდევ ერთი ძეგლი ისევ ზარზმიდან – ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუში – ვერცხლის რიპიდა, ანუ „სამწერობელი", როგორც მისსავე წარწერაშიც იხსენიება.

ზარზმის ეს სამწერობელი, მისი ორივე მხარე, ხუთ წრედ შეკავშირებული ვერცხლის ფირფიტები, ერთი კომპოზიციური აგებულებისაა. ორივე ეს ზედაპირი უხვი დეკორითაა შემოსილი: ფიგუროვანი გამოსახულებებით (ანგელოზები, მახარებელთა სიმბოლოები – გარკვეული დოგმატური იდეით გაერთიანებული 22 ფიგურა!), ნაირსახოვანი ორნამენტული მოტივებით. მაგრამ სამწერობლის ეს მდიდრული მონართავი ოდნავადაც არ არის გადატვირთული. არაფერი აქ არ იკარგება, ყველა შემადგენელი კომპონენტი, ფიგურაც, ორნამენტიც, თითქოსდა სულ უმნიშვნელო ელემენტიც მკაფიოდაა გამონაკვთული, ადვილად აღსაქმელი. შექმნილია ყოველმხრივ მოწესრიგებული, ჰარმონიული, მხატვრულად ერთიანი და მთლიანი დეკორატიული ანსამბლი.

ვრცელი ასომთავრული წარწერა, რომელიც მოჭედილობას შემოუყვება გარშემო, ორსავე მხარეს, არაფერს გვეუბნება, რა დროისაა ეს შესანიშნავი ნაწარმოები. არც თარიღია მითითებული, არც ისაა ჩვენთვის ცნობილი, როდის ცხოვრობდა ამ ნივთის შემწირველი ფარსმან ერისთავი, „ძე კურთხეულისა უფლისა ივანე ლაკლაკისა". ზარზმის ამ სამწერობლის დრო დადგენილია ძეგლის სტილისტური ანალიზით – იგი უშუალოდ 1008 წლით დათარიღებული ზარზმისავე ფირფიტების მომდევნო ხანას უკავშირდება. და აქ გადამწყვეტი ხმა, ორნამენტულ მორთულობასთან ერთად, ფიგურათა პლასტიკურ ღირსებებს ენიჭება.

კიდევ მოგვეპოვება ძეგლები, რომლებიც ზარზმასთანაა დაკავშირებული, მათ შორის, სამწერობლებიცაა. ერთი მათგანი დიდად უახლოვდება ზემომოყვანილ ზარზმის სამწერობელს – დროითაც, შესრულების ხარისხითაც; სხვები ამავე XI საუკუნის მეორე ათწლეულში ექცევა. ამ ძეგლებს აქ ვეღარ შევეხებით. მაგრამ კიდევ ერთი ნიმუშის შესახებ ზარზმის საგანძურიდან რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა ითქვას.

ეს გახლავთ ღმრთისმშობლის ხატი საკმაოდ მოზრდილი ზომისა (80X64 სმ), მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი.

ზარზმის ღმრთისმშობლის ხატი, რომელიც XI საუკუნის 20-იან წლებშია შექმნილი, ძალიან ადრე მოხვდა სამეცნიერო ლიტერატურაში – ქრისტიანული იკონოგრაფიის ცნობილი სპეციალისტების, ნიკოდიმე კონდაკოვისა და გაბრიელ მოლეს წიგნებში. ხოლო გიორგი ჩუბინაშვილის ზემოთ უკვე არაერთხელ დამოწმებულ გამოკვლევაში ცალკე პარაგრაფი ეთმობა ამ მოჭედილობის იკონოგრაფიასაც, მის მხატვრულ სტილისტურ განხილვასაც. ავტორი ასე ამთავრებს თავის ნარკვევს: ზარზმის ღმრთისმშობლის ხატი „სრულიად განსხვავებული ღირებულებისა და ინტერესის ძეგლია იკონოგრაფიულადაც. ხოლო მისი შემქმნელი სკულპტორის მაღალი ოსტატობა, მისი გემოვნების დახვეწილობა, უნარი შექმნას ჰარმონიული აგებულება ხატის ცალკეული ნაწილებისა, ჩარჩოს არშიებზე განლაგებული ცალკეული სცენებისა..., დაბოლოს, გასაოცარი ჰარმონია დედის სხეულს შემოჭდობილი მოალერსე ჩვილის ცენტრალური სიუჟეტის კონცეფციასა და აგებულებაში უფლებას გვაძლევს დავინახოთ ამ ნაწარმოებში არა მზა ნიმუშის რეპლიკა, არამედ დამოუკიდებელი შემოქმედებითი კომპოზიცია".

ასეთი დამოუკიდებელი შემოქმედებითი ნიშნით არის აღბეჭდილი ზემოთ წარმოდგენილი ყველა ძეგლი, ისევე როგორც, მთელი შუასაუკუნოვანი ქართული ოქრომჭედლობის არაერთი ნიმუში.

დასასრულ არ შეიძლება ესეც არ ითქვას. „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის" III ტომში, (მოსკოვი, 2001 წ.), სტატიაში, რომელიც სომხეთს ეძღვნება, გამოტანილია ოშკიც, ხახულიც, პარხალიც და ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლებიც, როგორც სომხური კულტურის კუთვნილება. მაგრამ ამ ძველისძველი, ზოგი ავტორის მიერ აჩემებული შეხედულების „განსამტკიცებლად", როგორც ჩანს, ახალი მასალაცაა მოშველიებული ამავე ტომის 316-ე გვერდზე: იშხნისა და ბრილის ჯვრები გამოცხადებულია რაღაც „ცალკე მხატვრულ მოვლენად" „სომეხ ქალკედონიტთა", მაგ., ტაიქის გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებად." ქართულ ასო-

მთავრულ წარწერებზე რომ არაფერი ითქვას, სტატიის ავტორთა მიერ სრულიად უგულებელყოფილია ის კულტურული გარემო, მთელი ის დიდი შემოქმედებითი პროცესები, ის მკვეთრად გამოვლენილი მხატვრული თავისებურებები, რაც უცილოდ მოწმობს: ვისი შექმნილია ტაო-კლარჯეთის ეს ძეგლები და რა „ცალკე მხატვრული მოვლენაა“ ეს.

როგორ აკნინებენ და შეურაცხყოფენ ჩვენი სომეხი კოლეგები საკუთარ მეცნიერებასაც და სომხეთის დიდსა და თვითმყოფად კულტურასაც.

თეიმურაზ საყვარელიძე

იოანე ნათლისმცემელი ანჩისხატის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს მოჭედილობის დეტალი. ბექა ოპიზარი.



წმიდა მეფე თამარის დროინდელი სახარება. XII ს.

1. მზეობს ცის ქვეშე
   მზე ოქრო შარავანდი,
2. ქრისტეს სჯულებთა
   ენათელცისკროვნების!
3. სამყაროს შუქი
   ერთსა ნათლისა-მსხივობს!
4. ყვავილ-სუნნელთა
   ევარდ-კინამოების,
5. და კედართ მფლობი
   ასულობს თამარ დავითს!

ეს იამბიკო **თამარის** იამბიკოთა ციკლიდანაა, რომელიც ძველ ფოლიანტებში ძიების ჟამს აღმოაჩინა **პავლე ინგოროყვამ**. მანვე სათანადო კომენტარებით თანამედროვე ქართულზე გადმოიღო ისინი. „გენიის დიდ გამოსხივებას“ უწოდებს მათ ბატონი პავლე.

გთავაზობთ ზემოთ მოყვანილი იამბიკოს თარგმან-კომენტარს.

1. მზეობს ცის ქვეშე მზე ოქრო შარავანდი,
2. იგი ქრისტეს მოსავთა ნათელ-ცისკროვნად ეფინება.
3. სამყაროს შუქი მარტოოდენ **ერთსა** (ერთობილ ქრისტიანეთა უმაღლეს მეფეთ-მეფესა) მმოსავს ნათლის სხივებით.
4. იგი ყვავილ-სუნნელთა (ედემის სახით დანერგილს ბაღს, ე. ი. ქრისტიანულ სამყაროს) ვარდ-კინამოდ ეფრქვევა.
5. მსოფლიოს მფლობელი („კედართ მფლობელი") **თამარ** – ასულობს დავითს (ე. ი. შთამომავლობს **დავით წინასწარმეტყველისაგან**, რომლის შესახებ წერილმა სთქვა: მისნი ტომნი იქნებიანო ქვეყნის უფალი.

ხახულის ღვთისმშობლის ვედრების ხატი

ხახულის ღვთისმშობლის ვედრების სასწაულმოქმედი ხატი ქართული ეკლესიის ფასდაუდებელი სიმდიდრე და სიამაყეა. იგი X საუკუნეშია შექმნილი. ხატი ინახებოდა ხახულის მონასტერში. მისი სახელწოდებაც აქედან წარმოსდგა. თავისი მინაქრული ოსტატობის ბრწყინვალებით, ოქროში დაფერილი ვერცხლისა და ვერცხლის ხატ-ჩუქურთმებით ხახულის ხატი უმაღლესი ხელოვნების ნიმუშია. იგი გელათის საოქრომჭედლო სკოლაშია მოჭედილი. XI საუკუნის ბოლოს, სელჯუკების შემოსევის გამო ხატი ხახულის ტაძრიდან იმერეთში გადაუტანიათ და გელათში დაუსვენებიათ. დიმიტრი მეფის დროს მისთვის გაუკეთებიათ დიდი კარები, კუბო ოქროსი, ხოლო კარები მოოქროვილი ვერცხლით მოუჭედიათ. იგი ძვირფასი მინაქრებითა და თვლებითაა შემკული. სავსებით უნიკალური სიმშვენიერისაა ხატის ჩუქურთმა.

ახლავს წარწერები. საგულისხმოა, რომ მისი ორივე კარის ბოლოში მოთავსებულ წარწერაში მოხსენიებულია მეფე დავით აღმაშენებელი და მისი ძე დიმიტრი.

ხატი რამდენჯერმე გაძარცვეს. მოინდომეს მისი გატაცებაც. ხოლო XIX საუკუნეში ქუთაისის ყოფილმა გუბერნატორმა, ლევაშოვმა და მისმა მეუღლემ სხვა ძვირფას ჯვარ-ხატებსა და საეკლესიო განძეულობასთან ერთად ხახულის ღვთისმშობლის ხატიც გაიტაცეს. ხატი იმთავითვე კოლექციონერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. როგორც გელათის მონასტრის საარქივო მასალებიდან ირკვევა, ლევაშოვს წინასწარი გეგმაც შეუდგენია, თუ როგორ უნდა გაეტაცნა ხახულის ხატი. მან ერთ რუს მხატვარს (ვასილევს) წინასწარ შეუკვეთა ღვთისმშობლის ახალი ხატის ესკიზი, რომლის მოჭედილობა ქართული ხატების მოჭედილობის სახეებს შეესაბამებოდა. ამ ესკიზის მიხედვით მოსკოვში დამზადდა კარედის მოჭედილობა და აი, მეორე დღესვე, როგორც კი ხახულის ხატი გაიტაცა, გელათის მონასტერს „საზეიმო ვითარებაში გულუხვად უძღვნა" საზიკოვის მიერ მოჭედილი ახალი ხატი. ხახულის ღვთისმშობლის ხატი კი შეისყიდა კოლექციონერმა ბოტკინმა. ყოველივე ამან ააღელვა ქართველი საზოგადოება, მაგრამ მიუხედავად მრავალი ცდისა, ხატი მხოლოდ 1923 წელს დაუბრუნდა თავის ნამდვილ პატრონს. იგი ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია ექსპონირებული.

საგულისხმოა, რომ ღვინისფერი მინაქარი, რომლითაც შემკულია ხატი (მისი დიდი ნაწილი დღემდე გატაცებული და თითქმის დაკარგულია) თავისი ტექნოლოგიითა და მაღალოსტატობით, აბსოლუტურად ამოუცნობი და მიუღწეველია დღევანდელი სამინაქრო ხელოვნებისათვის. იგი მსოფლიოში უდიდესი და უნიკალურია მინაქართა ოდენობითაც. გასაოცრად ცოცხალი და მშვენიერია მისი ჩუქურთმები, ფირფიტებზე შესრულებული ჯვარ-ხატები და ძვირფასი თვლები.

თავისი რთული შემადგენლობით ხახულის ხატი (ჭედურობა, სხვადასხვა დროისა და სტილის ტიხრული მინაქრები, ტვიფრული ქვები, გამები) შუა საუკუნეების ტიპიური ნაწარმოებია. იგი უხვადაა შემკული რელიგიურ კომპოზიციათა სიუჟეტების ამსახველი მინაქრული ფირფიტებით, ქტიტორების მინაქრული გამოსახულებებით, წმიდანების გამოსახულებიანი მედალიონებით.

ტრიპტიქონის ორივე ფრთის ქვედა ნაპირზე შესრულებული ძველი ქართული წარწერა გაუწყებთ, რომ ქართველთა მეფემ (1125-1156), ძემ დავით აღმაშენებელისამ მინაქრებიანი მოჭედილი კიდობნით შეამკო ღვთისმშობლის ხახულის ხატი.

ტრიპტიქონის მოჭედილობის ერთიანი პრინციპის მიუხედავად, მასში მაინც არის შესრულების სამი სტილი... სამი ოსტატის ხელი.

ტრიპტიქონის დეკორის ცალკეული ნაწილი მხატვრულად დამოუკიდებლად იკითხება, მაგრამ არც ერთი მთლიანის ერთიანობას არ არღვევს. კარგად იგრძნობა, რომ ხატის ჭედურობა წარმოქმნილია ძლიერი, მყარი, ძველი ტრადიციების მქონე ქართულ მხატვრულ გარემოში.

ხახულის ღვთისმშობლის ხატი და მისი მოჭედილობა ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალია. მისი ავტორები ისევე ღრმად ინდივიდუალურები და განუმეორებლები არიან, როგორც ბექა და ბეშქენ ოპიზრები.

შალვა ამირანაშვილი

ბექა და ბეშქენ ოპიზრები

ძველი ქართველი ოქრომჭედლების, ბექა და ბეშქენ ოპიზრების შემოქმედება ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს კულტურული აღორძინების პერიოდს.

ეს ორი ხელოვანი ცხოვრობდა XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის დასაწყისში. მათ შესახებ ბიოგრაფიული ცნობები საერთოდ არ მოიპოვება. ერთადერთი ხელმოსაკიდი მასალა, რომლითაც მეტნაკლებად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ეს არის თვით სახელწოდება ოპიზარი. ეს სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს კლარჯეთში ცნობილი ოპიზის სავანესთან.

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, ანალიზს უკეთებს რა ორივე ხელოვანის შემოქმედებას, აყენებს მოსაზრებას, რომლის მიხედვით „მათ მიერ შესრულებული ხატების ნაოჭების გადმოცემის, მოხაზულობისა და პირისახის ნაკვთების მოცულობაში ვპოულობთ ერთი ძირითადი სკოლის ნიშნებს", რომელსაც „ოპიზის სკოლას" უწოდებენ და მის უფროს წარმომადგენლად ბეშქენ ოპიზარს, ხოლო უმცროსად – ბექა ოპიზარს სთვლის, რომელმაც წინ გაუსწრო თავის მასწავლებელს და გახდა ნამდვილი „ოქროს მქანდაკებელი".

ბეშქენ ოპიზარი დაკავშირებული იყო სამხრეთ საქართველოსთან. „რომელ მოგვცა ხერხი" ადამიანისა და ჩუქურთმის მხატვრული ურთიერთობისა და ჩუქურთმა მთავარ მხატვრულ იდეას დაუკავშირა.

ბექას ორნამენტები უფრო ჰაეროვანი, დახვეწილი და პლასტიურია, ვიდრე ბეშქენისა, შესრულებულია ყველაზე რთული, გადაჯვარედინებული წესის მიხედვით, რომელშიც ჩასმულია სამყურა ბალახის გამოსახულება.

ბექას ნამუშევარი ორიგინალურია და თავისებური. მსოფლიოს არც ერთი ხალხის ოქრომჭედლობაში არ მოიძებნება მსგავსი ნიმუშები.

რევაზ ბერიძე



„ნაშრომი ჰგიეს უკუნისამდე“

სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი, ისტორიული ტაო-კლარჯეთი, რომელიც ამჟამად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული, მოფენილია ქრისტიანული კულტურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერებით, როგორიცაა ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, წყაროსთავი, ანჩა, იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ბანა, ტბეთი...

ამ დიდებული კერების ხსენებისას ქართველი კაცის გონებაში მყისვე გაიელვებს ძველი ქართული კულტურის შესანიშნავ მოღვაწეთა სახელები, რომელთაც ერთმანეთისგან გასარჩევად თან ახლავს ესა თუ ის ეპითეტი, ყველაზე ხშირად — მათი სამოღვაწეო პუნქტის სახელწოდება. თვალსაჩინოებისათვის საკმარისი იქნება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი: გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი, გრიგოლ იშხნელი, ბექა და ბეშქენ ოპიზარები, აბუსერისძე ტბელი, ილარიონ თვალელი, ილარიონ პარეხელი, საბა ხახუდარი... ტაო-კლარჯეთის სავანეებში მოღვაწეობდნენ აგრეთვე: მიქაელ მოდრეკილი, იოანე ბერაჲ, გიორგი მთაწმიდელი, იოანე ქიმჭიმელი და ბევრი სხვა გამოჩენილი მწერალი და სასულიერო მოღვაწე. ძნელია დავასახელოთ საქართველოს რომელიმე სხვა კუთხე, რომლსაც შუა საუკუნეთა მანძილზე ამდენი თვალსაჩინო მწერალი, მეცნიერი, მწიგნობარი აღეზარდოს, ამდენი ხელნაწერი წიგნი შეექმნას და შემოენახოს შთამომავლობისათვის. ჩვენამდე მოღწეულ ოთხთავთა შორის უძველესია ამჟამად სვანეთში დაცული ხელნაწერი, რომელიც ადიშის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. ის შექმნილია IX საუკუნის ბოლოს, 837 წელს, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ შატბერდის მონასტერში, ამ სავანის აგებიდან 50-60 წლის შემდეგ.

გრიგოლ ხანძთელი ამ დროს უკვე აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ შატბერდის მონასტრებში ჯერ კიდევ მისი სული ტრიალებდა, მისი მოწაფეები ფუსფუსებდნენ და იღვწოდნენ ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. ერთი მათგანი იყო სოფრონი, რომელიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ასეთი პატივით იხსენიება: „დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განმალებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გჯრგჯნი მისი“.

აი, სწორედ ეს სოფრონი არის ადიშის ოთხთავის მომგებელი, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს წიგნი შექმნილია მისი ინიციატივით, მისი ხარჯით, როგორც ამას გვაუწყებს წიგნის ბოლოს მოთავსებული ანდერძი: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი სოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნსა სახარებასა ოთხთავსა ფრიადითა მოღუაწებითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა, სალოცველად ყოვლისა ამის კრებულისათვის და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჯორციელად, და სალოცველად მეფეთა ჩუენთა — ღმრთივ დიდებულისა ადარნერსე კურაპალატისა და ღმრთივ ბოძთა ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და მეუღლეთა და ნაშობთა მათთათჳს, და სალოცველად სულთა გარდაცვალებულთათჳს: სულისა მამისა გრიგოლისა, სულისა მამისა გაბრიელისასა და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათჳს და სულთა მეფეთა ჩუენთათჳს: არსენისა, დავითისა, აშოტისა და ყოველთა თჳსთა გარდაცვალებულთათჳს“.

ამ ანდერძში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მიხედვითაც აშკარაა, რომ წიგნი დაწერილია IX საუკუნის ბოლოს, მაგრამ მის თარიღს უფრო ზუსტად გვაუწყებს მეორე ანდერძი, რომელიც გადამწერს ეკუთვნის. აქ ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა *ხფა*, ქრონიკონსა *რიზ*, შორითგან უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესით წელთა *ჩა...* მწერალია მისი. მიქაელ. ლოცვასა მომიჯსენეთ. და შემინდვეთ სიუცაბე ჩემი. და მმოსულიცა მიქაელ დიაკონი მომიჯსენეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა. უფალი მფარველ გუექმენინ ყოველთა ერთობით. ამენ.“

როგორც ამ ანდერძებიდან ჩანს, ადიშის ოთხთავი შექმნილია 897 წელს გამოჩენილი შატბერდელი მოღვაწისა და მონასტრის ერთ-ერთი მესვეურის, სოფრონის შეკვეთით. წიგნის გადამწერია მიქაელი, ყდაში ჩამსმელი — მიქაელ დიაკონი, მხატვარზე კი ანდერძებში არაფერია ნათქვამი, თუმცა, ხელნაწერს შესანიშნავი მხატვრობაც ამშვენებს. საფიქრებელია, რომ იმ დროს, როცა წიგნს ანდერძები დაურთეს, ის ჯერ კიდევ არ იყო მოხატული.

ადიშის ოთხთავს გვიანდელი ანდერძ-მინაწერებიც ახლავს. მათგან წიგნის თავგადასავლის გასაცნობად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯუმათის მონასტრის ყოფილი მამასახლისის ნიკოლაოსის ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „მე, ნიკოლაოს, ოდესმე მამასახლის ყოფილმან, უღირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა (აშენენინ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი!) შევიარენ და შევკრიბენ წმიდანი ესე წიგნნი: პირველად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი, და მრავალთავი, და ჴელთა კანონი, მამათა წიგნი, და კითხვა-მიგებაჲ. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შატბერდი: ესე ოთხთავი და ჴელთ-კანონი და მამათა წიგნი მათსა ეკლესიასა...“

ფურცელი დაზიანებულია და ანდერძის ბოლო აღარ იკითხება, რის გამოც ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, ზუსტად დავათარიღოთ ზემოთ მოყვანილი ანდერძი და განვსაზღვროთ, თუ სად მიიტანა ნიკოლაოსმა შატბერდიდან წამოღებული ხელნაწერები. პროფ. ვალერი სილოგავა ამ ანდერძს ხელის მიხედვით XI საუკუნით ათარიღებს. აკადემიკოს ელენე მეტრეველის ვარაუდით, ნიკოლაოს ჯუმათელი 1064 წელს ალფ-არსლანის მიერ ახალქალაქის დარბევის შემდეგ ჩასულა კლარჯეთში, უნახავს იქ მოსახლეობისაგან დაცლილი დაბები და მიტოვებული ეკლესია-მონასტრები, ქართული მწიგნობრობის გაპარტახებული კერები, და თავს უდვია უპატრონოდ დარჩენილი ხელნაწერების ჭირისუფლობა. მისი მზრუნველობით დაღუპვას გადაურჩა ხუთი ძვირფასი ხელნაწერი: სახარებაოთხთავი, მრავალთავი, ხელთ-კანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგება. საეჭვო არაა, ნიკოლაოსი ამ წიგნებს უთუოდ ჯუმათის მონასტერში მიიტანდა, რომლის მამასახლისიც ის ერთ დროს თვითონ ყოფილა.

ერთი ხელნაწერი, რომელიც ამჟამად უდაბნოს მრავალთავის სახელით არის ცნობილი, ბოლო დრომდე სწორედ ჯუმათის მონასტერში ინახებოდა. ის 1920 წელს წამოიღო იქიდან აკაკი შანიძემ და გადასცა უნივერსიტეტის მუზეუმს, შემდგომში კი საბოლოო ბინა ამ წიგნმა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიდო. იქვეა ამჟამად დაცული ნიკოლაოს ჯუმათელის მიერ გადარჩენილი სხვა ხელნაწერებიც, გარდა ოთხთავისა, რომელმაც უცნაური ბედისა და ჩვენთვის უცნობ გარემოებათა გამო სვანეთის პატარა სოფელ ჰადიშში ამოყო თავი და სახელიც ამის მიხედვით ეწოდა.

როგორც ადიშის ოთხთავის გვიანდელი მინაწერებიდან ჩანს, ეს წიგნი დაახლოებით XIV-XV საუკუნეებში მოხვედრილა სვანეთში, სადაც ის დიდხანს დარჩენილა შეუმჩნეველი და სამეცნიერო წრეებისათვის სრულიად უცნობი. მისი პირველი აღწერილობა ეკუთვნის სვანეთის ცნობილ მკვლევარს, ადგილობრივ მკვიდრს, დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძეს, რომელსაც 1892 წელს უკვე დასრულებული ჰქონია ნაშრომი სვანური ხელნაწერის და მათ შორის ადიშის სახარების შესახებ, მაგრამ ეს ნაშრომი დაიბეჭდა საკმაოდ გვიან, 1903-1904 წლებში. ამის შემდეგ ადიშის ოთხთავს მკვლევართა ყურადღება აღარ მოჰკლებია: ის გამოცემულია ფოტოტიპურადაც და ბეჭდურადაც, ცალკეც და სხვა რედაქციებთან ერთადაც. ბოლო გამოცემა ზურაბ სარჯველაძის რედაქციით სულ ახლახანს მიიღო მკითხველმა. აღსანიშნავია, რომ არსებობს მისი ორი თარგმანიც ლათინურ ენაზე.

ადიშის ოთხთავს მიეძღვნა მრავალი სპეციალური ნაშრომი. ამასთანავე, მის ენას სათანადო ადგილი ეთმობა ყველა გამოკვლევაში, რაც ბოლო დროს გამოქვეყნდა ძველი ქართული ენის საკითხებზე. სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის, რადგან ადიშის ოთხთავის ენის გაუთვალისწინებლად სრულფასოვანი ნაშრომი ძველი ქართული ენის შესახებ ვერ დაიწერება.

ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ადიშის ოთხთავმა დაიმსახურა რამდენიმე ნიშნით: ჯერ ერთი, როგორც ვთქვით, ეს არის ყველაზე ძველი თარიღიანი ოთხთავი; მეორე — ის გადაწერილია ჰაემეტი დედნიდან და სხვა ჰაემეტ ტექსტებთან შედარებით ფართოდ ასახავს ამ ტიპის ხელნაწერთა ლექსიკურ-გრამატიკულ თავისებურებებს; მესამე — წარმოგვიდგენს სახარების სრულიად განსხვავებულ რედაქციას, რომელიც არც ერთი სხვა წყაროთი არ არის ცნობილი; მეოთხე — ჰაემეტ დედანს ლუკას სახარების დიდი ნაწილი ჰკლებია და ის სულ სხვა რედაქციის ტექსტით შეუვსიათ; მეხუთე — ადიშის ოთხთავი გადაწერილია თავიდან ბოლომდე ერთი მწიგ-

ნობრის მიერ შესანიშნავი კალიგრაფიით; და ბოლოს – წიგნი ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს მხატვრული გაფორმებითა და ილუსტრაციებითაც.

ადიშის ოთხთავის გადაწერიდან ორმოციოდე წლის შემდეგ იმავე შატბერდის სავანეში გადაუწერიათ და შეუმკიათ მეორე ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ჯრუჭის ოთხთავის სახელით არის ცნობილი. მის ანდერძში ვკითხულობთ: „ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჴელთა გაბრიელ მღდელთა ნარჩევისაჲთა, თავად მეფესა ჩემსა სუმბატს სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა: მირდატისთჳს, თაგუნაჲსთჳს, და ძმათა და დათა ჩემთათჳს და ჩემთა ცოდვათა და თანაცხოვრებულისა ჩემისათა საჴსრად და მკუდართა საჴსენებელად: ილარიონისათჳს, და დაშელისთჳს...

დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს ჴელითა უცბად მჩხრეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწევნითა და მოღუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა, რამეთუ დიდი გულსმოდგინება მაჩვენეს ამის წმიდისა სახარების დაწერასა. ჴსენებულმცა არიან კეთილსა შინა. ამენ.

დასაბამითგან წელნი იყვნეს *ხთმ*, ქრონიკონი იყო *რნგ*“.

ორივე სათვალავი – დასაბამითგანი და ქართული ქრონიკონი – იძლევა 936 წელს.

ვინაა გრიგოლი, რომელმაც ეს წიგნი გადაწერინა გაბრიელ მღვდელს, ანდერძიდან არ ჩანს და სხვა წყაროებიდანაც ჯერჯერობით უცნობია. წიგნის გადამწერია გაბრიელი, რომელიც თავის თავს თავმდაბლობით „უცბად მჩხრეკალს“ უწოდებს. ანდერძში იხსენიებიან, აგრეთვე, სხვა გაბრიელი და გიორგი, რომლებიც დიდი გულმოდგინებით დახმარებიან წიგნის მწერალ გაბრიელს, მაგრამ რა სახის იყო კონკრეტულად ეს დახმარება, არ ჩანს. ის კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ წიგნის გადაწერაში მათ უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგანაც მთელი ჯრუჭის სახარება ნაწერია ერთი ხელით, ლამაზი მრგლოვანი ასოებით.

წიგნი მოხატულია გადაწერიდან ოთხი წლის შემდეგ მხატვარ თევდორეს მიერ, როგორც ამას გვაუწყებს შემდეგი მინაწერი: „ქრონიკონი იყო *რჲ.* ქრისტე, შეიწყალე ამათ კამარათა მწერალი თევდორე“. ჩანს, თევდორეს კამარად ესმოდა ყოველგვარი სურათი, რომელიც კამარაშია ჩასმული. ამიტომ უწოდებს იგი თავის თავს „კამარათა მწერალს“.

გასულა ხანი და ეს წიგნი მტრების ხელში ჩავარდნილა, რასაც გვაუწყებს პირველ ფურცელზე ჯვარში მოთავსებული წარწერა: „ხორასნიდაღმენ გამოისყიდა ესე ოთხთავი. მას ჟამსა ხუანთქარი ხორასანს ჩავიდა, ქირსალიდაღმენ გამოვიდა. მოვჯუხს შევიდა. არწაისშვილმან ხუცესმან იოვანე იყიდა, მიუცემია თერთმეტი ფლური. ბერძენა, იაკობი, სტეფანე ამისი დამხდური არიან...“

მინაწერი ნუსხურია, ხელის მიხედვით ის XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. როგორც აკაკი შანიძე შენიშნავს, „საიდან ჩაუვარდა ხელნაწერი მტრებს ხელში და სად მივიდა პირველად გამოსყიდვის შემდეგ, ამის შესახებ არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ უკანასკნელად ის ჯრუჭის მონასტერს ეკუთვნოდა და იქიდან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში შემოვიდა 1920 წელს სხვა იქაურ ხელნაწერებთან ერთად, ე. თაყაიშვილის მეცადინეობით“. ამჟამად ჯრუჭის ოთხთავი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

მესამე შატბერდული ხელნაწერი, რომელიც ამჟამად, აგრეთვე, ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, ცნობილია პარხლის ოთხთავის სახელით, რადგანაც ის იმთავითვე პარხლის ახალი ეკლესიისათვის ყოფილა გამზადებული. მისი გადამწერი – X საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მწიგნობარი იოანე-ბერაჲ თავის ანდერძში აღნიშნავს: „მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ძმათა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან!“

გადამწერის ანდერძში ორგვარი სათვალავით არის წარმოდგენილი გადაწერის ზუსტი თარიღი: „დაიწერა დასაბამითგანთა წელთა *ხფოზ*, ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული *რუჳ*“. ორივე ეს თარიღი თანამედროვე წელთაღრიცხვით უდრის 973 წელს. ამრიგად, პარხლის ოთხთავი გადაწერილია ჯრუჭის ოთხთავის გასრულებიდან 33 წლის შემდეგ. ადიშისა და ჯრუჭის ოთხთავებისაგან განსხ-



ადიშის ოთხთავი, 897 წ. (დაცულია მესტიაში)

იქ თვალი მხოლოდ ნანგრევებს ერთვის,
ჭოროხის კვნესას — ქვათა ღაღადი...
შავშეთის მთებზე ნისლი გადადის,
კარჩხალის მთებზე ვხედავ არწივებს,
და მათ ანგრეულ, აშლილ ბუდეებს
ქარი უბერავს, ქარი აციებს...
მაგრამ გუგუნებს ქართულად მიწა,
და თუ გამხდარან დასანაცრები!..
ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით
მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები.

ვავებით, პარხლის ოთხთავი სურათებითა და კამარებით შემკული არ არის, მისი თავგადასავალი კი გაცილებით რთულია, მაგრამ დაწვრილებით მის თხრობას ახლა ვერ გამოვუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს წიგნიც ექვთიმე თაყაიშვილის დაუცხრომელი ზრუნვითა და მეცადინეობით გადაურჩა დაკარგვის საფრთხეს.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აგრეთვე, ტაო-კლარჯეთში გადაწერილ სხვა ოთხთავებზე, რომელთა თავგადასავლის დაწვრილებით მოყოლას, რა თქმა უნდა, ერთი წერილი ვერ აუთავდება. მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ წამიერად მკითხველის ყურადღებას.

საზღვარგარეთ გატანის საფრთხეს ვერ გადაურჩა ერთი ძველი მოხატული ოთხთავი, რომელიც ამჟამად დაცულია ქ. ნიუტონში, ბოსტონის მახლობლად (აშშ). ის გადაწერილია „გლახაკი გაბრიელის“ ხელით „ლავრასა შინა დიდსა ბერთას“ და ცნობილია ბერთის ოთხთავის სახელით. თარიღდება X საუკუნის ბოლო პერიოდით (988 წლამდე). ეს წიგნი ამერიკელ მისიონერებს შეუძენიათ ქ. ყარსში 1839 წელს. სხვა მრავალ ღირსებათა შორის ბერთის ოთხთავი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ ერთ-ერთი გვერდის არშიაზე XV საუკუნის ნუსხურით მიწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპი:

„მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა“.

ეს რუსთველის პოემის ციტირების ყველაზე ადრეული ნიმუშია.

ბერთის ოთხთავის სახელით ცნობილია, აგრეთვე, მეორე წიგნი, დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q-906), რომლის ყდაც ბეშქენ ოპიზარის ნახელავია და ქართული ჭედური ხელოვნების ბრწინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

მეორე გამოჩენილი ოქრომჭედლის, ბექა ოპიზარის მოჭედილია წყაროსთავის სახარება (Q-907), რომელიც იოანე ფუკარალისძესა და გიორგი სეთაისძეს გადაუნუსხავთ 1195 წელს. მისი მომგებელია იოანე საფარელი-მტბევარი.

ბექას მოუჭედავს მეორე სახარებაც, რომელიც მოუგია სოფრომ მწიგნობარს 1193-1207 წლებში და შეუწირავს ანჩის ტაძრისათვის. სამწუხაროდ, მისი ყდა კარგა ხანია დაკარგულია, წიგნი კი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში წალკის ოთხთავის სახელით. წარმოშობით ისიც წყაროსთავიდანაა.

კიდევ ერთი სახარება, რომელიც ამჟამად მესტიის მუზეუმში ინახება, გადაწერილია ოშკში 1033 წელს „ელითა გლახაკისა გაბრიელ გიორგის ძმისწულისაჲთა ქრონიკონსა *ხნგ* სალოცველად და სადიდებლად... მეფეთა ჩუენთა: ბაგრატ კურაპალატისა და დედისა მათისა, მარიამ დედოფალთ დედოფლისა“. მისი მომგებელია იშხნელი ეპისკოპოსი ილარიონი, რომლის დაკვეთითაც ცნობილია, აგრეთვე, ასკეტიკურ თხზულებათა კრებული (A-35).

ოშკის მონასტერმა, რომელსაც X ს. შუა ხანებში ჩაეყარა საფუძველი, სულ მალე მოიპოვა „დიდებული სავანის“ სახელი. X–XI საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ გრიგოლ ოშკელი, სტეფანე დეკანოზი, გაბრიელ ჩირაი, გაბრიელ ოშკელი... X ს-ის 70-იან წლებში ოშკში გადაიწერა და მოიკაზმა რამდენიმე შესანიშნავი ძეგლი ქართული მწიგნობრობისა: იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებული „სამოთხე“, გადაწერილი და ყდაში ჩასმული სტეფანე დეკანოზის მიერ 977 წელს; „იოანე ოქროპირის ცხორება“, გადაწერილი 979–980 წლებში იოანე ჩირაის მიერ. ორივე წიგნის დამკვეთნი ყოფილან ძმები იოანე-თორნიკე და იოანე-ვარაზვაჩე, შვილები ჩორდვანელისა. ამათგან ერთის – იოანე-თორნიკეს დაკვეთით ოშკშივე 978 წელს გადაიწერა და მოიკაზმა ბიბლიის უძვირფასესი ორტომიანი ხელნაწერი, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთოდ ქართულ მწერლობით ძეგლთა შორის. სამივე ეს წიგნი ამჟამად დაცულია ათონზე, ქართველთა მონასტერში.

ოშკის ბიბლიისა და სხვა ძვირფასი წიგნების მომგებლის, თორნიკე ერისთავის სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში. მის შესახებ მოგვითხრობს ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – გიორგი მთაწმიდლის „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“. ამ თხზულებაში მოთხრობილი ამბავი საფუძვლად უდევს აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემას „თორნიკე ერისთავს“, რომლის წყალობითაც თორ-

ნიკეს თავგადასავალი ახლა ყოველმა მოსწავლემ იცის.

იოანე ბერაჲ ძველ ქართველ მწიგნობართა შორის მეტად კოლორიტული ფიგურაა, რომლის ხელიდან გამოსულმა ორმა უძვირფასესმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. ერთი მათგანია პარხლის სახარება, გადაწერილი 973 წელს, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ხელნაწერი, რომელიც შატბერდის კრებულის სახელით არის ცნობილი. იოანე ბერაჲ ყოფილა არა მხოლოდ გადამწერი ამ ვრცელი კრებულისა (ორ სხვა უცნობ პირთან ერთად), არამედ მისი შექმნის ინიციატორი და შემდგენელ-რედაქტორიც, როგორც ეს ჩანს წიგნის ანდერძიდან:

„... მეცა არა დავფარე სწრაფვაჲ სულისა ჩემისაჲ მიზეზითა ნაკლულევანებისაჲთა და შეუდექ კეთილსა გულსმოდგინებასა მე ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მოწესეთაჲ იოვანე-ბერაი. და განვასრულე წმიდაჲ ესე წიგნი კაცისა შესაქმჱ, და მეორედ — წიგნი თუალთაჲ და სახისმეტყველი და იპოლიტე და ქართლისა მოქცევაჲ და ცხორებაჲ ნეტარისა მის და დიდებულისა მღვდელთ-მოძღურისა იაკობ ნირიბინელისაჲ და თარგმანებაჲ ზოგთარე ფსალმუნთა დავითისთაჲ მოღუაწებითა და თანადგომითა დედის ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა. და სხუაჲ არაჲ არავის ჰრთავს თჳნიერ სიგლახაკისა ჩემისა და შევწირე შატბერდს საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე... სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და მშობელთა ჩემთა, და სალოცველად მეფეთა:.. ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათთათჳს“.

საინტერესო ცნობებს შეიცავს წიგნის სხვა ანდერძ-მინაწერებიც: „ესე კაცისა შესაქმჱ დაიწერა დედითა იშხნისაჲთა“; „დაჩის ეთარგმნა ესე სომეხთა ენისაგან“ და სხვ.

შატბერდის კრებული მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში მოთავსებულია „ქართლის მოქცევის“ უძველესი ნუსხა. აქვე წარმოდგნილია მრავალი პირველხარისხოვანი თხზულების თარგმანი: გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, ეპიფანე კვიპრელის „თუალთაჲ“ და „საზომთათჳს და საწყაულთა“, ბასილი კესარიელის „მკეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“, იპოლიტე რომაელის „თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ“ და სხვა. ამ თხზულებათა დიდი ნაწილის ბერძნული დედანი, ანდა სრული თარგმანი რომელიმე სხვა ენაზე არ შემონახულა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ ტექსტს.

ქართულ ხელნაწერ წიგნებს შორის ყველაზე ვრცელია პარხლის მრავალთავი, რომელიც დიდი ზომის ეტრატის 658 ფურცელს შეიცავს, ნაწერია ორ სვეტად ნუსხური ასოებით. სხვათა შორის მასში წარმოდგენილია ორი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულება: „შუშანიკის წამება“ და „აბოს წამება“, ასევე — იოანე ბოლნელის ქადაგებანი და სხვ.

როგორც გადამწერის ანდერძიდან ჩანს, პარხლის მრავალთავი გადაწერილია ტაოში, სახელდობრ — პარხალში. გადამწერი გაბრიელ პატარაჲ თავის ანდერძში გვაუწყებს, რომ მას განზრახული ჰქონია შეედგინა მხოლოდ დედათა წამებისა და ცხოვრების ამსახველი კრებული, მაგრამ ასეთები ბევრი ვერ უპოვია და შემდეგ მამათა ცხოვრებანიც დაუმატებია, თანაც ადგილობრივ წიგნთსაცავში რაც არ აღმოჩენილა, ისეთების გადმოსაწერად დედანი იშხნიდან მოუტანია და ასე შეუვსია თავისი კრებული.

ასე, ნახევრად მშიერ-მწყურვალნი ისხდნენ ვიწრო სენაკებში ძველი ქართველი მწიგნობრები, მათ შორის ტაოელნი და კლარჯელნი, ოპიზელნი და ოპიზარნი, ხახულელნი და ხახულარნი, ტბელნი და მტბევარნი... თვეობით ჩაჰკირკიტებდნენ ერთი რომელიმე ხელნაწერის ნუსხას, მზრუნველობით გამოჰყავდათ ყოველი ასო, ორიგინალურ თუ თარგმნილ შესანიშნავ თხზულებებს საამაყოდ უტოვებდნენ შთამომავლობას. თვითონ კი მოკრძალებით შენდობას ითხოვდნენ წამკითხველთაგან. მაგრამ მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ „მშრომელნი მტვერ და ნაცარ ვიქმნებით, ხოლო ნაშრომი ჰგიეს უკუნისამდე“ და „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუსლი, გამოჩინებული აღმწერლისაჲ საუკუნოდ“.

ზურაბ ჯუმბურიძე
პროფესორი

ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლის ისტორიიდან

ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო ცენტრი წმიდა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობითა და მისი მოღვაწეობის შედეგად იქმნება. გრიგოლ ხანძთელმა ჩაუყარა საფუძველი ჰიმნოგრაფიის განვითარებას IX საუკუნის I ნახევრის ტაო-კლარჯეთში. გიორგი მერჩულე საგანგებოდ აღნიშნავს გრიგოლის მიერ „საწელიწდო იადგარის" დაწერის ფაქტს: **„აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან"**. სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლის მიერ საწელიწდო იადგარის დაწერა სხვადასხვაგვარად გაიაზრება. კ. კეკელიძის შეხედულებით: „ფრაზა „ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა" უფრო ასე უნდა გვესმოდეს, რომ ეს იადგარი ან ლიტურგიკული ჰიმნები მთელი წლისა მას თვით შეუთხზავს თითქოს „სული წმიდის შეგონებით". პ. ინგოროყვამ მიქაელ მოდრეკილის იადგარში ავტორის სახელწაუწერლად შეტანილი საგალობლები გრიგოლ ხანძთელს მიაკუთვნა. ეს შეხედულება არ გაიზიარეს კ. კეკელიძემ და ალ .ბარამიძემ. შ. ონიანმა კონტექსტის გათვალისწინებით გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით გრიგოლ ხანძთელი არ არის „საწელიწდო იადგარის" ავტორი, ის მხოლოდ გადამწერია, ოღონდ მთელი იადგარი მას დაუწერია ზეპირად, დედნის გარეშე. ამ ცნობით გიორგი მერჩულე გრიგოლის ფენომენალურ მეხსიერებას წარმოაჩენს" (კრ: ხანძთა — სულიერად მშობელი ქართველთა).

გრიგოლ ხანძთელის მიერ „საწელიწდო იადგარის" შედგენის პრობლემა ბურუსითაა მოცული და ვარაუდების დონეს ვერ სცილდება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ორი გარემოება: 1. თვით იადგართა ქართულ ენაზე ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია და 2. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის სტილი, მეთოდოლოგია და წინარე ტრადიციები. იადგართა ჩამოყალიბების ისტორია საგანგებო კვლევის საგნად აქციეს ელ. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა და ც. ჭანკიევმა, რომლებმაც იადგარის პირველი რედაქციის, არქეტიპული სახის ჩამოყალიბება VII საუკუნეში ივარაუდეს პალესტინის ქართულ სავანეებში. ჭილ-ეტრატის იადგარზე (IX-X სს. მიჯნა) ადრინდელი იადგარის ნუსხა არ მოგვეპოვება, ე.ი. მოღწეულ მრავალრიცხოვან იადგართაგან უძველესი ჭილ-ეტრატისაა, რომელშიც, როგორც აღინიშნა, საგალობელთა ქართული ფენაც შეინიშნება. ცნობა IX ს. I ნახევარში ქართულ ენაზე იადგარის დაწერის შესახებ დაცულია 951 წელს გიორგი მერჩულის მიერ შექმნილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში", ე. ი. ჭილეტრატის იადგარს წინ უსწრებს გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარი". თუმცა რედაქციული თვალსაზრისით ისინი განსხვავებული უნდა ყოფილიყო. პ. ინგოროყვამ იელის იადგარი მიაკუთვნა პალესტინურ ქართულ საღვთისმეტყველო ლიტერატურულ სკოლას, თუმცა საამისო საფუძველი არ დაუსახელებია. ლ. ხევსურიანმა და ლ. ჯღამაიამ გაიზიარეს პ. ინგოროყვას შეხედულება და X საუკუნის დიდი იადგარის პრობლემათა შემდგომი კვლევის საფუძველზე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იელისა და წვირმის იადგარები, ერთი მხრივ, პალესტინის იადგარებთან, მეორე მხრივ, მიქაელ მოდრეკილის იადგართან შედარებისას, სიახლოვეს საბაწმიდურ — სინურ იადგარებთან ამჟღავნებენ და არა მიქაელის იადგართან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეალობასთან ახლოს უნდა იყოს პ. ინგოროყვას ვარაუდი იმის შესახებ, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარისათვის საფუძველი ყოფილიყო გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარი", გიორგი მერჩულე გვამცნობს, რომ ხანძთის და შატბერდის მონასტრები გრიგოლის მიერ არის აგებული. X საუკუნის შუა წლებში მას თავად უნახავს გრიგოლის მიერ IX საუკუნის I ნახევარში დაწერილი „საწელიწდო იადგარი" ხანძთის მონასტერში, ხოლო X საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს სავანეში — ოშკში მიქაელ მოდრეკილმა შეადგინა დიდი იადგარი (978–988 წლებ-

ში), რომელშიც ქართველი ჰიმნოგრაფები და ქართული ეკლესიის წმიდანთა თემაზე შექმნილი საგალობლები მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ. გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელი „ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა ხანძთას და შატბერდს, იქცეოდა მარადის და მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თჳსთასა. რამეთუ არა ხოლო თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნის-მეტყველებდა ყოვლად კერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწადსა განგებითა მოძღუარ იყო განუკითხველად, და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად აჴსოვდა. და აქუნდა ჴმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ, ხოლო განსაკვირვებელ იყო ჴსოვნებაჲ მისი. რამეთუ აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან...“ (ძეგლები, I. 281-282). მართებული ჩანს ხ. ზარიძის გამოთქმული შეხედულება, რომ „ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ“ გალობანი უნდა იყოს (კრ: ხანძთა... გვ. 83-85), ხოლო „აქუნდა ჴმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ“ უფრო შორს მიმავალ ვარაუდს უყრის საფუძველს: გრიგოლ ხანძთელის მიერ IX საუკუნის I ნახევარში „საწელიწდო იადგარის“ დაწერა-შედგენა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მან საგალობლები მუსიკალურადაც გააწყო და შეიძლება იგი მეხელთა პირველი თაობის წარმომადგენელი, მეტიც, პირველი ქართველი მეხელი იყო. რაც შეეხება გრიგოლ ხანძთელის მიერ „საწელიწდო იადგარის“ ზეპირად ცოდნას და შემდგომ მის ჩაწერას ან შედგენას, სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ გრიგოლმა შეისწავლა კონსტანტინოპოლური სამონასტრო წესდება და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავისი დაარსებული მონასტრებისათვის შექმნა „მეცნიერებით გაბრწყინვებული და სიბრძნით განსაზღვრებული“ ფიცხელი წესდება კონსტანტინოპოლური და იერუსალიმური განჩინების საფუძველზე. ამ უკანასკნელის ჩამოტანა გრიგოლმა იერუსალიმს მიმავალ წმიდა კაცს სთხოვა, რაც მან აუსრულა. ჩამოუტანა საბაწმიდურ-პალესტინური წესდება, რომელიც ყველა ქრისტიანული ქვეყნის საეკლესიო ტიპიკონებს დაედო საფუძვლად. გრიგოლს ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში უცვლელად არც ერთი არ მიუღია და არ დაუმკვიდრებია. მან მათი გათვალისწინებით შექმნა სრულიად ახალი ტიპის დამოუკიდებელი, ქართული ეკლესიისათვის მისაღები, საჭირო და აუცილებელი შეზავებული წესდება, რომელიც ღვთაებრივ სამართალს ესადაგებოდა, ხოლო ღვთაებრივი სამართალი ზეადამიანური კატეგორიაა და მხოლოდ ღვთის რჩეულთ ეუწყებათ სული წმიდის მეშვეობით. ვფიქრობთ, ასევე უნდა მომხდარიყო „საწელიწდო იადგარის“ შემთხვევაშიც.

იადგართაგან უმნიშვნელოვანესია „საუნჯე X საუკუნისა“ (მ. ჯანაშვილი) – მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი ჰიმნოგრაფიული კრებული S-425(978-988 წლები), რომელიც ამჟამად შეიცავს 554 გვერდს და 200-მდე საგალობელს. კრებული გვაცნობს როგორც ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების თხზულებათა უძველეს ქართულ თარგმანებს, ასევე ქართველი ჰიმნოგრაფების – იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, იოანე ქონქოზისძის, სტეფანე სანანოჲსძე-ჭყონდიდელის, ეზრას, კურდანაჲს, თვით მიქაელ მოდრეკილის შემოქმედებას. აგრეთვე, იგი გვაწვდის უნიკალურ ლიტერატურულ-ისტორიულ ცნობებს ხსენებულ ჰიმნოგრაფთა მოღვაწეობისა და X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისათვის ჰიმნოგრაფიის მიღწევების შესახებ. ფაქტობრივად, მიქაელ მოდრეკილის იადგარმა შემოგვინახა X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა ორიგინალური მემკვიდრეობა, რითაც იგი განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს. კრებული იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ნევმირებულია, საგალობლებს სპეციალური მუსიკალური ნიშნები ახლავს, რითაც მუსიკათმცოდნეთა ყურადღებას იმსახურებს.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცულია ცნობები, როგორც თვით კრებულის შედგენისა და აგებულების შესახებ, ისე ჰიმნოგრაფიული პოეზიის თავისებურებებზე, საგალობელთა ქართველ ავტორებზე. იადგარის შედგენის ისტორიას თვით მიქაელ მოდრეკილი გვაცნობს:

„შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, მე გლახაკმან,

ვიღუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულმოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძნლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, და დავწერენ წმიდასა ამას წიგნსა შინა" (S-425,24r). „შეწევნითა დიდად სახიერისა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმან და ფრიად უდებებით ცხორებულმან, ღელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისაჲთა დაღონებულმან, მიქაელ მოდრეკილმან ვიღუაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი: ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისამებრ საეკლესიოჲსა: უფალო ღაღადვყავთა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა" (S-425, 262r).

მიქაელ მოდრეკილის ცხოვრება ორი მიმართულებით წარიმართა: 1. ჰიმნოლოგიური და 2. ჰიმნოგრაფიული.

ზემოთ აღინიშნა, რომ მიქაელ მოდრეკილმა შეადგინა „საწელიწდო იადგარის" ახალი რედაქცია. უძველესი იადგარის გამომცემლებმა – ელენე მეტრეველმა, ლილი ხევსურიანმა და ცაცა ჭანკიევმა აღნიშნეს, რომ მიქაელის საწელიწდო იადგარი იადგართა შორის ბოლო რედაქციაა, რომელმაც ასახა ქართული ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკა X საუკუნეში.

მიქაელის კრებულში დამოწმებული ანდერძების მიხედვით შესაძლებელი ხდება მისი იადგარის რაობის განსაზღვრა, რისთვისაც განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება ტერმინების „მეხელისა" და „მეხურის" სწორ ინტერპრეტაციას. მიქაელის იადგარში ეს ტერმინი („მეხური") რამდენიმეჯერ დასტურდება.

ტერმინების „მეხურისა" და „მეხელის" კვლევამ მეცნიერები განსხვავებულ დასკვნამდე მიიყვანა. მკვლევართა ერთი ჯგუფი „მეხურში" ეთნიკურ ტერმინს ხედავდა (მ. ჯანაშვილი, ნ. მარი), ხოლო მეორე – მუსიკალურს (პ. კარბელაშვილი, კ. კეკელიძე, ჟ. თიბო). ლ. ჯღამაიამ მიაკვლია ცნობას „მეხურის" შესახებ გიორგი მთაწმიდელის „თთუენში" ორი ანდერძის სახით. მან კ. კეკელიძის მოსაზრება გაიზიარა და „მეხური" ხმით შესასრულებელი საგალობლის აღმნიშვნელ მუსიკალურ ტერმინად მიიჩნია.

ე. მეტრეველმა საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა „მეხურისა" და „მეხელის" ცნებათა დადგენა-გარკვევას. მან დასვა საკითხი, შეიძლება თუ არა „ახალი იადგარი" მივიჩნიოთ იადგარის იმ რედაქციად, სადაც უნდა შესულიყო „მეხელთა" მიერ თარგმნილი საგალობლები, ე.ი. არის თუ არა ახალი იადგარი იგივე მეხური იადგარი? „ვფიქრობთ, რომ არა, – წერს იგი, – ვინაიდან მელქისედეკ კათალიკოზის 1040 წლის ანდერძში გარჩეულია ერთმანეთისაგან ახალი და მეხური იადგარები. სახელები ამ იადგარებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აქვს შერქმეული. პირველ შემთხვევაში „იადგარისათვის" ნიშანდობლივია მასალის სიახლე. ხოლო მეორე შემთხვევაში – მისი „მეხურობა". ამიტომ „ახალი იადგარი" შეიძლება იყოს „მეხური" და შეიძლება არც იყოს. მეორე მხრით, „ახალი" ისეთი შეფარდებითი ცნებაა, რომ ის სწრაფად იცვლის თავის შინაარსს: ის, რაც იოანეზოსიმესთვის X საუკუნის პირველ ნახევარში იყო ახალი V-VIII საუკუნეების ლიტურგიკულ ძეგლებთან მიმართებით, გიორგი მთაწმიდელისათვის უკვე განვლილი და გარდასული ეტაპი იყო". მისი დასკვნით, მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი ჰიმნოგრაფიული კრებული არის მეხური იადგარი, თვით მიქაელი, რომელსაც თავად გადაუწერია ხელნაწერის უდიდესი ნაწილი და ნევმები დაუსვამს, არის მეხელი. მიქაელამდე, სავარაუდოა, მეხელთა რამდენიმე თაობა მოღვაწეობდა და რამდენიმე მეხური იადგარიც არსებობდა. მეხური იადგარის დანიშნულება იყო სასწავლო. იგი ინახებოდა საპატრიარქო და უდიდეს, განსაკუთრებული მნიშვნელობის ეკლესია-მონასტრებში. მეხელები ერთდროულად იყვნენ ჰიმნოგრაფიული თხზულების, საგალობლის შემქმნელნი და მათი მუსიკალური თანხლების მთხზველნი, ე.ი. პოეტებიც იყვნენ და კომპოზიტორებიც. შემდეგში, კერძოდ, XI საუკუნის ბოლოსათვის, საგალობლის ტექსტს წერდა ან თარგმნიდა ერთი, ხოლო მუსიკალურად აწყობდა მეორე პირი, რასაც ადასტურებს გიორგი ათონელის ერთ-ერთი თვის მასალაზე დართული

ანდერძი; აგრეთვე, დავით აღმაშენებლის მიერ ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ტექსტის თარგმნის დავალება არსენისათვის, ხოლო საგალობლის ხმის დადება — იოანე კათალიკოსისათვის. მიქაელ მოდრეკილს, მეხელს — პოეტსა და კომპოზიტორს, თავისი იადგარი შეუდგენია სასწავლოდ მღვდელ-მგალობელთათვის, ე.ი. ტერმინების — „მეხელისა“ და „მეხურის“ გარკვევა საფუძველი გახდა მიქაელის იადგარის ფუნქციის, დანიშნულების განსაზღვრისა.

მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარში რამდენიმე საგალობელს აშიაზე აქვს მინაწერები: „მერჩულიულნი“, „მერჩულიულნი უცხონი“. პ. ინგოროყვამ მინაწერებიანი საგალობლების შესახებ გამოთქვა შემდეგი ვარაუდი: „აქ ორი ახსნაა შესაძლებელი: ან ეს ჰიმნები ეკუთვნის გიორგი მერჩულეს, ანდა ეს ჰიმნები დაწერილია იმ ფორმით, რომელიც პირველად შემოულია ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გიორგი მერჩულეს... სწორია მეორე ახსნა, სახელწოდება „მერჩულიულნი“, ეს ყოფილა იმავე ტიპის სახელწოდება, როგორც „ჩახრუხაული“, „ძაგნაკორული“, „ბისტიკაური“ და სხვანი“. კ. კეკელიძის თვალსაზრისით: „გიორგი მერჩულე ჰიმნოგრაფიც ყოფილა: მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოთავსებულია მეხუთე ხმის აღდგომის კანონი, რომელსაც აწერია: „უცხონი მერ-ჩულიულნი“. მერჩულიულნი, ალბათ, გიორგის ავტორობას ნიშნავს, თუმცა შესაძლებელია ამ ტერმინით „მერჩულისებური“ ფორმა იგულისხმებოდეს“. ცნობილია, რომ იოანე მინჩხის საგალობლებს ხელნაწერებში აქვს მინაწერები: „მინჩხი“, „მინჩხისანი“, „მინჩხურნი“. მისი ავტორობა ზოგჯერ მონოგრამულადაც არის მითითებული: „ᲛᲗ“. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა მინაწერი „მინჩხურნი“, რომელიც ისეთივე წარმოებული ფორმაა, როგორც „მერჩულიულნი“. ამან შესაძლოა გვავარაუდებინოს ის, რომ, „მინჩხურნის“ მსგავსად, „მერჩულიულნიც“ ავტორობას უნდა ნიშნავდეს. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გიორგი მერჩულე უნდა მივიჩნიოთ ერთი მცირე ფორმის საგალობლისა და აღვსების (ე.ი. აღდგომის) დღესასწაულისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის ავტორად.

ბიზანტიური და ქართული ნოტაციის განვითარება დაკავშირებულია ათონისა და კონსტანტინოპოლის ჰიმნოგრაფიულ სკოლასთან, რომელთანაც X საუკუნეში, გიორგი მერჩულეს ცნობით, IX საუკუნეშიც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტაო-კლარჯეთის შესანიშნავ ქართულ ჰიმნოგრაფიულ სკოლასაც, საიდანაც გამოვიდა მიქაელ მოდრეკილის „მეხური იადგარი“.

გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულმა ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულმა სკოლამ ქართულ ჰიმნოგრაფიას მრავალი მწერალი შესძინა, რომელთა მემკვიდრეობა ძირითადად მიქაელის საწელიწდო იადგარშია თავმოყრილი. იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, სტეფანე სანანოჲსძე-ჭყონდიდელის, ეზრას, კურდანაჲს, თვით მიქაელ მოდრეკილის სახისმეტყველებით მდიდარმა ორიგინალურმა და ნათარგმნმა საგალობლებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ქართული მწერლობის ისტორიაში.

ნესტან სულავა
პროფესორი



საგალობელნი *

ნინოჲს II ჰიმნოგრაფი (IX–X სს)

გალობანი ნინოჲსნი

ადიდე შენ, ქრისტე, ქართლი
სამითა დიდებითა:
კუართითა მით შენითა,
ჴელთა შენთა სამსჭუალითა,
ფერჴთა შენთა ფიცრითა.
ქუეყანაჲ დავიწყებული,
კერპთა დაბნელებული,
კუალად მოხსენებული,
ღმრთისა შეწყალებული,
ნინოჲს განახლებული.

* * *

მოეც უფალო,
მეფესა ჩუენსა მორწმუნესა
ძლიერი საჭურველი
და დაამჴუ სიმრავლეჲ ბარბაროზთაჲ.

იოანე მინჩხი

* * *

ნუმცა ვემსგავსებით, ძმანო,
ხეთა ზამთრისათა უნაყოფოთა,
ფურცელცჷვნულთა ბელეკონთა,
რათა არა მოვიღოთ ჩუენ პატიჟი იგი
უნაყოფოჲსა ლეღჷსაჲ,
რომელი წყევით განახმო ქრისტემან,
არამედ ნაყოფიერ ვიქმნნეთ

* * *

ვითარცა რაჲ სიზმარნი განქარდებიან,
და დღითიდღე მოაკლდების რიცხუსა
აღრიცხულთა მათ. დღემდე ჩემთასა
და ყოვლისავე დამხსნელ არს სიკუდილი!
აწ ვიღუაწოთ მოსულადმდე მისა!

* * *

გულისჴმა-ვყოთ ამაოებაჲ ჩუენჲ,
რამეთუ ყოველნი მოკუდავ და მიწა ვართ.
და ჟამნი ჩუენნი, ვითარცა სიზმარნი
და არაჲ ვერჩდეთ ჩუენ წუთსა ამას
ცხოვრებასა,
რამეთუ, ვითარცა აჩრდილი წარვალს,
რამეთუ ვითარცა მტუერი ქუეყანისაჲ
განიბნევის,
შევინახნეთ საწუთროჲსა საფრთჴენი,
ვითარცა მტვრისა ბადენი განფენილნი-
პირსა ქუეყნისასა, დავიმდაბლნეთ
თავნი საღმრთოჲთა მით სიმდაბლითა,
რომლითაცა
დავიცვნეთ ჩუენ მარადის უვნებელად,
და არაჲ შევითხოვნეთ სასიკუდინედ მას შინა.

* * *

ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი,
ვინაითგან დაჰჴსნის მას სიკუდილი!
და ცუდად ხატად ვალნ კაცი,
ამაოდ შურების, იუნჯებს,
და არა უწყის ვისდაცა იყოს იგი,
ჯერ არს ჩუენდა გულისჴმის-ყოფაჲ
და ზრუნვაჲ ცხორებისა საუკუნოისაჲს.

ბასილი ბაგრატის–ძე, ხახულელ–მთაწმიდელი (X–XI ს)

გალობანი ეხთჷმე მთაწმიდელისანი
ძლისპირი

რომელმან დაჰრთენ
წყალთა ზედა ზესკნელნი მისნი,
და შეაყენე ზღუაჲ ქჷშასა,
და გიპყრიეს ქუეყანაჲ ბრძანებითა, –
შენ გიგალობს მზეჲ,
შენ გადიდებს მთოვარე,
შენდა შესწირვენ დიდებასა
ქმნულნი შენნი,
და აღგამაღლებენ შემოქმედსა უკუნისამდე.

---

* პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულის“ მიხედვით

სიტყუანი ძისა და დედისა

(ამონარიდი)

I სტროფი – „ნუ მწუხარე ხარ, უსძლოო,
უბიწოო დედაო,
მიხილო რა შობილი
შენგან ამ ქუეყნად ღმერთი–
ჴორცითა ჯუარ-ცუმული
შორის ავაზაკთა–
რამეთუ ნეფსით თჳსით
დავითმენ აწ სიკუდილსა,
ცხორებისა მიზეზსა,
სოფელისა ჴსნისათჳს"

II ანტისტროფი დედაჲ
– "ღმრთისა სიტყუაო მხოლოო,
მხოლოჲსაგან მამისა,
ძეო მხოლოდ შობილო!
დაღაცათუ კაც იქმენ
და მიიღე მჴსნელო,
ბუნებაჲ განხრწნადი
ბუნებისგან ჩემისა.
ხოლო ღმერთ ხარ ბუნებით!
ვითარ დაისაჯები
უკვდავი მოკუდავთათჳს?"

გიორგი მერჩულე

მთელ თავის მოღვაწეობაში, გრიგოლი გვევლინება თავდადებულ და შეგნებულ მომხრედ ეროვნული მთლიანობისა და ტაო-კლარჯეთში ახლად აღმოცენებული ეროვნული ხელისუფლებისა, რომელიც, მისი შეგნებით, საეკლესიო-სამონასტრო ინსტიტუტის მორალური გავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

ჩვენამდე არ შენახულა არცერთი თხზულება, რომლის შესახებ დანამდვილებით შეგვეძლოს თქმა, რომ ის გრიგოლის მიერაა დაწერილი, ან ნათარგმნი, მაგრამ მისი ბიოგრაფის სიტყვები:

„არს ხანძთას ხელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან", გვაფიქრებინებს, რომ ის მწერლობაში მართლაც რომ იღებდა მონაწილეობას. ფრაზა: „ხელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა" უფრო ასე უნდა გვესმოდეს, ეს იადგარი, ან ლიტურგიკული ჰიმნები მთელი წლისა მას თვით შეუთხზავს „სული წმიდის შთაგონებით".

კორნელი კეკელიძე

IX–X საუკუნეებში მოხატული ქართული ხელნაწერები

ისტორიული ძეგლებით მდიდარ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქეთის მფლობელობაშია, მრავალი სამწერლობო კერა არსებობდა. აქ შექმნილი IX-X საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები კი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ იმდროინდელ-ხელოვან-ოსტატთა ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. ეკლესია-მონასტრებთან არსებულ კულტურულ საგანმანათლებლო სკოლებში არა მარტო ითარგმნებოდა და იწერებოდა, არამედ იხატებოდა კიდეც ხელნაწერები. აქ ყალიბდებოდა ადრეული ხანის წიგნის გაფორმების პრინციპები და ეს, ტრადიციადქმნილი ხელოვნების მთელი რიგი თავისებურება, ოსტატთა ინდივიდუალური ხელწერის შესაბამისად, საუკუნეების განმავლობაში მეორდებოდა.

ტაო-კლარჯეთის მხატვრულ სკოლებში შექმნილი IX–X სს. მოხატული ხელნაწერები თავისი შინაარსით მრავალფეროვანია და აქედან გამომდინარე, გაფორმების თვალსაზრისითაც მრავალფეროვანია დღემდე შემორჩენილ მოხატულ ხელნაწერთაგან. შეიძლება დავასახელოთ, უპირველეს ყოვლისა, ოთხთავები. ესენია ადიშის (897 წ.), I ჯრუჭის (H-1660, 936-940 წწ.), წყაროსთავის (A-98, X ს.), პარხლის (A-1453, 973 წ.), I ბერთას (988 წ., დაცულია ამერიკის შეერთებულ შტატებში). რაც შეეხება ცნობილ 995 წლის დავით კურაპალატის დროს შექმნილ I ტბეთის ოთხთავს, რომელიც ამჟამად პეტერბურგშია დაცული, XI საუკუნეში დაურთო მახარებელთა მინიატურები სამოელ ეპისკოპოსმა. მოხატულია დავითნი (A-38, 974 წ.) და ასევე სხვადასხვა შინაარსის კრებულები A-35 (X ს.), A-397 (X ს.), შატბერდისა (S-425, 978-988 წწ.).

აღნიშნულ ხელნაწერთა უმეტესობა სამხრეთ საქართველოს ანდერძების მიხედვით მიეკუთვნება. ზოგი ხელნაწერის შესრულების ადგილი კი განისაზღვრება მხატვრული სტილით, პალეოგრაფიული თავისებურებებით თუ ისტორიული მონაცემებით.

საუკუნეების მანძილზე სამხრეთ საქართველოს მრავალი მოღვაწე და ხელოვანი ჰყავდა. ძველ ოსტატთა – ოქრომჭედელთა, გადამწერთა, მხატვართა, მმოსველთა მრავალი სახელი შეიძლება დავასახელოთ. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერთა ანდერძმინაწერების მიხედვით ცნობილია ამ ოსტატთა სახელები. სამხრეთ საქართველოში ოქრომჭედელთა ძლიერი სკოლაც არსებობდა. ისინი ჭედური ყდების შესრულებაში იყვნენ დახელოვნებულნი, მაგ. XII ს. ბერთას ოთხთავის ყდა ბეშქენ ოპიზარის ნახელავია. გელათის მთავარანგელოზთა ეკლესიაში სხვა სამუშაოების შესასრულებლად და ლაფსყალდის ოთხთავის ყდის მოსაჭედად დავით ნარინმა ოპიზიდან გადმოიყვანა მეფის მოძღვარი ბერი ილარიონ სოფრომის ძე.

ჩვენამდე მოღწეულ არც თუ ისე მრავალრიცხოვან X ს. სელნაწერთა ანდერძ-მინაწერები იმასაც გვამცნობენ, რომ ერთსა და იმავე პირს ორი ან მეტი ხელნაწერი შეუსრულებია. მაგ. იოანე ბერაიმ, რომელიც იყო მიქაელ მოდრეკილის დისწული, გადაწერა პარხლის ოთხთავი (A-1453) და ასევე შატბერდის კრებული (S-1141). პარხლის მონასტერში მოღვაწე გაბრიელ პატარაიმ შეასრულა უზარმაზარი პარხლის მრავალთავი (A-95), პარხლის ოთხთავი (S-4927) და წმ. მამათა საკითხავები და სიტყვები (A-144), A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში წყაროსთავის ოთხთავის (A-98) გადამწერად გაბრიელ პატარაი არის მითითებული. ზოგჯერ ერთი და იგივე პირი რამდენიმე ხელობას დაუფლებული ჩანს. მაგ., მიქაელ მოდრეკილი ცნობილია, როგორც საგალობლების შემგროვებელი, გადამწერი და მხატვარი. ზოგიერთი გადამწერი მხატვრის როლშიც გამოდის (ამის შესახებ ქვემოთ).

ბევრი სამხრეთელი მოღვაწე გადადის საზღვარგარეთის კერებში სამოღვაწეოდ, რომლებიც ძველი ადგილსამყოფელის დასახელებას ინარჩუნებენ. ივანე საფარელმა პალესტინაში 968 წელს გადაწერა იოანე ოქ-

ლუკა და იოანე მახარებლები.
წყاროსთავის ოთხთავი, X ს.



ჯრუჭის ოთხთავი.
თევდორე კამარათმწერლის
ანდერძი თავფურცელზე. 940 წ.

როპირის ცხოვრება (H-2124) სინას მთისათვის. ამ ხელნაწერის დამკვეთი ხუცესი მიქაელ ფანასკერტელი სინას მთაზე მოღვაწეობს. მწიგნობარი იოანე ხახულელი XI ს. პირველ ნახევარში ათონშია. X-XI საუკუნეებში განსაკუთრებით ძლიერი იყო ქართველების ლტოლვა საზღვარგარეთის ქართული კულტურისა და მწიგნობრული ცენტრებისაკენ. უმრავლესობა ტაოდან და კლარჯეთიდან იყო წასული. მიილტვოდნენ საზღვარგარეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში სამოღვაწეოდ, რათა ხელი შეეწყოთ თავიანთი მწერლობის საერთო ქრისტიანული სტანდარტების დონეზე განვითარებისათვის. მათთვის არ არსებობდა ტერიტორიული ბარიერი და ხანგრძლივ მგზავრობასთან დაკავშირებული სიძნელეები. XI ს. პირველი ნახევრის ცნობილი შატბერდელი მოღვაწეები გადადიან, რა შავ მთაზე, ქმნიან სამხრეთული სკოლის შესანიშნავ ნიმუშს ე.წ. ჯიბისძეების მეორე სვინაქსარს (H-2211), როგორც კალიგრაფიული, ასევე წიგნის მხატვრული მორთულობის თვალსაზრისით. XI ს. პირველ ნახევარში კონსტანტინოპოლში მოღვაწეობს ბასილი მალუშის-ძე, რომელიც, როგორც ირკვევა ანდერძ-მინაწერებიდან, სამხრეთ საქართველოდან იყო წამოსული და ხორას მონასტერში (ამჟამად კახრიე-ჯამი) დამკვიდრებული. მან გადაწერა და მოხატა ბანელი მამათმთავრის ზაქარია ვალაშკერტელის დაკვეთით 5 ხელნაწერი. როგორც ჩანს, ექვთიმე ათონელის „ახლად ნათარგმნი" ტექსტები მას თვითონ ჩამოჰქონდა ათონიდან და გასავრცელებლად ორ-ორ ეგზემპლიარადაც წერდა: იხ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (A-92, A-1), მცირე სჯულის კანონი (A-96, S-143). საინტერესოა, რომ მთაწმიდას ჩასულმა ბასილმა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულების (A-92) გადაწერაში მიიღო მონაწილეობა ერთ-რთი გადამწერის, ზაქარია მირდატის-ძის გარდაცვალების გამო.

ჩვენამდე მოღწეული IX-X საუკუნის ხელნაწერებიდან უმრავლესობა სამხრეთ საქართველოში და ძირითადად შატბერდშია შესრულებული. დასახელებული ოთხთავებიდან ყველა უნიკალურია და ისინი სწორედ შატბერდშია გადაწერილი (იხ. ადიშის, I ჯრუჭის, პარხლის A-1453). შატბერდულ ხელნაწერებში ცხადად იკვეთება ოთხთავის გაფორმების ტარდიცია, რაც გარკვეულ ადრეულ ეტაპს ქმნის წიგნის დეკორაციული მორთულობის განვითარების გზაზე. როგორც არის მიჩნეული, შატბერდში გადაიწერა X საუკუნეში ასევე შატბერდის კრებული (S-1141). პ. ინგოროყვას მითითებით მიქაელ მოდრეკილის საგალობლების კრებულიც (S-425) შატბერდშია შესრულებული. განთქმული შატბერდის მონასტერი კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მიერ იყო დაარსებული IX ს. დასაწყისში. იქ IX-X საუკუნეებში მძლავრი სამწიგნობრო კერა შეიქმნა. სწორედ ამ სამწიგნობრო კერას, როგორც აღნიშნავს ელ. მეტრეველი, შემდეგ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა შავი მთის ახლად აშენებულ ძელი ცხოველის ეკლესიასთან.

ოთხთავის გაფორმების მხატვრული თავისებურებანი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა წიგნის მხატვრული ორგანიზმის ჩამოყალიბებაში. ეს თავისებურება, ცხადია, სხვა შინაარსის ხელნაწერთაგან განსხვავებულია. ოთხთავის შინაარსის შესაბამისად მისი არქიტექტონიკა ასეთია: თავფურცელი ჯვრის გამოსახულებებით, მახარებელთა მინიატურები, ოთხთავის საძიებლები (კამარები). რაც შეეხება თავსამკაულებს და საზედაო ასოებს, ისინი სხვა შინაარსის მქონე ხელნაწებშიც გვხვდება. ზემოაღნიშნული ელემენტები შემდგომში ოთხთავის გაფორმების აუცილებელი შემადგენელი ნაწილები ხდება: მხოლოდ XI საუკუნიდან ჩამოყალიბდა კოდექსი გამოკვეთილი ოთხი თავით. იცვლება მახარებელთა იკონოგრაფიული თავისებურებანი (სახე და გამოსახვის წესი), კამარათა თუ თავსამკაულთა ფორმა, თავფურცელი საზეიმო კომპოზიციის – ჯვრის ტიპის.

IX-X საუკუნის ხელნაწერიდან დასურათებული მხოლოდ I ჯრუჭის ოთხთავია. ერთი მინიატურა მოგვეპოვება მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში (S-425, 60r). დეკორაციული მორთულობის ელემენტები აღნიშნულია პირველ ტაბულაზე. ის სპეციფიკური თავისებურებანი კი, რაც IX-X სს. მორთულობაში გვხვდება, შემდეგია: კამარებს ნალისებრი ფორმა აქვს. ნალისებრი ფორმის ჩარჩოებშია ჩასმული მახარებლებიც და ბასილი კესარიელისა და იოანე მტბევარის ფიგურებიც მიქაელ მოდრეკილის კრებულში.

მახარებელთა უმრავლესობა წყვილ-წყვილად არის წარმოდგენილი და ტექსტის დასაწყისშია თავმოყრილი. მხოლოდ I ჯრუჭის ოთხთავში თევდორემ, რომელმაც ხელნაწერი მოხატა გადაწერიდან 4 წლის შემდგომ, ცალკე ფურცლებზე მოთავსებული მახარებლები სიუჟეტებითურთ ყოველ სახარებას წინ დაურთო. მახარებლები ფეხზე დგანან გრაგნილით ხელში, ჯვრის ფორმა ოთხყურაა, რაც ბოლნისის ჯვრის ფორმას მოგვაგონებს. მხოლოდ მცხეთის დავითნში ჩასმული მინიატურა სამყურა ფორმისაა ქვედა დაგრძელებული მკლავით და პოსტამენტზეა შედგმული, რაც გარდამავალი ხანისად არის მიჩნეული. თავსამკაულებს სწორხაზოვანი ფორმა აქვთ, მთავრულ ასოთა მოხაზულობანი ფარგლით სრულდება.

XI საუკუნიდან იცვლება ოთხთავის მხატვრული არქიტექტონიკა. შუასაუკუნეების ეკლესიის მიერ მყარად არის შემუშავებული არა მარტო კოდექსის მხატვრული ორგანიზმი, არამედ მახარებელთა იკონოგრაფიული თავისებურებანი: მახარებლები ყოველი სახარების წინ მჯდომარე პოზაში ტექსტისაკენ მიმართულნი გამოისახებიან. ისინი ერთმანეთისაგან დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევიან. კამარებს სწორკუთხა ზედანი აქვს. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იშლება ის ელინისტური ტრადიციები, რაც ასე ძლიერია IX-X საუკუნეების მხატვრობაში, შესრულების მანერაში. შეიძლება განსაკუთრებულად ჩამოვთვალოთ ის თავისებურებანი, რაც 897 ადიშისა და 940 წლების მოხატულ I ჯრუჭის ოთხთავებში გვხვდება, როგორც ადრეული წიგნის მხატვრობისთვის დამახასიათებელი. მაგ., ქრისტეს და იოანე მახარებლის უწვერულვაშო სახე, კამარათა ნალისებრი ზედანი, აქედან ამოზრდილი აკანთის ფოთლები, სვეტების მარმარილოსებრი იმიტაცია, ტანისამოსის ნაოჭების დამუშავება, მიწის, როგორც სურათის ქვედა ფონის აღნიშვნა ყვავილებით, შიშველი ფიგურის გამოსახვა და ა.შ. მაგრამ მომდევნო საუკუნეებში რჩება საფერწერო ტექნიკის თავისებურებანი: ნათელ ფერთა შეხამება, სინგურის სიუხვე, ოქროს ფონის უარყოფა, აკვარელისებრი საღებავის მოხმარება ე.წ. ხალხური მიმართულების ხელნაწერებში, რომლებიც თავის მხრივ არსებობენ ბიზანტიური ტიპის ხელნაწერების პარალელურად. ორნამენტული მოტივები – გეომეტრიული თუ მცენარეული (განსაკუთრებით ვაზისებრი), სინგურისა და შავი ფერის შენაცვლება, ეტრატის ფერის გამოყენება ნახატში და, რაც მთავარია, შესრულების გრაფიკული მანერა – სწორედ ამ ხალხური მომართულების ხელნაწერებში განაგრძობს არსებობას.

ტაო-კლარჯეთის ხელნაწერთა მორთულობის შესწავლის დროს გამოიკვეთება მეტად საინტერესო საკითხი, კერძოდ, ოსტატთა შორის, განსაკუთრებით გადამწერსა და მხატვარს შორის, შრომის განაწილების შესახებ. როდესაც მოხატულობა კომპოზიციურად მჭიდრო ურთიერთობაშია ტექსტთან (ზოგჯერ შეჭრილია დაწერილი სვეტის ფარგლებში), ან გადამწერის მიერ შესრულებული საზედაო ასოები ორნამენტულ მხატვრობას ესადაგება, გადამწერი შეიძლება ხელნაწერის მომხატველადაც მივიჩნიოთ. მეტად საინტერესო შემთხვევას ვხვდებით მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში. აქ სამი გადამწერის ხელი გამოირჩევა და თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამისი ტექსტის მოხატულ ასოებსა და თავსამკაულებს. იცვლება გადამწერის ხელი და იცვლება საზედაო ასოების შესრულების მანერა. ანალოგიურ შემთხვევას ადგილი აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის XI ს. ხელნაწერში (A-87).

რაც შეეხება მომხატველთა სახელებს, როგორც ცნობილია, ისინი თავის სახელს ან არ წერდნენ, ან მიფარვით ასრულებდნენ. IX-X სს. ხელნაწერთაგან ცნობილია I ჯრუჭის მომხატველი თევდორე „კამარათამწერალი" (ანდერძი დაწერილია სარკისებრი წესით. ტერმინი მწერალი ძველად მხატვარს ნიშნავდა და თევდორეც კამარათა, აქ იგულისხმება კამაროვან ჩარჩოებში ჩასმული მახარებლებიც, მომხატველია).

ამრიგად, ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებში შესრულებული ხელნაწერები საინტერესო მასალას იძლევა ქართველ მოღვაწეთა, ძველ ქართველ ოსტატთა გამოსავლენად, ადრეული ხანის წიგნის მხატვრობის დასახასიათებლად.

ელენე მაჭავარიანი
ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი

მდუღარებაჲ სულისაჲ

„თქმულ არს, ვითარმედ — არარაჲ ეგრეთ განარისხებს ღმერთსა, ვითარ მეტი შვებაჲ“.

VIII-IX ს.ს. ქართულმა ხუროთმძღვრებამ ახალი გაქანება მიიღო. არენაზე გამოჩნდა გრიგოლ ხანძთელი — დიდი საეკლესიო მოღვაწე, ეკლესია-მონასტრებისა და ტაძრების მშენებელი. იგი დიდი, ცივილიზებული ქართველი ერის ხუროთმოძღვარი გახდა.

ღვთაებრივი სიმართლისა და საიდუმლოს ფლობა იყო ხანძთელის უმთავრესი მოწოდება. სურვილიც ეს იყო მისი. ღვთაებრივი საიდუმლოსა და სამართლის ერთი მთავარი აზრი ისიც გახლდათ, რომ მეტი, ანუ ზედმეტი შვება დაუშვებელია. ადამიანის დანიშნულება ცის ქვეშ „მეტი შვება“ არ არის. „შვებას“ იქით იგი დამანგრეველი უბედურებაა.

ერთი მხარეა მოვლენისა, რომ ეს „მეტი შვება“ გამორიცხა გრიგოლ ხანძთელმა თავის საძმოში, მაგრამ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს საძმო ხანძთის მონასტრის საძმო არ ყოფილა. საძმო ჰქონია, თორემ გრიგოლ ხანძთელის ხალხი აღაშენებდა ეკლესია-მონასტრებს მთელ ტაო-კლარჯეთში (ეს კი დიდი ქვეყანა გახლდათ), შემდგომ უკვე მთელს დასავლეთ საქართველოშიც. მან მთელ ქვეყანას უკარნახა წესი და რიგი, მთელი ქვეყანა აიძულა, ეცხოვრა „მეტი შვების“ გარეშე. უსაყვარლესი მისი მეფის — აშოტ კურაპალატის „მეტი შვებაც“ კი ალაგმა. მარტოდენ სახელმწიფოებრივ დონეზე კი არა, მარადიულობის დონეზე აიყვანა დამოკიდებულება „მეტი შვების“ პრინციპთან, როდესაც აშოტ კურაპალატს საყვარელი ქალი ხელიდან გამოსტაცა და ფებრონიას ჩაბარა. ფებრონიას მტკიცე დახვედრამ მეფეს ათქმევინა, — **„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“**. ზნეობა მკაცრია, შეუვალი, მაგრამ კამკამა და გამჭვირვალე. **მხოლოდ შეულახველი ზნეობით შეიძლება კაცი — კაცს, მეფე — მეფეს, ერი — ერსა და ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს.** მეფის დასჯა ერის გაფრთხილება იყო. იგი დასჯის ნიმუში გახლდათ.

თითქოს ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, როგორ ცხოვრობდა გრიგოლ ხანძთელის საძმო, — ტაო-კლარჯეთის მშენებელი უნიკალური არმია. მათი ჭამა, მათი სმა, მათი დასვენება — ყოველივე თავგანწირვის ფორმებში იყო მოქცეული. რომ გრიგოლ ხანძთელი „არავის უდებთაგანს შეიწყნარებდა“, რომ გამოცდიდა მკაცრად, შეარჩევდა შეუმცდარად, რომ წვრთნიდა დაუსრულებლად და აკონტროლებდა — ეს ყოველი ფაქტია და მისი მოღვაწეობის მეთოდებსა და ხერხებზე მეტყველებს. მაგრამ რაც ამ წვრთნას მოსდევდა შედეგად, გახლავთ ისტორიული პროცესი, რამაც მოიცვა მთელი ქვეყანა და აქედან ჩანს უკვე, როგორც საქართველოს გამოვლენის პლანეტაზე საშვენი სიმაღლის დამკვიდრების პროცესი. მთელს ამ საქმეებს გრიგოლ ხანძთელი წარმართავდაო, აღნიშნავს მერჩულე. წარმართავდა „მდუღარებითა სულისაჲთა“. სულის მდუღარება თუ შრომობს ამდენს და აგებს ამდენს, თორემ გამორიცხულია სხვა ძალა, რომელიც მსგავს რაიმეს შეძლებს. არ არის ეს სულის მდუღარება, მარტოოდენ გრიგოლისა და მისთა მოძმეთა სულის მდგომარეობა. ეს ღმერთმა „შეამწიფა“ (რუსთაველის გამოთქმაა) ერის არსი ამ დროისათვის იმ ზომაზედ, რომ გრიგოლ ხანძთელის და მის თანამზრახველთა სულის მდუღარებად იფეთქა არსმა. ის სიმწიფე მზადდებოდა საუკუნეთა განმავლობაში. „მდუღარებაჲ სულისაჲ“ — ქვეყნის ამ გავარვარებული ქვაბის მდუღარება იყო. გრიგოლ ხანძთელი და მისი მოძმენი პირველი წვეთები იყვნენ, ადუღებული წყლის ზედაპირიდან რომ აიჭრნენ ცაში. თავად ქვეყანა დუღდა, როგორც უზარმაზარი ქვაბი. ღვთის რჩეულებს — გრიგოლ ხანძთელსა და მის ძმებს მთელი ქვეყანის სული უნდა აედუღებინათ. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის სული მზად ჩანს საამისოდ. ნერსე ერისთავი თავისთავად სათავეა ამ მოძრაობისა. აშოტ კურაპალატი და მისი ძენიც მზად არიან, ყველაფერი გაიღონ ამ „საღვთო საქმისათვის“. დაფანჩულიც — დიდი აზნაური — ეხმარება უანგაროდ. ამ საქმეში ყველა თავისი

არსებობის აზრს ხედავს და მაქსიმალურად შეეწევა. ეს „ყველა“ მთელი ქვეყანაა. გრიგოლ ხანძთელი, როგორც მაშინ იყო მიღებული, უდაბნოებსა და უვალ ადგილებში აშენებს ეკლესია-მონასტრებს. „უდაბნოსა შინა“ და „უვალს“ ადგილებში კი ეკლესია-მონასტრების შენება ურთულესი საქმეა. ეს ურთულესი საქმე კეთდებოდა დიდი ტემპით. მთელი ქვეყნის ძალისხმევა იყო ჩართული ამ საქმეში.

გრიგოლ ხანძთელის ტაო-კლარჯეთს „ბერ-მონაზვნების რესპუბლიკა“ უწოდა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. მან დაინახა გრანდიოზულობა საქართველოში მიმდინარე პროცესისა. იგი ქრისტიანული მსოფლიოს გამორჩეულ ადგილად გვეცხადებოდა, რადგან მართლა მიიღო ბერ-მონაზვნების რესპუბლიკის სახე. ეს უზუსტესად გამოხატავს ტაო-კლარჯეთში იმდროისათვის გაშლილი მშენებლობის მასშტაბებსა და შინაარსს.

რაღაც მოხდა, განუსაზღვრელად დიდი რამ მოხდა საქართველოს ცხოვრებაში. ერის სწრაფვა სრულყოფისაკენ ვერ დამაგრდა ადგილზე. ვერაფერმა შეაჩერა იგი. ვერ შეიძლო გარემომცველმა მტრულმა სამყარომ მისი გაქვავება, ჩაკვლა, დამცრობა, მეტი სალტეები. მტრული სამყაროსაგან თავს ატყდებოდა ყველა სახის უბედურება — გამოხატული ომებით, სისხლისღვრით, აყრა-გადასახლებით, ძარცვით, გლეჯით, შერევით, ზნეობრივი გადაგვარებით, ჭირით. ერთი სიტყვით, იყო უმძიმესი გამოცდა. გამოცდა თავის კვალს ატყობდა ერის სხეულს და სულს. გაქრობის ზღვარიც ჩნდებოდა ხშირად. ზნეობრივი გადაგვარების უფსკრულში ჩაახედებდა, დაამცრობდა ტერიტორიულად, დააკნინებდა სულიერად, მაგრამ ვერ ერეოდა საბოლოოდ. არსებობს რაღაც ზამბარისებური ქართველი ერის არესებობაში. შეიკუმშება ერი მტრული სამყაროს სალტეებით უკიდურესად, ბირთვს ემსგავსება, ბოლოს მაინც იწყებს ზამბარასავით გაშლას და იბრუნებს თავდაპირველ ფორმას და შინაარსს. ვახტანგ გორგასალის შემდგომ მოსალოდნელი იყო დიდი სიმაღლეების დაპყრობა, მაგრამ ბიზანტიელთა ცბიერებამ და განსაკუთრებით, არაბების აგრესიამ უკიდურესად შეუჭირვა ქართველ ხალხს. იკარგებოდა ყველაფერი, რადგან არსებობას უდიდესი საფრთხე დაემუქრა. მაგრამ კიდევ ერთხელ გამოვლინდა გამძლეობის უდიდესი უნარი, არათუ სხვათათვის, ჩვენთვისაც გაუმჟღავნებელი და გაუშიფრავი ფარული კანონებით მოქმედი საიდუმლოს გასაღები მხოლოდ ღვთის ხელშია, საბედნიეროდ, და მიმნდობი კაცი ვერავის გაანდობს მას!

ვერ შეძლო არაბეთმაც, ვერ შეძლო და დასჯერდა მოპოვებულ ხარკს და თბილისის საამიროს, გარკვეულ ტერიტორიას დასჯერდა. ქვეყნის სული უკუიქცა დაღუპვის ზონიდან დროებით. უკუიქცა სხვა სივრცესა და სიღრმეში — ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთში, კახეთში — და დაიწყო წამოდგომა! ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის ხელმძღვანელობით დაიწყო სულ სხვა რიგის მოვლენა. პირდაპირ ვახტანგ გორგასლის მიერ დალაშქრული სიმაღლიდან გააგრძელა გზა ახალი სიმაღლეებისაკენ.

ერთმანეთის გვერდიგვერდ ცოცხლობდა გაქრობის სრული საფრთხე და სრულყოფისაკენ მისწარაფების დიდი სურვილი. გაქრობის საფრთხე აისხლიტა თუ არა, მაშინვე წელში გამართვის სურვილიც დაეუფლა ქვეყანას.

ქართველი ერი თავის საშვენ ხვედრს ეძიებდა, თავის ადგილს ეძიებდა ამ პლანეტაზე. არსებობა და ღირსეულად გამოვლენა მისთვის ერთდროული პროცესი იყო. ოდნავ სულის მოთქმისთანავე ეწყებოდა ტანში მტვრევა.

და მცირეოდენი სულის მოთქმა აშოტ კურაპალატის ტაო-კლარჯეთში! და ნერსე ერისთავი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდი. ნერსე ერისთავისაგან მოხდენილი მოვლენები გამოკვლეული აქვს ვახტანგ ჭელიძეს. სრულფასოვნად არის წარმოჩენილი, როგორ წრეში აიდგა ფეხი გრიგოლ ხანძთელის სულისკვეთებამ, სად დაიბადა და შეერწყა ერთმანეთს ღვთისა და ერის ნება.

სრულყოფა იყო ქართველი ერის დაუცხრომელი მისწრაფება. საიდან უნდა გაგრძელებულიყო პროცესი? ცნობილი გახლდათ ვახტანგ გორგასლის მიერ მოპოვებული თვისობრივი მდგომარეობა, იგი ხელისგულზე ედო ქართველობას, მაგრამ როგორ და რით გაგრ-

ძელებულიყო, აი, რა გვევლინებოდა პრობლემად. რა შეასრულებდა სრულყოფისაკენ მიმსწრაფ პროცესში უმთავრეს როლს? „მდუღარებაჲ სულისაჲ“ ააშენებდა მხოლოდ ერს, როგორც ქანდაკს. სულიერება უნდა გაჯანსაღებულიყო, მთელი ქართველთა მოდგმისა, სული უნდა გამართულიყო წელში, განწმენდილიყო, გასპეტაკებულიყო. ღვთის რწმენას ღვთის სახელები სჭირდებოდა, საყდრები, ბაზილიკები, ეკლესიები, მონასტრები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეები და ციხე-ქალაქები მრავლად იყო და კვლავაც აშენდებოდა. აგებული არ კმაროდა! გაუდაბურებული იყო ქვეყანა ამდენი რბევით. ქვეყანას სულიერი სისავსე ენატრებოდა.

ჩვენ არა გვაქვს უფლება ჩამოვთვალოთ მეტ-ნაკლები სისრულით ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, ხახული, ბანა, ოშკი, ხიხანი, ზარზმა, საფარა, უბისა, გუენათლე... — გრიგოლ ხანძთელის მიერ უშუალოდ, ან მისი მოწაფეებისაგან აშენებული ღვთის სახლები, რომლითაც გაიჭედა რამდენიმე საუკუნის (მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე) განმავლობაში საქართველოს ცისქვეშეთი და არ დავფიქრდეთ, რა გაკეთდა ამით. საქართველოს სული აშენდა, ერთი მხრივ, ქართული ხუროთმოძღვრება აყვავდა, მეორე მხრივ. უფრო მნიშვნელოვანია პირველი. რადგან მისთვის კეთდებოდა ყველაფერი. რაც კიდევ უფრო მთავარია, ღმერთთან უწყვეტ კავშირში და ღვთის ჩაგონებით კეთდებოდა ყოველი.

ქართული არქიტექტურა რომ უნიკალურია, ამის საბუთად ისიც კმარა, რაც განაცხადეს უცხოელმა სპეციალისტებმა ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების შესახებ. კერძოდ, მათ თქვეს, რომ ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების გაუთვალისწინებლად მსოფლიო არქიტექტურის შესახებ საუბარი არ იქნება სრულფასოვანი.

ქვეყანას სამშენებლო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან და ცხოველმყოფელ გავლენასაც განიცდიდა, მაგრამ ეძიებდა და ჰპოვებდა თვითმყოფადს და ასეც არის ნაგები — ეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული აზრია — ქართული ხუროთმოძღვრება თავისთავადია და, ამდენად, განუმეორებელი.

მიმდინარეობდა გამალებული მშენებლობა. შიმშილი, გასაჭირი, იარაღის უქონლობა, მუშა ხელის სიმცირე — ვერაფერი შეაფიქრიანებდა გრიგოლ ხანძთელის სკოლას. მრავლდებოდა „მშენებულობათა“ რიცხვი, ფართოვდებოდა მშენებლობათა არეალი. გამალებულად ეძიებდნენ უდაბურ ადგილებს. სოფლიდან სოფელში, კუთხიდან კუთხეში, მხარიდან მხარეში დადიოდნენ მდუღარე სულით ანთებული ბერები გრიგოლ ხანძთელის საძმოდან და არჩევდნენ, ბჭობდნენ, ადგენდნენ, ეძიებდნენ საშენ მასალებს, აღანთებდნენ ხალხის სულს და დღენიადაგ წვითა და დაგვით, კოლოსალური ენერგიის გაღებით ქართველობა წამომართავდა ნატიფ კედლებს... გამართავდა ხარაჩოებს, ხსნიდა ხარაჩოებს... ქვეყანა ერთ დღეს არ აშენებულა; შენდებოდა წლების განმავლობაში, ოღონდ მუხლჩაუხრელად, შეუფერხებლივ, დიდი პაუზების გარეშე. ვნება მატულობდა, სულის დუღილი ძლიერდებოდა... გრძნობდა ქართველი ხალხი, რომ შინაგანად ნათდებოდა შენებისას, ნათდებოდა და მაღლდებოდა, რაღაც ძვირფასს უახლოვდებოდა. კუთხეები და მხარეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გაბრიელ დაფანჩული სიხარულმა ცათამდე აიტაცა, როდესაც შეიტყო, რომ მის კუთვნილ ტერიტორიაზე აგებდნენ ღვთის სახლებს გრიგოლ ხანძთელი და მისნი ძმანი, გადამდები შეიქმნა სულის მდუღარება!

სპეტაკდებოდა ქართველი კაცის სული და ნათდებოდა სახე — მას ხომ ღვთის სახლების კედლები აჰყავდა. საქართველო ხუროთმოძღვრებით აზროვნებდა. ფუძე, კედლები, სვეტები, ტრაპეზი, თაღები, გუმბათი, ჩუქურთმა, სარკმლის გეომეტრია, ქვის უჯრედების დასმა ერთმანეთზე, სიმტკიცის საიდუმლო, ხაზები, კუთხეები, განათება, სინატიფე, სისადავე, ამაღლებულობა... ქართული ხასიათიდან მომდინარე და ქართულ ბუნებაში გამჟღავნებული ამკვიდრებდა განუმეორებელს, ღირსეულს, გამორჩეულს.

„ბერ-მონაზვნების რესპუბლიკა“ აშენდა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქრისტიანულ-ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით აშენდა ეს რესპუბლიკა. უამრავი ააშენა გრიგოლ ხანძთელმა თავის საძმოსთან ერთად. დიდი

მნიშვნელობა აქვს, როგორც ისტორიკოსი შოთა ლომსაძე წერს, რომ შექმნა სამშენებლო სკოლა. ამ სკოლამ გააგრძელა პროცესი შემდგომ საუკუნეებში.

როდის არის სული მდუღარე? როდესაც ყველა ნერვით გრძნობს ადამიანი მოსახდენის აუცილებლობასა და გარდაუვალობას. სწრაფვა სრულყოფისაკენ ქართველებისაგან მოსახდენი მოვლენა რომ იყო, რომ მას ჰქონდა თავისი ისტორიული გზა, რომ იგი ელოდებოდა ამ დროს და უნდა გაცხადებულიყო უსათუოდ, ამის გააზრებას აქვს დაპყრობილი გრიგოლ ხანძთელის არსება. დაპყრობილი ჰყავდა იმავე აზრს მთელი იმდროინდელი ქართველობის შეგნებული წრეები – ხოლო ერი „ტანით გრძნობდა" დიდისა და გარდაუვალის მოახლოებას და მიჰყვებოდა მეწინავეს.

ღვთის სახლები გვევლინებოდა და ახლაც გვევლინება ქართულ ხუროთმოძღვრულ ცივილიზაციად. ჯერ ღვთის სახლებით სპეტაკდებოდა ქართველი ხალხის სული – ეს უბრალოდ შრომის პროცესში ხდებოდა, შემდგომ ლოცვითა და მუხლმოყრით ნათდებოდა, რადგან დღენიადაგ ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ღვთის სახლებმა ღვთის გზაზე დააყენეს ერი, ავი ზრახვების, ქვეგამხედვარობისათვის თითქმის აღარ დაუტოვეს დრო და ადგილი.

ხუროთმოძღვრული ცივილიზაციით დაიძრა ქართველი ერი დიდი ეროვნული მიზნის მისაღწევად. სრული თავისუფლების მიღწევის შემდეგ დიდი, მრავალმხრივი ქართული სამყარო უნდა აშენებულიყო. ამ სამყაროს სხვა სფეროებთან მიყურადებული ქართული მეობა ვერ ააშენებდა, ციხე-სიმაგრეთა ხუროთმოძღვრება კულტურას და გამძლეობას კი შესძენდა, მაგრამ ღვთაებრივ ნიშატს – ვერა! ზნეობრივი სიწმინდე, სულის სისპეტაკე, რწმენა – ყველაფერი ეს ღვთის სახლებში სუფევდა.

ზნეობრივად გასპეტაკებული ერი უთუოდ შექმნიდა მომავალში რაღაც ღირებულს; რაც მთავარია, შექმნიდა თავის სრულყოფილ სახეს. რა იქნებოდა იგი, რა შინაარსის, რა სიმაღლის, იქნებ არც იყო ეს გრიგოლ ხანძთელისათვის ძნელად განსაჭვრეტი, მაგრამ მისგან შექმნილი რომ თავისთავად გრანდიოზული რამ გახლდათ, ეს მაშინაც ადვილი დასანახი იყო. მეფეები, მთავრები, აზნაურნი, უაზნონი – ყველანი გრძნობდნენ, რომ რაღაც დიდი ხდებოდა – უჩვეულო და მიმზიდველი.

გაცილებით გვიან აიგო ბაგრატი, ბედია, სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი და ა.შ. მაგრამ გრიგოლ ხანძთელის მიერ გაშლილი დიდი პროცესის შთამომავლობაა ისინი.

არაბული სამყარო ვერ მიხვდა, რა ხდებოდა ტაო-კლარჯეთში, გაშლილ ველზე ან ციხე-ქალაქებთან ქართული ლაშქარი რომ ებრძოდა, მხოლოდ ეს ეგონა წინააღმდეგობა. რაკი ქართულ ლაშქარს მაინც ძლევდა ხოლმე, ქართველობაც დაძლეული ეჩვენებოდა. ვერ გაერკვია, ამ უწყინარი მშენებლობებით რა გამარჯვებას მოიპოვებდა ქართველი ხალხი, რომ ეს უჩვეულოდ გაშლილი მშენებლობის პროცესი ამარცხებდა მტრულ სამყაროს. არ შეეძლო გაეთვალისწინებია ყველა მოსალოდნელი შედეგი, რაც აღმშენებლობის ვნებას მოსდევდა კვალდაკვალ. ქვა ქვას დაედებოდა და კედლები აღიმართებოდა ცისკენ – ასე ჩანდა გარეგნულად. ამ კედლების შიგნით რა ენერგია აფარებდა თავს, ამის განჭვრეტა ჭირდა, ის ენერგია ხვალ თუ ზეგ რა ძალით დაუპირისპირდებოდა არაბეთის იმპერიას, ეს მით უმეტეს განუჭვრეტელი იყო.

ქართული სულის შენების პროცესი ხაზგაუსმელად წარიმართა. უწყინარი ბერების სილუეტები დაფარფატებდნენ უამრავ ადგილას, არც მტერს და არც მოყვარეს რომ არ აინტერესებდა, იმგვარ ადგილებში დაფარფატებდნენ და „მდუღარებაჲ სულისაჲ" გარკვეული დროის შემდეგ ამ „უინტერესო" ადგილებში წამომართავდა ღვთის ტაძრებს. და უდაბური ადგილები ცოცხლდებოდნენ. მკვდარი უჯრედების სასწაულებრივი ძალით გაცოცხლებას ჰგავდა ეს ყოველივე. დაუნდობელი მტრისაგან უკუქცეული ეროვნული ენერგია აქ რომ იმართებოდა წელში, აქ, ამ ადგილებში, ეს მტერს კი არა, მოყვარესაც ძნელად მოსდიოდა თავში.

ასე კი ხდებოდა. ხდებოდა ყოვლისმომცველად.

ეკლესია-მონასტრები, ტაძრები ქმნიდნენ სულიერ ჯაჭვს, ერთმანეთს გასძახოდნენ იდუმალი ხმით...

ხალხის სული იღვიძებდა. ქართველი ერი ამ „ბერ-მონაზვნების რესპუბლიკაში“ ცხოვრობდა უკვე. სრულყოფისაკენ სწრაფვა ეკლესია-მონასტრების სამოსელით მოევლინა ქვეყანას.

გრიგოლ ხანძთელის მიერ გაჩაღებულ პროცესს თავისი ტრაექტორია ჰქონდა. ძალიან მაღლა აიჭრა იგი ცაში, უჩვეულო მასშტაბით, უჩვეულო ხარისხით უმიზნებდა შორეულ სივრცეებს და სიმაღლეებს.

ჯანსუღ ღვინჯილია
მწერალი

* * *

დგანან ტაძრები და ცის სივრცეს აპობენ,
ფრინველნი მრავლობენ, ფრინველნი გალობენ.
აღარვინ ლოცულობს კაცთაგან ესოდენ,
მოხედენ უფალო, მოხედენ...

დაღლილან ტაძრები, დაშლილა ქვა-კირი.
ზედ დასდით დელგმა და უტირით თავ-პირი...
და ისმის ამ ქარში: „შეგცოდეს-შეგცოდეს“...
მოხედენ, მოხედენ, უფალო, მოხედენ!..

მიტროპოლიტი კონსტანტინე

ეკლესიის ნანგრევები

ვახტანგ ჯობაძე

ვახტანგ ჯობაძე და ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი

ეს სახელი, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. იგი გახლავთ საზღვარგარეთ, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველი კაცი — პროფესიით ხელოვნებისმცოდნე და არქეოლოგი, პროფესორი, რომელიც 1965 წლიდან სისტემატურად იკვლევს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის — ტაო-კლარჯეთის ისტორიულ ძეგლებს.

ბატონი ვახტანგი, 1989 წლიდან (როცა ეს უკვე შესაძლებელი შეიქნა) არჩეულია საქართველოს საისტორიო საზაგადოების საპატიო წევრად. მას დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების გამომზეურებასა და შესწავლაში.

ვახტანგ ჯობაძე დაიბადა 1917 წელს, თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი... სწავლობდა ასპირანტურაში... 1941 წელს გაიწვიეს ომში... ჩავარდა ტყვედ, რის გამოც სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შესძლო... ომის შემდეგ სწავლა გეტინგენის, ფრაიბურგისა და ერლანგენის უნივერსიტეტებში ისტორიის დარგში განაგრძო. 1949 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე — „ხახულის ხატი". მისი კვლევის მთავრი საგანი ყველგან და ყოველთვის ქართული ხელოვნებაა — ქართული ხუროთმოძღვრება და მისი დეკორატიული გაფორმება, კერძოდ, ეკლესიების შემამკობელი ფიგურული სკულპტურები...

ქართველ მკითხველს დღესდღეობით ნაკლებად მიუწვდება ხელი მის ნაშრომებზე... მაგრამ დროდადრო ქართულ პრესაში უკვე იბეჭდება მისი გამოკვლევები, ასევე წერილები მის შესახებ. გამოდის მისი წიგნების თარგმანებიც... ამჯერად ჩვენ ხელთა გვაქვს მისი დიდებული ნარკვევი სათაურით „ოშკის ტაძარი", რომელშიც

ორი ვრცელი სტატიაა დაბეჭდილი... და როგორც ქალბატონი ნათელა ალადაშვილი ამ წიგნის შესავალ ნაწილში წერს, ვახტანგ ჯობაძის მიერ ოშკის ტაძრის ადგილზე შესწავლამ (ამ მიზნით იგი ექვსჯერ იყო ტაო-კლარჯეთში) მნიშვნელოვანი მონაპოვრებით გაამდიდრა საქართველოს ისტორია.

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ მას, დიდებულ ქართველ კაცს, ღვაწლმოსილსა და ნათელს.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ქართველ მოღვაწეთა ნაშრომებიდან, რომელნიც მათ ვახტანგ ჯობაძისადმი სხვადასხვა დროს მიუძღვნიათ...

ალბათ, დროა, უფრო უკეთ იცნობდეს მის სახელს ქართველი საზოგადოება.

,,ვახტანგ ჯობაძე ცნობილი ქართველი ხელოვნებისმცოდნე და არქეოლოგია. მისი როლი განსაკუთრებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული არქიტექტურული ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების შესწავლის საქმეში. იგი ამჟამად ამერიკის მოქალაქეა, მაგრამ მისი ფესვები სამშობლოშია.

...1960-იანი წლებიდან ვახტანგ ჯობაძე შეუდგა საქართველოს ერთი ნაწილის, ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლას. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთის მიერ მიტაცებული ეს ტერიტორია ქართველ მკვლევართათვის ყოველთვის როდი იყო ხელმისაწვდომი. განსაკუთრებით ეს ითქმის საბჭოთა პერიოდზე. საბჭოთა მოქალაქეს იქ მიმოსვლის უფლება არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც უცხოელები თავისუფლად მიმოდიოდნენ და ძეგლებს სწავლობდნენ. ვ. ჯობაძის სისტემატურმა მოგზაურობამ თავისი ნაყოფი გამოიღო და არაერთი საინტერესო ნაშრომი მივიღეთ.

ამ თემაზე დაწერილი მრავალრიცხოვანი ნაშრომიდან მან ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს გადასცა 3500 წიგნი და სალექციო კურსებისთვის განკუთვნილი მდიდარი ფოტომასალა.

განხორციელდა ბატონ ვახტანგ ჯობაძის დიდი ხნის სურვილი, დახმარებოდა ქართველ კოლეგებს და ჩვენი კათედრისთვის გადმოეცა თავისი ბიბლიოთეკა, რაც ქართველი ხელოვნებისმცოდნეებისთვის ნამდვილად დიდი შენაძენია.''

ირინა არსენიშვილი

თსუ ხელოვნების ისტორიისა და
თეორიის კათედრის გამგე

...1986 წელს დასავლეთ გერმანიაში გამოიცა დიდტანიანი გამოკვლევა ანტიოქიის მიდამოების ძველ ნამონასტრალთა, პირველ ყოვლისა, ქართული სავანეების შესახებ. მისი ავტორ-გამომცემელი პროფესორი ვახტანგ ჯობაძეა.

ერთ-ერთ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში შემთხვევით აღმოვაჩინე ვახტანგ ჯობაძის ნაშრომი მცხეთის ჯვრის შესახებ. ასე, თუ ისე, ვიცნობდი ჩვენს ხელოვნებისმცოდნეებს და მივხვდი, რომ იგი ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი პიროვნება იყო. მის შესახებ ვკითხე ვახტანგ ბერიძეს. ვახტანგმა თავზე ხელები შემოიდო და მითხრა: ,,იცი, ეგ ვინ არის? ჩვენ ერთად ვსწავლობდით. შემდეგ ომი დაიწყო და აღარაფერი მსმენია მასზე.''

გავიდა ხანი და ჩვენ არაერთხელ შეგვხვდა მისი სტატიები სხვადასხვა ჟურნალებში. მოგვიანებით, თვითონ ვახტანგი ჩამოვიდა საქართველოში.

მარიამ ლორთიფანიძე

აკადემიკოსი

1970-იანი წლებიდან, როცა ასე თუ ისე, ეს შესაძლებელი შეიქნა, ბატონი ვახტანგ ჯობაძე სისტემატურად ჩამოდის საქართველოში, მონაწილეობს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში, აქვეყნებს სტატიებსა და წიგნებს, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ ქართული ხელოვნებისა, და საერთოდ, ქართული კულტურისათვის.

ამ თემაზე დაწერილი მრავალრიცხოვანი ნაშრომიდან გამოირჩევა „ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესიები. მშენებლობის მეთოდები და მასალა". აქ, პირველ რიგში, წამოწეულია ტაო-კლარჯეთის სამეფოს აყვავების ხანის, IX-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრება. ნაშრომში ერთ-ერთ საკითხად განხილულია ამ მხარის ხუროთმოძღვრების როლი საქართველოს ხუროთმოძღვრების განვითარების საქმეში.

ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, იმაზე, რომ ეს ეპარქია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზაზე ცხოველხატულობითაა ცნობილი. იმავე მოვლენას აქვს ადგილი ტაო-კლარჯეთშიც. ფართოდაა, აგრეთვე, განხილული მაღალი გემოვნებით შესრულებული კედლის სკულპტურა, რელიეფები. ავტორის მიერ ტაო-კლარჯეთში დაწყებულ და განვითარებულ კიდევ ერთ თავისებურებას ესმება ხაზი. ესაა IX-XII საუკუნეების ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ფასადების მორთულობა, სადაც ძირითად ძარღვს წარმოადგენს თაღები. იქვე არის განხილული იმ პერიოდის ფასადების მორთულობაში პოლიქრონიის საკითხი.

ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი ამ ეპოქის ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებაში ახალი ტიპების წარმოშობის საკითხი. განსაკუთრებულ სიმაღლეზეა აყვანილი ტრიკონქებისა და მრავალაფსიდიანობის საკითხები.

ქართველი ხალხის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ვახტანგ ჯობაძე 1996 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

პარმენ ზაქარაია
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

ბატონ ვახტანგ ჯობაძეს აქამდეც კარგად ვიცნობდი, როგორც ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარს. ჯერ კიდევ 1950-იან წლებში მან გააცნო ევროპელ მკითხველს სახელგანთქმული ხახულის ხატის მინანქრები და გამოამზეურა მადრიდის ერთ-ერთ მუზეუმში დაცული ქართული მინანქრის ნიმუშები. მაგრამ მისი სამეცნიერო მუშაობის ასპარეზი, საერთოდ, ხუროთმოძღვრების ისტორიაა...

მრავალი წლის მანძილზე სწავლობს ვახტანგ ჯობაძე ისტორიული ტაო-კლარჯეთის ძეგლებს. სამხრეთ საქართველოს ტაძრებზე დაკვირვებამ გარკვეული დასკვნები გამოატანინა მას იქაურ ოსტატთა მშენებლობის რიგზე. ძალზე საგულისხმო გამოდგა ტაოს ეკლესიების რელიეფურ გამოსახულებათა სიმბოლიკის ამოხსნის ცდაც. ყველაზე საყურადღებო კი მაინც X საუკუნის ოშკის დიდებული ტაძრის, ჩვენი არქიტექტურის ერთი შედევრთაგანის აგების დროის დაზუსტებაა — ადრე საცილო, ახლა იგი, როგორც ჩანს, საბოლოოდ, 968–978 წლებით განისაზღვრა.

დიმიტრი თუმანიშვილი
ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი

თუ არ ვცდები, 1952 წელს თბილისის უნივერსიტეტში მიიღეს კატალოგი, რომლის საშუალებითაც გავიგეთ, თუ სად იმყოფებოდა ვახტანგი. დედაჩემმა ცნობილ პროფესორს დევიდ ლანგს მიმართა წერილობითი თხოვნით, დახმარებოდა შვილის მოძებნაში. ერთი-ორი წლის შემდეგ პირველი წერილი და ფოტოსურათი მივიღეთ.

... ვახტანგისგან შეტყობინება 1959 წელს მოვიდა. მამაჩემი ცოცხალი აღარ იყო. შეტყობინებიდან შეხვედრამდე რამდენიმე წელმა კიდევ განვლო. ბოლოს და ბოლოს, 1961 წელს ამერიკიდან მიწვევა გამომიგზავნა. ხომ იცით, რა დრო იყო?.. როგორც იქნა, ძმასთან ჩავედი. ორივე ძალიან ვღელავდით, მაგრამ ვახტანგის განცდები მაინც სხვა იყო. მე ხომ მისთვის საქართველოს, სანათესაოსა და მეგობრების ერთადერთი წარმომადგენელი ვიყავი. ძალიან მომეწონა ვახტანგის შვილები. ეთერი უფრო ქართველობს. ემოციური, მგრძნობიარე და საოცრად მოსიყვარულეა ყველა ქართველისა და ყოველივე ქართულის მიმართ. ერთხელ, როცა სუხიშვილების ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა ამერიკაში, ერთ-ერთი ცეკვის შემდეგ გულაჩუყებული ეთერი სცენაზე ასულა და ჩვენს მოცეკვავეებს ატირებული გადახვევია. ვახტანგიც და ირენიც (მისი მეულლე) მუდამ გაფაციცებულნი არიან, რომ საქართველოდან ჩასული არც ერთი შემოქმედებითი ჯგუფი ყურადღების მიღმა არ დარჩეთ. საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს ჩემმა ძმამ ქართული სიმღერების უამრავი აუდიო ჩანაწერი გაიყოლა. ეს არის მისთვის ყველაზე კარგი „საგზალი“.

თინა ჯობაძე

ქალბატონმა თინა ჯობაძემ გვითხრა, რომ უკვე მზადაა და მალე გამოვა ბატონ ვახტანგის მოგონებების წიგნი.

* * *

ფესვი ჩამრჩა შენს მიწაში,
რაგინდ ცეცხლით გადაგრუჯონ,
ჩემს ხსოვნაში თქვენ ვინ წაგშლით
შატბერდო და არტანუჯო!
ტაო, ტაო, კარგო ტაო,
აკლებულო, საცოდაო!
ჩვენი ქვეყნის ლხინის დედავ,
მტრებმა მკერდს რომ მიგიბღუჯეს...
შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ,
შენს დაქცეულ ციხის ბურჯებს,
შენი ხანძთა, შენი ტბეთი,
როდის აღსდგეს იავარო,
როდის იქნეს შენი ბედი
შენს სადროშოს მიაბარო!
ტაო, ტაო, ჩვენო ტაო!
ქართლ-კახეთის ღვიძლო დაო.

გრიგოლ აბაშიძე

გიორგი მერჩულე — ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება

გიორგი მერჩულის თხზულება, შექმნის პერიოდიდან XIX საუკუნემდე, თითქმის უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის. მერჩულე არც ერთ წყაროში მოხსენებული არაა. არაა ფიქსირებული (და, მით უფრო, გამოყენებული ან გაანალიზებული) არც მისი თხზულება. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ანტონ ბაგრატიონის მრავალმხრივ საყურადღებო „წყობილსიტყვაობა", რომელშიც გრიგოლ ხანძთელს საგანგებო ჰიმნი ეძღვნება.

პირველი, ვინც 1834 წელს საზოგადოებას აუწყა ამ ძეგლის არსებობა, იყო ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, რომლის გამოკვლევა „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი" დაიბეჭდა 1889 წელს. შემდეგ იგი გაიმეორა ალექსანდრე ცაგარელმა.

გრიგოლ ხანძთელის „ცხორება" მეცნიერულად პირველად შეისწავლა და გამოსცა აკადემიკოსმა ნიკო მარმა 1911 წელს. ამ დიდმა ქართველმა (მართლაც, ქართული ფილოლოგიის ევროპულ გზაზე გამყვანმა) სწავლულმა, ხანძთელის „ცხორების" შემცველი ხელნაწერი ადგილზე (იერუსალიმში) გაიცნო. და მისთვის ნიშანდობლივი მაღალი ფილოლოგიური კვლევა-ძიებით დაბეჭდა. ეს გამოცემა მრავალმხრივაა საყურადღებო. ჯერ ერთი, ტექსტი ნ. მარისათვის ჩვეული აკადემიურობითაა დადგენილი (სათანადო აპარატურის დართვით). ტექსტს ახლავს მარისეული რუსული თარგმანი, მაღალი პოეტური ღირსებით დაწერილი ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები და ფუნდამენტური ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა, რომელმაც საგანგებოდ გააანალიზა და ყურადღება გაამახვილა ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაზე.

ეს გამოკვლევა და მასში აღნიშნული პრობლემები წარმმართველი გახდა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ხოლო მარის მიერ დადგენილი ტექსტი საფუძვლად (მცირე ცვლილებებით) დაედო შემდეგდროინდელ გამოცემებს.

ნიკო მარი საგანგებო ყურადღებას აქცევს ძეგლში ასახულ გარესამყაროს. ეს დიდი ტილო წარმოადგენს შესანიშნავ ენციკლოპედიას, რომლითაც ვეცნობით ცხოვრებისა და სინამდვილის ყველა სფეროს: ყოფას, მეურნეობას, ბუნებას, გეოგრაფიულ გარემოს, ხუროთმოძღვრებას, საალმშენებლო ტექნიკას, მეცნიერებას, მწერლობას, ხასიათებს, მიზნებს, ეპოქის ზნეს, იდეალებს და, რა თქმა უნდა, საეკლესიო ცხოვრებას.

ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბურჯთაგანი, გიორგი მერჩულე არის X საუკუნის მწერალი. გარდა გრიგოლ ხანძთელის „ცხორებისა", ჩვენამდე შემონახულია, აგრეთვე, მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა. პავლე ინგოროყვას გამოკვლევით „მერჩულე" ნიშნავს სჯულის მეცნიერს, კანონიკური სამართლის მცოდნეს. მან შექმნა დიდი ეპიკური ტილო „ცხორება" გრიგოლ ხანძთელისა. გრიგოლ ხანძთელი (759–860) იყო მწიგნობარი, პოეტი, საეკლესიო მოღვაწე, ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელი. X საუკუნის დიდი ქართველი შემოქმედის, გიორგი მერჩულის თხზულება მართებულადაა მიჩნეული ქართული სიტყვაკაზმული ხელოვნების შედევრად. ფასდაუდებელია იგი ქართული ეკლესიისათვის. გრიგოლის „ცხორებაში" წარმოჩენილია მთელი მისი ცხოვრების გზა ბავშვობის წლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე. ეს ძეგლი ძალზე საინტერესოა იმითაც, რომ მთელ ქრონოლოგიურ პრობლემებთან ერთად მასში განსაკუთრებითაა აქცენტირებული ეროვნული პრობლემა, რომელიც ვლინდება კულტურულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ფაქტის წინ წამოწევით, ყოფითი სურათებისა და საერო ცხოვრების წესის მასშტაბური ჩვენებით. საგანგებოდ ხასგასმულია, რომ ეს არის პირველი

ძეგლი, რომელშიც ჩამოყალიბებული და საფუძველდადებულია მესიანისტური იდეა, რამაც შემდეგ განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ჩვენს მწერლობაში.

ამ ნაწარმოებში დიდი სიღრმითა და დამარწმუნებლობით აისახა VIII–IX საუკუნეების ისტორიული სინამდვილე.

არაბების მიერ თითქმის მთლიანად აოხრებული და გაუდაბურებული საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხის – ტაო-კლარჯეთის აღორძინება დაისახა მიზნად დიდმა გრიგოლ ხანძთელმა. მან ზღაპრული ენერგიითა და გამჭრიახობით დიდი სააღმშენებლო მოღვაწეობა გაშალა სამხრეთ საქართველოში. აქ მან საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო ცხოვრებას. ააშენა ეკლესია-მონასტრები, რომელნიც კულტურის შესანიშნავ კერებად იქცნენ.

იმ დროისათვის კი ეკლესია-მონასტრები ქართულ სინამდვილეში ერთდროულად უნივერსიტეტსა და აკადემიას წარმოადგენდნენ. იქ ზრდიდნენ ახალგაზრდობას, ასწავლიდნენ მეცნიერებას, მწერლობას, ხელოვნებას. იქ იწრთობოდნენ მომავალი მწერლები, ხუროები, კომპოზიტორები, მხატვრები, მეცნიერები... იქ აღიზარდნენ ყველანი, რომელთაც შექმნეს ჩვენი ეროვნული კულტურა და ვისითაც ვამაყობთ ჩვენ.

ქართული კულტურის ერთი ასეთი დიდი კერა იყო ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელისა და მის მოწაფეთა მიერ აგებული ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, მიძნაძორი... სწორედ აქ ჩამოყალიბდა დიდი მწერლობა, ხუროთმოძღვრება; დაედო საფუძველი იმ დიდ კულტურას, რომელმაც განაპირობა რუსთაველის ეპოქა. ესაა აკვანი ჩვენი ეროვნული კულტურისა. ამიტომაც ასე ძლიერად განიცდის ქართველი კაცი ჩვენი ეროვნული სხეულიდან ამ კუთხის მოგლეჯას.

მრავალ საკითხთაგან, რომელთაც მკითხველში გიორგი მერჩულეს ნაწარმოები აღძრავს, ამჟამად შედარებით უფრო კონკრეტულად შევეხებით ერთს... მონაზვნური ცხოვრების წესი გრიგოლ ხანძთელის „ცხორების“ მიხედვით...

გიორგი მერჩულეს „შრომაჲ და მოღვაწეობაჲ გრიგოლისი, არქიმანდრიტისა ხანძთისაჲ და შატბერდის აღმაშენებლისაჲ“ დიდი ეპიკური ქმნილებაა, რომელშიც რთულ სოციალურ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და თეოლოგიურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მონაზვნური ცხოვრების წესის გარკვევასა და წარმოჩენას. მონაზონთა ამაღლებული, დახვეწილი სულიერების სამოღვაწეო პრინციპია „სიმჯნჱ მოთმინებისაჲ და სიწმიდით შრომაჲ“.



სამწყაროს ეკლესიის ნანგრევი

მონაზვნური ცხოვრების წესი გრიგოლ ხანძთელის „ცხორების“ მიხედვით

გიორგი მერჩულის „შრომაჲ და მოღვაწეობაჲ გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისაჲ და შატბერდის აღმშენებლისაჲ“ დიდი ეპიკური ქმნილებაა, რომელშიც რთულ სოციალურ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და თეოლოგიურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მონაზვნური ცხოვრების წესის გარკვევასა და წარმოჩენას. მონაზონთა ამაღლებული, დახვეწილი სულიერების სამოღვაწეო პრინციპია „სიმკნჱ მოთმინებისაჲ და სიწმიდით შრომაჲ“. მონაზონთა გამორჩეული და სანიმუშო სულიერების, დიდი მასშტაბის საეკლესიო და საერო საქმიანობის გამო გიორგი მერჩულე მათ ნაღვაწს უტოლებს მოწამეთა თავგანწირვას და გარკვეულ შემთხვევაში ერთგვარ უპირატესობასაც კი ანიჭებს მათ ქმედებას. მონაზონი მამანი „მკნეობდეს რა ღუაწლს მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათ მოწამეთა და უფროჲს მათსა, რამეთუ მარტჳლნი ერთსა ხოლო შინა ჟამს იწამნეს, ხოლო ესე (მონაზვნები, რ. ბ.) ყოველსა ჟამსა იწამნეს“. ამ დებულებაში მექანიკური დაპირისპირება კი არ არის მოწამესა და მონაზონს შორის, არამედ მოწამის უზენაესობის აზრის გაცნობიერებისა და სულიერი თუ მოქალაქეობრივი ამაღლებულობის შეგნების შემეცნებასთან ერთად, დიად სიმაღლეზეა აყვანილი მონაზონთა დაუშრეტელი მოღვაწეობის ფასეულობა, რომელიც ვლინდება როგორც პიროვნულ, სულიერ თვითდახვეწასა და ამაღლებაში, ასევე ამქვეყნიური, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვასა და მოწესრიგებულობაში. მონაზვნური წესის ასეთი მასშტაბურობის არსი თავისთავში აერთიანებს „ორისავე ცხორების“ პრობლემას, რომლის დამკვიდრების იდეას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გიორგი მერჩულე. ამიტომაცაა, რომ მის ნაწარმოებში მონაზვნური ცხოვრების კონცეფციის ჩამოყალიბებაში ორგანულად არის განვითარებული ეს პრობლემა.

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ღვთის სახედ შექმნილი ადამიანი სულისა და ხორცის ჰარმონიულ მთლიანობას წარმოადგენს და ზომიერების დაცვის ფარგლებში ამქვეყნიურ „ხორციელ“, „ამა ქვეყნისა“ ინტერესებზე ზრუნვა სრულიადაც არ გამორიცხავს, და, მით უფრო, არ უპირისპირდება სულიერებასა და ზეციური სამყაროსაკენ ლტოლვის სიდიადეს. შთამბეჭდავად შთაგვაგონებს წმიდა წიგნები: „რამეთუ ჴორცთა გული უთქუმს სულისათჳს და სულსა ჴორცისათჳს და ესე მჯდომნი არიან ურთიერთას“ (გალატ. 5.17), ანდა „არა უწყითა, რამეთუ ჴორცნი ეგე თქუენი ასონი ქრისტესანი არიან? არა უწყითა, ჴორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან“ (კორინ. 6.15, 19). ამიტომაც ადამიანი თავდადებით, ზომიერებით, ალერსითა და მოთმინებით უნდა ზრუნავდეს ამქვეყნიურ ინტერესებზე: „უკუეთუ ვინმე თჳსთა უფროჲსღა სახლეულითა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარუყოფიეს და არს იგი ურწმუნოჲსა უძჯრეს“ (I ტიმ. 5.8). სწორედ ეს პრინციპი გამჭოლავად გასდევს გიორგი მერჩულის თხზულებას. გრიგოლი თავდადებითა და თანამიმდევრულად ზრუნავს მონაზონთა სულიერების სიწმიდეზე, რაც სრულიად არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს ამქვეყნიური ცხოვრების ინტერესებს და ამქვეყნიურ, სააქაო მოწესრიგებულ ცხოვრებასთან ერთად ამზადებს ნიადაგს საიქიო ცხოვრების სიდიადისათვის. „ორისავე ცხორების“ დიდი სიბრძნით იყო დამუხტული თვით გრიგოლ ხანთელი, რაც საგანგებოდ აქვს ხაზგასმული გიორგი მერჩულეს: იგი (გრიგოლ, რ. ბ.) „სავსე იყო სიბრძნითა ორისავე ცხორებისა“. ეს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია გრიგოლისათვის და ამიტომაც გარდაცვალების წინ საგანგებოდ ლოცავს თავის მოწაფეებს: „უხუებაჲ კეთილთა მისთა არა დაგაკლდეს ორისავე სოფელსა“.

სულიერების უზენაესობის დამკვიდრებით გრიგოლი თავის ძმათა და მოსწავლეთა შორის აცნობიერებს ამა სოფლის პრობლემათა მოგვარების პასუხისმგებლობას. ამიტომაც იყო ბასილი დიდის ცნობილი ტრაქტატით იმპულსირებული გრიგოლი. საღვთო წიგ-

ნებისა და პატრისტიკული მემკვიდრეობის შესწავლასთან ერთად საერო ფილოსოფიასაც სიღრმისეულად იზიარებდა და „გარეშე წიგნთა“ კრიტიკული ათვისებით, საღვთო სიბრძნესთან შეზავებით სიყრმიდანვე ჩაუღრმავდა საერო მწერლობის შედევრებს. გრიგოლისეული ეს მიზანდასახულება გიორგი მერჩულეს საგანგებოდ აღსანიშნავად და ხაზგასმულად მიაჩნია: „ხოლო სიბრძნეცა იგი ამა სოფლის ფილოსოფთა ისწავა (გრიგოლ ხანთელმა, რ.ბ.) კეთილად და რომელი პოვის სიტყუა კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“.

მონაზვნური ცხოვრების წესი მუდამ ღვთიურ მადლად აქვს გააზრებული გიორგი მერჩულეს და ამიტომაც საგანგებოდ მოგვაგონებს, რომ ეს დიდი ღვთაებრივი სიწმიდე გრიგოლის მიერ არა მარტო მისი სიბრძნითა და ნიჭიერებით იყო გამომუშავებული, არამედ, ამასთანავე, ღვთით შთაგონებული წყალობა იყო, რომელიც ბავშვობიდანვე გამოიკვეთა მასში: „სიჩოჲთგანვე ღჯნოჲ და ჯორცი არ შეკდა პირსა მისსა. ხატიცა მონაზონებისა ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა“. და ამიტომაც იგი მჭვრეტელთაგან აღიქმებოდა, როგორც „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ, მონაზვნური ცხოვრების პრინციპებიდან გამომდინარე, ამა სოფლის პრობლემების გააზრება მონაზონთა მიერ ამ ცხოვრებისადმი ხარკის გაღება და ერთგვარი კომპრომისი კი არ არის, არამედ ისეთივე შინაგანი მოთხოვნილება და სულიერების ისეთივე კომპონენტია, როგორც საღვთო სიწმიდის არსი. ამიტომაც არიან მონაზონნი „ორკერძოვე ლხინებით“ დამუხტულნი. როგორც ვხედავთ ამქვეყნიური, ჯანსაღი მოთხოვნილებები ისევე „ლხენადაა“ სახელდებული, როგორც იმქვეყნიური, მარადიული მიზნები. ამ მიზნებისადმი სწრაფვაში ვლინდება მონაზონთა უპირატესობა, რასაც ხაზგასმით გამოკვეთს გიორგი მერჩულე და შთამბეჭდავად შთაგვაგონებს „მონაზვნობაჲ ჰრქვიან კრძალვასა“. სწორედ ამ კრძალვის, უპრეტენზიულობისა და თავმდაბლობის ნიმუშად მოჰყავს მონაზონ მატოის ცნობილი ეპიზოდი, რომელშიც საოცარი დამაფიქრებლობით იკვეთება მონაზვნის თვითშემეცნებისა და მონანიების სასიცოცხლო მოთხოვნილება.

გიორგი მერჩულეს საგანგებოდ აქვს ხაზგასმული ის ფაქტიც, რომ მონაზვნად აღკვეცა მარტო სულიერების პარადული ზეიმი კი არაა, არამედ ეს ურთულესი და ძნელად დასაძლევი გზა დიდი დათმობით, თავგანწირვითა და ტკივილებითაა განპირობებული. „მონაგებთა დატევებაჲ სისხლისა დათხევასა ემსგავსებისო“. ასეთი დიდი მსხვერპლის სიმწვავის ძლევა კიდევ უფრო გამოკვეთს მონაზვნური ცხოვრების სიდიადეს.

მონაზვნური ცხოვრების წესი დიდ სიწმიდესთან, სიფაქიზესთან და სინაზესთან ერთად თავისთავში ითავსებდა მაღალი სულიერების დაცვაში უკომპრომისო სიმკაცრის გამოვლენას. სითბო და სიმკაცრე ერთი მთლიანობაა სულიერი სიმტკიცის არსის გაცნობიერებაში. ამიტომ იყო, რომ სიწმიდით ამაღლებული გრიგოლი დაუნდობელი რისხვა იყო ყოველგვარი ზნეობრივი გადახვევების მიმართ. ამ თვისებას საგანგებოდ უსვამს ხაზს გიორგი მერჩულე: „ფიცხელ იყო ფრიადი კანონი მოწაფეთა მისთა“, ხოლო ერთ-ერთი მისი მოწაფე მონაზონი სიამაყით ამბობს „სამგზის განმაკანონა“ გრიგოლმაო. ის „არავის უდებთაგან არ შეიწყნარებდაო“. დიახ სიწმიდის, სითბოსა და ალერსის განმფენი გრიგოლი შეუწყნარებელი რისხვა იყო მათთვის, ვინც სიწმიდესა და ზნეობრიობას გადასცდებოდა. ასეთი პრინციპებით ყალიბდებოდნენ გრიგოლის თანამდგომნი. ეს ზნეობრივი პრინციპი შინაგან ძალასა და რწმენას მატებდა არა მარტო მონაზვნებს, არამედ ადუღაბებდა მთელ საზოგადოებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის ბალავარს აგებდა. ქმნიდა მონაზონთა ერისკაცებთან შემჭიდროვების, ამ უკანასკნელთა მინდობისა და სულიერების საყრდენის დიდსა და საიმედო წინაპირობას. ამ ამამაღლებელ, საიმედო პრინციპების გაცნობიერებაზე, მონაზვნური ცხოვრების საზოგადოებაზე კეთილმოქმედი ძალის მომხიბვლელობასა და საჭიროებაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას გიორგი მერჩულე: „ესე უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი, ესე წმიდანი უდაბნოთა მამანი, არიან ხორციელთა განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი“. მონაზონთა ასეთი წარმმართველი ძალა კარგად აქვთ გაცნობიერებული თვით ერის უფალთაც და ამიტომ სიამაყით ამბობენ: „ჩვენთან არს

ხორციელი კეთილი და თქუენთან არს სულიერი კეთილი და ესე შევაზავნეთ ურთიერთას". „სულიერებისა" და „ხორციელების" ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების შეზავების ეს ჰარმონია, „ორისავე ცხორების" პრინციპიდან გამომდინარე, ერთი დიდი მთლიანობაა, რომელიც მონაზვნური ცხოვრების ზნეობრივი პრინციპით იმპულსირებული საზოგადოებრივი ცხოვრების ბურჯი ბურჯთაგანია. გიორგი მერჩულე, მსჯელობს რა მონაზვნური ცხოვრების შესახებ, გვიხატავს რა მონაზონთა ცხოვრების წესს, რაც ვლინდება მათ კონკრეტულ მოქმედებასა და აზროვნებაში, საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ გრიგოლმა წინდაწინვე, სახელმძღვანელო პრინციპად ჩამოაყალიბა მონაზვნური ცხოვრების არსი და მიზანდასახულობა, მათი გამოვლენის ფორმები და მასშტაბები. იერუსალიმიდან მიღებული საბაწმიდის განგებით, უპირველეს ყოვლისა, „განაწესა წესი თჳსისაჲ ეკლესიისა და მონასტრისაჲ", რომელიც იყო „სიბრძნით განსაზღვრული და მეცნიერებით გაბრწყინვებული". ამ ინფორმაციაში მრავალთა შორის ერთი ასპექტიც იპყრობს ყურადღებას. კერძოდ, საბაწმიდის უაღრესად დიდი ღირსების შემცველი „განგება" მექანიკურად კი არ დაამკვიდრა, უცვლელად კი არ გადმოიღო თავის მონასტერში, არამედ იმდროინდელი მდგომარეობისა და ამოცანების შესაბამისად გრიგოლისეული სიბრძნითა და ცოდნით განპირობებული საკუთარი „განგება" ჩამოაყალიბა. ამ განგების არსის, ზოგად ნიშანთვისებათა ჩამოყალიბების შემდეგ მერჩულე კონკრეტულად აგვიწერს, თუ როგორი იყო „ცხორება ნეტართა მათი". საერთოდ, ქრისტიანული რწმენის და განსაკუთრებით კი, მონაზვნური ცხოვრების საფუძველთა საფუძველი სიყვარულია და ამიტომაც თანამოღვაწეობა გაიაზრება, ვითარცა „სიყვარულის ძირი მტკიცე". მონაზვნური ცხოვრების წესი ქრისტიანული ეთიკის გამოვლენაა და ამიტომაც მთელი ზნეობრივი კოდექსი აქვს ჩამოყალიბებული მერჩულეს: „მოთმინება სიმდაბლით და სიმშვიდით, მარხვა ლოცვითა შეზავებული, სარწმუნოებასა თანა მართალსა დამტკიცებული სიწმიდე გულისა და ჭეშმარიტება ენისა, და უბიწოებით კრძალვა სრულიად ყოველსავე ზედა". შინაგანი დინამიკის შემცველი, რიტმულად ჩამოქნილი ეს სტრიქონები თვით ატარებენ ლოცვის იერსახეს, რომელშიც კეთილხმოვანი ჟღერადობითაა ამაღლებული სულის განწმედისა და ზეაღსვლის განცდა. ამ, მართლაც ზნეობრივ, კოდექსში არა მარტო ქცევის ნორმებია გამოკვეთილი, არამედ, საერთოდ, ადამიანის ბუნება, მისი შინაგანი სამყარო და დანიშნულებაა წარმოჩენილი.

გრიგოლ ხანძთელის „ცხორებაში" გიორგი მერჩულემ მონაზვნური ცხოვრების წესის დამცველი ორი ტიპის დიადი სახეები წარმოგვიჩინა: კუედიოსი და გრიგოლი. ორივენი ერთნაირი თავგანწირვით, ერთნაირი სულიერებით, ერთნაირი სიწმიდითა და „ამა სოფლის" ხიბლთა დათმობის ერთნაირი შინაგანი ამაღლებითა და უზენაესისადმი სწრაფვის სიმშვენიერით და სიძლიერით არიან დამუხტულნი.

კუედიოსის სულიერების სიდიადის გამომვლენი ისიცაა, რომ იგი ნათელმხილველობის მადლით იყო დაჯილდოვებული. „კუედიოსის ჩვეულებაჲ აქუანდა ღმერთისმიერის ხილვისაჲ", უზენაესი სიწმიდის გამომხატველი ეს მადლი გრიგოლსაც ამშვენიერებს. სიწმიდისა და სასწაულებრივი ძალა მას არაერთგზის გამოუვლენია: ეს იქნება ჯავახეთის კრების დროს, ცქირისაგან გამოგზავნილი ტერორისტის ხილვა, თუ სხვა შემთხვევები, მაგრამ ამ ღვთიურ ნიჭთან ერთად გრიგოლისათვის ნიშანდობლივი იყო პრაქტიკული, ცხოვრებისეული წვრილმანების მოგვარებაზე ზრუნვა და თანამემამულეთა მიმართ ყველა ამქვეყნიურ ტკივილებში თანადგომა.

კუედიოსი შინაგანი თვითდახვეწით, მარხვითა და ლოცვით პოულობს გზას ხსნისა, ხოლო გრიგოლი ამავე პრინციპების დაცვით მოღვაწე მონაზონია. იგი დიდი ორგანიზაციული ნიჭით და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გზნებით დამუხტული პიროვნებაა, რომელიც თანამემამულეთა ხსნისა და ამაღლების გზებს ეძებს. გრიგოლ ხანძთელში ორი საწყისი დომინირებს: მართლმადიდებლური სიწმიდე და ერის ხსნის სასიცოცხლო მოთხოვნილება.

როდესაც ვმსჯელობთ, თუ როგორაა გრიგოლ ხანძთელის „ცხორებაში" წარმოჩენილი მონაზვნობის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, მერჩულე,

მონაზონთა ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისას საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ „მონაზვნური ცხორება", უაღრესად ფართო შინაარსის მომცველი ცნებაა და იგი მრავალ ასპექტს ითვალისწინებს.

უპირველეს ყოვლისა, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ნაწარმოებში წარმოსახულია მონაზვნური ცხოვრების დამცველი ორი პიროვნება კუედიოსი და გრიგოლ ხანძთელი. ორივე ტიპური მონაზონია, რომელთაც ერთნაირად ახასიათებს მონაზვნური ეთიკის ყველა ასპექტი. ორივე ერთნაირად ამაღლებული, სულიერებით დამუხტული, ერთნაირად განდგომილი და საქრისტიანო ცნობიერებით განმსჭვალული პიროვნებაა, მაგრამ მათთვის ნიშანდობლივი სიწმიდის გამოვლენის ერთგვარობის მიუხედავად, ისინი თავიანთი მოღვაწეობის ფორმებით მაინც განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

კუედიოსი არის სვიმონ მესვეტისდაგვარად ცხოვრებიდან განდგომილი წმიდანი, რომელიც თვითდახვეწით, ყოველივე ამქვეყნიური მოთხოვნილების დათრგუნვით, თვითგვემითა და ლოცვით ისწრაფვის საკუთარი სულისა და ქვეყნის, თანამემამულეთა გადარჩენისათვის.

გრიგოლი კი, ყოველივე ამ სათნოებით აღჭურვილი, ამავე დროს, არის, თუ შეიძლება პირობითად ვთქვათ, „მოღვაწე ბერი", რომელიც კუედიოსისეული სიწმიდითა და თვითგანწირვით ცხოვრობს, მაგრამ, ამასთანავე, მან შესძლო, რომ ამ სიწმიდისათვის შეერწყა პრაქტიკული, „საამქვეყნო", ერის გადამრჩენი სასიცოცხლო მოთხოვნილებების მოგვარება. იგი დიდი სულიერების ნათელმოსილებით იღვწის და ახერხებს სახელმწიფო-ეროვნული პრობლემების მოგვარებას. გრიგოლმა თავისდამაგვარი სულიერებით დამუხტულ თანამოაზრეებთან ერთად შექმნა მოღვაწეთა დიდი გუნდი, რომელიც ისწრაფვის ეკლესია-მონასტრების შენებასთან ერთად, ამ ტაძრებში ფართო მასშტაბის სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისათვის, იკრებენ ახალგაზრდებს და „ორისავე ცხორების" პრინციპებიდან გამომდინარე, საღვთო წიგნებთან ერთად, „გარეშე" ე. ი. საერო წიგნებსაც ასწავლიან და ამ ფართო, მრავალმხრივი განსწავლულობით საქვეყნო მოღვაწეობისათვის ემზადებიან.

ერში ამაღლებული სულიერების დამკვიდრების საფუძველზე ახერხებს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას. იგი და მისი გუნდის წევრები საერო ხელისუფალთა თანაზიარი მოღვაწენი არიან. სულიერების განმტკიცების ორგანულ ფაქტორად მიაჩნიათ თანამემამულეებში ეროვნული ცნობიერების განვითარება. ისინი საერო ფეოდალებთან თანამდგომნი არიან სამოქალაქო-სახელმწიფო პრობლემების მოგვარებაში.

კუედიოსთან სულიერად ნაზიარები გრიგოლი გვევლინება საერო პრობლემათა მომგვარებელ „მოღვაწე მონაზვნად", რაც კიდევ უფრო ზრდის მის მონუმენტურობას და იშვიათი შარავანდედმოსილებით აკიაფებს მის სულიერებას.

მონაზვნური ცხოვრების წესი რთული და მრავალ სათნოებათა მომცველი მთლიანობაა. ყოველი მონაზონი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა ამ სათნოებათა დაუფლებას და მისით ცხოვრებას. სათნოებათა წვდომისა და დაუფლების სწრაფვაში მონაზონი თავისი ტემპერამენტისა და წმინდა ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში ზოგიერთ სათნოებას უფრო არსებითად გაითავისებდა და ძმათა შორის სახელს იმკვიდრებდა, როგორც გარკვეული სათნოების დიდი გამომვლენი და დამამკვიდრებელი.

გრიგოლი მორიგეობით ემოწაფებოდა ამა თუ იმ მონაზონს იმისდა მიხედვით, თუ რომელს რომელი სათნოება ჰქონდა უმაღლეს რანგში გაცნობიერებული და ათვისებული. ასე იმუხტებოდა გრიგოლი მრავალი სათნოებით და მასში ერთიანდებოდა ყველა სათნოება. ასე ჰპოვებდა მასში ჰარმონიულ მთლიანობას ყველა სათნოებათა სიდიადე.

ამ ფაქტის ხაზგასმით გიორგი მერჩულეს გამოკვეთილი აქვს, ერთი მხრივ, სათნოებათა სიდიადე და, მეორე მხრივ, მათი სისრულით, მთლიანობაში დაუფლების სირთულე და პასუხისმგებლობა, ხოლო გრიგოლ ხანძთელი გვევლინება უნივერსალური ტიპის მონაზვნად, რომელსაც სათნოებათა უმაღლეს რანგში მიგნების ალღო თუ მოთხოვნილება, მათი დაუფლების უნარი აქვს.

გიორგი მერჩულე აყალიბებს მონაზვნური ცხოვრების არსებით პრინციპს: 1. „შიში ღმრთისაჲ თავი არს სათნოებათაჲ", რომელიც განაპირობებს მონაზვნური ცხოვრების ყველა

ასპექტს და რომელიც ვლინდება მრავალი განფენილობით: „მოუკლებელად ლოცვაჲ“, „მარადის ლოცვაჲ შეწირვით“, „დაუწყვედელი ლოცვაჲ“, 2. „ღირსებით ცხორებაჲ“, 3. „სიმკნე მოთმინებისაჲ და სიწმიდით შრომაჲ“, 4. „საქმენი კეთილნი და ცხორებაჲ უბიწოჲ და უწყებაჲ სულისაჲთა“, 5. „სასწაულთა სიმრავლე“, 6. მონაზონნი ურთიერთ შეიმეცნებენ „საღმრთოჲთა და ცნობითა და უწყებითა სულისაჲთა“, 7. „ღუაწლი ფიცხელი მონაზონობისა შრომისაჲ“, 8. „ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდ მყოფთაჲ“, 9. „ჩვეულებაჲ ღმრთისმიერისა ხილვისაჲ“, 10. უნარი იმისა, რომ მათთვის „დღჱ იგი დამწუხრდა და ღამჱ განათენა უძილობითა“, 11. ცოდნა „საღმრთოთა წიგნთა“ და „სიბრძნეთა ამა სოფლისაჲთა“, 12. „უწყებაჲ სულთაჲ“, 13. „მარტჳლნი ერთსა ხოლო ჟამსა შინა ეწამნეს, ხოლო ესენი (მონაზონნი, რ.ბ.) ყოველსა ჟამსა ეწამებოდეს სახელისათჳს ქრისტჱსისა“, 14. მონაზონი „ცხოვნდებოდეს სულიერად, ხოლო ჯორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს“, 15. ყოველივე ამის გამო, გრიგოლი და მისი მოწაფენი იყვნენ „სიწმიდისა ნაყოფნი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფ სავსენი“.

რევაზ ბარამიძე
პროფესორი



ხახული. სამხრეთ გალერეის თაღედის საერთო ხედი

ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთ-კლარჯეთში

ნიკო მარი

1904 წელს, ჯერ კიდევ 1893–1894 წლებში დაგეგმილი ანისის გათხრები აღსდგა. იგი ფართო მასშტაბებით დაიწყო და იმთავითვე ნათელი გახდა, წარსულის რა გრანდიოზულ პერსპექტივებსაც გამოავლენდა. მაგრამ მუშაობის გაწამაწიაში ნიკო მარს ფიქრები „ქართულ სინაიზე" თავს არ ანებებდა. იგი თვლიდა, რომ „ტაო-კლარჯეთის ნანგრევები" საქართველოს პოლიტიკური და განსაკუთრებით კულტურის ისტორიისათვის იმდენადვე დიდმნიშვნელოვანია, როგორც სომხური ისტორიისათვის ანისის ნაქალაქარი, და ისინი არა მარტო „გვიანდელი" თუბალ-კაენის სახელმწიფოებრიობის გასარკვევადაა მრავლისმეტყველი, სახელდობრ VI საუკუნის ლაზურისა, „ჯერ კიდევ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებისათვის, ქართული ავტოკეფალური ეკლესიის როლის გასარკვევად, არამედ წინარეისტორიული ეპოქის, იბერ-ჭანთა არქაული კულტურის ხანისა, რომელიც თუბალ-კაენისა და ხალიბთა მეტალურგიის განვითარებასა და კოლხეთის ძლევამოსილებასთანაა კავშირში და რომელმაც ოქროს საწმისის ლეგენდებს თავისებური საზრდო მისცა..." ძვირფასი ხელნაწერი წინ ედო. წარსულმა მის თვალწინ ელვისებურად ჩაიქროლა. მისი ხმა თითქოს თავისკენ უხმობდა... და აი, იგი ტოვებს ანისს და ივლისის შუა რიცხვებში ყარსის, არდაგანისა და საბზევარის გავლით შავშეთსა და კლარჯეთში მიემგზავრება. მონასტრების საძებრად „ცხორების" მონაცემებზე დაყრდნობით მიემართება, რომელიც მისთვის საუკეთესო და მეტად „განსწავლული" ცნობარი გამოდგა. წინ დამქანცველი გზა ედო, მაგრამ შთაგონებული იყო სურვილით, ქართული კულტურის შესანიშნავი მოღვაწის ცხოვრებით აღბეჭდილი ადგილები ენახა.

...კვირა გავიდა, რაც იგი ამ მხარის ყველაზე მიყრუებულ ადგილებში დაეხეტებოდა. უნებურად ახსენდებოდა თავისი მოგზაურობა სინაზე, უნაყოფო უდაბნოები, აქლემების ზოზინი. აქაც და იქაც იგი ერთადერთ რამეს — მეცნიერულ სიმართლეს ეძებდა. ძმური სიახლოვის გრძნობას განიცდიდა ძველ სინაელ სწავლულ ბერებთან და კლარჯელ მოღვაწეებთან. ისინი თავიანთ სამშობლოს როგორც შეეძლოთ, ისე ემსახურნენ და მისი მშობელი ხალხისთვის ძალის დაუშურებლად იღვაწეს. თვითონ? სამშობლოს წარსულის წინაშე თავს ნატამლად თვლიდა, მაგრამ ნუთუ თვითონ მისი

თავდადებული შვილი არ იყო, ნუთუ იგი კულტურის წინაშე მის დამსახურებას ისტორიკოსის მთელი ყურადღებით არ აფასებდა, რომლისთვისაც „მეცნიერებაში სამართლიანი განრიგება“ წმიდათაწმიდა იყო.

ამ მხარის ცხოვრებაში იგი უფრო ღრმად იჭრებოდა. ეს იყო უძველესი მიწა: უხსოვარი დროიდან აქეთკენ მოედინებოდა ხალხი ვანის სამხრეთიდან და სახლდებოდა: აქ გოგისა და მაგოგის (გუგურები) ბიბლიური ხალხი, კეინიტები, ტიბარენები, თუბალთა მოდგმის შთამომავლები ცხოვრობდნენ. „ეს იყო ეთნიკური გარემო, გამომმუშავებელი ქართული სოციალური ფორმაციისა, კავკასიისთვის ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში ქართული ეროვნულობის უძველესი ეტაპი, რომელმაც ქართები ანუ ქართველები ჩამოაყალიბა“.

„გარეგნულად: პოლიტიკური ცვლილებები მხარის ყოფა-ცხოვრებაში, მისი ხან პონტოს სამეფოს შემადგენლობაში, ხან რომის პროვინციად, ხან კიდევ ბიზანტიის კიდედ გამოჩენა... გარეგნული პოლიტიკური ცხოვრების საფარველქვეშ. მიმდინარეობდა სხვა შინაგანი ცხოვრება: მხარის წყობისა და ეთნიკური შემადგენლობის კულტურული გადამუშავება ერთი ფორმიდან მეორეში“. ეს იყო ურთულესი და ხანგრძლივი პროცესი, რომელშიაც მრავალი ტომის შემდგომ ეროვნებების ინტერესები ერთმანეთს გადაეჯაჭვა, რომელთა მომავალი ქრისტიანობის მიღებამ განსაზღვრა.

ნიკო მარი გარემოს უდიდესი ყურადღებით აკვირდებოდა. თითქოს დიდ, ძველ ხელნაწერს კითხულობდა, ადგილ-ადგილ შელახული, ამოგლეჯილი ფურცლებით, ადგილ-ადგილ გაუგებარი, ზოგჯერ მოულოდნელი მიგნების დამაბრმავებელი სხივით, თვალში რომ ეცემოდა. ეს საკითხავი ყოველთვის წარმტაცი იყო. წარსული ცხოვრების ნარჩენები თავიანთ თავში „საერთო ჩამქრალი კავკასიური კულტურის“ ნაპერწკლებს ინახავდნენ, რომელსაც იგი მთელი ძალით გრძნობდა.

ხანთამდე მოგზაურობა თვეზე მეტს გრძელდებოდა. რამდენი სოფელი მოინახულა, რამდენი ეკლესია აღწერა, ამოიკითხა და გადმოიწერა წარწერები; აკვირდებოდა ცხოვრებას, წარსულიცა და აწმყოც მთელი თავისი მრავალფეროვნებით იტაცებდა.

ისინი უკვე იმ ადგილებს უახლოვდებოდნენ, სადაც ოდესმე სახელგანთქმული „ქართული სინაი“ იყო. აქ მას სარწმუნოებისთვის მოსაგრეთა აჩრდილები ელანდებოდნენ, რომლებიც ამავდროულად კულტურის მოღვაწეებიც იყვნენ.

ეს იყო დიდებულად შერჩეული ადგილი ზომიერი კლიმატით... „არცა ფრიადი სიცხეჲ შესწვავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა“ და ანკარა წყლით მზის სხივებით დაფერილი უღრანი ტყეების „ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან“... – ასე თქვა იმან, ვინაც ჩვენამდე შემოინახა ხსოვნა თავისი თანამედროვე კულტურული ცხოვრებისა და ადამიანებისა, რომლებიც ბრწყინავდნენ „ვითარცა მთიები შორის ვარსკვლავთა ზეშთა სიტყვისა ჩვენისა შემკობილი მრავალფერითა მადლითა მოყვასთა თანა საღმრთოთა“.

აქ, VIII საუკუნეში სამონასტრო საძმოს ძალისხმევით, რომელსაც ნ. მარმა იმ დროის შესაბამისად „შრომის არტელი“ უწოდა, მიმდინარეობდა აღმშენებლობა ბუნებაზე კულტურული ზემოქმედებით და საერთოდ, სოფლის მეურნეობის ნაწარმის მოსაყვანად და სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად. და ეს ყოველთვის ადვილი როდი იყო: „და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაჲ აქვს კარაულისა ზურგითა. და მცირედ ვენახი ჭირვით და ურვით დაუნერგვიან და მტილები. ხოლო მხალთა ველთასაჲ არს სიმრავლე ურიცხვი“.

„დაუცხრომელი გარჯის შედეგად, ამ თითქმის უნაყოფო მთებში შეიქმნა აყვავებული მეურნეობა, კერძოდ, მებაღეობისა, იმ დროისათვის ცნობილი ტექნიკური სიახლეებით, და რაც მთავარია, ათასწლეულის გამოცდილებით, მშობლიური ბუნების მეშვეობით დაგროვილი ცოდნით, რომლისაც ჩვენი დროის სოფლის მეურნეობის მეცნიერებას შეშურდებოდა კიდეც“.

გზები, რომლებითაც ნ. მარი მგზავრობდა, იყო უბადრუკი ნარჩენები ძველ ქართველთა აღმშენებლობისა. ისინი ათას წელს მოითვლიდნენ და უპატრონოდ მიგდებულნი მთლიანად განადგურებულნი ჩანდნენ. მთაზე მოძრაობა ხშირად კედელზე ან ბაგირზე სიარუ-

იმერხეველი ქართველები

არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ტაძრების უნიკალური ფოტოები შემოგვინახა დიდმა მეცნიერმა, არამედ ადამიანებისაც. იგი მოუხიბლავს იქაური ქართველების სილამაზეს და ახოვანებას. ზუსტად ასი წლის შემდეგ ფოტოებიდან გვიცქერიან ეს ჯიშიანი ქართველები და ტკივილით გვავსებენ. შემდგომ თაობებსაც გაახარებთ მათი ხილვა.

ეს ხიდი ჭედილასა და წყაროსთავის გადასასვლელია, ისეთივე პრინციპითაა ნაგები, როგორც აჭარაში, როგორც ლაზეთში. მას აქაც თამარის სახელი ჰქვია.

ეს კი სახალხო მომღერალი ალი ჩაუშ მისირ-ოღლი (მოსიძე) და მისი შთამომავლობაა. 1911 წ.



სამეურნეო იარაღების სათავსი



საცხოვრებელი სახლი

ლად უჩნდა. რთული აღმართები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

ნიკო მარი სიძნელეებს ვერც ამჩნევდა, უფრო სილამაზეზე რეაგირებდა, რაც ასევე იმ სამყაროს საერთო, მთლიან რკალში შედიოდა, რომლის ხელახლა აღდგენასაც თავის თავში ცდილობდა. იგი დროის ყველა მონაკვეთში უცვლელი რჩებოდა – ეს მწვერვალები მზითაა განათებული იმ დროს, როცა მათზე დაბალი გორაკები ღამის ბურუსში ეხვევიან. წითელი არილი ლურჯ ცას უცნაურად ტეხილი, ხან კიდევ მრუდი ხაზებით აწყდება და შორეული მთების კონტურებს კაზმავს.

ასეთს ხედავდნენ ამ მთას კლარჯეთის მეუდაბნოენი; ასეთივე იყო იგი საქართველოს დიდი გამაერთიანებლების, არტანუჯელი ბაგრატიონების: დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამისთვისაც.

როგორც იქნა, მიაღწიეს მიუდგომელ არტანუჯს. ნ. მარმა აქაც, როგორც ყოველგან, ყველაფერი დაწვრილებით დაათვალიერა, გაზომა და აღწერა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლები მისი გამოკვლევის ობიექტს არ წარმოადგენდნენ.

წყაროსთავის აღმართი დიდ სიძნელეებს ქმნიდა. ცხენიდან ჩამოქვეითდებოდა და ძლივს შესამჩნევ ბილიკებზე ფორთხვით უხდებოდა ასვლა. ძველი გზის ნაშთი აქაც შეინიშნებოდა, ადგილ-ადგილ ძველი წყობა ჰქონდათ შენარჩუნებული.

დღიურიდან: „12 საათისათვის წყაროსთავის ნაკადულთან დანაყრება და დასვენება მოვასწარით და მონასტრისკენ დავიძარით, სამწუხაროდ, მივიწყებული მონასტრის ნანგრევებისკენ. გულის ფანცქალით ვუახლოვდებოდი, მღელვარებამ შემიპყრო სავანის წარსულის დიდების წარმოდგენისა და იმაზე ფიქრისგანაც, ჩემი კითხვის პასუხად ადგილზე რაიმე გასაღებს ვიპოვიდი, თუ არა“.

იგი გრძნობდა, რომ იპოვა ეს – „ქართული სინაჲ“ – ხანძთა, უფრო ძველი ოპიზა და მისი ფრთები, ბერთა, და მის ახლო მდებარე მიძნაძორი და წყაროსთავი თავისი სავანეებით. „თუმცა შატბერდი მოშორებით დგას სხვა უდაბნოთაგან, მასში მყოფი უფლის მხედრობით, მათი უფრორე განუყოფელი ნაწილია...“ – მას „ცხორებიდან“ ბევრი რამ ზეპირად ახსოვდა.

ახალთაში გადაიღამეს. მეორე დღეს ნუკი ქილისეს ეკლესიამდე უნდა აეღწიათ. როცა იგი ჯერ კიდევ წყაროსთავისკენ ადიოდა, მისი ყურადღება ბაზილიკის ხედმა მიიპყრო, რომელიც მდინარეზე გადმოკიდებულ კლდის შვერილზე, მდინარის ასაქცევს იქით უეცრად გამოჩნდა. მას მოეჩვენა, რომ თავისი კითხვის გასაღები აქ უნდა ეძებნა.

... უფსკრულზე თოკივით დაკიდებული ბილიკებით ხრამის პირას მდგარი ეკლესიის ნანგრევებამდე მიაღწიეს. ქვემოთ „კლდეებით შემორკალული, აქაფებული“, „ცისფერწყლიანი“ კარჩხალა მიედინებოდა. სიცოცხლეში მასზე ლამაზი მთის მდინარე არსად უნახავს.

მისი პირველივე გაფიქრება ის იყო, რომ ეს ხანძთაა... ხანძთა, აღმართული მთის ჩრდილოეთ კალთაზე, აღმოსავლეთისკენ მიმართული ფასადით. გიორგი მერჩულის მიხედვით იგი სავანის დაარსებიდან მოგვიანებით აგებული ეკლესია უნდა ყოფილიყო. პირველი ეკლესია ხისგან აუშენებიათ.

ირგვლივ პირქუში ციცაბო კლდეები იყო. ბაზილიკა სამხრეთით, მცირე მოედანზე, კერძოდ კლდის წვერწამახულ შვერილზე იყო აღმართული. – „ცხორების“ ავტორი აღნიშნავს, რომ „კლდეჲ იგი ხანძთისაჲ უფიცხელეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა-ო“. მართლაც, ეს კლდე მთის კალთიდან 10-12 საჟენზე იყო გადმოშვერილი. მთელი პეიზაჟიდან უკიდურესი ასკეტიზმი მოჟონავდა. თვით უბრალო ქვის ნაშენი, შავად შეღებილი ნაგებობა და მისი მდებარეობა გარემომცველ ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში იყო. ხანძთა – ეს „გრიგოლის პირმშოა“. მემატიანემ გრიგოლს „უდაბნოს ქალაქმშენებელი“ უწოდა. ის იყო წინამძღვარი და ასევე აღმშენებელი შატბერდისა. თავის ოთხ მოწესესთან ერთად მან სენაკებისთვის მიწა გათხარა და „შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი. რამეთუ არა აქვნდა მათ ცული და წერაქვი, არც სხვაჲ ეგევითარი სახმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ხელთა მათთა და თანაშემწე ექმნეს ყოველთა სახმარითა და ხორცთა საღვაწითა; რამეთუ მას ჟამსა სხვაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თვინიერ ოპიზისა და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისთვის მათ ქუეყანასაჲთა“.

ეკლესია ნუკი-ქილისე ხანძთის მეორე მონასტერი აღმოჩნდა. მას მეტად დაოსტატებული მშენებელი ამონი და მისი თანაშემწეები აშენებდნენ. ქვასა და კირს შორეული მხარიდან ადამიანები ზურგით ეზიდებოდნენ და რამდენადაც მშენებლები მათ ყიდულობდნენ, ყველაფერი სასწორით იწონებოდა. ერთმა იქაურმა მცხოვრებმა, ადრინდელ მოსახლეთა შთამომავალმა, ნ. მარს აცნობა, რომ ამ ეკლესიას ნუკი-ქილისეს იმის გამო ეძახიან, რომ ერთ ქვაზე იყო დაშენებული, რომელიც ერთ მთელ 1/2 ნუკის იწონიდა.

ხანძთა ნაპოვნი იყო.

„...რამეთუ ბუნებით ერთგვამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა... ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლოდ აქვს აღმოცენებული ქვიშათა მათ შინა, ურიცხვი მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ. ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკვიდრობაჲ მათი". ეს რომ შეიტყო, დიდებულმა კურაპალატმა შესწირა ნაყოფიერი სანახები და მათ რიცხვში შატბერდის მხარეც. ეს შატბერდის მონასტერი გადაიქცა ბერ-მონაზონთა ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრად. ნ. მარი იქითკენ განსაკუთრებით მიიწევდა.

იგი გზას აგრძელებს. მათ წინ შესანიშნავი ადგილებია გადაჭიმული, უხვი წყაროს წყლებით, ვაზის ზვრებით. შემხვედრ „კილისელარის" ნანგრევებს იგი მიძნაძორად მიიჩნევს; ეს სახელწოდება მას უკვე არაერთხელ სმენია.

ღამე ახალთაში გაათიეს და დილით პორტასაკენ დაიძრნენ. (ახლა ძველ შატბერდს ასე ჰქვია). ნ. მარი გეოგრაფიული ადგილების გათურქულებას გაუმართლებლად თვლიდა და, შესაძლებლობებისადა მიხედვით, ცდილობდა ძველი სახელწოდებები გამოეყენებინა.

უეცრად ისეთი აღმართი დაიწყო, რომ მასთან შედარებით ხანძთისა დამრეცად მოეჩვენა... ზედა პორტაზე ავიდნენ და სარაისკენ — ქვედა პორტასკენ დაეშვნენ: მაცხოვრებლები ირწმუნებოდნენ, რომ წინათ აქედან ხანძთისკენ მიმავალი ძველი გზა იყო.

როგორც იქნა, ისინი „ოდინდელ საოცნებო მხარეს" მიუახლოვდნენ.

...აი, წყობილი ქვებით ნაშენი სადარაჯოს ნანგრევები, შიგნით ნიშებია... იგი ბედნიერი იყო, როცა ეკლესიის ეზოში შედიოდა.

დღიურიდან: „სტუმრად გრიგოლ ხანძთელთან", — გავიფიქრე მე — „სტუმრად X საუკუნის შატბერდის კრებულის შემდგენლებთან და გადამწერებთან", — გამიელვა, და მომეჩვენა, რომ ოდესღაც აყვავებული, მაგრამ მივიწყებული ქართული კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობის გააზრებისთანავე ჩემი ფიზიკური დაქანცულობა ქრებოდა. უფრო ადრე, სავანის დანახვისთანავე თანამედროვე სამყაროსაგან იმგვარმა განდგომილობის გრძნობამ შემიპყრო და წარსული რეალობის, ამ განდეგილთა კუთხის მიმართ ისეთი სიახლოვის გრძნობა გამიჩნდა, ასე მგონია, თვით ხორცშესხმული გრიგოლ ხანძთელის გამოჩენაც კი არ გამაკვირვებდა პასუხით ჩემს აქ ჩამომყვან კითხვაზე: „სადაა შატბერდი?"

„მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლი ხანძთელადაა სახელწოდებული, და ხანძთა მისი პირმშოა, შატბერდი ჩემს წარმოდგენაში, როგორღაც, უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული გრიგოლთან. იგი როგორც მგონია, შატბერდის მონასტერს თავს უფრო ევლებოდა, ვიდრე ხანძთას. ამასთანავე, გრიგოლის გარეშეც, შატბერდმა ჩემი ყურადღება დაიპყრო, როგორც ლიტერატურული მოღვაწეობის ცენტრმა. მან ქართველთა ბიზანტიური კულტურის უშუალო ზიარებისათვის საფუძველი გაამყარა.

„კარიბჭის ზღურბლს უდიდესი სიამოვნების გრძნობით გადავაბიჯე, სულს უხაროდა და იმის ფიქრით ვიყავი შეძრული, რომ ფეხს ძველ განმანათლებელთა კერაზე ვადგამდი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს განწყობილება უეცრად განქარდა და მე აღუწერელმა გაღიზიანებამ შემიპყრო, როცა დავინახე, რომ შატბერდის ტაძრის ეზო ცხენების სადგომად და სანაგვედ გადაუქცევიათ, სამრეკლო საბძელად გადაუკეთებიათ და მისი შიგთავსის დათვალიერება შეუძლებელია. ღმრთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის შემაღლებულ ადგილზე აღმოსავლეთის სარკმლის ქვეშ მკვდარი თხა გდია, ხოლო ირგვლივ ნაკელის გროვაა. მუხტარი მაშინვე ზემო პორტაში გავაგზავნე რეჯიბ-ოღლისთან, რომელსაც სამრეკლო მიუთვისებია და საბძელად უქცევია..."

შატბერდიდან ნ. მარი უძველეს ოპიზაში გადავიდა, რომელიც ერთადერთი მონასტერი

იყო კლარჯეთში, როცა იქ გრიგოლი პირველად ჩავიდა. ოპიზას რომ ემშვიდობებოდა, მან უკანასკნელი მზერა ნაღვლიანად მოავლო კურაპალატისა და „მის საქმეთა ენერგიული გამგრძელებლების მონუმენტურ ნაგებობებს, რომლებიც არა მარტო მიჩუმათებულები აღმოჩნდნენ, არამედ მეცნიერების მიერ დაუმსახურებლად მივიწყებულნიც“.

ოპიზიდან ბერთასკენ დაიძრნენ. იგი ყველგან ძველი საქართველოს კულტურის ნაშთებს აკვირდებოდა... „...მხარე გაუდაბურებული იყო. ქართველებმა თავის დროს მისგან რაც შექმნეს, ამაზე არა მარტო ტაძრებისა და მონასტერთა შენობები მეტყველებენ, არამედ, სამეურნეო და საერო დანიშნულების ნაგებობები, როგორიცაა მაგალითად ღვინის წარმოების მოწყობილობები, ხიდები, არხები...“

და ბერთადან გამგზავრების წინ მთვლემარე მონასტრის სიმაღლიდან მუეძინის მოწოდებას ნაღვლიანად უგდებდა ყურს... ქრისტიანობის ძეგლების ამგებთა ღვიძლი შთამომავლები ტაძრისკენ მიიჩქაროდნენ, რომ თავიანთი ლოცვები ბერთას აღმშენებელთათვის უხმოდ აღევლინათ. ნაღვლისმომგვრელი იყო ამის ყურება, ნაღვლისმომგვრელი იყო ამის მოსმენაც...“

ბერთას მოხილვით მისი მოგზაურობის ძირითადი ამოცანა იწურებოდა; მან ფარეხთას ხეობაშიც შეიარა, სადაც ტაძართა ნანგრევები უხვად იყო, სცადა ძიუსტაშის მთაზე ასულიყო (რაც „სწორ ქვას“ ნიშნავს), სადაც მღვიმეა, მაგრამ მასში მოხვედრა ვერ შესძლეს, რადგან ადგილზე მისულებმა კიბე ვერ გააკეთეს.

მისი მოგზაურობის ვადა იწურებოდა, იგი ართვინისკენ დაიძრა, მაგრამ სამუშაო ახლაც არ მიუტოვებია; ასევე მეთოდურად და მონდომებით აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს, ზომავდა, ფოტოებს უღებდა და შემხვედრ ძეგლებს აღწერდა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ „შესავალში“ ნ. მარმა თავისი მოღვაწეობა თვითონ შეაჯამა. „...შავშეთისა და კლარჯეთის მოგზაურობის დღიურში...“ დაწვრილებით, შესაძლოა ზედმეტად დაწვრილებითაცაა გადმოცემული მთელი ჩემი ტანჯვა-წამება ჩამოთვლილი სავანეების ნანგრევთა ძებნისას“.

... მე აღვნუსხავდი და ვზომავდი ყველა ნანგრევს; მცირე ზომის სამრევლო ეკლესიათა დიდი რაოდენობა სოფლების ერთმანეთთან ახლო მდებარეობასა და მათ მჭიდრო დასახლებაზე მიუთითებს, ამჟამინდელი „თურქი“ მოსახლეობისგან ვიწერდი სხვადასხვა ჯიშის ვაზის სახელწოდებებს, რომელმაც აქ ქართველებს შორის ქართული სახელწოდებები შეინარჩუნა; „დღიურში“ შემქონდა ყრუ გამოძახილი არტანუჯის რომანტიკული წარსულისა, უბადრუკი ნაგლეჯი თქმულებისა პორტასა და შატბერდში ღმრთისმშობლის კულტის შესახებ; შენიშვნებს მოხატულობებთან დაკავშირებით აქა-იქ; ოპიზაში ხიდებზე, ტერასაზე, ნაგებობებსა და ხეხილის ბაღჩებზე, ზვრებში ქვის საწნახელებზე, საუბრებს ქრისტიანულ განწყობასა და მუსულმანი მოსახლეობის წეს-ჩვეულებაზე“...

იგი მთელ რიგ არქიტექტურულ თემებს ჩამოთვლის, რომლებიც მისი გამოკვლევების პროცესში წამოიჭრნენ. დაჟინებით მოითხოვს, რომ მხარე, საიდანაც მისი საუკეთესო და ყველაზე განსწავლული მეგზური, X საუკუნის ადგილობრივი ქართველი მწერალი, გიორგი მერჩულე იყო, ფართო განათლებითა და თვითმყოფადი ინტერესებით აღძრული გარემომცველი სამყაროს მიმართ, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ბრწყინვალედ რომ, ფლობდა წიგნის ენას, რომელმაც შესძლო თავისი თხრობისთვის სუფთა ქართული კოლორიტი მიენიჭებინა, – უკეთ აღჭურვილი მეცნიერული ძალებითა და მატერიალური საშუალებებით შემდგომ შესწავლას დაქვემდებარებოდა.

მისი მოგზაურობის შედეგი იყო ძეგლი „გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ქართული ტექსტი. შესავალი, გამოცემა მისივე, შავშეთისა და კლარჯეთის მოგზაურობის დღიურით (65 ჩანახატი)“. 1911 წ.

ნ. მარი კლარჯეთში მეტად არ ყოფილა, მაგრამ იგი მას არ განშორებია, როგორც არ განშორებია არც ერთ დიდ პრობლემას, რომელიც მისი სამეცნიერო ცხოვრების წრეში შედიოდა.

ს. მარი

თარგმნა ზურაბ თორაიამ

ქართული ეკლესიები თურქეთში

მკითხველს ვთავაზობთ ინგლისელი ავტორის, **ქრის ჰელიერის** წერილს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული ეკლესიების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1992 წლის აპრილში ცნობილ ინგლისურ არქიტექტურულ ჟურნალში „არქიტექჩერელ რივიუ". ქართულ ენაზე ეს წერილი 1994 წელს გამოაქვეყნა ჟურნალმა "არქიტექტურა და დიზაინი".

ჩვენ სასურველად მივიჩნიეთ მისი ხელახალი გამოქვეყნება. უცვლელად ვბეჭდავთ წერილის წინათქმასაც და ვბეჭდავთ რედაქტორის შენიშვნებსაც რომელსაც სავსებით ვეთანხმებით.

ოთხმოციოდე წლის წინათ გერონტი ქიქოძე სევდიანად წერდა, „ქართველები უთვისტომო, უნათესავო ერი ვართო". ალბათ, ამიტომაც გვახარებს ჩვენ მიმართ ნათქვამი ყოველი კეთილი სიტყვა, ჩვენდამი ყურადღების უმცირესი ნიშანიც კი. ამას გარდა, მძაფრად შევიგრძნობთ ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი მონაპოვარის ღირებულებას. ჯერ ერთი, მისი სხვათათვის გაზიარება გვწადია, შემდეგ კი ჩვენი მსჯავრის „გარედან" დადასტურება. თავისთავად ცხადია, გვინდა ვიცოდეთ ისიც, შორიდან როგორ ვჩანვართ და თუ რა იციან ჩვენს შესახებ.

წინამდებარე წერილი მთლიანობაში მკითხველს უთუოდ ესიამოვნება — მასში საქართველოსადმი წრფელი კეთილგანწყობაც აშკარაა და ტაო-კლარჯეთის ტაძართა ხუროთმოძღვრების ჯეროვანი დაფასებაც. გული კი შეგეკუმშება ოდნავ, სათაურიდანვე რომ შეიტყობ, ჩვენს ცნობიერებაში მუდამ ცხოვლად მყოფი ჩვენი დიდება თვით მეგობართა თვალშიც მივიწყებულ ნაგებობათა ჯგუფად რომ მოჩანს, თურმე; ცოტათი ჩვენი ქვეყნის წარსულზე წარმოდგენის უზუსტობაც დაგანაღვლიანებს; ისიც, რომ მნიშვნელობას ჩვენი ხელოვნებისას იქ დაეძებენ, სადაც იგი, სულ ცოტა, საეჭვოა რომ იპოვონ. ისიც, რომ დოლისყანის რელიეფის თავზე, წერილის ილუსტრაციებში, სომხური ეკლესიის ფოტო-სურათია დაბეჭდილი, შეხსენებად იმისა, რაოდენ უჭირთ დღესაც ევროპელებს ჩვენი და ჩვენი მეზობლების თითქოსდა ეგზომ ნათელი არსობრივი სხვაობის აღქმა.

ეს სულაც არ არის სასაყვედურო. რაში უნდა დავადანაშაულოთ ინგლისელი, რომელმაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაზე ფიქრითა და წერით შეიწუხა თავი? მას ჩვენგან ხომ მადლობის მეტი არაფერი ეკუთვნის. რაღა თქმა უნდა, ეს ჩვენი ბრალია — საკმარისად არ გავრჯილვართ, არც საკმაო რაოდენობით ნაშრომები მიგვიწოდებია უცხოელთათვის და ჩანს, ბოლომდე ჩვენს სათქმელსაც ვერ ვაგებინებთ, მათთვის დამაჯერებლად ვერ ვამბობთ ჯერხანობით. კი ბატონო, ამას ბევრი მიზეზი აქვს, მრავალი — „ობიექტურიც", მაგრამ ამით თავს ვერ ვინუგეშებთ, გასაკეთებელი — გასაკეთებელია მაინც.

დ. თუმანიშვილი
ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა და მას თავისი ხანგრძლივი და შფოთიანი ისტორიის მანძილზე არაერთი ფრიად გამოჩენილი და ორიგინალური ეკლესია აუგია, რომლებიც, სომხურის მსგავსად, შთაგონების წყაროდ იქცა გოთური სტილის ჩამოყალიბებისთვის. გადიოდა საუკუნეები და საქართველოს საზღვრებიც იცვლებოდა. ამიტომაც ბევრი გამორჩეული ეკლესია მეზობელ ქვეყნებში აღმოჩნდა. მათგან განსაკუთრებით თვალწარმტაცია თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებში განლაგებული ტაძრები. მათ, სამწუხაროდ დღეს მივიწყებისა და შეუფასებლობის საშიშროება ემუქრებათ. იმ დროს, როდესაც საქართველოს ამასწინანდელმა შინაშლილობამ ეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა მსოფლიო პრესის ფურცლებზე მოაქცია, შუასაუკუნოვანი ქართული

არქიტექტურული მემკვიდრეობის მიტოვებული და მივიწყებული ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის მდინარეების – ჭოროხის, ოლთისისა და თორთომის ველური სილამაზით გამორჩეულ ფერდობებზეა მიმობნეული. სამყაროს მოწყვეტილთ, მათ იშვიათად თუ მოინახულებს ვინმე. ამ არქიტექტურულ ძეგლებს სათუო პატივი ხვდათ წილად – მსოფლიოს საეკლესიო ნაგებობათა ერთ ყველაზე მიტოვებულ ჯგუფში აღმოჩნდნენ. არადა, არქიტექტურის მნიშვნელობაში მათ დიდი როლი შეუსრულებიათ. როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანებს, ქართველებს შუა საუკუნეებში ჰქონდათ ბიზანტიასთან გაცილებით უფრო ღრმა კავშირები, ვიდრე ჩვენთვის უკვე ცნობილ მათ მეზობლებს (და ზოგჯერ მოწინააღმდეგე)- სომხებს. მათი ეკლესიები ზეგავლენას ახდენდნენ შუაბიზანტიურ არქიტექტურაზე და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ევროპაში რომანული სტილის განვითარებაში.

თეორიულად, შემორჩენილი ეკლესიები დაცულია თურქეთში ძეგლთა დაცვის არსებული კანონმდებლობით, მაგრამ პრაქტიკულად არ არსებობს მათი გადარჩენისთვის აუცილებელი კონსერვაციის პროგრამა. ირონიულად ჟღერს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ტურიზმის განვითარებამ, თუნდაც თავისი ყველა უარყოფითი მხარის გათვალისწინებით, შეიძლება გადაარჩინოს ამ შესანიშნავ ნაგებობათაგან თუნდაც რამდენიმე ძეგლი.

შუა საუკუნეებში თურქეთის ჩრდილოაღმოსავლეთი, რომელიც ქართველთა სამეფოს ეკუთვნოდა, მუდამ იცვლიდა საზღვარს. იგი იყო განუწყვეტელი ბრძოლის არე, რომელშიც ზღვა ხალხი მონაწილეობდა. რუსები მოდიოდნენ ჩრდილოეთიდან; არაბები და სპარსელი სასანიდები სამხრეთიდან უტევდნენ; რომაელები, ბიზანტიური და ოტომანური იმპერიების მეომრები – დასავლეთიდან, ხოლო სელჯუკები და მონღოლები – აღმოსავლეთიდან. თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ამ უწყვეტ ომთა ნაკადში საქართველომ თითქმის ათასწლეულის მანძილზე შეინარჩუნა თავი, როგორც თვალსაჩინო სამეფომ. თავისი განვითარების ზენიტში იგი განფენილი იყო 400 მილის სიგრძეზე შავი ზღვის სანაპიროდან თითქმის კასპიის ზღვამდე. სამხრეთით მისი საზღვარი მდინარე არაქსზე გადიოდა, ჩრდილოეთით კი დიდ კავკასიონზე. ქართველთა უკანასკნელი მეფე 1798 წელს გარდაიცვალა. საქართველომ ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში მიიღო, და დაუყოვნებლივ აღიარა ბიზანტიის პატრიარქი. მეშვიდე და მერვე საუკუნეებში საქართველო, რომლის დედაქალაქი თბილისი იყო, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან არაბების განუწყვეტელი შემოსევების შედეგად აოხრდა. თბილისი მიტოვებულ იქნა.

და შეიქმნა ახალი საქართველო (მისი დედაქალაქი ახლანდელი არტანუჯი იყო. დღეს იგი თურქეთის ტერიტორიაზეა), რომლის გულს წარმოადგენდა ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის პროვინციები. ბაგრატიონთა დინასტიის მეფობისას, რომლებიც იმ დროისათვის სრულად აკონტროლებენ ზემო ჭოროხის ხეობას, საქართველო აღორძინდა და ახალმა მეფეებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ეკლესიების მშენებლობით. ისინი ეშურებოდნენ საკუთარი მეფობისთვის აეგოთ ძეგლი.

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისთვის საქართველო კვლავ დასუსტდა. ჯერ იყო და, ბიზანტიელები შეაშინა ბაგრატიონების გაზრდილმა ძალამ, მერე ოსმალებმა შემოუტიეს; მაგრამ საქართველოს მარცხი ხანგრძლივი არ ყოფილა და დავით მეოთხე აღმაშენებლის ზეობას 1122 წელს თბილისის დაბრუნება მოჰყვა, რაც მეორე პოლიტიკური და კულტურული რენესანსის დაწყებას მოასწავებდა. შემდეგი ასწლეული შედარებით მშვიდობიანი აღმოჩნდა საქართველოსთვის და მან თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია თამარ მეფის (1184-1212) მმართველობის დროს, მაგრამ მეცამეტე საუკუნეში ამას მონღოლების ინტერვენცია მოჰყვა.

ამ დროისათვის საქართველოს შიდა კავშირებიც სუსტდებოდა. მარკო პოლო მოგზაურობისას აღნიშნავდა, რომ „ისინი კარგავენ ქრისტიანობას მქადაგებელთა ნაკლებობის გამო“. საბოლოო დამარცხება მას მიაყენა ოსმალეთმა; თუმცა საქართველო მეჩვიდმეტე საუკუნემდე რჩებოდა ქრისტიანულ სახელმწიფოდ. ამ დროისათვის უკვე რუსეთი და თურქეთი ებრძოდნენ ერთმანეთს რეგიონში ბატონობისათვის და ეს ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნეში იქამდე გაგრძელდა, სანამ დღევანდელი საზღვარი, (რომელიც ქართულ ისტო-

რიულ ტაო-კლარჯეთს თურქეთის მხარეს ტოვებს) ბრესტ-ლიტოვსკის 1921 წლის ზავით არ დაკანონდა.

ტაო-კლარჯეთის 80-მდე ცნობილი ეკლესიიდან მხოლოდ რამდენიმე გადარჩა. ისინი სამ ძირითად ჯგუფად იყოფა. ტაოს ერთ-ერთი უძველესი ეკლესია მეშვიდე საუკუნის დიდი ტაძარია ბანაში, რომელიც ერთი აბსიდის გარდა, მეცხრამეტე საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაინგრა; ტაძარი ჯვროვანი გეგმით და მრგვალი გარე კედლებით გამოირჩევა. ადრეული პერიოდისთვის დამახასიათებელი ეს ცირკულარული გეგმა მოგვიანებით ბაზილიკით, ან უფრო ხშირად, ჯვროვანი გეგმით შეიცვალა, რომელიც ორი მარტივი ფორმის კომბინაციას წარმოადგენდა. ოთხთა ეკლესია, რომელსაც დღეს ჭირნახულის შესანახად იყენებენ. პირველის მაღალმხატვრული ნიმუშია; იშხანი, ოშკი და ხახული კი შესანიშნავი მაგალითებია უფრო რთული ჯვროვანი ფორმისა, რომელშიც კომბინირებულია ბაზილიკა და ცენტრალური გუმბათი. მას შესაბამისად საკურთხეველი, ნავი და ტრანსეპტები აქვს.

აი, სწორედ ეს უკანასკნელი, ჯვარ-გუმბათოვანი ფორმა გამოავლენს იმ კონტრასტს, რომელიც ასე გამოარჩევს ერთმანეთისაგან შედარებით მარტივსა და რთულ მრავალფეროვან ინტერესებს. ასე მაგალითად, ოშკის ეკლესია გარედან ახდენს უბრალო ჯვროვანი ფორმის შთაბეჭდილებას თავისი ტრანსეპტებითა და ცენტრალური გუმბათით, თუმცაღა შიგნით, თითოეული ტრანსეპტი სამმაგი კონქითაა შექმნილი. ცენტრალურ აბსიდას აქეთ-იქიდან ორი დამატებითი სათავსი ახლავს. გარედან აბსიდები ერთმანეთისაგან ორი სამკუთხედი ნიშნით გამოიყოფა, რომლებსაც ცრუ თაღები ევლება.

ტაო-კლარჯეთის ეკლესიების მთავარი ფასადები და მათი გუმბათები თვალში მოსახვედრი რბილი ყვითელი ფერის კირქვით არის ხოლმე შემოსილი, რომელიც მეტწილად გასაოცრად კარგად შენახულია. სოფელ ხახულის მაცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ ამ ფერს ქვის რძეში ამოვლებით იღებენ. სხვა დამახასიათებელი თვისებებია ცრუ თაღები, დეკორირებული ნიშები, შესანიშნავად ორნამენტირებული ფანჯრები და ცხოველთა და წმიდანთა ქანდაკებები. გასაოცარია არწივი, კლანჭებით ბატკანი რომ აუტაცნია. ეს იმდენად ხშირი თემაა, რომ ბევრ მკვლევარს აფიქრებს, ბაგრატიონების ჰერალდიკური ემბლემის მაგვარი რამ ხომ არ არისო. მარკო პოლოს მიერ მოყვანილი მითიური ისტორიის შესაბამისად, ამ პროვინციის ყველა მეფე მარჯვენა მხარზე არწივის გამოსახულებით დაბადებულა.

ანალოგიური სკულპტურული თემები ამშვენებს ოშკსა და ხახულს. მათ შორის არიან მშვილდოსნები და ირემზე მონადირე ლომი. ეკლესიებში ფრესკები ძალზე ცუდადაა შენახული. ექსტერიერის ქანდაკებებში, ხშირად გამოხატავენ წმიდანებს, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ქართული ეკლესიების მაკეტები, ვითარცა ძღვენი ქრისტესადმი. ოშკში ორ ასეთ წმიდანს, რომელთა ბარელიეფისათვის თავები მოუმტვრევიათ, აცვია მდიდრულად დეკორირებული ტანსაცმელი, იმის მსგავსად, რაც ბიზანტიის იმპერატორთა კარისკაცებს უნდა სცმოდათ. ქართული არქიტექტურის ამგვარი გზით გამდიდრება, როდესაც ქვაზე რელიეფური ჭრა მეტწილად თავს იყრიდა სამხრეთის შესასვლელთან, ევროპაში რომანული და გოთური სტილისთვის დამახასიათებელი მთავარი პორტალების რთული დეკორის განვითარების ადრეული ეტაპი უნდა იყოს.

არსებულ ქანდაკებებთან ერთად, გადარჩენილ ეკლესიათაგან ზოგიერთს კედლის ფერწერის კვალი აჩნია, რომელიც მხოლოდ ახლახან შეისწავლეს. მათი ფორმა სრულყოფილია და ისინი ძირითადად ქრისტიანული აღმოსავლეთის შუასაუკუნოვან ტრადიციებს მიჰყვებიან, თუმცა, ამავე დროს, მკაცრად შეზღუდულ პალიტრას იყენებენ. როგორც წესი, ბიბლიური სცენები, რომლებშიც გამოსახულია ქრისტე და მოციქულები, ღვთისმშობელი, განკაცება და ხსნა, ჰორიზონტალურ რეგისტრებად გამოიხატება. მათ ბევრი სტილისტური ნიშანი აქვთ საერთო ცენტრალური თურქეთის კაბადოკიის კედლებში ამოკვეთილი ეკლესიების უკეთესად ცნობილ და მდიდრულ ფერწერასთან, იმ ფრესკებთან, რომლებსაც ნელ-ნელა წაეხმარა იუნესკოსა და თურქეთის მთავრობის მიერ წამოწყებული კონსერვაციის მნიშვნელოვანი ცდები.

ფრესკების ცუდი მდგომარეობა რადიკალური პოლიტიკური ცვლილების ანარეკლია.

საუკუნეების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ტაო და კლარჯეთი ოტომანთა მზარდი იმპერიის ნაწილი გახდა, ეკლესიები, ფაქტობრივად, დაცარიელდა, რაც ამ რეგიონთა დექრისტიანიზაციას მოჰყვა. ბევრი მათგანი ნანგრევებად იქცა ან ქვის გამოყენების მიზნით გაიძარცვა. ზოგიერთიც მიწისძვრების, განძთა მაძიებლებისა და გაუთავებელი რეგიონალური კონფლიქტების მსხვერპლი გახდა. თუმცა, ამ ბოლო ათწლეულებში დარჩენილი ეკლესიებიც დიდად დაზარალდა. კლარჯეთის ერთ-ერთი უძველესი მონასტრის, ოპიზის გუმბათი 1960-იან წლებში დაინგრა. კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რომ შესანიშნავი ცენტრალური ეკლესია ექექში, თორთომის მახლობლად, დინამიტით ააფეთქეს იმ მიზნით, რომ მისი ქვა ადგილობრივი მედუქნის სამახსოვრო მეჩეთის მშენებლობაში გამოეყენებიათ. სხვებში კარ-ფანჯრები ცემენტითა და ღორღით ამოივსო და კედლები ხანძრებისაგან გაიმურა.

რამდენიმე შემთხვევაში ეკლესიების მეჩეთად გამოყენება დაეხმარა შენობის ძირითადი სტრუქტურის შენარჩუნებას, მაგრამ ამას გარდაუვლად მოჰყვებოდა ხოლმე ფრესკების თეთრი საღებავით დაფარვა. პარხალის ბაზილიკის სახურავი წვიმის საწინააღმდეგოდ ცემენტის სქელი ფენით დაფარეს, რასაც შედეგი არ გამოუღია. წყლისაგან ბაზილიკის ინტერიერს მცოცავ ხარაჩოებზე დამაგრებული მოთუთიებული რკინის ფურცლები იცავს.

ერთ-ერთი საუკეთესოდ შენახული ეკლესია ხახულისაა, ამჟამად რომ ბაგლარ ბაშს უწოდებენ, მაგრამ მისი მომავალიც საეჭვოდ გაუხდიათ. სოფლის მცხოვრებლებს მოვლა არ დაუკლიათ შენობისათვის, თუმცა კი ეკლესიის სახურავის კრამიტის ფილები მოთუთიებული რკინით შეუცვლიათ. მაგრამ რკინის ფურცლებით დაფარვა იყო ერთადერთი, რაც სოფლელებმა მეჩეთად გადაკეთებული შენობის შესანახად შეძლეს. აქვე ახალი მეჩეთი შენდება და თუკი მისი მწყობრში ჩადგომის შემდეგ ხახულს მიატოვებენ, იგი მეზობლად მდებარე ეკლესიების გზას მიჰყვება და უპატრონო აღმოჩნდება.

ქართული ეკლესიების გადარჩენის ერთადერთი გზა მათი საყოველთაო აღიარებაა, როგორც ამ ფართოდ გაშლილ ველთა და თვალწარმტაც მთათა ულამაზესი მხარის მთავარი ტურისტული სანახაობისა. მას შემდეგ, რაც ამ ცოტა ხნის წინ ერთგვარად პოლიტიკურად დაახლოვდა თურქეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირი, გაიხსნა მრავალი წლის მანძილზე ჩაკეტილი საზღვარი სარფში, რითაც ქართველებს და სხვა ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს რეგიონში ჩამოსვლის საშუალება მიეცათ. გაუმჯობესებულმა გზებმა, თუმცა კი ზოგჯერ არცთუ უხიფათომ, გააადვილეს მიმოსვლა და რამდენიმე ტურისტულმა სააგენტომ უკვე დაიწყო ამ რეგიონში მოგზაურობების მოწყობა. არც კომბინირებული ქვეითი და ეკლესიების შემსწავლელი მარშუტები უნდა იყოს ძნელი სარეკლამოდ.

ის რამდენიმე გამოკვლევა, რაც აქამდე შესრულდა, აკადემიური იყო. ამჟამად კი საჭიროა დაუყოვნებლივ ჩატარდეს ეკლესიების მდგომარეობის კვლევა და გამოვლინდეს კონსერვაციის პრიორიტეტები, სანამ კიდევ შეიძლება რამე ეშველოს თურქეთში არსებულ ქართულ ეკლესიებს.

ქრის ჰელიერი

თარგმნეს და დასაბეჭდად მოამზადეს
ნიკა შავიშვილმა და
ლევან ბერძენიშვილმა



* * *

1979 წელს ჟურნალში „ძეგლის მეგობარი“ 51 გვ.64. გამოქვეყნდა რევაზ ავალიშვილის მიერ თარგმნილი სტატია **„ქართული ეკლესიები ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში“**. სტატია დაბეჭდილია ინგლისურ ჟურნალ „თჰე რცჰიტურალ ღევიეც“-ში, რომელიც მიძღვნილია ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი. მის საპროგრამო წერილში საუბარია ქართულ არქიტექტურაზე. ავტორი სტატიისა, ჟურნალის რედაქტორი **შერბან კანტაკუზინო**, ქართულ ხუროთმოძღვრებას რომანული არქიტექტურის აკვანს უწოდებს. სტატია მრავალმხრივაა საინტერესო ქართველი მკითხველისათვის.

მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი:

„დიდი სახელმწიფოების მიერ გაკვალულ დღევანდელ საზღვართა უმრავლესობა ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, ყოფენ რა ყოფილ ერთიან კულტურას ორ ან რამდენიმე ნაწილად. ამის მაგალითია საქართველო, რომელიც არსებობდა, როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფო ძვ. წ. III საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე და რომლის ერთი ნაწილი ამჟამად თურქეთშია, ხოლო მეორე საბჭოთა კავშირში. საომარი სულისკვეთებით გამსჭვალულმა ისლამმა თავის დროზე დამანგრეველი გავლენა მოახდინა მთელ საქრისტიანოსა და მის ძეგლებზე.

VII-VIII საუკუნეებში, ძველი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, დაარსდა ახალი, ბაგრატიონების საქართველო, რომელიც დაფუძნდა სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში, ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში.

...ქართული არქიტექტურის აყვავება თანხვდება სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში ბაგრატიონების ძალაუფლების კონსოლიდაციასა და ექსპანსიას. წმ. გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც 102 წელი იცოცხლა, მართავდა, როგორც არქიმანდრიტი, კლარჯეთის 12 მონასტერს, — „ნამდვილ სამონასტრო რესპუბლიკას“.

...სწავლულებმა დაადგინეს, რომ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად თურქეთშია, არსებობდა სულ ცოტა 80 ქართული ეკლესია. ამათგან მხოლოდ მცირე რაოდენობაა შემორჩენილი ისე, რომ შეიძლებოდეს მათი გამოყენება მეჩეთებად ან ბეღლებად. ისტორიკოსები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხედავდნენ განსხვავებას ქართულსა და სომხურ არქიტექტურას შორის და ასევე ცდებოდნენ პირველის მნიშვნელობის შეფასებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩატარებულმა და გამოქვეყნებულმა გამოკვლევებმა შესძლეს ბალანსის აღდგენა. დამტკიცდა, რომ ქართული არქიტექტურა იმდენადვე მნიშვნელოვანია ევროპაში რომანული სტილის განვითარების საქმეში, რამდენადაც სომხური. ხოლო, რაც შეეხება განსხვავებას, დავით უინფილდს მოჰყავს თვალსაჩინო შედარება ახტამარის სომხურ ეკლესიასთან: „ქართველი ქვის მთლელები თავიანთ რელიეფებს იყენებდნენ არქიტექტურის მთლიანობისა და სრულყოფისათვის, მაშინ, როდესაც ახტამარის არქიტექტორი ეკლესიის კედლებს იხილავს სადემონსტრაციო სიბრტყეებად, რომლებზეც რელიეფი შეიძლება გამოჩნდეს ყველაზე თვალსაჩინო ადგილებიდან. პირველ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა შენობას, ხოლო მეორე შემთხვევაში რელიეფს“. დავით უინფილდი აღნიშნავს, რომ ხახულის ეკლესიაში რელიეფები და ჩუქურთმები თითქმის მთლიანად ჯგუფდება სამხრეთის კართან. „მთლიანობაში რომ განვიხილოთ, სამხრეთის კარი ეტყობა წარმოადგენს პორტალების მორთულობის იმ ადრეულ სტადიას, რომელიც შემდგომში უნდა გადაზრდილიყო რომანული და გოტიკური არქიტექტურის დამახასიათებელ თვისებად“. ისტორიკოსების მიერ ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურის უგულებელყოფის უფრო დამაჯერებელი მიზეზია მიუდგომლობა — „მთის ნაკადებითა და ბილიკებით აღსავსე ხეობებისა და უფსკრულების პირქუში სამყაროსი“. მრავალი ეკლესია მხოლოდ ფეხით ან ცხენით არის მისაწვდომი, თანაც სასაზღვრო პროვინციებში სხვადასხვა შეზღუდვა აფერ-

ხებს მნახველს. ასეთივე ფაქტორები უშლიან ხელს ძეგლების დაცვასა და კონსერვაციას, მიუხედავად იმისა, რომ ანკარის წარსულის ძეგლების გაერთიანებული რექტორატი ამტკიცებს, თითქოს ყველა ისტორიულ ძეგლს კანონი იცავს. ცხადია, ეკლესიის მეჩეთად გამოყენება ნაგებობის გადარჩენის გარანტიას მაინც უნდა იძლეოდეს. მიუხედავად ამისა, გუმბათი ოპიზის ეკლესიისა, რომელიც სოფლის მეჩეთის მაგივრობას სწევდა, დაუცველობის გამო ჩამოინგრა, დავით უინფილდის მისვლამდე ცოტა ხნით ადრე, 1965 წელს. ოშკის ეკლესიის სამხრეთი პორტალი, ბრწყინვალედ გამოძერწილ სვეტიანად, წარმოადგენს სოფლის „მუჰტარის" საკუთრებას და იყენებს ხე-ტყის, თივისა და სიმინდის ნარჩენების შესანახად. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის შიგნით მოეწყო მეჩეთი, როგორც დამოუკიდებელი ნაგებობა, მისი ცალკეული ნაწილი ააფეთქეს 40-იან წლებში, რათა ქვის მასალით უზრუნველეყოთ სოფლის სკოლის მშენებლობა. პარხლის ეკლესიაში, რომელსაც ასევე მეჩეთად იყენებდნენ, რელიეფები და შემორჩენილი კედლის მხატვრობა შეიბღალა, როდესაც შენობის კედლები 1962 წელს კირის სქელი ფენით დაფარეს. უფრო ტრაგიკული ბედი ეწია ექექის ეკლესიას, რომელიც 1960 წელს მთლიანად დინამიტით ააფეთქეს მდიდარი მედუქნის სურვილით, რომელსაც მოესურვა ახალი მეჩეთის თავის პატივსაცემად აშენება.

ძეგლებითა და სიძველეებით მდიდარი ისეთი ქვეყანა, როგორიც თურქეთია, უთუოდ იმსახურებს სიმპათიას. ადვილი არ არის კონსერვაციის საქმეში პრიორიტეტის განსაზღვრა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მინიმუმი მაინც არის საჭირო, რომ რამდენიმე დარჩენილი ქართული ეკლესია გადაურჩეს შემდგომ ნგრევასა და განადგურებას.

შერბან კანტაკუზინო

ინგლისურიდან თარგმნა
რევაზ ავალიშვილმა

ტბეთი. აღმოსავლეთის ფასადი. X ს.

* * *

2001 წლის 21 ავვისტოს მე ვიყავი ქალაქ უსუფელში (სოფელი). იქიდან გავემგზავრე აღმოსავლეთით მდებარე სოფელ იშხანში (ჰან), სადაც დგას იშხნის ეკლესია. სოფელი იშხანი საკმაოდ მაღალ, ციცაბო, შიშველ გორაზეა. სოფლამდე ამიყვანა ხუთი კილომეტრის მანძილის პატარა ბილიკმა, რომელზეც ერთი ავტომანქანა ძლივს თუ გაივლის.

იშხნის ეკლესია დგას სოფლის ახალაშენებულ მეჩეთთან. ეკლესია ისეთი საოცარი, დიადი და მაღალია, რომ იმ პატარა სოფლისათვის მოულოდნელი და თითქოს შეუსაბამოც კია. შემოღობილი ეზო აქვს, სადაც სოფლის ბავშვები ბურთს თამაშობენ ხოლმე.

მეტად დაზიანებული აქვს სახურავი, თუმცა კედლები და გუმბათი შედარებით კარგად არის შენარჩუნებული. გარე კედლებზე ჯერ კიდევ ლამაზად გამოიყურება ჩუქურთმები და მშვენიერი მრგლოვანი ასოებით ამოკვეთილი ქართული წარწერა.

შიგნით, კედლებზე, ფრესკები ზოგან ოდნავ ჩანს. ერთ კედელზე მოჩანს მრგლოვანი ქართული წარწერა. ფრესკები განსაკუთრებით კარგად შემორჩა მაღალი გუმბათის შიგნით, სადაც ლამაზი ლურჯი ფერით ნახატ ჯვარსა და ხატებს თითქმის თავდაპირველი სახე აქვთ შენარჩუნებული.

ეკლესიის გვერდით დგას პატარა სამრეკლო, რომლის შესასვლელ კარზე შემორჩენილია მშვენიერი ქართული წარწერა. სამრეკლოს შიგნით კედელზე ძლივს ჩანს ღვთისმშობლის ხატი.

სოფელში ეკლესიას ყურადღებას არავინ აქცევს. თუმცა ზოგმა იცის, რომ იგი ქართველების, ანუ, როგორც ისინი ეძახიან, გურჯების აშენებულია. იქაურებს საერთოდ არ აინტერესებთ ეკლესიის რაობა. ზოგ სოფლელს ვკითხე, თუ არის ვინმე სოფელში ქართული ენის მცოდნეთ-თქვა. მათ მიპასუხეს, არავინო.

22 აგვისტოს, დილით ადრე ფეხით გავუდექით გზას სოფელ თექალესკენ (თეკკალე), რომელიც მდებარეობს შვიდი კილომეტრის სიშორეზე ქალაქის დასავლეთით. სოფელ თექალედან მთებში ბილიკი ოთხთა ეკლესიამდე მიდის. სოფლის სახელი თექალე (თეკკალე) თურქულად ნიშნავს „ერთ-ციხეს“ ან "ცალ-ციხეს". სოფელთან დგას ერთი დიდი კოშკის ფორმის კლდე, რომლის მწვერვალზე პატარა ციხეა. კლდე ძალზე ციცაბოა, ციხემდე ასვლა თითქმის შეუძლებელი ჩანს.

ბილიკზე არავინ შემხვედრია. ირგვლივ არც არაფერია გარდა ტყისა და მთებისა. მე ცოტა მეშინოდა კიდეც, მარტო რომ ვიყავი. შვიდი კილომეტრის გავლის შემდეგ მთათა შორის მოულოდნელად გამოჩნდა უზარმაზარი ეკლესია.

ეკლესიის ახლომახლო არავინ ცხოვრობს და იგი სრულიად მიტოვებულია. ალბათ, იშვიათი მგზავრების გარდა, ეკლესიას არავინ სტუმრობს. რამდენიმე კილომეტრის სიშორეზე მთაზე ჩანდა პატარა დასახლება, მაგრამ იქამდე მისვლა ვერ მოვახერხე.

ეკლესიას მშვენიერი, დიდი ეზო აქვს. ზოგან შემორჩენილია ქვით ნაშენი გალავნის ნაშთები. გარეგნულად თითქმის არ ეტყობა ნგრევის კვალი, თუმცა შიგნით კედლებიდან ჩამოცვენილი ქვები ყრია და ცოტა ბნელა კიდეც. ეკლესიის უკანა მხარეს მიშენებული პატარა სამლოცველო ძალიან დაზიანებულია – სახურავის გარეშეა დარჩენილი. ეკლესიის შიგნით აღმოსავლეთ კედელზე ჯერ კიდევ ჩანს ოდნავ წაშლილი ფრესკები, სადაც წმიდანები და მეფეებია გამოსახული.

22 აგვისტოს, საღამოს, შავშეთიდან (ავატ) გავემგზავრე სოფელ ჯევიზლიში (ჩევიზლი), რომელიც ჩრდილოეთით, თოთხმეტი კილომეტრის სიშორეზე მდებარეობს. სოფელ ჯევიზლის ადრე თურქულად ერქვა „თიბეთი" (თიბეტ), ანუ ქართულად „ტბეთი".

სოფელში შემორჩენილია ტბეთის ეკლესიის ნანგრევი, ძალიან დაზიანებული სახით. ეკლესიას უკვე სულ აღარ აქვს სახურავი. ჯერ კიდევ, დიდი ბზარით დგას მარტო აღმოსავლეთ მხარის კედელი. ჩრდილოეთსა და დასავლეთ მხარეს შემორჩენილი აქვს კედლების ნაწილი. შიგნით აღარაფერია. ბალახი ხარობს, გარეთ. ყრია დიდი ქვები, რომლებიც ადრე, ალბათ, სახურავის და კედლების ნაწილს შეადგენდა.

ეს დიდი დაზიანება იმის გამოა, რომ, როგორც ერთმა სოფლელმა მიამბო, ოცდაათიოდე წლის წინ აუფეთქებიათ ეკლესია, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სრული სახით იდგა მტკიცედ. მან ასევე დასძინა, არსებობს გადმოცემა, ეკლესიის ქვემოთ, მიწაში გათხრილი იყო გვირაბი, რომელიც ძალიან შორს მიდიოდაო.

23 აგვისტოს ქალაქ არტანუჯში (რტანუ) ჩავედით. იქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვიდმეტი კილომეტრის სიშორეზე მდებარეობს სოფელი ბულანიქი (ულან კ). ამ სოფლის განაპირას დგას შატბერდის ეკლესია. ეკლესიასთან მდგარი ფირნიში გვამცნობს, რომ მას იქაურები ენი-რაბათ-ს (ენი ღაბატ) ეძახიან, ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს: „ახალი სადგომი".

ეკლესია სოფლისკენ მიმავალ გზაზე დგას. იგი ზემოხსენებულ სამ ეკლესიასთან შედარებით პატარაა. დაზიანებული აქვს სახურავი და კედლები, მაგრამ გუმბათი კარგად არის შემორჩენილი და დასავლეთ კედელზე ლამაზად გამოიყურება ჩუქურთმა.

შიგნით სოფლელები თივას ინახავენ. კედლები ზოგან ჭვარტლითაა გაშავებული და ფრესკების კვალიც არსად ჩანს. შიგნით, აღმოსავლეთ კედელზე, მაღლა ერთი პატარა ხვრელია. ერთი სოფელი მომიყვა, რომ იმ ხვრელში დამალული ყოფილა ოქრო, რომელიც რამდენიმე წლის წინ ვილაცას აღმოუჩენია და ფარულად წაუღია. იმ ხვრელში რამდენად შესაძლებელია განძის ან სხვა რაიმეს სამალავი ყოფილიყო, ძნელი სათქმელია. ხვრელი ძალიან მაღლაა. მისი დათვალიერება ვერ შევძელი.

ეკლესიასთან, გორის შუაწელზე, ერთი პატარა ორმოა, საიდანაც ბუნებრივი ყინულივით ცივი ჰაერი გამოდის. ორმოს შიგნით პატარა ოთახია გაკეთებული. იმ ორმოს პირი იმ ზომისაა, რომ ერთი კაცი ძლივს თუ შეეტევა. როგორც ვარაუდობენ, ძველად, ალბათ, იქ ინახებოდა საკვები და სასმელი.

ეს არის იმის მოკლე აღწერა, რისი ნახვაც შევძელი სამი დღის განმავლობაში. დაგეგმილი მაქვს მომავალში უფრო დიდი დრო დავუთმო ამ ტერიტორიაზე დარჩენილი სხვა ქართული ძეგლების დათვარიელება-აღწერას.

იასუჰირო კოჯიმა

ახალგაზრდა ენათმეცნიერი, ქართველოლოგი. იაპონია. ტოკიოს უნივერსიტეტის თანამშრომელი. 2001 წ.

გადმოგზავნა ელექტრონული ფოსტით.

როგორც ჩვენი მკითხველი თავად დარწმუნდება, იგი საკმაოდ კარგად ფლობს ქართულს.

მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ **ცირა ჩიკვაიძეს**, რომელმაც მოგვაწოდა ეს მასალა.



ოშკი. სარკმლის მოჩუქურთმებული დეტალი



„ტაძარი ოშკის... თეთრი თოვლით ათოვლებული“

გრ. რობაქიძე



ოშკი. სემინარიის შუანავის ხედი

* * *

გერმანელი მხატვარი ვერნერ რუდიგერი საქართველოში პირველად 1979 წელს ჩამოვიდა... მან თითქმის მთელი საქართველო მოიარა. ნახა და შეისწავლა ქართული ხელოვნების ძეგლები. გამორჩეულად დაინტერესდა სამხრეთ საქართველოსა და განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთის არქიტექტურით. საგანგებოდ ჩავიდა იქ და საკუთარი ხელით ჩაიხატა თითქმის ყველა ძეგლი, რომელიც კი ნახა. ბატონ რუდიგერს გულწრფელად უყვარს საქართველო და თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდის აქ. მუშაობს, ხატავს... თბილისში რამდენიმეჯერ მოეწყო მისი გამოფენა და ქართველი საზოგადოება — მხატვრები, ხელოვნებისმცოდნენი, მწერლები იცნობენ და პატივს მიაგებენ მას.

ვერნერ რუდიგერი — **...მიუნხენში, სადაც მე დავიბადე, ცხოვრობდა ქართველი ქალბატონი ლია კუჭუხიძე. ბედმა შემახვედრა მას. სწორედ მან შემასწავლა ქართული წერა-კითხვა და ამჯერად ისევ მისი და ჩემი ქართველი მეგობრების დახმარებით, ცოტაოდენი ქართული ლაპარაკიც შევძელი. ვარ მიუნხენის ქართული სათვისტომოს საპატიო წევრი. ასევე ქალაქ ლენში მოქმედებს საქართველოს მოყვარულთა საზოგადოება... ამ საზოგადოებაშიც ვარ... მიხარია, რომ გერმანიასა და საქართველოს შორის მეგობრობის ხიდი თანდათან მყარდება... მე კი, ჩემი ცხოვრებით სამუდამოდ ვარ დაკავშირებული ამ მშვენიერ და ნიჭიერ ქვეყანასთან... მის ხელოვნებასთან. ჩემთვის დიდი ჯილდოა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, რომელიც მე მომანიჭეს. დიდი ჯილდოა ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელსაც აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ.**

გამოფენაზე, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გასული წლის შემოდგომაზე ასოციაცია „საგანძურმა" და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა მოაწყო, ტაო-კლარჯეთის ძეგლების ამსახველი ფოტო ნამუშევრების გვერდით, გამოტანილი იყო, აგრეთვე, ვერნერ რუდიგერის გრაფიკული ნამუშევრებიც ტაო-კლარჯეთის თემებზე.

ბატონი რუდიგერი შვიდჯერ იყო ტაო-კლარჯეთში. აი, რას ამბობს იგი **„ქართული ტაძრები სიმბოლოა სისუფთავისა... ეს არის ქვათა ჰარმონია. მე მათში იდეალი ვიპოვე. ძველი ქართული ეკლესიების არქიტექტურა უნიკალურია მთელ მსოფლიოში".**

ჩვენ მხოლოდ დავსძენთ:

ვერნერ რუდიგერის გრაფიკულმა ნახატებმა დაამშვენა და მეტი შთაგონებით აავსო, თავისთავადაც ეს მშვენიერი გამოფენა.

რედაქტორის შენიშვნა:

ამ წერილებში უცხოელ ავტორთა გულისტკივილი იკითხება... მაგრამ იცვლებიან დრონი. მადლობა უფალს, დღეს თურქეთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა. ეს მათ ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებსაც დაეტყო. ახლა საქართველოდან განუწყვეტლივ მიემგზავრებიან ექსპედიციები ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში... გვაქვს იმედი, თურქი მასპინძლების კეთილგანწყობა სათანადოდ აისახება იქ არსებული ქართული ხუროთმოძღვრების გადარჩენილ ნაგებობებსა და ჩვენს თანამოძმეებზე — ჩვენებურებზე.

ოშკი. სამხრეთის ფასადი. X საუკუნის 60-იანი წლები

ოშკის მძლე ტაძარო, ათასი წელია,
დგახარ და ღაღადებ.
კვლავ ანთებ ჩირაღდანს, კვლავ მზემდე მაღლდები,
მრავალჭირნახადო!
კვლავ შენი სარკმლებით მაღალი სიბრძნისა
ინთება სანთელი...
კვლავ თავზე ევლება აქ ქართულ ასოებს
აჩრდილი იმათი,
მორჭმულთა მამათა, — გიორგის, ექვთიმეს,
ლაზარეს, ზოსიმეს...
ათასი წელია, მზესავით გვიბრწყინებ,
შარავანდ მოსილო!...

ანა კალანდაძე

აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის კერები

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, ქართული ეროვნების ფორმირება დასრულებულა XI საუკუნეში, განსხვავებით ძველი ქართული ისტორიოგრაფიისაგან, რომელსაც მიაჩნია, რომ ქართული ეროვნული ერთობა ფარნავაზის სახელმწიფოს შექმნის დროს უკვე არსებობდა.

IX-X საუკუნეებში, და საერთოდ, არაბთა ბატონობის შემდეგ, მკვლევართა თვალსაზრისით, ქართველური ტომების კონსოლიდაციის კერები ყოფილა ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი.

გ. წულაიას აზრით, აფხაზეთის სამეფოს შექმნა ყოფილა ქართველური ტომების კონსოლიდაციის ერთ-ერთი ეტაპი: „Начав историю объеденения грузинских земель с образования Абхазского Царства, автор „Летописи Картли" не оставляет сомнения в том что в данном акте необходимо видеть объеденение западногрузинских земель. Это был один из этапов консолидации картвельских племен".

საინტერესოა, როგორი ეთნიკური შემადგენლობისა იყო ქართველური ტომების კონსოლიდაციის კერები — ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი.

ტაო-კლარჯეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ თანამედროვე მკვლევართა შორის, ნ. მარის შემდეგ, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. „ქართლის ცხოვრებისა" და სხვა წყაროთა მიხედვით ტაო-კლარჯეთი და საერთოდ სამხრეთი საქართველო მუდამ ქართველების ქვეყანაა. თანამედროვე მკვლევრები მიდიან დასკვნამდე, რომ ტაო-კლარჯეთის აბორიგენი მოსახლეობა იყო ჭანურ-მეგრული, რაც სრულებით არ ეწინააღმდეგება ძველ ქართულ წყაროებს. თავის დროზე ნიკო მარმა, თავისი ცნობილი დასკვნებიდან გამომდინარე, გამოაცხადა, რომ ტაო-კლარჯეთი თითქოსდა სომხური ქვეყანა იყო, ხოლო ამ მხარეში ქალკედონიტთა გამარჯვების წყალობით მოსახლეობა გაქართველდა — თითქოსდა საქართველო გამდიდრდა ტაო-კლარჯეთის მოსახლეობით.

ტაო-კლარჯეთი მუდამ ქართველებით იყო დასახლებული. ის ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა იყო. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართლოსს მიეცა ქვეყანა, რომლის სამხრეთი საზღვარი გადის მთაზე, რომელიც „მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის"; „ოძრჴოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჴოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქი: ოძრკე და თუხარისი"; „ჯავახოსს მისცა ფარავნითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს აღაშენა... ქალაქი არტანისა, რომელსა... ჰქჳან ჰური"; ფარნავაზ „მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი". ფარნავაზ „ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი", „ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა".

მეთორმეტე მეფე ფარსმანის დროს სომხეთის სამეფომ შეიერთა ქართლის სასაზღვრო ქვეყნები. მეფის ძმ არზოკმა განიზრახა „ძიება საზღვართა ქართლისათა". „და იყო კლარჯეთს ერისთავი არზუკ მეფისა... და იგი ავნებდის საზღვართა სომხითისათა, ქუეყანასა პარხლისასა, რომელს არს ტაო, და ვერვინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს"... იმპერატორი კონსტანტინე უბრძანებს ეპისკოპოს იოანეს: „სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი". „და წარმოვიდა ეპისკოპოსი... და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქჳან ერუშეთი და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა". ვახტანგ გორგასლის ყმაწვილობის დროს შემოჭრილ ოსებს „დაურჩეს წარუტყუენველად ჴევნი ქართლისანი: — კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი". გორგასალმა დანიშნა „არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა. ვახტანგმა „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტანს ერუშეთს". ჰერაკლე კეისრის დროს

„კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა; სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღჳს პირი. და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“. არჩილ მეფემ ქალი „ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი“.

მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მეფე ფარნავაზიდან ვიდრე მეფე არჩილამდე, სამხრეთი საქართველო და ტაო-კლარჯეთი მუდამ ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანაა, თუმცა ზოგჯერ საბერძნეთი და სომხეთი თავიანთ სამეფოებს უერთებენ ქართლის ამ ქვეყანას. მაგრამ ამ დროს როგორც ქართლის სამეფო ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი ქართველების მიზანია გაათავისუფლონ ეს ქვეყნები და დაუბრუნონ ქართლს. სარწმუნოებრივადაც ქართლის „ხეცთაგან“ პირველი სწორედ კლარჯეთი (და ეგრისი) იღებს ქრისტიანობას. ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მარტო კლარჯეთში, არამედ ტაოშიც. ბერძენი ეპისკოპოსი, რომელსაც ნაბრძანები აქვს ქართლის სხვადასხვა კუთხეებში ააშენოს ეკლესიები, პირველ ეკლესიას აშენებს ტაო-კლარჯეთში. ვახტანგ გორგასალი კი უკვე კლარჯეთში ნიშნავს ეპისკოპოსს. კლარჯეთის მოსახლეობას, „კლარჯებს“, მოიკითხავს ხოლმე მეფე ფარნავაზი. კლარჯები ქართლის, ანუ თავის მამულის, მოყვარული პატრიოტები, კარგი მეომრები არიან: „მკჯდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკჯრცხნი და მჯედარნიცა“. როცა ქართლის სამეფოს მოსაზღვრე სომხეთის სახელმწიფომ სასაზღვრო ტერიტორიები ჩამოაჭრა, ვერ შეძლო კლარჯეთის დაპყრობა – კლარჯების მამაცობისა და მამულიშვილობის გამო, პირიქით, კლარჯეთის ერისთავი თავისი მეომრებით ამ მეზობელი სახელმწიფოს საზღვრებში იჭრება, მიტაცებული ტერიტორიების ქართლის სამეფოსათვის დაბრუნების მიზნით. აქედან ჩანს, რომ „კლარჯნი“ ქართველი ერის ნაწილია, ცხოვრობენ ქართველთა სამეფოში და ერთგულად იცავენ მას.

ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში – „აფხაზეთში“. დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული სახე „მსგავსი“ იყო ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული სახისა.

ხაზგასმით აღსანიშნავია და ფრიად მნიშვნელოვანი ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიისათვის, რომ სწორედ ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი, ეთნოგრაფიული სახით თითქოსდა არაერთგვაროვანნი, იქცნენ „ქართველთა ეროვნების ფორმირებისა“ და ქართველური ტომების „კონსოლიდაციის“ კერებად. თითქოსდა „ქართული ეროვნების“ ჩამოყალიბებისა და შექმნის კერა უნდა ყოფილიყო შიდა ქართლი, რომელიც ეთნოგრაფიული სახით ერთგვაროვანი იყო და შედგებოდა მხოლოდ ქართებისაგან, მაგრამ IX-X საუკუნეებში, ქართული ეროვნების ფორმირების პროცესში ყველაზე ნაკლებად სწორედ შიდა ქართლი მონაწილეობს (არაბთაგან დაპყრობის გამო). ამ საქმეში აქტიური როლი აკისრია ტაო-კლარჯეთს და აფხაზეთს. იმ გასაცარ ფაქტს, რომ ქართული ეროვნების ერთობის იდეა და ქართველური ტომების კონსოლიდაცია მოხდა იმ კუთხეებში, რომელნიც ეთნოგრაფიულად თითქოსდა არაერთგვაროვანნი იყვნენ, შეიძლება მოვუძებნოთ ერთადერთი მიზეზი: უკვე IX საუკუნეში და მანამდეც ჩამოყალიბებული იყო ერთიანი ქართველი ერი, რომლის საცხოვრისსაც წარმოადგენდა როგორც დასავლეთი საქართველო, ასევე ტაო-კლარჯეთი. სინამდვილეში ეს მხარეები ეთნიკურად ერთგვაროვანნი იყვნენ.

IX-XI საუკუნეებში ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის ქართული ეროვნული აქტიურობა, ამ მხარეებში ქართულ-კულტურული აღორძინება გამოწვეული იყო არა იმით, რომ იქ ახლად ჩამოყალიბდა ეროვნული ერთობის გრძნობა, არამედ იმით, რომ ქართველი ერის ეროვნული ცენტრები – მცხეთა და თბილისი, ასევე შიდა ქართლი, არაბთაგან იყო დაპყრობილი და იქ შეუძლებელი იყო ეროვნული კერების არსებობა. ამიტომ ეროვნულ ცენტრებად იქცა ქართველებით დასახლებული ის კუთხეები, რომლებზედაც მტერს ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი. ეს იყო, სწორედ, ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი, მით უმეტეს, რომ ამ მხარეებში გადაინაცვლა ქართველი ერის პოლიტიკურმა ცენტრებმა. არაბთაგან ქვეყნის დაპყრობასა და ქართლის სამეფოს განადგურებას უნდა გამოეწვია არა „ქართული ეროვნების ფორმირების დასრულება“, არამედ, პირიქით, ქართველების დენაციონალიზაცია, რადგანაც არაბთა ბატონობას ისეთი დიდი ხალხის „დენაციონალიზაციაც“ კი გამოუწვევია, როგორიც იყვნენ ირანელები. გ. წულაიას გა-

მოკვლევის თანახმად, ქართველ ეროვნებას სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციისა (VI ს.) და არაბთაგან დაპყრობის შემდეგ (VII ს.) „ძალზე მაღალი დონე ჰქონია ეთნიკური კონსოლიდაციისა". ადვილი მისახვედრია, თუკი ქართველობას ეროვნული სახელმწიფოს გაუქმების შემდეგაც კი ეროვნული კონსოლიდაციის დონე ძალზე მაღალი ჰქონდა, კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაციის დონე ეროვნული საერო ქართული სახელმწიფოს არსებობის დროს. სწორედ ამას მიუთითებს დაჟინებით „ქართლის ცხოვრება". მეფე ფარნავაზიდან (III ს. ქრისტეს წინ) ვიდრე ვახტანგ გორგასლის შვილებამდე (VI ს.) ქართველ ერს უწყვეტად ჰქონდა ეროვნული სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც უცილობლად შედიოდა როგორც დასავლეთი (შემდეგდროინდელი „აფხაზეთი"), ისე სამხრეთი საქართველო (ტაო-კლარჯეთი).

ცხადია, ქართული ეთნიკური კონსოლიდაციის დონე ეროვნული სახელმწიფოს განადგურების შემდეგ შემცირდებოდა; და თუ იგი მაინც ინარჩუნებდა პირვანდელ სახეს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ეროვნული სახელმწიფოს არსებობის დროს კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რაც ქართველი ერის არსებობის საფუძველს ქმნიდა.

ქართული ტომების ინტეგრაციის ერთერთი მაჩვენებელი ქართული დამწერლობის შექმნაც ყოფილა. „ქართლის ცხოვრების" თანახმად, ქართული მწიგნობრობა შეიქმნა ერთიანი საქართველოს მეფის, ფარნავაზის, დროს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული დამწერლობა სათავეს იღებს VII-VI საუკუნეებში ქრისტეს წინ, ხოლო რ. პატარაიძის გამოკვლევის თანახმად, ქართული დამწერლობა შექმნილა V საუკუნეში ქრისტეს წინ.

არაბთა ბატონობის ოდნავი შესუსტებისთანავე ყოფილი ქართლის სამეფოს პერიფერიებში (რადგანაც ცენტრი დაპყრობილი იყო) — დასავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთში — განვითარდა და სწრაფად აყვავდა ქართული ეროვნული კულტურა, ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ არაბთა შემოსევამდე გაცილებით ადრე, როგორც დასავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოს მცხოვრებნი ეროვნულად ქართველები იყვნენ და მათ ამის შეგნება ჰქონდათ. ამ მიზეზის გამო ქართული ეროვნული ცენტრები არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის დროს გადავიდა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. სწორედ აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი იქცა ქართველი ერის პოლიტიკურ ცენტრებად, ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღდგა, ქართული კულტურა აყვავდა. იმ დროს, როცა აღმოსავლეთი საქართველო (ქართული ეროვნების „ბირთვი") არაბთა მიერ იყო დაპყრობილი და იქაური ქართველები ეროვნულ გადაგვარებას განიცდიდნენ, ქართული ეროვნული ერთობის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის კერად აფხაზეთი იმიტომ იქცა, რომ არაბთა შემოსევამდე დიდი ხნით ადრე დასავლეთი საქართველო უკვე ქართული ქვეყანაა, რომლის მცხოვრებთ ქართველები ეწოდებათ. გ. წულაიას აზრით, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ქართველური ტომების ინტეგრაცია ითვლიდა არაერთ ასწლეულს. ამავე თვალსაზრისს ადასტურებს „ქართლის ცხოვრებაც".

ძველქართული ეროვნების კონსოლიდაციის ახალი ეტაპი დაწყებულა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის შემდეგ. ქართულ ენაზე წერილობითი ლიტერატურის შექმნა ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაციის მაღალი დონის ნიშანი ყოფილა. თვით საკუთრივ აფხაზეთშიც კი, ე.ი. ეგრისწყლისა და კლისურას იქით მდებარე ტერიტორიაზე, ქართულ წერილობით კულტურას ხანგრძლივი ისტორია ჰქონია ჯერ კიდევ ქართული მიწების გაერთიანებისთვის მოძრაობის დაწყების ადრეულ ეტაპზე. მით უმეტეს გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია ექნებოდა მას ეგრისში, ანუ დასავლეთ საქართველოში, საიდანაც ეს კულტურა გავრცელდებოდა საკუთრივ აფხაზეთში. საუკუნეთა მანძილზე, არაბთა შემოსევამდე, ეგრისი პოლიტიკურად ქართლის სამეფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნეოდა.

„...Грузинская историческая традиция вообще считала, что образование Абхазского Царства было первым актом в ходе собирания грузинских земель в единое государство. Именно этим обстоятельством и определялось... значение Абхазского Царства

в истории формирования общегрузинского культурно-исторического единства, и в этом древнегрузинские летописцы не сомневались".

ქართული ისტორიული ტრადიცია ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოს შექმნამდე დასავლეთ საქართველოს — ეგრისის მცხოვრებთ მიიჩნევდა ქართლის სამეფოს მცხოვრებლებად — „ნათესავით ქართველებად". მემატიანეებმა იციან, რომ აფხაზეთის სამეფოს შექმნით დასავლეთ საქართველოს ეროვნული შემადგენლობა არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სახელწოდება. დასავლეთი საქართველო, ანუ აფხაზეთი და სამხრეთი საქართველო, ანუ ტაო-კლარჯეთი, არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეთნიკურადაც ქართული ქვეყნები იყვნენ.

სწორედ ამ მიზეზის გამო იქცნენ ეთნოგრაფიულად „არაერთგვაროვანი" აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართული ეროვნული ფორმირება-კონსოლიდაციის კერებად. სინამდვილეში ეს ქვეყნები ეთნიკურად ერთგვაროვანნი იყვნენ და მათი მცხოვრებნი ძველთაგანვე — ძველქართული სახელმწიფოს არსებობის დროს — ეროვნულად ქართველებს მიაკუთვნებდნენ თავინთ თავს.

IX-X საუკუნეებამდე გაცილებით ადრე, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ქართველებად მიიჩნევდნენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ისტორიკოსებიც. V-VI საუკუნეებში ისინი ხშირად უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს იბერიას.

მიტროპოლიტი
ანანია ჯაფარიძე



იშხანი. ნერსეს დროინდელი, უძველესი შენობის საკურთხევლის კოლონა

რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, რად მწუხარე ხარ...

...ვალეს საკონტროლო გამშვებ პუნქტში მესაზღვრეებმა ჩვენი ექსპედიცია რაღაც ფორმალობების გამო თითქმის ოთხი საათი დააყოვნეს.

ვიჯექი ჩემთვის მარტო, ჩუმად და რატომღაც, უნებურად მაგონდებოდა ამ სამი ათეული წლის წინ ჩემი ყოფნა სარფში. პირველად მაშინ ვნახე საზღვარი, ორად რომ ჰყოფდა სოფელს. პირველად მაშინ აღვიქვი მთელი სიმწვავით 'არა მხოლოდ სარფის, არამედ ორად გაყოფილი მთელი საქართველოს ტრაგიზმი... მაშინ, ისევე, როგორც ახლა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს „მიწა კი არა, გადაეკვეთათ ჩემი სხეული."

ცხადზე უცხადესი იყო ჩემთვის, ძველ ნაიარევზე სიარული კიდევ უფრო გამიღრმავებდა ტკივილის გრძნობას, მაგრამ... ტაო-კლარჯეთის, კაბადოკიის, თუ ლაზეთის უნახაობაც არანაკლებ სამძიმო იქნებოდა. ამ მხარეზე დარდი და წუხილი ბევრ ქართველ მწერალს აკი საფლავში ჩაჰყვა კიდეც; მათ შორის გიორგი ლეონიძესაც: „ისე დავბერდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი, ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული, როდის მოუვა მათ გაზაფხული?"

ყველა ერს აქვს, ალბათ, თავისი საგოდებელი. ჩვენ, ქართველებს, ისტორიის ბედუკულმართობით, მთელი წყება გვერგო საგოდებელთა, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლა ესოდენ ღრმა ტკივილითა და სევდით ავსებს ჩვენს გულებს.

ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი ამ საგოდებლის თავში დგას.

დიდი ილია წერდა: „ჩვენი ყოველი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელოვანი დროშა, სწავლა, განათლება, მამულისთვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას. მძლავრობამ, მუხთლობამ, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ – ძმები."

ფრიად საყურადღებოა, აგრეთვე, ფრანგი მოგზაურის ჟან მურიეს სიტყვებიც. მან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში: „ამაოდ ცდილობდა... ისლამი ექვსი საუკუნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ეროვნული (ქართული) ცხოვრების ყოველგვარი ნაშთის მოსპობას. ყოველი წყარო, მიწის ყოველი ნაგლეჯი ჯერ კიდევ მოაგონებს მოგზაურს საქართველოს ძველ ძლიერებას. ჭოროხის აუზში, მტკვრის სათავეების ახლოს ყრია მეათე-მეცამეტე საუკუნეებში აშენებული ტაძრებისა და შენობების ნანგრევები, რომლებიც საეკლესიო არქიტექტურის საუკეთესო ძეგლებს წარმოადგენდნენ. კლარჯეთი (ჭოროხის აუზის ძველი სახელწოდება) ბაგრატიონთა დინასტიის მეფეების აკვანი იყო... მეხვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან ოსმალებმა ზემო ქართლში ქრისტიანობისა და პატრიოტიზმის სასტიკი დევნა დაიწყეს. შეუბრალებლად გაანადგურეს ისტორიისა და ხელოვნების ძეგლები. ერს ძალით მიაღებინეს ისლამი, მაგრამ ეკლესიებისა და ციხეების ნანგრევები ამ ხეობებს რომ ავსებს, ერის დიდებულ წარსულს მოწმობს; ერისას, რომელმაც აზიაში ქრისტიანობის ავანგარდის სახელი დაიმსახურა." უცხოელმა მოგზაურმა შესანიშნავად დაინახა და შეიცნო ის, რასაც ბევრი ჩვენი „მოყვარე-მტერი" ვერ, თუ არ ხედავდა, არა მხოლოდ მაშინ – მეცხრამეტე საუკუნეში – ჩვენს დროსაც.

და მაინც, ნადიდგორალი და ნაშამქორალი საქართველოსთვის როდის დაიწყო დიდი ღამე?

„ჩემს წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა. მამის ჩემის სიკვდილის შემდეგ ხშირად მომიხდა მათთან ომი და ღვთის მადლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიან მთავრებთან ომი არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე."

ეს იწერება 1460 წელს. დიახ, ჯერ კიდევ შეუძლია ყვარყვარე ათაბაგს რომის პაპსა და ბურგუნდიის მეფეს მისწეროს ასეთი რიხიანი წერილი. მაგრამ მისი პატივმოყვარული სიტყვების მიღმა საშინელი ტრაგედიის დასაწყისი იმალება. „მეზობელ ქრისტიან მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდაო..." ოსმალთა ურდოები საქართველოს საზღვარს უახლოვდებოდნენ, ყვარყვარე ათაბაგი და გიორგი მეფე კი ერომანეთთან ანგარიშისსწორებით იყვნენ გართულნი. თუმც ჯერ არ დამდგარიყო დიდი ღამე.

ჯერ კიდევ მძლავრობდა სული დავითისა და თამარის, რუსთაველისა და მთაწმიდელების, გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულესი, ჯერ კიდევ ისმოდა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ," რომელსა შინა საიდუმლო ყოველი დამარხულ არს," ჯერაც გუგუნებდნენ ხარები ოშკისა და ხახულისა, ბანასი და პარხალის, ჯერაც ქართული ზეცა ოპიზარების მოჭედილი ჩანდა, ჯერაც გაუბზარავი იყო კედლები ტაო-კლარჯეთის ციხე-კოშკებისა, ჯერაც ლაზების მარჯვე ხელების ნაოსტატარით იფინებოდა საქართველოს მიწა-წყალი...

ჯერაც ისევ გაშლილი დროშებით, ცხენებზე ამხედრებულნი შედიოდნენ იერუსალიმში ქართველნი, შუა გაკვეთილი მამულის ჩივილი ჯერ არ პზარავდა ქართველი კაცის გულს, და სისხლს არ უყინავდა ძარღვებში. ჯერ ერთიანი იყო საქართველო ნიკოფსიით ტრაპიზონამდე და ბასიანამდე გადაჭიმული. მაგრამ... უკვე დგებოდა დიდი ღამე!

ურჩობის ალამი პირველმა სწორედ ყვარყვარე ათაბაგმა აღმართა. მას მალე მიბაძეს სხვებმაც. მათ ძიძგილში, წყწვა-გლეჯაში, „უჩემოდ ვით იმღერეთა"-ს მოძახილში, ოსმალთა უზარმაზარი ურდო კალიასავით მოედო სამხრეთ-საქართველოს, სპარსთა აღმოსავლეთს. სისხლით მოირწყო ქართული მიწა-წყალი: ქართლი, კახეთი, მესხეთი, ლაზეთი სისხლის ზღვაში ჩაიძირა.

ისტორიკოსი ფეჩევი წერს: „...ბაიბურთის მბრძანებელმა მაჰმად ხანმა მოიწვია მისი ოლქის მეომრებისა და მოხალისე რაზმის შენაერთები და დაიწყო ქართული ვილაიეთების წინააღმდეგ ბრძოლა. ამათ მედგრად, პირისპირ შეხვდნენ ქართველებიც. ოსმალებმა ვერ მოასწრეს ძარცვა-გლეჯის დაწყება, რომ დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ამ ბრძოლას ბევრმა ქართველმა შესწირა თავი და ცოცხალი მტერს არ დანებდა. ბრძოლის შემდეგ სულთნის ჯარები შეესივნენ მოსახლეობას და გაძარცვეს, აუარებელი ნადავლი გაიტაცეს; ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შემოიღეს მმართველობის ოსმალური წესები... პირველად აიღეს ციხე-სიმაგრე თორთუმი... გაიტაცეს უთვალავი შევარდენისებური ბიჭები და ულამაზესი ქალწულები."

თუმცა დღევანდელობაც დიდად არ ჩამოუვარდება იმ ბარბაროსობასა და ვანდალიზმს. მარტო აფხაზეთში, გაგრაში, ცხინვალის მხარეში ჩადენილი მხეცობანი კმარა საილუსტრაციოდ. ბოროტება, როგორც ჩანს, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში უცვლელია.

მეტად საინტერესოა ერთი გარემოება: არც ოსმალ და არც სპარსელ ისტორიკოსს აოხრებისა და ხოცვა-ჟლეტის საზარელი სურათების აღწერასთან ერთად, არ ავიწყდებათ აღნიშნონ ქართველი ასულებისა და ჭაბუკების – „ამ სამოთხის ანგელოზთა" – საოცარი სილამაზე და მომხიბლაობა, მათი სიმამაცე.

„მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზეს ხალხად მსოფლიოში" – წერდა იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე. ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე კი აღნიშნავს: „ქართველი ქალების უმრავლესობისთვის ბუნებას მიუნიჭებია ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება," და რომ „იშვიათია სპარსელთა შორის (ისევე როგორც ოსმალთა), შაჰიდან მის უმდაბლეს ქვეშევრდომამდე ისეთი ადამიანი, რომ ან მამა ან დედა არ ჰყავდეს ქართველი, ან უკიდურეს შემთხვევაში ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში" და ა.შ.

არქანჯელო ლამბერტის, შარდენს, იოსებ დელაპორტს, ქრისტეფორე კასტელის და ვინ იცის, კიდევ რამდენ უცხოელს აღუნიშნავს ბუნების მიერ მომადლებული სიტურფე და გონების სიმკვირცხლე ჩვენი ხალხისა, რაც ხშირად ქცეულა ჩვენი უბედურების მიზეზად. „ოსმალონი ლაზებს უმეტესად იმიტომ აპნევდნენ ოსმალეთის სხვადასხვა ადგილებში, რომ ლაზები ლამაზი ხალხია. ოსმალონი ძალიან მისდევენ ამათ ნათესაობას. ლაზთა შვილებს ფულითაც ყიდულობდნენ და ასე იმორჩილებდნენ. ოსმალომ შეჭამა და დაამხო მთელი ლაზისტანის ტომი," აღნიშნავს გერმანელი მეცნიერი კოხი და პირდაპირ წერს, ქართველების სისხლმა გააკეთილშობილა ახლო აღმოსავლეთის ხალხებიო. ესეც არ იყოს, საქართველო ხომ დასაბამიდან ის ხიდი იყო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის რომ იდო. ოსმალეთის იმპერია ამ ხიდისთვისაც ეომებოდა სპარსეთს.

ორი დიდი მტაცებლის ინტერესი ეჯახებოდა ერთმანეთს ამ პატარა ქვეყნის გამო, რომელიც თითქოსდა, მისდა საუბედუროდ, ყოველგვარი სიკეთით შეემკო არსთა გამრიგეს. ორივე მხარეს უწევდა ქართველს ხმლის ქნევა და განა მარტო ორ ვეშაპს ებრძოდა? როგორც ზემოთაც ითქვა, შინაურ მტრობას არანაკლები ზიანი მოჰქონდა, ვიდრე გარეშე მტრის მახვილს. დალატი, როგორც წესი, ფეოდალთა კლასის ბანაკიდან იწყებოდა...

დალატი ყოველთვის საშინელ ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა ხალხში, მაგრამ





დოლის ყანა

დოლის ყანის სარკმლის ჩუქურთმა

ამისდა მიუხედავად, თავად-აზნაურობის გარკვეული ნაწილის გადაბირებას მაინც ახერხებდა გარეშე მტერი. ხალხი კი იოლად არ თმობდა თავის ქართველობას, რაც გაიგივებული იყო მართლმადიდებლობასთან, იოლად არ „თათრდებოდა...” აჯანყებებს აჯანყებები ცვლიდა. XVI-XVII საუკუნეებში თითქმის წელი არ გასულა უომრად! დამპყრობლის ტაქტიკა უცვლელი რჩებოდა: დახოცე, გაულიტე, აყარე, მიმოფანტე. სხვა მოდგმის ხალხი დაასახლე მის ნაფუძარზე, შეუმღვრიე სისხლ-ხორცი გადააგვარე, გადააჯიშე. გადააშენე. მოისყიდე, გადაიბირე – ძალით თუ ნებით, ოქროს საშუალებით თუ თანამდებობით.

ოღონდ გურჯი ნუ იქნები. გამაჰმადიანდი, გაკათოლიკდი, გაბერძნდი, გასომხდი... რაც გინდა იყავი, ოღონდ – ქართველი ნუ იქნები. ყველასთვის მტარვალი იყო ოსმალეთი, ირანი, მაგრამ რადაც საშველი ყველას ჰქონდა – ქართველის გარდა!

რამდენჯერ დამდგარა საბედისწერო ჟამი?

ჩვენი მართლმადიდებლობის, ანუ ჩვენი მეობის დაკარგვა, ჩვენი წარმომავლობის ხსოვნის წაშლა, ჩვენი გონების დაბნელება ან სხვა ერში ათქვეფა, თუ აღრევა – აი, უმთავრესი მიზანთ-მიზანი ყოველი ჯურის გადამთიელის.

მეთოდურად, დაჟინებით მიდიოდა ეს პროცესი და ამ მხრივ ყოველი იმპერია ტყუპის ცალივით ჰგავდა ერთმანეთს, ჩვენი ზღაპრისა არ იყოს, დათვი რომ მართალი გამოდგა მელასთან და მგელთან, რადგან ძალით ერეოდა.

მეოცე საუკუნის მიწურულს ჩამოგვაჭრეს სწორედ აფხაზეთი და შიდა ქართლი... ერთხელ კიდევ იზეიმა ბოროტებამ, ისევე, როგორც მოხდა ეს საუკუნეების წინათ სამცხე-საათაბაგოში.

ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედებით დაჯილდოვებული ნაწილი. (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი).

კოაგმის ალტის ეკლესიის ნანგრევი

შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ

„ტაო, ტაო... ჩვენი ქვეყნის ლხინის დედავ... შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ... შენს დაქცეულ ციხე-ბურჯებს... შენი ხანძთა, შენი ტბეთი, როდის აღდგეს იავარო, როდის იქნეს, შენი ბედი შენს სადროშოს მიაბარო." არ შეიძლება არ მოგაგონდეს გრ. აბაშიძის ეს სტროფები, როდესაც მართლაც მეტწილად იავარქმნილი ტაძრებისა თუ ციხე-ბურჯების ხილვა იწვევს. და მაინც, ამ მწვავე ტკივილთან ერთად, შეუძლებელია მოწიწების გრნობამ ქედი არ მოგადრეკინოს გრიგოლ ხანძთელის, ამ „განსრულებული სიბრძნითა, კეთილად განმგები მოღვაწისა და უდაბნოთა ქალაქმყოფელის" მიერ აშენებული ხანძთისა თუ შატბერდის წინაშე. გრიგოლ ხანძთელმა, ამ ბუმბერაზმა, მონოლითურმა პიროვნებამ „ყოველეამიერი" ჭაპან-წყვეტით შეძლო არაბებისგან გაუკაცრიელებულ, გაპარტახებულ მხარეში საძირკველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული და სულიერი აღორძინებისთვის, რაც, უპირველესად, ქრისტიანული ზნეობის ამაღლებითა და დამკვიდრებით უნდა დაწყებულიყო.

თანდათან, ვით ბრძმედში, იწრთობოდა და კაუდებოდა გრიგოლ ხანძთელის სულისმიერი ძმობა, მამულისა და ერის აღზევების ძირითად მამოძრავებელ იმპულსად რომ იქცა შემდგომში. ამ სულიერი მამების თავგანწირულმა შრომამ და ღვაწლმა (გიორგი მერჩულის თქმით, „კაცი უნდა საქმობდეს და არა სიტყვით ვაჭრობდეს", ანუ სახარებისეული სიბრძნით „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ."), მათმა დიდმა ზნეობრივმა სიწმიდემ, გონიერებამ, ნიჭმა შეუმზადეს ნიადაგი საქართველოს „ოქროს ხანას," ჩვენი ქვეყნის დიდებასა და სიძლიერეს. გიორგი მერჩულის თქმითვე: „ერი იგი საღვთო" (რაც პერიფრაზია წმ. ნინოს ნათქვამისა, რომ „საქართველო არის ერი იგი საზეპურო") უნდა წარმოჩენილიყო მთელი თავისი სულიერი სიდიადით! ამ სულიერ სიდიადეს ჩაეყარა სწორედ საფუძველი ტაო-კლარჯეთში. იმიტომაც იქცა იგი ქართული ეროვნული კულტურის დიდ კერად, მის მესაძირკვლედ, რამაც დასაბამი დაუდო სწორედ ქვეყნის გაერთიანებასა და მის აყვავებას. მით უფრო აუტანელი იყო ამ ძირძველი ქართული მხარის, დიდებული ტაძრების თუ ციხე-კოშკების დანარჩენი საქართველოდან მოწყვეტისა და დაკარგვის განცდა, თუმცა ამ ბოლო დროს შეინიშნება გარკვეული ზრუნვა მათი სრული განადგურების შესაჩერებლად.

...ოშკის დანახვაზე შეუძლებელია ადამიანი არ გაოგნდეს. მისი გრანდიოზულობა და დიდებულება იმდენად შთამბეჭდავია, რომ მნახველს სუნთქვა ეკვრის, ცრემლი თავისთავად იწყებს დენას თვალებიდან. მახსოვს, ასეთი შეგრძნება მქონდა მაშინაც, სრულიად ახალგაზრდამ ბაგრატის ნანგრევები რომ ვიხილე პირველად!..

გონს მოსული იწყებ საყდრის თვალიერებას. ულამაზესი ასომთავრული წარწერები გვამცნობენ, რომ იგი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის, იგივე დავით კურაპალატის მიერაა აგებული მე-X საუკუნეში. მშენებლობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ვინმე გრიგოლი – ალბათ, ხუროთმოძღვარი, რომლის რელიეფური გამოსახულებაც დღემდეა შემორჩენილი სამხრეთის ერთ-ერთ სვეტზე. ცნობილია ქვის მჭრელების სახელებიც: სიხარულა, თვალშავა...

კალამს არ ძალუძს აღწეროს ამ სულისშემძვრელი თაღოვანი სვეტების, ჩუქურთმებისა თუ რელიეფური გამოსახულებების, სვეტების, კაპიტელებზე გამოკვეთილ ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, ქერუბიმთა, სერაბიმთა სიმშვენიერე: კომპოზიციები თუ ეკლესიის მაშენებელთა, ქტიტორთა, ქანდაკებათა, ულამაზეს ჩარჩოებში ჩასმულ ასომთავრულ წარწერათა მთელი წყება განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენს.

საოცარი მოწიწების გრძნობა გეუფლება იმათ მიმართ, ვისმა ნიჭმა და ხელმა ააგო ეს სასწაული ტაძარი!

აღმშენებელი, ისევე, როგორც ბანას, პარხალის, ხახულის, ოპიზის, ხანძთის თუ ოთხთას ეკლესიებისა – ქვეყნის მხოლოდ ერთი სამთავრო იყო! თურმე რა შეძლებია, რა ძალა ჰქონია მხოლოდ ერთ კუთხეს! და საერთოდ, ქართულ გენს! „ოქროს ხანამ" აკი ნათელჰყო კიდეც ეს შემოქედებითი უნარი ჩვენი ხალხისა. გაერთიანებულმა საქართველომ აჩვენა, რისი შეტანა შეეძლო მას საკაცობრიო კულტურის საგანძურში, რა ძალებს ფლობდა, რამდენად მზად იყო მსოფლიო მასშტაბით მოღვაწეობისთვის, სწორედ XII საუკუნეში მიეცა საშუალება ხელახლა გამოებრწყინებინა დროთა განმაელობაში მინავლებული კოლხ-იბერთა

მიერ შექმნილი ცივილიზაცია, რათა შემდგომ ისევ წყვდიადი დამდგარიყო, ისევ ისე წისქვილის დოლაბი დატრიალებულიყო მის თავზე, ისევ ისე ებანავა სისხლის ზღვაში.

...მეჩეთად ქცეული პარხალისა თუ ხახულის შიგნიდან დათვალიერება ვერ მოვახერხეთ, ხოლო სადაც შესაძლებელი იყო, ანჩისხატის ეკლესიის მოძღვარმა, მამა რევაზმა ყველგან მცირე პარაკლისი გადაიხადა, მგალობელთა გუნდის თანხლებით. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ ამ გაბზარულ-გახეთქილ კედლებში ქართული საგალობლების ხმა გაისმა. თაეი სიზმარში მეგონა.

ხახულის დანახვაზე უეჭველად გაგახსენდება თამარ მეფის მიერ ამ ტაძრისთვის შეწირული ხალიფას დროშა, შამქორის ომის ნადავლი რომ იყო. თამარი ისე მოიქცა, როგორც მისი დიდი პაპა დავით აღმაშენებელი... თამარი, დავით აღმაშენებელივით, დიდი პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. მან ხახულის ღვთისმშობელს მიუძღვნა, აგრეთვე, იამბიკო ხუთეული. ამ იამბიკოში იგი თავის თავს იხსენიებს კიდეც: „მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე, ცხებულობასა ღირს-მყავ და ღვთისობასა ედემს...”

ძნელბედობის ჟამს იგავმიუწვდომელმა ხელოვნების ნიმუშებმა და უძვირფასესმა ხელნაწერებმა აქედან შიდა საქართველოში ჰპოვეს თავშესაფარი. აქედანაა ღვთისმშობლის კარედი – ჩვენი კულტურის ფასდაუდებელ განძს რომ წარმოადგენს.

* * *

როგორც ცნობილია, კონსტანტინე დიდის მიერ დაარსებულ ბიზანტიონში გადამწყვეტი გახდა ორი ელემენტი – აღმოსავლურობა და ქრისტიანობა. ქრისტიანული კულტურის შექმნის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სირია-პალესტინამ, კაბადოკიამ და პონტოს სამეფომ.

ძველი სამყარო კაბადოკიის ტერიტორიაზე ძირითადად მესხებსა და ტაბალებს – ამ ქართულ ტომებს იცნობს. მესხები არიან ახლანდელი კაბადოკიელებიო, აღნიშნავენ ევსტათი ანტიოქიელი, იოსებ ფლაბიოსი, ლეონ გრამატიკოსი (კაბადოკია არასოდეს ყოფილა ეთნიკური სახელი – იგი ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს. სპარს.). გ. გოზალიშვილის მოსაზრებით: „კაბადოკიის ტერიტორიაზე ახ. წ. IV საუკუნეში ჯერ კიდევ მოსახლეობდნენ მესხები, რომლებიც „კაბადოკიელებად იწოდებიან” და რომ „კაბადოკიელებში ყოველთვის... ტაბალები და მისი მონათესავე სხვა ძირითადი ქართველური ტომები იგულისხმებიან, ამ ტერიტორიას რომ ფლობდნენ ისტორიულად. სახელწოდება – კაბადოკია დამპყრობლებმა გაავრცელეს... ამ მიდამოებში, მთელი ისტორიის მანძილზე და თვით სტრაბონის დროსაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. კაბადოკიელებად სწორედ ესენი არიან წოდებულნი... აქაური მოსახლეობის აღსანიშნავი ტერმინი „კაბადოკია“ შედარებით გვიან შემოდის ხმარებაში.” ჰეკატე მილეთელის ცნობით „მესხები კოლხური ტომია.” ბიზანტიური წყაროებით VI საუკუნეშიც აქ (კაბადოკიაში) ძლიერი ტომია ჭანები. VIII ს-ში ძვ.წ.-ით შექმნილ ადმინისტრაციულ-სამხედრო ოლქს ქალდიის თემი უწოდეს. „ყველა ქართული ტომის სამშობლო... ქალდია იყო,” აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი. რაც შეეხება პონტოს სამეფოს, მის მოსახლეობას ძირითადად ტიბარენები, ჭანები (ანუ ქალდები) და კოლხები შეადგენდნენ. „პონტოს სამეფოს ან აწინდელ ტრაპეზონის საფაშოში მკვიდრი მოსახლენი იყვნენ ჭანელნი, რომელთა ენაც სრულად ემსგავსება მეგრელთა ენას” (დ. ჩუბინაშვილი, გაზ. „ივერია,” 1877 წ.).

ქართველი მეცნიერების აზრით (ე. ხინთიბიძე, გ. გოზალიშვილი, ი. ლოლაშვილი), ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი – დიდი საეკლესიო მოღვაწენი – წარმოშობით ქართველები არიან, ცხოვრობდნენ კაბადოკიაში და მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნაში. ამათ, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ კაცობრიობას დაუტოვეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მართლმადიდებლური ეკლესიის ცხოვრებაში და ღრმა კვალი დააჩნია შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიურ და დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის განვითარებას. ქრისტიანულ მსოფლიოში ეს მწერლები ითვლებიან წმიდათა წმიდა ავტორიტეტებად.

შემოხვევითი არც ის არის, რომ ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმიდა ნინო კაბადოკიელია. ასევე კაბადოკიელია დიდმოწამე წმიდა გიორგი, ვისი სახელობის 365 ტაძარი იყო აგებული საქართველოში. ხოლო ქრისტიანობის განმტკიცებას უთუოდ დიდად უწყობდა ხელს ლაზიკის, ანუ ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერე, რომელმაც

განსაკუთრებით თავი იჩინა ახ. წ-ის IV-VII საუკუნეებში. კაბადოკიაში ბუნების ხელთუქმნელი საოცრებანი ადამიანის ხელთქმნილ საოცრებებს ერწყმის.

დღევანდელ კაბადოკიაში წაშლილია ქართულის ყოველგვარი კვალი, თუმცა კაბადოკიის ეკლესიების მსგავსება ქართულთან ერთობ თვალში საცემია, ხოლო, რაც შეეხება გიურემის ცნობილ ღვთისმშობლის ფრესკას, იმდენად აშკარაა მისი მსგავსება ქართველი ქალის საქვეყნოდ განთქმულ ხატებასთან, ეს ბუდეშურა თვალები იმდენად ქართულია, რომ არ შეიძლება არ შეგძრას. მოწიწებისა და აღტაცების გრძნობასთან ერთად, შეუძლებელია მეისვე გალაკტიონის „ღვთისმშობლის მხერამ, არ გაგიელვოს თავში, „სავსემ ქართული პატიოსნებით...”

„რად მწუხარე ხარ სულო ჩემო, რად მწუხარე ხარ?”...

...უკვე ბინდდებოდა, სარფში რომ ჩავედით. სარფი კვლავინდებურად გახლეჩილია ორ ნაწილად: „მელენარებად” და „მოლენარებად,” ანუ გალმელებად და გამოლმელებად. მის შუა გულში ისევ ისე დგას მინარეთი, წვერწამახული სვეტითურთ. და ისევ ისე, როგორც ამ სამი ათეული წლის წინ, სარფის პირველი ნახვისას, გულში გახმიანდა პოეტის სიტყვები: „და მე მეგონა, მიწა კი არა, გადაეკვეთათ ჩემი სხეული!.” ამ მწარე სინამდვილესთან ერთად უნებურად გამახსენდა ერთი ძველი ლექსიც: „სარფი პატარა, სარფი რამხელა, რა გზის ნაჭერი, რა მონაკვეთი, სარფი სულ ერთი თვალის გახელა, გადარჩენილი სული კოლხეთის.”

იმ სადამოს, სარფის საზღვარზე შევიტყვე ჩემთვის ახალი ამბავი: გამოღმა, ანუ ჩვენს მხარეზე, ანუ ჩვენს „წილ” სოფელში, თურმე, ეკლესია შენდება! სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. თურმე, ბევრი ლაზი უბრუნდება თავის წინაპართა რჯულს. იმ რჯულს ჯერ კიდევ ანდრია პირველწოდებულის მიერ რომ იყო აქ ნაქადაგევი. „დუდკვათილის” მთაზე ათასობით ლაზი შეეწირა სწორედ ამ სარწმუნოებას!

და თითქოს ცხადად, გარკვევით შემომესმა სახარებისეული მოწოდებაც: „მღვიძარე იყვენით. მტკიცედ დექით სარწმუნოებასა ზედა. მხნე იყვენით და განძლიერდით ყოველივე თქვენი სიყვარულ იყავნ!”

ციალა არდაშელია

მწერალი



პარხალი. აღმოსავლეთის ფასადი. X ს-ის 70-იანი წლები

რა განძი გვქონია...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა და ძეგლთა კვლევისა და პოპულარიზაციის ასოციაცია „საგანძურმა" თბილისელები მიიწვია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ძეგლთა ამსახველი მასალის გამოფენაზე. ექსპოზიციამ, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა, მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

შარშან, სექტემბრის ბოლოს, აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერთა ჯგუფმა, თურქოლოგების – პროფ. მიხეილ სვანიძისა და პროფ. მარიკა ჯიქიას ხელმძღვანელობით მოვინახულეთ ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები, რომლებიც ამჟამად ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთშია მოქცეული. უკვე ორი წელი გადის მოგზაურობიდან. ეს გამოფენაც რიგით მეექვსე გახლდათ (მანამდე მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სკოლებში), მაგრამ საოცარია, რომ არ ნელდება ის ამაღლებული განწყობილება, რომელიც ეპყრობათ ყველა იმ მნახველსაც, რომელთაგან ბევრი მეორედ, მესამედ, ზოგი კი მეექვსედ მოსულა ამ ფოტოთა მოსანახულებლად.

მოდით, ერთად დავათვალიეროთ კედლებზე გამოფენილი მშვენიერი ფოტო-მასალა.

აი, ართვინი. უკვე შეღამებული იყო, როდესაც მთის ფერდობზე გაშენებულ, ისტორიული კლარჯეთის ამ უძველეს ქალაქს მივადექით. ართვინის ციხე აშოტ დიდს აუგია. ართვინის ვილაიეთში დღესაც ბევრი ქართველი ცხოვრობს.

პარხლისკენ მიმავალი გზა მდინარე ჭოროხს მიუყვება. აქეთ–იქიდან კლდეები დაეუდებულან. დაღარული, პირქუში კლდეები: „გზა ჰქვია, თორემ რა გზაა" – უნებურად ვაჟა მახსენდება, ვერც გრძნობ, რომ სხეა ქვეყანაში ხარ, იმდენად ნაცნობი ბუნებაა, იმდენად ნაცნობი ხედები. მთებზე შეფენილი სოფლები, ვენახები, სიმინდის ყანები... მართალია, პროფესიონალები არა ვართ, ვერც ფოტოაპარატების ხარისხით მოვიწონებთ თავს, მაგრამ ყოველი მათგანი დიდი სიყვარულით არის შესრულებული და, ალბათ, ამიტომაც ახდენს მნახველზე შთაბეჭდილებას.

ჭოროხისა და პარხლის შესაყარზე მდებარე პატარა ქალაქ იუსუფელიდან ჩრდილო-დასავლეთით მდინარე პარხალს ავუყვევით. გზა იმდენად ვიწროა, რომ ერთი მანქანა ძლივს უქცევს გვერდს მეორეს. პარხლის სამონასტრო კომპლექსი დავით III კურაპალატს X საუკუნეში აუგია. საცალფეხო ბილიკით მივადექით ტაძარს, უნიკალური ბაზილიკა შემკულია ორნამენტებით და ქართული წარწერებით. დღეს ტაძარი მეჩეთად არის ქცეული და, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ამიტომ უკეთაა დაცული.

პარხალი პირველი ქართული ძეგლი იყო, რომელიც ჩვენ ვნახეთ და ყველას ისეთი განცდა დაგვეუფლა, თითქოს დიდი ხნის მიტოვებული მშობლები, როგორც იქნა, მოვინახულეთ და გვიხარია, თანაც გული გვტკივა, სინდისი გვქენჯნის, აქამდე როგორ ვერ მოვახერხეთო... ეს განცდა არ მოგვშორებია მთელი ჩვენი მოგზაურობის მანძილზე.

ამ ფოტოზე სოფელ თექ კალესთან („ერთი ციხე"), მაღალი მთის წვერზე წამომართული ციხე-სიმაგრეა აღბეჭდილი. გეზი სამხრეთის მიმართულებით, ბაგრატიონთა უძველესი სამყოფელისაკენ, ისპირისაკენ ავიღეთ. ამ გზაზე, სოფელ დორთქილისეში, მდებარეობს ტაოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსი, რომლის მთავარ ტაძარს X საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა – ოთხთა ეკლესია წარმოადგენს. ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო და დიდი სამნავიანი ნაგებობაა – სასულიერო სემინარია. აქვეა მცირე სამლოცველოც. ტაძარი შემოსილია თლილი ქვით, ძეგლი საკმაოდ კარგადაა შენახული. ოთხთა ეკლესია წითელი ვაშლების ფონზე – მშვენიერი ფოტო გამოვიდა.

ოლთისის მიმართულებით ვაგრძელებთ გზას. საშინლად ცხელა. მანქანას უჭირს აღმართზე ასვლა და კვლავ ფეხით მივდივართ. დათო ჩხეიძე ამბობს: „უდაბნოს უკომპრომისო ბუნება და უკომპრომისო დიდი ქართველი მოღვაწეები: გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი, ეფრემ მაწყვერელი, არსენ კათალიკოსი!.." მომწონს შედარება.

მივუყვებით გზას, რომელიც მათი მოღვაწეობის პირველ ხანებში „კაცთაგან მიუვალ იყო"... თაკარა მზე გვწვავს, დავიღალეთ, არაქათი გამოგვეცალა, მაგრამ უეცრად, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო მწვანეში ნაფლული სოფელი და სოფლის ცენტრში ეინულივით ცივი წყარო. სული მოვიოქვით. ნავუყვევით ორღობეს, სიმინდის ყანებს, ხი-

ლით დახუნძლულ ბაღებს. ნამდვილ რაჭულ სოფელს ჰგავს ი'შხანი. ტაძარი VIII ს. 30-იან წლებშია აგებული. იგი IX ს. დასაწყისში აღადგინა საბა ი'შხელმა. ეკლესია საკმაოდ დაზიანებულია: გუმბათზე ძველი ქართული ფრესკებისათვის დამახასიათებელი საოცარი ლურჯი ფერით შესრულებული ჯვრის გამოსახულება იქცევს ჩვენს ყურადღებას. როგორც ჩანს, სოფლელები ტაძარს და მის შემოგარენს გზად უვლიან. იქვე სკოლაა და ბავშვების ჟივილ-ხივილი აცოცხლებს გარემოს, მაგრამ ი'შხანი მაინც, რაღაცნაირად, სევდიანი გვეჩვენება. ვანთებთ სანთლებს და ჩვენც სევდამორეულები ვტოვებთ ტაძარს. ეს განწყობილება ფოტოებიდანაც ჩანს.

ო'შკისკენ მიმავალი გზა სულ ზევით და ზევით მიიწევს. უკან ჩამოვიტოვეთ თორთომის ტბა, სოფელი ჯამლიმარი და მივადექით ო'შკის ჯვარგუმბათოვან ტაძარს, რომელიც შემკულია ხუქურთმებით და წარწერებით. წარწერები ტაოელ ბაგრატიონთა მთელ მატიანეს წარმოადგენს. ო'შკიც საჭიროებს რესტავრატორის ხელს. ტაძრის კედლებზე მცენარეებია ამოსული, უკანა მხარეს სოფლელებს ბოსლები მიუშენებიათ. კედელი შემურულია. მართალია, წინა ფასადზე, ქვაზე ამოკვეთილი ბარელიეფებისათვის ხის ბოძები შეუდგამთ, მაგრამ ერთი ძირს ჩამოვარდნილა და იქვე, კედელზე მიუყუდებიათ. ეს ფოტოც შეგიძლიათ იხილოთ.

უკვე ბინდდებოდა, ო'შკიდან თორთომართვინის გზით სამხრეთისაკენ, ხახულის წყლის ხეობისაკენ რომ გავემართეთ. X საუკუნის დიდებული ხახულის ტაძარი ღამის წყვდიადში ჩაძირული დაგვხვდა. აქაც მუსლიმთა სალოცავი მეჩეთია და საკმაოდ კარგად არის დაცული. იმამმა – ოსმან დილთანმა სპეციალურად ჩვენთვის გააღო ტაძარი და კვლავ ქართული გენის ოსტატობით გამოწვეული აღფრთოვანება და სიამაყე გვეუფლება. ავაჩხაკუნეთ ფოტოაპარატები, აღვბეჭდეთ უნიკალური ქართული ორნამენტები და ბარელიეფები, რომლითაც ასე მდიდარია ხახულის განოქმული მონასტერი. აქაც, ისევე როგორც ტაო-კლარჯეთის სხვა მონასტრებში, შრომობდნენ, თხზავდნენ, ფიქრობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები: მიქაელი, თვალშავი, გიორგი, ჯავარი და სხვ. მათ სახელზე აქაც დავანთეთ სანთლები, შევწირეთ შესაწირავი, წიგნში გავაკეთეთ სამახსოვრო ჩანაწერი.

შუადამე დგებოდა დავით III კურაპალატის რეზიდენციას, ოლთისს რომ მივაღწიეთ. მთელი მოგზაურობის მანძილზე თითქმის არ გვძინებია და დაღლასაც არ ვგრძნობდით, მაგრამ მაინც გვესიამოვნა იქაური სასტუმროს ნორმალური პირობები.

ამ ფოტოზე კი ოლთისის ციხეა აღბეჭდილი. ქალაქის ცენტრში გორაკზე წამომართული სამხედრო ნაგებობა თავისი მასშტაბებით გაკვირვებას იწვევს მნახველში. ციხე დღესაც იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც მრავალი საუკუნის წინ.

კვლავ სამხრეთისკენ მივდივართ. მდინარე ბანა, სოფელი ფენეკლი და რამდენიმე ასეულ მეტრში ბანას დიდებული ტაძარი. ექვთიმე თაიაიშვილს ბანა პირველად 1902 წელს მოუნახულებია.

ბანას ტაძარი წარმოადგენდა დიდი ზომის ტეტრაკონქს, რომლის შუაში აღმართული ყოფილა ცილინდრული გუმბათის ყელი. გუმბათის ქვეშა ბურჯების ნაწილი დღესაც შემორჩენილია. ნაგებობის სიმაღლე ოცდაათ მეტრს აღემატებოდა. სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, ბანა ბორცვზე დგას, გარშემო კი უზარმაზარი, თვალწარმტაცი ველია გადაშლილი. უნებურად ალაზნის ველი გაგონდება. „შენ ხარ ვენახს" ვმღერით, გული ლამის გაგვისკდეს მღელვარებისაგან. ბანას ფოტოები, ეფიქრობ, გამორჩეულია მთელ ექსპოზიციაში.

ყარსის ვილაიეთში კი არტაანის ციხის გადაღების უფლებას არ გვაძლევენ.

შუა საუკუნეების საქართველოს ამ ციხე-ქალაქს ქაჯთა ქალაქად და პურადაც მოიხსენიებენ. „ვეფხისტყაოსანი" და თ. ნატროშვილი „მაშრიყეთ მაღრიბამდე" ამოტივტივდა. „უხორცო ქაჯები და მულიდები". ვინ გაცლის ფიქრს, სამხედროები ტერიტორიის დატოვებას გვთხოვენ, ჩვენც ვმორჩილდებით.

შავშეთს თურქეთის შვეიცარიას უწოდებენ. ლანდშაფტი საოცრად ჰგავს ბორჯომის ხეობას, მისი ბუნებრივი გაგრძელება გგონია. ფიჭვის კორომები, სამკურნალო წყაროები, სვანეთის მკავე წყლებს რომ გაგონებს, მქუხარე, კამკამა მდინარეები. შავშეთი უპირატესად ქართველებითაა დასახლებული. გული ბეკუმშება, როდესაც იმერხეულ დიალექტზე მოლაპარაკეთ ხვდები. კარგი იქნებოდა, დრო რომ გვქონდეს ტექსტების ჩასაწერად. ერთმა მეგზურობა შემოგვთავაზა ტბეთის ტაძრისკენ მიმავალთ. სახელგანოქმული ტბეთი სოფელ ჯვეიზლიში („კაკლოვანი") მდებარეობს. ამას წინათ გამოქვეყნდა თურქი მწერლის ფაქირ ბაიქურთის ნოველის ქეთევან ტომარაძის ეული ქართული თარგმანი, რომელიც მეტად ამაღელვებლად გადმოგვცემს

თანამედროვე თურქი მწერლის დამოკიდებულებას ქართული ხუროთმოძღვრების ამ ძეგლის მიმართ და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ნებისმიერი ერის კულტურული საგანძური მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა. სადაც არ უნდა მდებარეობდეს უძველესი ცივილიზაციის ნაშთები, მათი ისტორიის შესწავლა და მოვლა-პატრონობა სახელმწიფო ზრუნვის საგანი უნდა იყოს!

ტბეთის უნიკალური ტაძარი, სამწუხაროდ, თითქმის განადგურებულია. გუმბათი და სახურავი ჩამოქცეულია. მხოლოდ კედლებიღაა შემორჩენილი. გულის ტკივილით ვიხსენებ ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებიდან" ერთი მოგზაურის სიტყვებს: ტბეთის ტაძარი რომსაც კი დაამშვენებდა, ისე დიდებული და მშვენიერია იგი, ისე ნატიფია მისი დეტალები. არ ვიცი, რამდენად კარგად შეძლო ნოდარიკომ ტბეთის ტაძრის გადაღება, პირადად მე, ძალიან მომწონს.

ღვთის მადლი იყო, რომ მთელი მოგზაურობის მანძილზე მზე უხვად დაგვნათოდა და მგზავრობას გვიადვილებდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში გზები შესანიშნავად არის მოვლილი, 2000-2500 მ. სიმაღლეზე მიკროავტობუსის ფანჯრიდან საკვალ ნაწილს სულ ვერ ხედავ და თავი ცაში აფრენილ შვეულმფრენში გგონია. ტაო-კლარჯეთში შვილები მყავდა წაყვანილი, ალბათ, ვერც გავბედავდი, რომ მცოდნოდა, თუ რა რთული ტრასები გვქონდა დასაძლევი.

ულამაზესმა გზამ მიგვიყვანა მწვანეში ჩაფლულ სოფლამდე – ბაღჩილარამდე, რაც ქართულად ბაღებს ნიშნავს. ოპიზა – ქართული კულტურის უძველესი კერა. ფოტოზე V საუკუნის ოპიზის მონასტრის ნანგრევებია აღბეჭდილი. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ყოფილა, დღეს, სრულიად განადგურებულია. უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად ამისა, ოპიზა მთლიანად და მონასტრის ნანგრევები დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც, ვფიქრობ, ფოტოებიდანაც ჩანს. სოფლის მცხოვრებლები ცივი ლეღვითა და კაკლით გაგვიმასპინძლდნენ. ვიგემეთ ოპიზის ცივი წყაროც და კვლავ ბავმეო-ართვინის გზას დავუბრუნდით.

ხანძთა. გრიგოლ ხანძთელი – „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი", „უდაბნოს ვარსკვლავი", „ჭსნის ზღუდე", „ქრისტიანეთა სიქადული"...

საავტომობილო გზაზე კლდე ჩამოშლილი დაგვხვდა და რომ არა ჩვენი არაჩვეულებრივი მძღოლის სიმარჯვე, მოგზაურობის გაგრძელებას ნამდვილად ვეღარ შევძლებდით. მაგრამ აქაც წმიდა ადგილების მადლი შეგვეწია. ფეხით ავუყვეთ ხანძთის ეკლესიისაკენ მიმავალ კლდოვან ბილიკს. კვლავ გამახსენდა დათოს მშვენიერი შედარება: უკომპრომისო ბუნება, უკომპრომისო ადამიანები... ბილიკი არა და არ მთავრდება. ნამდვილ პილიგრიმებს ვემსგავსებით და სწორედ მაშინ, როდესაც სრულიად არ მოველოდით, გამოჩნდა ხანძთის დიდებული ტაძარი.

ღვთის ხელი ურევია, თორემ, აბა, საიდან, ერთბაშად გაჩენილი ამდენი მწვანე, ამდენი ნაკადული. ამ სიმაღლეზე, მთაში, ვაზს ნამდვილად არ მოველოდით. შავი ყურძნის ჩამტკბარი მტევნებიდან უძველესი ქართული კულტურა გამოკრთოდა. პროფ. ალექსანდრე ფოცხიშვილმა რამდენიმე მტევანი დიდი სასოებით თბილისში ჩამოიტანა და თითო მარცვალი აგემა მეგობრებს და კოლეგებს – წინაპართა მადლს აზიარა ისინი.

ეს ფოტოები გრიგოლ ხანძთელის წყაროსთან, ფერდობზე შეფენილი სოფლის ფონზე გვაქვს გადაღებული. ამ სურათებზე კი თავად ხანძთის ეკლესიაა აღბეჭდილი. ტაძარი საკვალალო მდგომარეობაშია. ეკლესიის გუმბათი ძლიერ არის დაზიანებული. გუმბათის საყრდენი ოთხი სვეტიდან ორიღაა დარჩენილი. ოპიზაშიც, ხანძთაშიც და სხვაგანაც შემორჩენილია „ბანძის მაძიებელთა" კვალი. მონასტრის შიგნით და კედლებზე ამოსული მცენარეებიც აზიანებენ ნაგებობას. როგორც ჩანს, მონასტრებსაც და სამრეკლოსაც საქონლის სადგომად ხმარობენ ადგილობრივი მცხოვრებლები.

დოლისყანა და ამ ეკლესიაში დატრიალებული საშინელი ტრაგედია ყველას გახსოვთ: „...შეეტლოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად და მოწყდეს იგი მახჯლთა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი... და სისხლი მისი, რომელ მაშინ დაითხია, აწცა იხილვების, ვითარცა ახალი". მიუხედავად იმისა, რომ დოლისყანის მონასტერში საკურთხეველი აღარ არის, კედლებიც შეთეთრებულია და ფრესკებიც წაშლილი, მეცხრე საუკუნეში დაღვრილი სისხლი „აწცა იხილვების", როგორც გაფრთხილება მათი, „ვინც არა იციან, რას იქმან":

დოლისყანის ეკლესია კარგად არის დაცული, გუმბათია დაზიანებული მხოლოდ. ტაძრის კედლებზე შემორჩენილი წარწერები კარგად იკითხება. ტაძარი ორად არის გაყოფილი. ზემოთ მეზეთია, ქვემოთ კი –

სამეურნეო სათავსები.

ეს ჯგუფური ფოტო ეკლესიის წინ გადავიღეთ იქაურ ქართველ დუმბაძეებთან, ბოლქვაძეებთან, ჭილაძეებთან, გელაძეებთან... ერთად.

ბინდდებოდა, როდესაც არტანუჯში შევედით. არტანუჯის ციხე ვახტანგ გორგასლის აშენებულია. ვახტანგს ამ მხარის ერისთავად თავისი ძუძუმტე არტავაზი დაუდგენია და ციხე-სიმაგრის გარდა მისთვის მონასტრის აგებაც უბრძანებია. VIII საუკუნის პირველ ნახევარში მურვან ყრუს შემოსევის შედეგად განადგურებული არტანუჯი IX საუკუნეში აშოტ I კურაპალატმა აღადგინა და ქალაქიც დააარსა.

დავდივართ არტანუჯის ქუჩებში. ვათვალიერებთ დღეს პატარა, პროვინციულ თურქულ ქალაქს. არტანუჯის ციხეს საუკუნეთა მსახვრალი ხელი დასტყობია.

ვერც ეკლესიის ნაშთს ვაგნებთ და ვერც კურაპალატის საფლავის კვალს...

ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ერთერთ კაფეში მაგიდის ფეხებად გამოყენებული ლოდები ქართული ორნამენტით. ვინ იცის, რამდენი ასეთი წარწერიანი ქვებია გაზიდული და განადგურებული. ვინ იცის, რამდენი საიდუმლო გაიყოლეს მათ თან... იქნებ რაიმე გადარჩა კიდეც და არქეოლოგებს შესაძლებლობა რომ მიეცეთ, რამდენი საიდუმლო გაცხადდება ნანგრევქვეშ დამარხული.

ანტანუჯის ციხე-ქალაქიდან თხუთმეტიოდე კილომეტრში მდებარეობს სოფელი ენი-რაბათი. ვახუსტებთ მარშრუტს ალ. გუგუნავას შესანიშნავი გზამკვლევით და სულ მალე შატბერდის მონასტერში ვართ.

ისევ გიორგი მერჩულის ცნობებს შეგახსენებთ. შატბერდის მოსავლიანი მიწები აშოტ კურაპალატმა შესწირა ხანძთის მონასტერს. მოგვიანებით აშოტის ძის, ბაგრატ კურაპალატის შეწევნით გრიგოლ ხანძთელმა შატბერდშიც ააგო მონასტერი, რომელმაც მხარი დაუმშვენა ხანძთას. შემდეგშიც ბაგრატმა კვლავ შესწირა: „ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა, და ყოველი. რაჲცა უკმმა, მისცა მისთჳს სრულად საშენებლად“, როდესაც ბაგრატის ძმებმა დაათვალიერეს შატბერდი, მათაც „შეწირეს მრავალი შესაწირავი...“ შედეგმაც არ დაახანა, შატბერდის სავანეში მოდვაწე ბერებმა ეროვნულ კულტურას ფასდაუდებელი საგანძური შემატეს.

ტაძარი ძლიერ დაზიანებულია. ჩამოცვენილია ქართული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. ეკლესიის ნგრევა ახლაც გრძელდება...

გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოების უმრავლესობა მამაწმიდის ეკლესიაშია გადაღებული. არავინ მოელოდა, რომ ძლიერ დაზიანებულ, გარედან არაფრით გამორჩეულ ეკლესიაში ამდენი უნიკალური ფრესკა დაგვხვდებოდა. წმიდანთა მხოლოდ სახეები წაუშლიათ.

ვიღებთ უკანასკნელ კადრებს. მამაწმიდაშიც მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულად. ეს კია, ქართული წერა-კითხვა არ იციან. გულთბილად ვემშვიდობებით სოფლელებს და დაღმართს მივუყვებით.

ბურჩხაც გამოჩნდა, ჩვენი მოგზაურობის ბოლო პუნქტი. ეს ქალაქი ჭოროხის ქვედა წელში მდებარეობს. აქედან ჭოროხი ჩრდილოეთისკენ უხვევს და საქართველოში შემოდის. ჩვენც საქართველოში ვბრუნდებით...

მარინე ივანიშვილი

მამაწმიდა

მინაწერი ფილმზე „ტაო კლარჯეთი“

თუ ქართველი ხარ, რას ფიქრობ!
თუ ვაჟკაცი ხარ, რას შვრები!
გესმის?-იქ ტაო-კლარჯეთში,
როგორ მღერიან ბავშვები?

ეგ ლამაზი კაბა-წინდა, ვინ მოგიტანაო,
ჩემმა ძიძამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო.
ეგ ლამაზი ბეჭლუნგები ვინ მოგიტანაო,
ჩემმა მდადემ, ჩემმა დიამ, მან მომიტანაო...
გურჯისტანის ყვავილები ვინ მოგიტანაო,
ჩემმა ნეფემ, ჩემმა ღმერთმა, მან მომიტანაო...

სული არ შეგეწამლება?
გული არ დაგენაცრება?
რა ქნან, სანამდე გიცადონ,
გაცივებულმა ტაძრებმა?!
გუმბათებს ჟამი დაბელავს,
დროს კი ზავთი და ხინჯები,
ხედავ, რა ბოღმით ბუქნავენ,
ხორუმს კლარჯელი ბიჭები?!
ჩემო ციხევ და ნათელო,
ჭირიმე შენი გამჩენის!
შიგნით რას მერჩი ქართველო,
გარეთ გვყავს გადასარჩენი!

ზურაბ ბორგილაძე

მუჰაჯირობა

მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ნიშნავს სამშობლოდან წასვლას, გასახლებას სხვა მხარეში.

ჰზარავს საქართველოს, ყველაზე მეტად კი მესხეთის მხარეს ამ სიტყვის გაგონება. მუჰაჯირობა მისი მრავალტანჯული ისტორიის კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკარგია. პირველად იგი დაიწყო 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა მესხეთი დაუბრუნდა საქართველოს... იგი თანდათან გაძლიერდა მომდევნო წლებში, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ადრე ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ გამუსულმანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება — შეეძლო მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა ან ოსმალეთში გადასახლებულიყო.

არც ერთ შემოსევას, არცერთ მტერს იმდენი ზარალი არ მიუყენებია ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგო) კუთხეებისათვის, რაც მუჰაჯირობამ მიაყენა. ძირძველი ქართული მიწა დაიცალა მოსახლეობისაგან. თითქმის დაცარიელდა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურლული, მაჭახელი, ტაო, აჭარა, ქობულეთი. გავერანდა და გაპარტახდა მთელი რიგი სოფლები. ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი იყო ომის შედეგად შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პირობები, ახლად შემოერთებულ მხარეში რუს ხელისუფალთა მმართველობის ბარბაროსული ქცევები. სამწუხაროდ, ისინი ყველანაირად უწყობდნენ ხელს მოსახლეობის გადასახლებას. ასეთ საქმიანობას შორს გამიზნული პოლიტიკა ედო საფუძვლად.

ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილე სვიატოპოლსკი, ვკითხულობთ: „ბათუმის ოლქის მიღებით რუსეთმა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე უფრო საშიშ კუთხეში, რომელსაც ჰყავს მებრძოლი და ნახევრად დაუმორჩილებელი მოსახლეობა, ხალხი, რომელიც ოსმალეთთანაა დაკავშირებული რელიგიით; ამიტომ იგი საშიშ ელემენტს წარმოადგენს ციხის შიგნით და მისი იქ ყოფნა შეუძლებელია. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მოვიცილოთ“. იგი მოითხოვდა ამ ხალხის ასიმილაციას ან გასახლებას.

ახლად შემოერთებულ რაიონებში მეფის მთავრობამ მაშინვე შემოიღო ახალი გადასახადები და საოცრად უხეში მეთოდებით საჩქაროდ დაიწყო მისი აკრეფა.

მწვავედ განიცდიდა ამ მდგომარეობას მაშინდელი მოწინავე ქართველობა. ილია მართალი წერდა: „ქართველობავ, ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვინ დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ. შეეწივნეთ, რაღთაც შეგვიძლიან: ფულით, საჭმლით, საცმლით... ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთმანეთის შველა და გატანა — უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის... რომ ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი...“ სამწუხაროდ, ეს მოწოდება ამაო დარჩა. საქართველო თავადაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და ღონე არ შესწევდა; მოძმისთვის ხელი გაეწვდინა. შემოწირულობანი, ცხადია, გროვდებოდა, მაგრამ ძალზე ცოტა... ვერ დაეხმარნენ, ვერ უშველეს... ვერ უპატრონეს. ბევრად მეტ სითბოსა და ყურადღებას საჭიროებდნენ ახლად შემოერთებულები. სამწუხაროდ, მათთან თითქმის არავინ მისულა, არავის სანუგეშო სიტყვა არ უთქვამს და ისინიც თანდათან, ტანჯვით, წვალებით, ტკივილით აიყარნენ და წავიდნენ... მათ ნაფუძარზე კი უცხო ტომის ხალხი დასახლდა. ესენი იყვნენ რუსები, სომხები, ბერძნები...

ასე დაიკარგა მარტო ქართული მიწა კი არა, ქართული გენიც.

მაგალითად, ისტორიული ტაო-კლარჯეთი თითქმის ორმოც წელზე მეტ ხანს (1878–1921) საქართველოს ფარგლებში იყო დაბრუნებული და ამ ხნის განმავლობაში არც ერთ დიდ მწერალსა თუ პოეტს არ მოფიქრებია ჩასულიყო ამ ძირძველ ქართულ კუთხეში, ფეხი დაედგა მის მიწაზე, გაევლო გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე, სანუგეშო სიტყვა ეთქვა ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი ადამიანებისათვის და როგორმე, ეზრუნა აქ ქართული სულის აღორძინებიისათვის, ქართული სკოლების გახსნისათვის...

ისევ და ისევ, „ჩვენებურების ქართულიდან“ გვინდა მოვიტანოთ ის მწარე ჭეშმარიტების სიტყვები, რომელიც ამ მხარის ხალხის ტრაგიკულმა ბედმა ათქმევინა მის ავტორს.

„დაკარგული ძმების დასაბრუნებლად სისხლი მართლაც დაიღვარა. მალე მართლაც მოვიდა ის ბედნიერი დღე, რომელმაც ძმა ძმას შეაერთა, დედა-საქართველოს დაუბრუნა თავისი ღვიძლი შვილი, მაგრამ დაბრუნებულ მიწა-წყალზე ცხოვრება ისე არ წარიმართა, როგორც ამაზე, დიდი ილია ოცნებობდა. ქართველი ხალხი მთლიანად როდი იყო ამაღლებული ამ ერისკაცამდე. ქართველებს შორისაც იყვნენ ვიწრო ეროვნულ ნაჭუჭში გამომწყვდეული კაცუნები. მათ ალმაცერად დაუწყეს ცქერა მუსლიმან ძმებს. „თათარი“ დაუძახეს იმ ქართველს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ცხოვრობდა, მაგრამ ყოველთვის „გურჯი“ ერქვა; „თათარი“ მათთვის ოსმალებსაც კი არ შეურქმევიათ. ამ ხნის განმავლობაში ქართული იყო მისი „ნენეს ენა“... რუს მოხელეებსაც ეს უნდოდათ. გააჩაღეს აგიტაცია-პროპაგანდა: „თქვენ თათრები ხართ და სათათრეთში უნდა გადასახლდეთო“. ამასვე აკეთებდნენ ოსმალეთის იმპერიის ემირებიც. მტერი ცდილობდა საქართველოს დასუსტებას, რასაც სულ მალე მიაღწია. რუსის საიმპერატორო კარის წარმომადგენლებმა და მაღალი ჩინის მოხელეებმა ბრწყინვალე აგარაკები გაიჩინეს. აქედან გადახვეწილი მკვიდრი მოსახლეობა კი ოსმალეთში ტყეებს ჩეხავდა დაუსახლებელ ადგილებში და ახალ სოფლებს უყრიდა საფუძველს, ანდა, იქიდან გადახვეწილი რომაელების, ბერძნებისა და სომხების ნასახლარზე კერას აჩაღებდა.

ამ ეროვნული ტრაგედიით შეძრწუნებული ილია ჭავჭავაძე მწარედ კითხულობდა: „ნუთუ ხალხი ჰტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, — მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, სადაც დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა და მიდის სად? ოსმალეთში... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყეველი ამბავი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან: ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო... რამ მიიყვანა საქმე იქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანო, ამბობენ ყველგან, რომ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე, ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... საცა სამსახურიდამ გამოდგებული კაცი იყო, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზე ხელაღებული იყო, ამ ახალ ქვეყანაში მოხელეობა მიიღო, აბა რა კეთილს დააყრიან ხალხსა? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა?.. მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედ მისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეული ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგ ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულისტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში“.

... ქართველი ხალხის მატიანეში ცრემლითა და ოხვრით ჩაწერილი მუჰაჯირობის ისტორია დღესაც გულს უკლავს მკითხველს და მწარედ ჩააფიქრებს ჩვენი ქვეყნისათვის სამუდამოდ დაკარგულ იმ ასეულ-ათასობით ქართველის ბედზე (რომელთა რაოდენობა მიახლოებით მაინც, ჩვენდა სავალალოდ, არავის აღურიცხავს საქართველოში), რომლებიც თვალცრემლიანი განშორდნენ მამულს და აღარ ეღირსათ მშობლიური ცის დანახვა.

„ოსმანლიში, წამოსულ ხალხსა ეგონენ კიდო გადმოუალთ საქართველოშიო. — ამა რუსებმა კარები დააყაფანეს, რკინის ფერდე ააფარეს. ჩიტმა ვეღარ გადმოუფრინა აქეთ. მე ბაღვი ვიყავ, თქვენიდან გადმოსულები რომე იტირებდნენ ბათუმის მოგონებაზე, ჰალადვე მახსოვს. სულ ტიროდნენ — ეი, გიდი, მემლექეთო, შორიდან ვიციცქირებით, ვეღარ გნახეთო. ჩემი ნენეი იტყოდა: — მემენატრა სულ ყველაი... სამოცი წელიწადი გახდა, ვუცდი, ქე გეხსნას ჰუდუდიო (ეი. საზღვარი).“

ნანა ლეჟავა

წიგნიდან: მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში

წიგნის დასაწყისში – „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი“, რომელიც 1911 წლითაა დათარიღებული, ამ კუთხის დიდი ჭირისუფალი და მოამაგე ზაქარია ჭიჭინაძე გვაუწყებს, ასეთი სულ ოცდახუთნაირი წიგნი გამოვა ქართველ მუსულმანთა შესახებო... ოცდახუთი არა, ათამდე წიგნი კი ნამდვილად გამოსცა.

მან მოიარა მთელი სამხრეთი საქართველო, სადაც კი მისწვდა, სადაც მიუშვეს... მოიარა, ურმით, სახედრით... ყველაზე მეტად კი ფეხით... დაგლეჯილი ქალამნითა და თავისი მარად ღარიბული შესამოსლით... მოიარა, რათა თავის გატანჯულ მოძმეთათვის დედა ენის წიგნები და ქართული ანბანი მიეტანა... გარშემო უსხდნენ მას მუსლიმანი ქართველნი ყველგან, სადაც კი მისვლა შეძლო და იგი უამბობდა მათ საქართველოს დიდ წარსულს... მათივე წინაპართა ამბებს, ვახტანგ გორგასლის, დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, მეფე ერეკლეს საქმეთა საგმიროთა... უკითხავდა რუსთაველის, შავთელის, ილიას, აკაკის, ვაჟას წიგნებს... დადიოდა საკუთარი სახსრებით, სულ მცირეოდენი საგზლით... და შემდეგ მოუშუშარი ტკივილით გულდამძიმებული წერდა ამ კუთხეთა ისტორიას... შესაძლოა, მის ნაწერებში ზოგი რამ სადავო იყოს, და ეს ბუნებრივია. იგი არ ყოფილა საქართველოს ისტორიის მემატიანე და უცილობელი მცოდნე მისი... მას მხოლოდ ეროვნული თვითშეგნება და ტკივილი აიძულებდა... და მაინც, ხშირად ძალზე საგულისხმო ფაქტებია მის წიგნებში აღნუსხული. ყოველ სოფელში უნახავს და აღუწერია ეკლესიები, ხალხის ყოფა, საერთოდ, ცხოვრება. ჩაუწერია მრავალი გადმოცემა, აქა-იქ-ღა გადარჩენილი წეს-ჩვეულებანი, ლოცვები, ქართული მეტყველების ნუმუშები, ადამიანებთან საუბრები.

ყოველივე ამაში ხალხის ხსოვნაში შენახული წარსულის ამბებია. საინტერესო და მტკივნეულია მათი მოსმენა.

დიდია მისი ღვაწლი საქართველოს ამ მრავალნატანჯი კუთხის წინაშე.

* * *

ვინც საქართველოს ისტორია იცის, იმას ისიც ეცოდინება, რომ ძველად, ვიდრე იგი მტერთაგან დაეცემოდა, მანამდის მის ერთ უმთავრეს ძალას დასავლეთ საქართველო შეადგენდა. ვიდრე ქართველებს აქ ფეხი ჰქონდათ გამაგრებული, მანამ მათ მტერი ვერას აკლებდა. ეს იყო ერთადერთი უმთავრესი სამხედრო ძალა. ჩვენმა მტრებმაც კარგად იცოდნენ ეს და ამიტომ მათ უმთავრეს ნატვრას ის შეადგენდა, რომ საქართველოსთვის ეს მოხდენილი მხარე ჩამოეგლიჯათ და მის შემდეგ ესენი სხვასაც ადვილად დაიპყრობდნენ. ოსმალებმა წადილი აღისრულეს: აუარებლის სისხლის ღვრით და დევნა-ოხრებით დაიმორჩილეს საქართველოს ის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ცნობილია და ქებული ძველისძველად, არამცთუ მარტო ისტორიულს წიგნებში, არამედ, უცხო ტომთ მწერალთა ნაწერებშიაც.

საქართველოს აღორძინებიდამ ჩვენის მწერლების, გამოჩენილის პოეტების, მთარგმნელების, თუ მხედართმთავრების სავანე-გმირთად დასავლეთ საქართველოს ეს მხარეა მიღებული, ანუ სამცხე-საათაბაგო.

თუ ოდესმე საქართველო იდიდებოდა და სახელოვანებდა, ვიტყვით თამამად, რომ ყველა ამ დიდების და სახელოვნების მიმნიჭებელნი და მწარმოებელნი აქაური პირები იყვნენ. მეთხუთმეტე საუკუნის გასვლამდის, ჩვენ ვერ ვნახავთ ვერცერთს ნამთს ჩვენის ძველის ცხოვრებისას, რომ მას ამ მხარის ბეჭედი არ აჩნდეს. ვერ ვნახავთ ვერცერთ ძველ ქართულს ხელნაწერს, რომ ეს წიგნი ან ამ მხარეში არ იყოს დაწერილი, ან თუ სხვაგან დაწერილა, ამასაც-კი ეს მშვენიერი მხარე არ მიმოევლოს.

...აქ აღორძინდა ძველისძველად სხვადასხვა ხელოვნება: ქვის მჭრელობა ჩუქურთმის, მიწათ-მზომელობა, ვაჭრობა, ექიმობა და სხვანი.

აქვე აღორძინდა ქართული მწიგნობრობა, ტაძრების შენება, მათი ხელოვნება, მხატვრობა; შემდეგ დროში ქართველთ მწერლები, მთარგმნელობა, სასწავლებლები და სხვანი. აქედან გამოვიდნენ თითქმის ყველანი ჩვენი



თორთომის ციხე მაღალ
კუნძულზე, მდინარის შუაში



ოთხთა ციხე, მდ. ოთხთა ეკლესიის
წყლის მარცხენა ნაპირზე



ერსეს ყალა. მესამე ციხე. უკან
მოჩანს ართვინის მთები

დიდებული პირები: შოთა რუსთაველი, დავით საათაბაგოელი, შავთელი, იოანე პეტრიძე (პეტრიწი), გიორგი მთაწმინდელი, და სხვანიც მარავალნი, რომელთა მოთვლა აქ საჭირო არ არის. ამ მხარის ტაძრების სიმრავლეც ხომ ყველასათვის ჭეშმარიტია. აქ ძველათ აღორძინებული სასწავლებლების ისტორიაც ხომ ცნობილია. კმარა, მარტო ერთი ხახულის სასწავლებელი აღვნიშნოთ. მოკლედ რომ ვსთქვათ, ეს მხარე კერა იყო იმ დიდებისა და სახელოვნებისა, რაც-კი საქართველოს მიენიჭა და აღმოუბრწყინდა ოდესმე. ყველაფრის დასაწყისს აქ ეძლეოდა აღორძინება და ამის შემდეგ იგი იფინებოდა და ვრცელდებოდა მთელს საქართველოს კუთხეებში. ასე რომ, დასავლეთ საქართველოს წინაშე და ამათ სამსახურს დღესაც კი მოჰყავს კაცი განცვიფრებაში. ამიტომაც იყო, რომ ვიდრე საქართველო დაეცემოდა, მანამდე ქართველი მეფეების პატივსადებელ და საქებელ მხარეთ ეს ნაწილი ითვლებოდა. თვითაც უმეტეს ნაწილ აქით ცხოვრობდნენ. აქ გაძლიერდნენ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენნი.

დღეს კი, ეს ოდესმე დიდებულად წოდებული მხარე, და თითქმის დამბადებელიც ჩვენის ყოვლის დიდების და სახელოვნების, ოსმალთა მიერ დაპყრობის და დევნილების მეოხებით, დავარდნილა ძირს. აქ ყველაფერი დაქვეითებულია და ჩვენი ძველი ქართველები, ჩვენი გამოჩენილი მესხნი იმდროისანი, არ არიან, რაც ოდესმე ყოფილან. აქ ყველაფერი ქართველებისა ფერფლად ქცეულა. აქ მხოლოდ ერთადერთი ქართული ენა არსებობს. ისიც ზოგიერთ ალაგას, ყველგან არა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ათასის წვითა და დაგვით შეუნახავთ მაჰმადიანთ ქართველთა. მადლობა ღმერთს, რომ მათ, ამდენის ხნის განმავლობაში, თავისი დედაენა მაინც დაიცვეს, სხვას ვინ რაღას სთხოვს. ახლა ჩვენი ვალია, რომ ამ ძველად აღორძინებულ ერის შთამომავალთ შვილებს ყურადღება მივაქციოთ და მათის განვითარებისათვის რამე ვიზრუნოთ. ეს იყო თითქმის ჩვენი მამაპაპების ნატვრა, წადილი და ანდერძი.

...აქაურ ქართველ მაჰმადიანთ ქალებმა ხომ ქართული ენის გარდა სხვა ენა არ იციან. თავიანთის დამწყვდეულის ცხოვრებით ფაქიზათ დაუცავთ მათ ქართული ენა და ზნე-ჩვეულება; პირბადე, ტანსაცმელი კი, ოსმალური აქვთ. აქ ქალი, კაცი თუ პატარა ბავშვი ყველა ქართულად მღერის. ამ დღეებში მოვისმინე იმათი სიმღერა, რომელსაც „ნადურს" ეძახიან. ზოგიერთს ჩვენებურს უქმე დღეებს ინახავენ, მაგალითად 20 ივლისს ამათ წმიდა ელიობა შეინახეს. ერთ ალაგს აქაური ხოჯა იყო, **გვარად კობალაძე** და ამან თქვა: ვინც დღეს იმუშავებს ყანაში, იმას ყანა გაუხმებაო.

ამაებს გარდა, სხვა წმინდა დღესასწაულებსაც უქმობენ და ხშირად სამხვთო და შეწირულებაც იციან. ...ხოჯამ თქვა, ჩვენ ჩვენი საგვარეულო ეკლესია გვაქვსო.

გავიცანი ერთი აჭარელი, სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე. ...იმან სთქვა: ბატონო, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ ქართულს ენას თქვენზე უკეთ შევინახავთ. თქვენ ერთი ეს ბრძანეთ, რუსულს თქვენში უფრო ბევრნი ლაპარაკობენ, თუ ჩვენში თათრულსო? ჩვენმა უმეტეს ნაწილმა ბეგებისამ და მოლებისამ არც თათრული იციან და არც წერა-კითხვა, მაგრამ თქვენში კი ყველა უცხო ენაზე ლაპარაკობენო, ნამეტურ ქალები. ჩვენში კი ერთ ქალსაც ვერ ნახავთ, რომ ის თათრულად ლაპარაკობდესო.

...ამას წინათ ერთი მაჰმადიანი წასულა ოსმალეთში მუჰაჯირად და მერე ისევ მალე დაბრუნებულა. იქ დარჩა მხოლოდ ამის დედა და ცოლიანი ძმები. დედა, თურმე, უკან მოსტირის აჭარას და თავის შვილს უთვლის, ნეტავ ერთხელ კიდევ დამანახვა ჩვენი აჭარა, მანდაური ღრუბელიო და მერე გინდ მომკლა და ერთ დღესაც ნუღარ მაცოცხლაო. მანდედან წამოსულებს ცრემლები მოსდით და მწარედ სტირიან თავიანთ ქვეყნისთვინ.

...მესხეთი ქართული ენის კერა იყო. აქ ამ ენის ლამპარი ენთო — „მესხი სწავლითა ქებულიო". მთელი ერის კუთხეებში მცხოვრებთ ქართველთ ენას მესხეთის ქართველთ სუფთა ენა აჩირაღდნებდა. დღეს კი ეს ასე აღარ არის. მესხეთი ქართულ ენით ნატამალობს. ქართული ენის ვრდომა აქ იწყება იმ დღიდამ, რაც ეს კუთხე ოსმალეთის სამფლობელოდ გახდა.

...ოსმალეთის მთავრობა სდევნიდა ქართულ ენას და სწორედ ეს დევნა იყო მის მიზეზად გამხდარი, რომ ზოგ ალაგს ეს დევნილი ენა მაინც შეინახეს ქართველ მაჰმადიანებმა.

გულდასაწვავ სიტყვებს ჩვენ ბევრს არას ვიტყვით არტაანის შესახებ. რა უნდა დავსწეროთ ამ ჩვენს ტომზედ, როცა ამ კუთხეში

დიდი ხანია, რაც ქართველნი მოისპნენ და აღიგავნენ დედამიწის პირიდამ. ყოველივე გარდაიქმნა, გარდაშენდა, გადასხვაფერდა.

არა მგონია, სადმე ასე უჩუმრად და შეუმჩნევლად გადაგვარდეს რომელიმე ერი და აღიგავოს თვისი სამშობლო ქვეყნის ასპარეზზედ, როგორც ეს მოუხდათ არტაანის ქართველთ, ოლთისს და სხვათა.

...ყველა ამ ადგილებს ქართველთაგან ეწოდება **ზემო ქართლი** და არტაანის ნაწილს **ერუშეთი**.

...არტაანელნი და მთლად მესხ-კლარჯნი ისე ცხარედ ომობდნენ ოსმალებთან, რაისა გამო ოსმალთა დიდი შიში აქვნდა მათ.

...აქაური ქართველნი იყვნენ ბჭენი ქართველთა და გასაღები სიბრძნის წყაროსი.

...ერუშეთის და ერუშნელთა სამწყსოს შეადგენდა ბანას, ანუ ბანელთ მღვდელთ-მთავრის სამწყსო. ბანას საეპისკოპოზო კათედრა თავის დროს იყო ერთი უშესანიშნავეს ძეგლთაგანი მთელ საქართველოში. ამის მსგავსი შენობა ცოტა არის.

1840 წელს მოგზაურ ნემეცს, — ბოტანიკს კოხს უნახავს ეს ტაძარი. იგი გაკვირვებით წერს, — რომ მთელს აღმოსავლეთში ჩემს თვალებს ასეთი არაფერი უნახავსო. ბანას ტაძრის მსგავსია მხოლოდ სტამბოლში სოფიის ტაძარიო. იმ დროს ბანას ტაძრის გუმბათიც კი მთელი ყოფილა და საყდრის კედლებზე მდგარა. ...დღეს კი ყოველივე დამხობას და მოსვრას არის მიცემული. ამ კუთხეში ასე დაეცა არა მარტო ეს შთენი და ძეგლი, არამედ რამდენიმე და მრავალი.

ამ კუთხის შესახებ ქართველ მაჰმადიანთ შორის დაშთა მხოლოდ ის ცნობა გარდმოცემით, რომ ერუშეთს, ანუ ზარუშეთს ძველად ქართველები მდგარან და ქრისტიანები ყოფილან, ჩვენი ძველები ისინი არიან თურმე და ადრე ჩვენც ქართველები ვყოფილვართო, ხოლო მერე მღვთის ბრძანებით გავთათრებულვართო.

...ოლთისი საქართველოს ისეთივე ნაწილი იყო და კუთხე, როგორც არტაანი, ყარსი, შავშეთი, ლივანი, ლაზისტანი და სხვანი.

...დღეს ოლთისელ ქართველთ შესახებ ჩვენ ბევრი რამ აღარა ვიცით რა. იგინი მოწყვეტილნი არიან ჩვენგან და ჩვენ მათთვის. ერთმანეთის ცნობა კი არადა, არსებობაც დაგვიწყდა. დღეს ოლთისში ქართული ენის ყოველივე ნატამალობს. ამ ნატამალობის უმთავრესი საფუძველი ისლამი გახდა და ოსმალოს სასულიერო წოდება. და მაინც, ამ თემის ქართველ მაჰმადიანთ შორის ზოგიერთ სოფელში ქართული ენა დაცულ და შენახულ არს. მაგალითად სოფლებში — მორთულს, სალაჩურს, ტაოსკარს, ნარიანს, ფენიაკს, ოლთისს, კოსორს, ყარაფაფხს, შარდუს, აგუნდარას და სხვაგანაც დღემდე, თურმე, ქართველი მაჰმადიანები მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ.

ისტორიიდან ვიცით, რომ შავშეთი შეადგენდა კლარჯეთის ნაწილს. კლარჯეთად იწოდებოდა მთელი დასავლეთი საქართველო სამხრეთ-დასავლეთ არმენიის და დასავლეთ საბერძნეთის საზღვრამდე.

შავშეთი შესანიშნავია ყველაფრით: ბუნების, არქეოლოგიის, გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ისტორიის წინანიშნების მხრით... ის ძველთაგანვე შესანიშნავი იყო თვით მცხოვრებთა ზნით, ხასიათით, ჩვეულებით და ლაპარაკით.

...იხშირად მომხდარა, რომ საქართველოზე მოსული მტერი მარტო შავშელებს გაუდევნიათ.

განათლების და მწერლობის აღორძინების დროსაც შავშელებს თითქმის უპირველესი ადგილი ეჭირათ, უმეტეს ნაწილი ჩვენის საეკლესიო მწერლობისა შავშელები იყვნენ. თვით **ექვთიმე, იოანე და გამოჩენილი გიორგი მთაწმინდელიცა**. ასეთ მოღვაწე პირთ სახელების მოხსენებას რომ გავჰყვეთ, მაშინ ეს ერთობ შორს წავა, რადგანაც შავშეთი თავის წარსულის ისტორიულის ცხოვრებით და მსწავლულ პირთა რიცხვით სავსეა. როგორც უწყიან, თვით **შოთა რუსთაველიც** აქ გაზრდილა, ტბეთის ტაძრის მახლობლად დაარსებულ სასწავლებელში, იოანე შავთელიც, რომელიც თავის თავს შავთელად უწოდებს, აქაური ყოფილა. იმერხევს და შავშეთს შუა სძევს სოფელი შავმთა, სადაც დაბადებულა იოანე შავთელი. დღეს ეს სოფელი წარმოადგენს ნატამალს. აქ აღარაფერია დაშთენილი, დროს, ჟამს აღუგავია.

სასულიერო და სამოქალაქო მოღვაწეებს გარდა, შავშეთში სასულიერო პირთა რიცხვიც ძველთაგანვე დიდი მწიგნობრებისაგან

შესდგებოდა. ჩვენს მეტად ძველს ისტორიულ მწერლობაში, რომელიც კი გადარჩა ყოველნაირს ცეცხლს და უბედურებას, შესანიშნავი ადგილი უკავია ტბეთის ტაძრის ეპისკოპოსის, სტეფანე მტბევარის აღწერას, რომელ ეპისკოპოსიც მეათე საუკუნის დასასრულს სცხოვრობდა და რომელმაც მიხეილ ახალციხელის ცხოვრება აშოტ ერისთავთა-ერისთავის ბრძანებით აღწერა. ასეთ მწიგნობარ მღვდელმთავრებით სავსე იყო შავშეთი.

როდესაც არტანუჯისაკენ ბაგრატიონები გაძლიერდნენ, ამათ პირველად იცნეს საქართველოს დაკნინებული მდგომარეობა. მათ თავს იდვეს საქართველოს გაძლიერების საქმე; განიზრახეს ქართველთ დანაწილებულ თემთა შეერთება და დაკავშირება. ასეთ პირთ იმ დროს, მათ ერთგულნი და გამოჩენილნი შავშელნი რომ არ ჰყოლოდათ, მაშინ ეჭვი არ უნდა, ბაგრატიონები ვერც აფხაზეთს დაიჭერდნენ და ვერც მთელს საქართველოს შეაერთებდნენ ერთ გვირგვინოსან პირის ქვეშ, მაგრამ ეს მოხდა შავშელ გმირთა მეოხებით, რომელთა ღვწასა და ამაგსაც „ქართლის ცხოვრება" ცხადად მოგვითხრობს.

...შავშეთში დღემდის დარჩენილა ორი ნაშთი ჩვენის ძველის დიდებისა: ერთი ოპიზის შესანიშნავი ტაძარი, ნათლისმცემლის მონასტერი და მეორე ტბეთის საკათედრო ეკლესია. ტბეთის ეკლესია მთლადა სდგას. მისი მშვენიერი გუმბათი დიდის დიდებით გადმომზერს შავშეთს. კაცს გული აუტირდება, როცა შავშეთს ნახავს, მისს ისტორიას გაიხსენებს და ამ ეკლესიას.

...დღეს შავშეთში ქართული ენა აღარ არსებობს.

...შავშნი ჩვენი მამულის წინაშე დიდის დიდებით ბრწყინავენ.

...როგორც კარჩხალის მთიდან, ისე არსიანის მთიდან, ჩირულის, მირატის, ევფრატის, არტაჰანის და ოლთისის მთებიდან მთლად ჩანს დასავლეთ საქართველო, მთლად ჩანს ის ნაწილი საქართველოსი, რაც დღეს ოსმალეთს უკავია ე. ი. პარხალი, ლაზისტანი, თორთომი, ხახული, იშხანი, ვანის კუთხე და ბევრი კიდევ სხვა ადგილები. როცა კაცი კარჩხალის მთიდან შეხედავს მთელ დასავლეთ საქართველოს და წარმოიდგენს მის სივრცეს, სილამაზეს, მოხდენილობას და, აგრეთვე, იმას თუ ამოდენა ადგილებში რამდენი ქართველობა უნდა ყოფილიყო ძველათ დასახლებული, უნებლიეთ გული შეუწუხდება. სწორედ ასე მომივიდა მე.

როცა მირატის ხეობიდან დასავლეთ საქართველო დავინახე, როცა ჩემ თვალწინ გადაიშალა ჩვენი დიდებული სამშობლო — თვალუწვდენელი სივრცის მქონი საქართველო, რომლის საზღვრები საბერძნეთს და არმენიამდი მიდის. ამოდენი ადგილების დაკარგვა, ამოდენ ქართველ ხალხთა მოცილება ცხადი საქმეა, ჩვენი ძალოვნებისათვის დასაღუპი იყო. მე არ შემიძლია, მკითხველს გარდავცე ის მწუხარება, რა მწუხარებასაც ჩვენი მამულიშვილი იგრძნობს იმ დროს, როცა ის ზემოხსენებულ მაღალს მთებზე ავა და იქიდან სულ ძველათ ამაღლებულ და შემდეგ დაღუპულს და განადგურებულს საქართველოს ადგილებს გადახედავს.

ზაქარია ჭიჭინაძე
1913 წ.



გურამ პატარაიას გახსენება

„საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა დიდი, რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად, დაღუპვისათვის. პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, – მით უმეტეს რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს...“ სულ ახლახან წმიდანად შერაცხილი დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ამ მღელვარე სიტყვებით იწყება გურამ პატარაიას ბოლო ფილმი, რომელიც სამშობლოს მიღმა დარჩენილი სამხრეთ საქართველოს ძეგლებისადმია მიძღვნილი. შემთხვევითი არაა არც ის, რომ ამ ფილმს ავტორი ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას უძღვნის, ტექსტსაც თვითონ კითხულობს. სწორედ ამ ფილმში დარჩა გურამ პატარაიას დაღლილი, სევდით შეფერილი ხმა, რომელიც ძველი ტაო-კლარჯეთის, ოდესღაც დიდებული, აწ კი მიტოვებული და თითქმის იავრქმნილი ეკლესია-მონასტრების ბედზე მოგვითხრობს. ამ ფილმში, ისევ ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის მიერ 1917 წელს ჩამოტანილი უნიკალური ფოტოსურათების, ფრესკათა ასლებისა და ესტამპების შემდეგ, ჩვენ მთელი თავისი სიმშვენიერით პირველად დავინახეთ ოშკი, ბანა, ხახული... სწორედ ამ ფილმით შევიგრძენით მათი დიდებულება. ვნახეთ ხალხი, რომელიც ისევე ინახავს თავის დედა ენას, რომელიც საოცარი სინაზით შეჰყურებს „დიდი საქართველოდან“ ჩასულ საპატიო სტუმარს. ეს მისი ბოლო ფილმია.

პირველი კი (არ ვეხებით მის მხატვრულ შემოქმედებას), ჩვენი სული რომ აამღელვარა და დამუხტა, ფერეიდნელი ქართველების ბედზე გვიამბობდა... „შორია გურჯისტანამდე“... ასე ერქვა იმ ფილმს. სულის შემხუთველი, გულის შემხუთველი ტკივილი რომ გვაგრძნობინა... და მარტო ტკივილი?.. ეს იყო მოუშუშებელი იარა.

გულის ფიზიკური ტკივილი აწუხებდა გურამ პატარაიას... გასაკვირი კი ის იქნებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო. დიდი, კეთილი გული ჰქონდა მას. ბედნიერიც იყო. იცოდა, რისთვის იღვწოდა... მუდამ მოუთმენლად მოველოდით მისგან ახალ და ახალ კინომოთხრობებს საზღვარგარეთ მოტოვებული ქართული კერებისა და სიძველეთა შესახებ... და ისიც დინჯი, დარბაისლური ქართულით გვიამბობდა... ეკრანიდან გვიჩვენებდა რუსთაველის ფრესკას, ქტიტორთა სახეებს, პალესტინის გადარუჯულ ბორცვებს, სადაც არაერთი დიდებული ქართული ტაძარი იდგა ოდესღაც... გვიჩვენებდა ჯვრის მონასტერს. გვიამბობდა პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებებზე, რომელიც უამრავ ქართულ ნააზრევსა და ნაფიქრს ინახავს...

შემდეგ იყო ათონი... „ათონის მატიანე“, ათონის სიძველენი. ეკრანიდან გვიმზერდნენ წარსულის დიდთა საქმეთა მოწმედ ჯერ კიდევ გადარჩენილი ფრესკები და ფრესკათა ფრაგმენტები, დიდი მთაწმიდელების მიერ შენახული ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები... იფურცლებოდნენ ეს წიგნები და მღელვარებით გვავსებდნენ. მხოლოდ ჩვენს დროში, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ღვაწლით მოხერხდა ამ წიგნთა თითქმის ყველა ფოტოპირისა და მიკროფირის ჩამოტანა ქართველთა ამ უძვირფასესი სავანიდან. უაღრესად ბევრი გააკეთა გურამმა ამ ხელნაწერი წიგნების გადასარჩენად. ქართველი კაცის ტკივილით მიდიოდა იგი ამ ხელნაწერებთან და ტაძრებთან და მათ ცივ, მიუსაფრად დარჩენილ სამყაროში, როგორც ლოცვისათვის ანთებული სანთელი „დიდი საქართველოს“ სითბო და სიყვარული მიჰქონდა.

ნაადრევი იყო მისი ამ ქვეყნიდან წასვლა. 55 წლისა გარდაიცვალა. ბევრი მოასწრო და გააკეთა ამ ხნის მანძილზე... მაგრამ ბევრი განუხორციელებელი ჩანაფიქრი დატოვა... ერთხელ, ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე საუბრის დროს თქვა, ძალიან საინტერესო მასალები დამრჩა. კიდევ ერთი ფილმი გამოვა. ახლა ამაზე ვმუშაობ, შემდეგ კი სინის მთაზე მინდა წავიდეო... არ ისვენებდა, ჩქარობდა. უნდოდა,

რაც შეიძლება, მეტი მოესწრო... მეტი გაეკეთებია. მაგრამ ის, რაც გააკეთა და დატოვა, სინათლით მოსავს მის უდროოდ შეწყვეტილ სიცოცხლეს. ჩვენთვის კი, განსაკუთრებით პატივსაცემია მისი სახელი. ის სიძველენი, ის წიგნები, ის ტაძრები, რომელთა გადარჩენისა და ამოხსნის საიდუმლოს მან მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა და უნარი ბოლო წლებში შეალია, ქართული ეკლესიის სიმდიდრეა.

ბევრი რამ მოხდა მის სამშობლოში მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ... ყველაფერი აიწეწა, ბევრი რამ დაიმსხვრა კიდეც... მაგრამ მისი ერთი ნატვრა მაინც ასრულდა... უკვე „განიხვნენ კარნი" და ტაო-კლარჯეთში, მის დანატრულ წალკოტის მიწაზე ჩადიან ქართველნი...

მსუბუქი იყოს შენთვის გურამ, შენი სამშობლოს ღვთივკურთხეული მიწა.

თ.კ.

ტაო-კლარჯეთში გურამთან ერთად

ერთად ვიყავით. ერთად მოვიარეთ ირანი, ათონი, ტაო-კლარჯეთი... უამრავი ტკივილი, უამრავი სიხარული და შთაგონება განგვიცდია. მაშინ, 25 თუ 20 წლის წინათ, იოლი არ იყო იმ ქვეყნებში ფილმის გადაღება... განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში. ოცნებით კი ბევრჯერ გვიოცნებია. ხშირად არა, მაგრამ ზოგჯერ ოცნებაც სინამდვილედ იქცევა. ასე იყო მაშინაც...

და აი, ერთხელ... იყო ერთი მეცნიერი, გვარად ანდერსი, ვგონებ, ინგლისელი... წერილი გამოუგზავნა ქალბატონ ელენე მეტრეველს; წერდა, რომ თურქეთში, ქალაქ დიარბექირში, სირიულ მონასტერში უნახავს ქართული ხელნაწერი. ქალბატონმა ელენემ მე და გურამს დაგვიძახა და გვითხრა, როგორმე, ეს ხელნაწერი უნდა ვიპოვოთო...

იქ ორი ანტიოქიაა. თურქებისა და სირიის. დავინტერესდით, მაგრამ თურქეთმა ვიზა არ მოგვცა. მაშინ ხერხი ვიხმარეთ და გავემგზავრეთ ჯერ საბერძნეთში, მერე სირიაში. იქ მაშინ ცხოვრობდა ქართველი ემიგრანტი ლევან საღარაძე — დიდებული კაცი. მან გაგვიხერხა ორკვირიანი ვიზა. შევიძინეთ მანქანა და წავედით. ჩავედით დიარბექირში და დავიწყეთ ამ მონასტრის ძებნა. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. რამდენიმე მონასტერში ვიყავით. პირდაპირი მისამართი კი არ გვქონდა, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, ამ მოგზაურობაში გზას გვინათებდა უფალი. მოვნახეთ ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი. გამოვესაუბრეთ. ჩაგვიყვანა სარდაფში, რომლის სიდიდე 150 კვმ. იყო. მის შუაში, როგორც პირამიდა, ისე ეყარა ხელნაწერები. კედლებზეც თაროები იყო მიმაგრებული; მათზეც ხელნაწერები ეწყო. ეს ყველაფერი რომ გადაგვერჩია, ორ თვეზე მეტი დაგვჭირდებოდა. აქაც, უფლის ნებით, ოცდაათი წუთიც არ დაგვჭირვებია და, ვიპოვეთ!

მანამდე გურამმა ნახა ერთი ხელნაწერი, მაგრამ იგი სომხური აღმოჩნდა. გავაგრძელეთ ძებნა და ზუსტად ოც წუთში ქართული ხელნაწერიც ვიპოვეთ. იგი თაროზე იდო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიდგა ჯერი მის შეძენაზე. მონასტრის წინამძღვარი კატეგორიულ უარზე იყო.

ჯერ მივუთითეთ სომხურ ხელნაწერზე, ვითომ ის გვაინტერესებდა. შევთავაზეთ თანხა. 2000 დოლარი დაგვიფასა. ვუჩვენეთ ქართულიც. მასში 1000 გვთხოვა. ვუთხარით, ამდენი არ შეგვიძლია და ისევ ამ ერთს ვიყიდით-თქო. როგორც იქნა, 800 დოლარად მოგვცა. მაშინვე წამოვედით ქალაქ ანკარაში. ხელნაწერი კი საბჭოთა კავშირის საელჩოში მივიტანეთ და დიპლომატიური ფოსტით ელჩმა ბატონ ე. შევარდნაძეს (მაშინ იგი ცკ-ის პირველი მდივანი იყო) გამოუგზავნა. ამოვისუნთქეთ. ამ წიგნით იქ ვინმეს რომ დავეჭირეთ, 10-15-წლიანი პატიმრობა არ აგვცდებოდა.

ანკარაში გურამი შეუძლოდ შეიქნა. ექიმებმა წოლითი რეჟიმი დაუწესეს. მე კი ბაზარში დავდიოდი, სადაც შემთხვევით თურქეთის ქართველები გავიცანი. წამოვიყვანე გურამთან. გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი საწუხარი.

ვიზა ორ დღეში გვითავდებოდა. ძალიან გვაწუხებდა ეს. ერთ-ერთმა ქართველმა გვითხრა, რომ აქ შინაგან საქმეთა მინისტრი გურჯია — აჰმედ გიუნეში, გვარად ბოლქვაძე. კარგი კაცია და მაგ საქმეს მოგიგვარებთო. მივედით. იმ დღეს თვითონ ანკარაში არ იყო. ჩვენი მონაცემები მდივანს დავუტოვეთ და ვთხოვეთ, შეგვხმიანებოდა. მართლაც, მეორე დღესვე დარეკა...

— ბიჭებო, მოდით, მოდით...

ქართულად ცუდად ლაპარაკობდა.. ძალიან კარგად მიგვიღო. ვუთხარით, ტაო-კლარჯეთის გადაღება გვინდა და ვიზა გვჭირდება-თქო. მან იუმორით გვითხრა:

— კი, ბატონო, ერთი ან ორი დღით გაგიგრძელებთო და პასპორტში ერთწლიანი ვიზა ჩაგვირტყა. ძალიან დიდი სუფრა გაგვიშალა. მოიწვია სულ ქართველები. მოიტანეს ძვირფასი ქართული სანოვაგე. ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ. ერთად წავიმღერეთ კიდეც. მოვეფერეთ ერთმანეთს და დავშორდით.

დაბრუნდით თბილისში და ყველაფერი ბატონ ედუარდს ვუამბეთ. მაშინვე გამოიტანეს დადგენილება და შედგა მეორე ექსპედიცია თურქეთში. გამოგვიყვეს მანქანა და წავედით. გადავედით ლენინაკანიდან.

ჩავედით ტაო-კლარჯეთში და დავიწყეთ გადაღება. თითქმის ყველა ტაძარი გადავიღეთ. გადავიღეთ ნანგრევებიც. საოცარი სანახაობა იყო. სად არ ვყოფილვართ, მაგრამ ასეთი დიდი შთაბეჭდილება არსაიდან არ წამოგვყოლია. იმ, თუ მთლიანად არა, ნახევრად დანგრეული, ხშირად გუმბათჩამოშლილი, ფრესკებგადასული, ჩუქურთმებჩამოცვენილი ტაძრებიდან ადამიანის ნიჭიერების თვალშეუდგამი სიდიადე შემოგვცქეროდა და მძაფრი განცდითა და სიხარულით გვავსებდა.

დაზიანებული იყო თითქმის ყველა ტაძარი და მხოლოდ რამდენიმე იდგა ასე თუ ისე კვლავ თავისი სახით, რომლებიც მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული.

ვერც წლებმა, ვერც ჩვენი ქვეყნის თავზე დატეხილმა უბედურებებმა ვერ გაამკრთალა იმ ტკივილის განცდა, რომელიც მაშინ დაგვეუფლა. ახლაც მღელვარებით მავსებს მათი გახსენება — ოშკი, პარხალი, დოლისყანა, იშხანი, ოთხთა ეკლესია, ხახული, ხანძთა... გადავიღეთ ყველაფერი, რასაც კი მივუსწარით. გადავიღეთ უამრავი ასო-მთავრული წარწერა.

ერთ დღეს... პარხალის გადაღება უნდა დაგვეწყო. იმ საღამოს ჭოროხის ხეობაში, ერთ-ერთ დაბაში გავჩერდით ღამის გასათევად. იქაურმა პოლიციამ მოგვაკითხა სასტუმროში და წაიღო ჩვენი პასპორტები. ჩვენი ბედი, რომ ერთწლიანი ვიზები გვქონდა. სანამ ანკარაში გაგზავნეს შეკითხვა, ორი დღე გავიდა. დედა-ქალაქიდან დადებითი პასუხი მოვიდა. დაიჯერეს, რომ ჯაშუშები არ ვიყავით, მაგრამ მაინც გვთხოვეს დაგვეტოვებინა იქაურობა.

ის ღამე იქ გავათენეთ. დილის ოთხ საათზე ავუყევით ჭოროხის ხეობას, სადაც გადავიღეთ უბრწყინვალესი ბაზილიკა პარხალი და დავბრუნდით ბურსისაკენ. იქ გავიცანით სერვეტ კიკვაძე — იქაური ქართველი.

გვინდოდა ქართული სოფლების გადაღება. სერვეტი ტურიზმის ბიზნესში იყო ჩართული, გაგვაცნო ქართველების ლიდერი აჰმედ მელაშვილი* (იგი რამდენიმე წლის შემდეგ ექსტრემისტებმა მოკლეს. ღმერთმა გაანათოს მისი სული). მეორე დღეს ქართული სოფლების გადასაღებად წავედით. შემოგვეხვივნენ და თითქოს სახლში ვიყავით, ისე გველაპარაკებოდნენ ქართულად. სამი-ოთხი სოფელი მოვიარეთ. გადავიღეთ მათი ყოფა, სახეები, ბავშვები... სულ ყველაფერი. და, რაც მთავარია, იბერი მელაშვილის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ამით დავამთავრეთ გადაღებები ტაოში.

---

* აჰმედ მელაშვილის შესახებ იხილეთ გვ. 183.

ჩამოვედით სტამბულში, სადაც ეს მასალები მაშინვე ჩავაბარეთ საბჭოთა კავშირის საკონსულოს. იმ საღამოსვე გაიქურდა ჩვენი მანქანა. იქ ფირები ეგულებოდათ, მაგრამ არ დახვდათ.

ამით დამთავრდა ჩვენი ექსპედიცია.

შემდეგ გაკეთდა ფილმი. ბევრი სიხარული მოგვიტანა ჩვენ ამ ფილმმა... ჩვენც და მაყურებელსაც.

ირაკლი ონოფრიშვილი

კინოოპერატორი



ექეექი. დღეს ეს ტაძარი აღარ არსებობს

აჰმედ მელაშვილი

აჰმედ მელაშვილის სახელი ჩვენს ცნობიერებაში ამ ოცდათიოდე წლის წინ შემოვიდა. ექოსავით გადმოდიოდა მაშინ მისი ამბები ჩვენამდე და გვიზიდავდა... ის იყო ახალგაზრდა კაცი, სიყრმიდანვე დიდ, ერთობლივ საქართველოზე მეოცნებე და თანამედროვეთა სულებში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების მოთავე. დღეს ამაზე საუბარი, ასე თუ ისე, უკვე შეიძლება... ბევრი რამ, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც შეიცვალა მას შემდეგ. მაშინ კი ძალზე რთული და სახიფათო იყო ის გზა, რომელსაც იგი ადგა. შეეწირა კიდეც მას.

მწვავედ განვიცადეთ ჩვენ მისი დაღუპვის ამბავი და ის ტკივილი დღემდე მოგვყვება.

დაიბადა 1922 წელს, გარდაიცვალა 1980 წელს დარჩა მეუღლე ერვენ ჯინჭარაძე და ორი შვილი: ვაჟი იბერია და გოგონა თამარი.

იყო პროფესიით არქიტექტორი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თავისი თანამოძმეების თვითშეგნებაში ქართული სულის გამოღვიძებისათვის იღვწოდა. გამოსცა ქართული წიგნები...

გამორჩეულად საინტერესოა მისი ჟურნალი „ჩვენებური", რომლის პირველი ნომერი 1977 წელს გამოვიდა სტოკჰოლმში. სტოკჰოლმშივე იბეჭდებოდა მისი დანარჩენი ნომრებიც... მის თანამედროვეთა ცნობით, სწორედ ამ ჟურნალებისა და მათში დაბეჭდილი ღრმად ეროვნული წერილების გამო გასწირეს იგი. 1980 წლის 5 აგვისტოს ქვეყნის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრებმა აჰმედ მელაშვილი მოკლეს, ხოლო მისი ვაჟი – იბერია დაჭრეს. დაკრძალულია ინეგოლში, სოფელ ჰაირეს ქართველთა სასაფლაოზე.

რაც შეეხება ჟურნალ „ჩვენებურს", მისი გამოცემა 1980 წლიდან შეწყდა... იგი ისევ განახლდა 1993 წელს. გამოდის წელიწადში ოთხჯერ... ჟურნალი თავისი ხასიათით ქართული, ეროვნული სულისკვეთებისაა.

* * *

აქედან მოჩანს ტაო და
აქედან მოჩანს კლარჯეთი,
საუნჯე ჩვენი სულისა,
ჯერ კიდევ დაუხარჯველი,
ხან სიხარულის ზაფხული,
ხან კი ზამთარი მტანჯველი,
მელანდებიან ნათელნი
მე, წინაპარნი გამრჯელნი.
მათ აჩრდილს ვეთაყვანები,
სისხლით და ხორცით მათი ვარ,
ბეშქენ და ბექას ხელები
ოქროს ზღაპარში ანთია.
ამიტომ მეგულდიდება,
ამიტომ ქედს არ ვიდრეკ და...
ჩემი ლამაზი წარსული
ციმციმ ვარსკვლავებს ირეკლავს.

მამია ფარშანიძე

სადაც აკრძალეს საქართველო, იქ იქართველა

თვითმფრინავი სტამბულის აეროპორტში ეშვებოდა.

1969 წლის მაისის შუადღეს, განსაკუთრებით სსრკ-ს დედაქალაქიდან ჩამოსულთათვის, თითქოს საგანგებოდ გაეთბოთ და გაენათებინათ იქაურობა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საბჭოთა სამყაროდან, უფრო კი, საქართველოდან, თურქეთში ასეთი შემადგენლობის შემოქმედებითი ინტელიგენციის, მწერლების მოზრდილი ჯგუფი ჩადიოდა. იყვნენ ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, არჩილ სულაკაური, ბესო ჟღენტი, გურამ ბათიაშვილი და სხვები.

ჯგუფს თბილისში როცა ადგენდნენ, სწორედ მეც იმ დროს, ბათუმიდან ჩავედი. როგორც კი დამინახეს მწერალთა სახახლეში, მგონი, ნოდარ დუმბაძემ შესძახა, – იქაურობისთვის ნამდვილად საჭირო კაციც შეგვემატაო. ასე ჩამრთეს დელეგაციის სიაში.

და, აი, სტამბულში ვართ. ვინ დაგვხვდებოდა? მახსოვს მაშინდელი საბჭოთა საკონსულოდან ნოდარ კომახიძე იყო და, მგონი, რამდენიმე თურქ ჟურნალისტიც. მერე, მორიდებით, ცალკე მოგვიახლოვდა ერთი ხმელ-ხმელი, ოდნავ კოჭლი კაცი. ვატყობდი, უფრო ჩემკენ ცდილობდა გამოსვლას. შორიდან კიდეც გამიღიმა. შევნელდი, მივუახლოვდი. დამაინტერესა, ვინ იყო, ასე ძველი ნაცნობივით რომ ცდილობდა მომსალმებოდა.

ხელი გამომიწოდა, გადამეხვია, თან ჩამჩურჩულა, – აჰმედ მელაშვილი ვარ მე. ასე იცის, უფრო შენობით მოგმართავს. მერე, ჰკითხავ, – როგორ ხარ? კაი ვარო, გიპასუხებს.

თბილისში, უცხოელ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის სახოგადოებაში, ოთარ გიგინეიშვილისაგან რამდენიმეჯერ გაგონილი მქონდა მელაშვილზე, მაგრამ ასეთ შეხვედრას არ მოველოდი.

აჰმედი, როცა მე მესაუბრებოდა, განსაკუთრებით ცდილობდა იქ მყოფებს არ შენიშნათ. მეც, ჩემი მხრით, ჩვენს ჯგუფში მყოფ კაგებელებს ვერიდებოდი. (აშკარად ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენ გაგვაყოლეს უშიშროებიდან მათთვის საჭირო კაცები და ისინი კაი მაგარ ყურადღებას არ მოგვაკლებდნენ).

აეროპორტიდან სასტუმროში მისვლამდე აჰმედი გვერდიდან არ მომცილებია. თქვენს სამოგზაუროში ბურსაც არისო, მე იქ ვცხოვრობ, დაგხვდები და იქ უფრო ბევრ ამბავს გეტყვი თურქეთის ქართველებზეო. მე ძალიან გონჯაი თვალით მიყურებენ აქა და ამიტომ ახლა დაგტოვებო, – გამიმხილა სასტუმროს ეზოში ახმედმა და მოსიარულე ხალხს შეერია.

რამდენიმე დღეში ბურსასკენ ავიღეთ გეზი. იქ, ერთ-ერთ სასტუმროსთან, სადაც უნდა დაგბინავებულიყავით, ქართველები დაგვხვდნენ. მათ შორის აჰმედ მელაშვილიც იყო. აქ ჩემთვის მდელვარე და დაუვიწყარი ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. ჯერ კიდევ სტამბულში ყოფნისას ღია ბარათი მივწერე ჩემს უნახავ მამიდას, რომლისგან 50 წლის განმავლობაში ამბავი არ მიგვიღია. იგი ერთ ჩვენებურ მუჰაჯირს ცოლად გაჰყვა 1929 წელს. მაშინ საზღვარი ჯერ კიდევ არ იყო ჩაკეტილი. ბათუმიდან სტამბულში გემი მიმოდიოდა. სტუმრად ქმრის მშობლებთან წასული ყოფილა, როცა საბჭოთა კავშირის საზღვარიც ჩაუკეტიათ. ასე, ამგვარად, მამიდაჩემი ჩარჩა თურქეთში, მიწერ-მოწერაც ხომ შეწყვიტეს და, აი, ორმოცზე მეტი წლის შემდეგ, მისი ძმისშვილი ვწერ წერილს, ამ და ამ დღეს ბურსაში, ამ და ამ სასტუმროში ვიქნები-მეთქი. რა თქმა უნდა, ოთხმოცდაათს მიტანებული ქალი იქნებ ცოცხალიც აღარ იყოს, მაგრამ მაინც...

ჰოდა, ბურსაში, სასტუმროსთან, აჰმედ მელაშვილი და სხვა დამხვდური იქაური ქართველები გვეპატიჟებიან ერთ მახლობელ სოფელში, დადამებამდე წამობრძანდითო. იქ სულ მუჰაჯირი ჩვენებურები ცხოვრობენო.

მანქანებში ვსხდებოდით. ისე იქნა, რომ მე ერთ-ერთ წინ მდგარ ავტომანქანის წინა საჯდომზე, ბესო ჟღენტის გვერდით მომიწია ადგილი. ჩვენთან იყო ნოდარ დუმბაძეც მეუღლით.

სანამ მანქანა დაიძრებოდა, წინ წითელი შუქფარი აინთო, წუთით ავტომოძრაობა შედგა და, ჩვეულებრივ, ფეხით მოსიარულენი,

გადმა-გამოდმიდან დაიძრნენ. და, აი, ჩვენკენ მომავალთა შორის ერთი ყავარჯნიანი, მადალი, მოხუცი ქალი შევნიშნე. ჭადარა თმებზე წაკრულ ლენაქს მოაფრიალებდა და, საოცარია, ისე მოირხეოდა, როგორაც მამაჩემს ჩვეოდა სიარული. ელდა მეცა. ისეთი ცხელი ტალღა მოედო სხეულს, ადგილიდან ისეთი გაშმაგებით წამოვიჭერი, ბესომ შემომძახა;

– რა დაგემართა, ფრიდონ?

მე მანქანიდან სწრაფად გადმოვხტი და ტროტუარზე ასობით მომავალ ხალხში იმ მოხუცი ქალის ძებნა დავიწყე. მალე ისიც დავინახე. შევდექი. მის წინ აღვიმართე. ვთქვი, – თუ ისაა, კაი, თუ არა და, რაც მოხდება, მოხდება-მეთქი.

მოვიდა, მომიახლოვდა. მეც პირდაპირ გადავუდექი. სხეულით მომეყუდა. შემხედა, ება აუცახცახდა. მითხრა, – შენ ხარ, ჭოვ? (ე.ი. შენ ხარ ის, ვინაც სტამბულიდან მომწერაო.) ჰო, მე ვარ-მეთქი, ვუთხარი და ყავარჯენს ხელი გაუშვა. კენესოდა, ტიროდა, მეხვეოდა. იქვე, გვერდით ნოდარ დუმბაძე, ბესო და ჩვენი სხვა მწერლებიც შევნიშნე. ნოდარის სახეზე მაშინ პირველად დავინახე ცრემლები.

სოფელში მე აღარ გავყოლივარ, აშმედ მელაშვილიც ჩამორჩა. მოგვკიდა ხელი მამიდაჩემს და მე. თავის სახლში წაგვიყვანა.

იქ, სხვების მოსვლამდე. აშმედმა რამდენიმე საიდუმლო გამომხილა, პირველი – მთავრობის ერთი დახურული არქივიდან, რამდენიმე ტომი საქართველოს ძველი მასალები მიკროფირზე გადაღებული აგერ მაქვსო. თუ გაბედავ წაღებას, გაგატანო. დამისახელა ერთი მეცნიერ მუშაკიც, თბილისში ვისზე გადაცემაც მოისურვა.

მაშინდელ დროში ასეთი რამის თავზე აღება რასაც ნიშნავდა, ალბათ, გასაგებია. ქადალდში შეხვეული მოზრდილი ფირის გორგალი ჩემი ლაბადის შიგა ჯიბეში ძლივს ჩავაძვრინე.

შინ წამოსვლამდე ლაბადა ხელიდან აღარ გამიშვია, წუთთაც აღარ მომიცილებია. არჩილ სულაკაური დამცინოდა, მართლა აჭარელი ხარ, აბა, ამ თბილ მაისში რას დაათრევ მაგ საწვიმარასო. რა იცოდა იქ, ჯიბეში, რა განძი მედო.

აშმედმა თავის სახლში მაჩვენა გამოსაცემად მომზადებული თავისი წიგნი „გურჯისტანი.” მცირე რამ შენიშვნა, რჩევები გაეუსიარე, რაც მაშინვე მიიღო. მერე, მგონი, მომდევნო წელს, წიგნი გამოიცა. წიგნი თურქულად იყო დაწერილი, მაგრამ ჩატანებული ჰქონდა ქართული ტექსტები, ჩვენი ანბანი და მრავალი ილუსტრაცია, რამაც მრავალ შავრაზმელ-ნაციონალისტთა აღშფოთება გამოიწვია. ფაქტიურად აშმედი ამ წიგნს შეეწირა.

1980 წლის ტრაგედია ასე მომხდარა. მოფაშისტო ისლამისტები ავტომატებით, ღამით შეჭრიდან მელაშვილებთან სახლში. აშმედი იქვე დაცხრილეს. შვილს, იბერიასაც რამდენიმე ტყვია მოხვედრია.

დაჭრილი შვილი თურქეთელ ქართველებს სასწრაფოდ გერმანიაში გადაუფრენიათ, უმკურნალიათ, გადაურჩენიათ.

მახსოვს, მაშინ, გვიანობამდე, მამიდასთან ერთად, აშმედის ოჯახში დავრჩი. ქართველებით დასახლებული სოფლიდან დაბრუნებული ჩვენი მწერლებიც, ყველანი, იქ შეიკრიბნენ. საუბარს ბოლო არ უჩანდა.

სხვათა შორის, პირადად მე აშმედმა ასეთი რამე მკითხა. თქვენში მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველები ერთმანეთთან კარგად ვერა ხართო? რატომ ვერა ვართ, ძალიან კარგად ვართ-მეთქი, ვუპასუხე. აბა ორი ჰუქუმათი (მთავრობა) რატომ გყავთ, ერთი თბილისში, ერთი ბათუმშიო.

აი, ამაზე, როგორც მახსოვს, მაინც და მაინც დამაჯერებელი ვერაფერი ვუთხარი.

იმ მიკროფილმის გამო, მიუხედავად ჩემი გამუდმებული ყურადღებისა და სიფრთხილისა, სტამბულიდან გამომგზავრების წინ კინაღამ, ჩავვარდი. დილით სასტუმროს კაფეში საუზმეზე მიგვიწვიეს. ბარგი მოიმზადეთ, პირდაპირ აეროპორტში წავალთ მოსკოვის თვითმფრინავზეო. სიჩქარეში, საუზმეზე მიმავალს, ლაბადა ნომერში დამრჩენოდა. ნასაუზმევს რომ შევიხედე და ოთახში ლაბადა ვეღარ დავინახე, კინაღამ შევიშალე. იმ დროში ისეთი რამ საბჭოთა მოქალაქის ჯიბეში პოლიციელს რომ აღმოეჩინა, მეც დაღუპული ვიქნებოდი და თუ გაიგებდნენ, ვინ გადმომცა, ისიც.

ჩვენი ნემოდნები და სხვა რამეებიც დამლაგებლებს, საუზმის დროს, დერეფანში გამოეყიდათ, რომ ჩვენი გამგზავრება დაეჩქარებინათ. მივიჭერი, იქვე საკიდარზე ჩემი პლაშიც ვიპოვე, მაგრამ ჯიბეში საბედისწერო გორგალი ვეღარ აღმოვაჩინე. იქვე, დახლზე დაყრდნობილი, გრძელულვაშებიანი სასტუმროს მეპატრონე იდგა და, როგორც მეგონა, მე მომჩერებოდა. ბარგი უკვე გააქვთ, ჩემი ჩემოდანიც წაიღეს. მანქანებში სხდებიან ჩვენები. ვიღაცები კიდეც მეძახიან, – ფრიდონ, რას შვრები კაცო, ვაგვიანებთ, ჩქარაო. ჩავიქნიო ხელი და გავიდე, იქნებ გამაჩერონ, არ გამიშვან. ის ულვაშა თურქი ისე მიყურებდა, კატასტროფას ვეღარ ავც-

ლები ალბათ-მეთქი, ვფიქრობდი. ერთი რამ გულში დავიფიცე, რაც უნდა მოხდეს, მელაშვილზე ენა არ დავძრა. ჰოდა, მივბრუნდი, არეულდარეული, დაბნეული და პირდაპირ გაჯგიმულ სასტუმროს მეპატრონეს მივადექი. ჩემი გაჭირვებული თურქულით ვუხსნი, ჯიბეში ფოტოფირები მქონდა, თურქეთის ხედები, სახსოვრად გადავიღე, ვეღარ ვიპოვე, ამოუღიათ.

– ფატი, ფატი! – გასძახა ვიღაცას და მეც, საითაც იყურებოდა, იქით შევვარდი. დამლაგებელი ქალი სატელეფონო კაბელების გვერდით, ციცქნა ოთახში, უცებ ჩემკენ შემოტრიალდა. ქაღალდებშემოძრობილი ის საბედისწერო ფირის გორგალი მომაჩეჩა.

ეს იქ ძირს ეგდოო, რაღაცებს მიხსნიდა აკანკალებული.

აღარ მისმენია მისთვის, ლაბადა კალთაში შევახვიე და გარეთ გავიჭერი. სანამ თვითმფრინავი შავი ზღვის თავზე, 10 ათას მეტრზე არ ამაღლდა, სულ მოველოდი, დაგვაბრუნებენ-მეთქი.

აჰმედის გამოტანებული ფასეული განძი თურქოლოგს, აკადემიკოს სერგი ჯიქიას გადავეცი.

აჰმედ მელაშვილის დაღუპვა ძალიან მძიმედ განიცადა, პირველ რიგში, თურქეთის ქართველობამ.

საშინელი ტკივილი მომაყენა მეც იმ უბედურმა ამბავმა. მაშინ დავწერე ლექსი „მომიკლეს ძმა."

„თქვენ არ იცნობდით,
ის სხვა იყო, არ ჰგავდა ყველას, –
სადაც აკრძალეს საქართველო,
იქ იქართველა."

ბათუმის ცენტრში, ერთ ძველ მეუდრო ქუჩას მელაშვილის სახელი დავარქვით.

ქართველ მწერალთა ჯგუფის იქ ყოფნის შემდეგ თითქოს ატმოსფერო ოდნავ მოთბა. აჰმედი, მგონი, ორიოდჯერ საქართველოსაც ეწვია. ერთ-ერთი ჩამოსვლისას მას რატომღაც ჩემი თავი დაუმალეს. არა, მაინც მინდა ბათუმში ჩავიდეო, განუცხადებია თბილისში.

მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცი.

ერთი კვირა დღეა, ბათუმში ვარ.

კარგი ამინდია. ზღვისაკენ გასეირნება მოვიწადინე. გაზეთების საყიდლად „ინტურისტისკენ" შევუხვიე. შავმა „ვოლგამ" ჩამოიქროლა და წინ, სასტუმროს კიბესთან შეჩერდა, უკანა შუშაში, ჩემდა გასაოცრად, თვალი მოვკარი აჰმედ მელაშვილის სახეს, კი, კი, ვიცანი, ისაა, ფეხს მოეუჩქარე. მაგრამ ეს რა ხდება? მანქანა ადგილს მოწყდა. ისევ ქალაქისკენ გასრიალდა. დერეფანში შევედი. მორიგეს ვკითხე... კიო, ოთარ გიგინეიშვილს სტუმრები ჰყავს თურქეთიდან. ბატონი ოთარი ნომერშია, გინდა, დაგალაპარაკებო, მეუბნება ადმინისტრატორი.

ოთარი ტელეფონით მთხოვს მასთან ავიდე. ახლავე მოიყვანენ მელაშვილს და შეგახვედრებო. მამშვიდებს და მიხსნის, – ასე იყო საქმისთვის საჭირო. მითითება გვქონდა, თქვენი შეხვედრა ახლა არ უნდა შემდგარიყო. დრო არ გვეყოფა, აგიხსნაო. წუთიწუთზე ახმედი აქ იქნება. შეხვდი ისე, თითქოს მოსკოვიდან წუხელ ჩამოხვედიო, მთხოვს ოთარი (გავამხელ – დღესაც არ ვიცი რისთვის იყო საჭირო ამისთანა სისულელეები). კარი გაიღო და აშკარად ჩანდა გაჯავრებული, განაწყენებული აჰმედი, უღიმილო, თვალებჩაღამებული, უხალისოდ გადამეხვია. გრძნობდა, რომ ამ ტრიუკების შესახებ მე არაფერი ვიცოდი.

ეს ამბავი მგონი 1977-ში მოხდა. შემდეგ მე აჰმედ მელაშვილი აღარ მინახავს.

ფრიდონ ხალვაში

რედაქტორის მინაწერი

დაახლოებით, ამ ოცდაექვსი წლის წინ, ბათუმში ბატონმა ფრიდონ ხალვაშმა ბევრი რამ მიამბო აჰმედ მელაშვილზე... ღრმად შემძრა მისმა უეცარმა სიკვდილმა და ტკივილმა, ასეთი კაცის აღარყოფნა რომ ჰქვია ჩვენი ქვეყნისათვის.

მახსოვს, ბატონი ფრიდონი მიჩვენებდა აჰმედის მისდამი მოწერილ ბარათებს, რომელთაგან ერთ-ერთში ასეთი რამ ამოვიკითხე:

„ძმავ, კონვერტზე შენს მისამართს რატომ აწერ რუსულად. გამეხარდებოდა, მის მაგივრად ქართულ წარწერას თუ ვნახავდიო...

ეს სიტყვები მტკივნეული იყო და ამიტომაც დღემდე მახსოვს. მან მაშინ არ იცოდა რუსული „სუკის" ამბავი.

ამბობენ, გაურკვეველ ვითარებაში დაღუპულა... სამწუხაროდ, იგი ერთი იმათთაგანი იყო, ვისი წასვლაც დააკლდა ჩვენს ქვეყანას... ხალხს ჩვენსას. დღეს კი, თურქეთი ჩვენი კეთილი მეგობარია და იქ გაგზავნილ კონვერტს აღარავინ აწერს რუსულად.

ხანძთის ზარი

(ნაწყვეტი მოთხრობიდან)

აღმართში ისევ გაჭირდა შეფერხებული სვლა. ბერს უკვე ფეხი ებლანდებოდა. საკუთარ გულის ძგერასთან ერთად შოშიტას ჩუმი შეძახილი, ჯორების დაღლილი ქშენა... და კიდევ ერთი საოცარი ხმა, რომელიც ვერ გამოერკვია და ყველაზე შემზარავი კი იყო! ხმადახშულ, სევდიან გალობას ჰგავდა... ცეცხლმოდებული ოპიზას ბერების გალობა მოაგონა ხანძთელს. მაგრამ აკოჭლებულმა ჯორმა ფეხი წაიკრა და ხმა უფრო აუჟღერდა, ლითონის ბგერა გამოიღო. მიხვდა ბერი... რას არ იცნობს! ენადაბმული ზარის ჩათხრობილი გუგუნი იყო... და თითქოს მის ფიქრებს ეხმიანებოდა ეს გუგუნი.

,,ვერა, ვერ გადავასწრებთ! ხიდამდეც ვერ მივასწრებთ! დაიღუპა ყველაფერი! ხელში ჩაუვარდათ ხახულის ღვთისმშობელი! ხანძთის ზარიც, ძელჭეშმარიტიც, ოთხთავიც, ხანძთელის ცხოვრებაც! და ისიც — ის ხელნაწერიც, ბოლოს რომ გადასცა შოშიტას!''

— არა! არა! გააჩუმე! ზარი გააჩუმე!

შემობრუნდა შოშიტა. დამნაშავესავით შეხედა სახედატანჯულ მხცოვანს. ჯორი შეაჩერა:

— იქნებ შეჯდომა ინებოთ? ზარს ზურგით წამოვიღებ, მამაო!

ხანძთელი ძლივს წამოეწია... ჯორის კეხს მისწვდა... სული ამოიბრუნა... შოშიტამ ზარის ჩამოღება დააპირა, მაგრამ ბერის ცივი, ძვალტყავა ხელი დაედო მაჯაზე. მერმე თავად ბერმა შეუხსნა ზარს ენა, ხახაში ამოაძრო ლითონს და შოშიტას გადასცა...

— იქ, იქ დაჰკიდე! სამშვიდობოს! თუღა გაასწრე! ხანძთის ზარის რეკით შედი დაურბევ საქართველოში! ხალხს მოუწოდე! — და უფრო დავარდნილი, სუნთქ-ვაშეკრული კილოთი განაგრძო: — არა... მე ვეღარ წამოვალ... ხელს შეგიშლი... მხოლოდ დაგაგვიანებ! — უეცრივ ისევ გაუწყდა კილო, გულის სიღრმიდან ამოსული მუდარით შეჰღაღადა: — ხიდამდე მიასწარი... ფრთხილად გადი ხიდზე, ვიწროა... ჯორები გავლენ მაინც. მერმე ფრჩხილები ჩაუშალე მაღალ-ბოგას... ვეღარ გამოვლენ, ვეღარ! — და ხელი მდევრებისაკენ გაიქნია.

— მამაო, როგორ იქნება აქ დარჩენა? ის ურჯულონი ხომ... — სიტყვა შუატანში გაკვნიტა შოშიტამ და ქვაზე ჯიუტად ჩამოჯდა: — ვერ წავალ მარტოკა! არც წამესვლების! მხარით გადაგიყვან!

— უგუნურო! არც რაი გესმის! გასწი მალე! — პირველად გაუწყრა გამზრდელი შოშიტას. — დროს ნუ ჰკარგავ! განა მარტო შენი და ჩემი საქმეა! თავი არ წაიწყმიდო — ეს ღვთისა და ერის საუნჯე შენი შემხედვარეა, აკლდამის საიდუმლოც შენ იცი... ბნელი განჯინისაც, შვილო შოშიტავ! — უკვე შეემუდარა გულშემოყრილი ბერი. — მე აქ დავრჩები... იქნებ შევაფერხო კიდევაც მდევარი!

ბერს უზომოდ გაეხარდა — უეცრად მიზანიც კი გამოუნახა თავის დარჩენას.

— ასე სჯობია, შვილო! ასე სჯობია... — და არგანი მოუნაცვლა, ზედ დაატეხა ჯორს.

დაიძრა ჯორ-ქარავანი. ბერმა სასოწარკვეთილებით დახედა თავის გატეხილ არგანს, ფიცხლავ შემობრუნდა და ბილიკი ჩასჭრა თავქვე... ყური აღარ უგდო შოშიტას მუდარას, მის დახშულ ძახილს... თავის თავსაც გაექცა თითქოს...

თავჩაქინდრული მიჰყვებოდა პირმოუმშრალ ბილიკს.

ახლა იგი სულ მარტო იყო. სულ მარტო. ღვთის ანაბარა! და ერთადერთი ფიქრის ლანძვი სველ ბილიკს ემჩნეოდა კვლებად. აი, შოშიტას მტკიცე ნატერფალიც! პირიქით მიემართებოდა კვალი, იქით, საიდანაც ოდესმე მაინც უნდა მოსულიყო მაშველი და თვისტომი. ახლა უენო ზარის სისწრაფით მიიკვალება ქარავანი!

სანთელივით გალღვა ფიქრი. უნაპირო შვება იგრძნო. აღმართა თავი და გარემოს გადაჰხედა. ახლა იგი ქვეყნის წინაშე პირნათლად იდგა.

უეცრად მდევარი მოაგონდა: „უნდა მოიშალოს კვალი!“ დაღლილ საფეთქელში ახლა დარდი გაიჭედა... თურმე მას, განდგომილს, ღვთის ანაბარად დარჩენილს... მაინც არ შეუძლია არ იდარდოს, არა! შეუძლებელი ყოფილა ერის ცხოვრებისაგან განყენება, მარტოდ ყოფნა, უშფოთველობა, სულის სიმშვიდე...

...უმალ ამოქმედდა, გაიძრო ჩოხა და ჯვალოს ახალუხის ამარა დარჩა. საოცრად მაღალი და გამხდარი გამოჩნდა... თითქოს უმწეოც და გაშიშვლებულიც.

კვალდაკვალ აითრია ჩოხა. მოფარცხა კვალი. ასე იარა ფეხმარდად და შეუჩერებლად. წეღანდელ დაღლასაც აღარ გრძნობდა. წეღანდელს, როცა სიცოცხლისაკენ მიდიოდა... ახლა კი? ახლა თითქოს „სხვაგან“ მიდის... და მოეჩვენა ბერს, რომ განვლილ სიცოცხლის გზას უკან მიჰყვება და თავისსავე ნავალს ჰფარცხავს... რაღაც არამიწიერია ეს გზა... ჰოდა, ეს მიწიერი დაღლა რაღა ბედენაა?

დროზე მიაღწია გზაჯვარედინს. იქ კი სულ უბრალოდ იგრძნო, რომ სიკვდილის შიში დაკარგა... ატალახებული ჩოხა ოდნავ შემოიწმინდა, ისევ ჩაიცვა და ლოცვად დადგა.

დიდხანს აღარ დასცალდა ლოცვა. უმალ მოსწვდნენ ოსმალონი. თვალი რომ მოჰკრეს, ხელად დასჭყივლეს და მოიჭრნენ ცხენდაცხენ.

ადგილიდან არ დაძრულა ბერი. ორმოციოდ ოსმალონი შემოადგა მლოცველს. ზოგნი დაქვეითდნენ. იცნეს ოპიზას გალავანზე ნანახი ხატისმტვირთველი. დამტვრეული ქართულით მიაძახა ალაი-ბეგმა:

— შენა ხარ, გურჯი-მოლა? სად წახვიდოდი? აბა, სად გადამალე ბარგი-ბარხანა, გვითხარ, თორემ... — და უშვერი გინება გასისინდა ჰაერში.

„ხიდამდე ვერ მიასწრებს შოშიტა!“ — ჭმუნვით ფიქრობდა ბერი.

— ჰა! — და ოსმალმა ცხენიდან ჩამოუსვლელად ბერს წვერში სტაცა ხელი, თავი აუქაჩა. — დონღუზივით დაგკლავ!

— ვიცი სადაც არის განძი! მაცალეთ! — ძლივს მოიბრუნა სიტყვა ხანძთელმა.

ალაი-ბეგმა ხელი შეუშვა და ეჭვის თვალით გადაჰხედა. არ მოეწონა. რაღაც მალე დაეთანხმა მოხუცი. არა, შანთებით მაინც ამოართმევდა საიდუმლოს, მაგრამ ასეთ „წინდახედულობას“ მაინც არ მოელოდა გურჯი-მოლასაგან. მით უფრო ოპიზას შემდგომ...

— აბა, სად?

— აი იქ, ხანძთას! — ხელი აღმა ბილიკებისაკენ გაიშვირა მოხუცმა.

ალაი-ბეგმა ბილიკს აჰხედა, ჯორის კვალი შეამჩნია. ებევრა კიდევაც, წინ და უკან ნავალი... მერე ქვედა გზას გააყოლა თვალი. იქ კი კვალი არა ჩანდა. მაინც ანიშნა, რამდენიმე ასკერმა ცხენი მოსხლიტა იქით.

შეძრწუნდა ბერი.

— ვფიცავ ყველაფერს!

— არა მჯერა, იქნებ მატყუებ?

უეცრივ რაღაც მოაგონდა ბეგს და ხელი მოიბრუნა...

— აბა, ამაზე დამიფიცე! — უნაგირზე მოდგმული აბგიდან ნადავლი ჯვარი ამოიღო, ფერხთით დაუგდო.

უმალ იცნო ჯვარი ხანძთელმა. მისეული ჯვარი იყო, ეფრემ ბერს რომ გადაჰკიდა განშორებისას. დაიჩოქა, სასოებით აიღო. რუჯის ფერი გადაჰკრავდა ჯვარს. ძეწკვიც შეწყვეტილი ჰქონდა. ხოლო ნაწყვეტზე ორიოდე წითელი წვეთი იყო შემხმარი. ჯვარს ემთხვია ბერი...

— ვფიცავ ამ ჯვარს! — თავი აღმართა ბერმა, წამოდგა და აჩქარებით აღმართს შეუდგა.

— ჰო! აგრე, აგრე... სიცოცხლეს გაჩუქებ, გიაურო! ჩალმასაც გიფეშქაშებ! ჰო! ჰო! — როხროხებდა თავისი ოხუნჯობით ნაამები ალაი-ბეგი. ახლა კი ირწმუნა: კარგად იცოდა — „გურჯი-მოლა“ ტყუილად არ დაიფიცებდა ჯვარზე.

ცხენოსნებიც მობრუნდნენ და ამცნეს, რომ ქვედა გზას არ ემჩნეოდა ჯორების კვალი.

ცოტა ზევით რომ აინაცვლეს, კეხდადგმული ცხენი დაინახეს და ახლა სულ დარწმუნდნენ. ყველანი მიჰყვნენ.

ამის შემხედვარე ბერმა კი უკლო სვლას. მართლაც უჭირდა აღმართში სიჩქარე. მით უფრო ახლა, არც ეჩქარებოდა რამე. პირიქით — ეგვიანებოდა... დიახ, ეგვიანებოდა კიდევაც!

— ჩაფუხ! ჩაფუხ! ჩქარა იარე! — უტევდნენ განძს დახარბებული ასკერები და იარაღს უღერებდნენ.

—აცალეთ, ნელა იაროს, ხელში არ ჩაგვაკვდეს სულძაღლი! — ამშვიდებდა მათ უფრო შორსმჭვრეტელი ალაი-ბეგი.

„ახლა სად იქნებიან ნეტავ!?“ — თავის საფიქრალს სულიერ-უსულოზე ერთობლივ ფიქრობდა ბერი.

მაგრამ ხანძთას რომ ააღწიეს და ჯორ-ცხენები იქ არ დახვდათ, ცეცხლი მოედო ალაი-ბეგს. უმალ დაითრია მდუმარე ბერი.

— ენა ამოიდგი! სად არიან? დამაცალე, ყველაფერს გათქმევინებ. ჰეე, ყარა-მურთაზ, შენი ხელობა გვაჩვენე! — გადასძახა ფეხმრუდე და სახეჩოფურა ასკერს. ამავე დროს ხალხი დაახვია, ხანძთის სენაკები და ქვაბურები მოახილვინა.

ამაო ძებნის შემდეგ ოციოდე კაცი გამოჰყო და მდევრად ახლა ქვედა გზაზე აფრინა.

გრიგოლ ბერი კი ხანძთის საყდრის დარკინულ კარზე გააკრეს გარედან. კარის რგოლებს გამოსდეს საბელი.

გაკრული ბერი გაფაციცებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ სჩხრეკდნენ ოსმალნი ხანძთის ყოველ კუნჭულს.

მარბიელებმა გადმოჰყარეს დარჩენილი ხატები და საეკლესიო ჭურჭელი. ააფორიაქეს ბერ-მონაზვნების დარჩენილი ძველმანები და ავეჯი, გასტეხეს საოსტიგნე და მარანი. მაგრამ ამას არ სწუხდა ხანძთელი. ერთიღა ჰქონდა სადარდებელი — შემთხვევით არ მიეგნოთ სამარხისათვის. იქით გახედვაც ეშინოდა.

უეცრივ იქით დაიძრნენ ასკერები... ალაი-ბეგიც იქით მიიქცა. შეძრწუნდა ბერი, ხოლო, როცა მის მიერ ზედ დაყრილი შეშა და ჩინჩხვარი გადმოშალეს და საკუთარი ეპიტაფია ნათლივ დაინახა, დაუფარავი გმინვა აღმოხდა პყრობილს.

— მაცალე, მაცალე, მეტად აგაკვნესებ! — წამოეტანა ჩოფურა ასკერი.

ველარ გაუძლო გრიგოლმა ამ საშინელ სამზერს, თვალები დახუჭა და თავი ჩაქინდრა... „მან მოიყვანა, მან თავად მოიყვანა აქ! მან გასცა, დიახ! გასცა! აბა რა ეთქმის? სხვა სახელი არ დაერქმის ამ საქციელს! “ — გული ჩაუწყდა ბერს. ამ წუთში იგი მზად იყო მოეჯიჯგნა თავისი ძვალტყავა სხეული... და ფეხებზე, როცა შეშა მოაყარეს და მიუწეწკეს, სიამეც კი იგრძნო.

— ეგეც შენ, იუდას მსგავსო! ეგეც შენ!

მახლობლად კიდევ დაჰყარეს შეშა. ალი-ბეგის ბრაზიანი ხმა ჯერ გულის მიღმა ესმოდა ბერს, მერმე უეცრად გუმანში ჩავარდა. მის ხმას გაშმაგების ხრინწი უფრო გაჰკრავდა, ვიდრე ხარბი სიხარულის კილო. განცვიფრდა კარზე გაკრული, გვერდულად გაჰხედა აკლდამას.

იქ შეშა და ჩინჩხვარი აღარ იყო. იგი აქ გადმოეტანათ, მის მახლობლად. ხოლო საფლავის ქვაზე ჭილობი გაეშალათ, ზედ ფეხმოკეცილი ალაი-ბეგი იჯდა და ჯავრობდა... იჯდა და ჯავრობდა!

„მაშ შეშა დასჭირდათ! იპოვნეს კიდევაც! მხოლოდ შეშა!“ სიხარულის ელდა ეცა ბერს. მაშ იგი პირნათლად ყოფილა ხანძთის კარზე გაკრული! არაფერი შეუცოდავს!

ნებსითი თუ უნებლიე! არავითარი! – ხმამაღლა ირწმუნებდა თავის უჩუმარ ფიქრებს და ეს შეგნება ისეთ ნუგეშად ეფინებოდა, სულ ნათლივ ვერც კი გრძნობდა, რა ხდებოდა ირგვლივ... და მახლობლად ცეცხლი რომ აანთეს და ზედ საყდრის კარზე აგლეჯილი რკინის ურდული მიუფიცხეს, მაშინღა მიხვდა, რად დასჭირდათ ასკერებს შეშა.

– აბა, ყარა-მურთაზ, დავიწყოთ! – მიაძახა ალაი-ბეგმა და თავი მიიბრუნა. ხასიათად ჰქონდა – პირველი გმინვა და ხორცის შიშინი სძაგდა... მაგრამ ჯიუტები უფრო ეჯავრებოდა, ეს გურჯი-მოლა კი, საოცრად ჯიუტი ჩანდა.

ყარა-მურთაზმა გულისპირი ჩაუხია, მოხუცს უბიდან წეღანდელი ნათავისარი ჯვარი გადმოუვარდა, ზღურბლის ქვაზე დაეცა. ალაი-ბეგმა ყური შეასწრო ვერცხლის ჟღერას, ხელად მობრუნდა, ახლოს მივიდა...

– ამ ჯვარსაც იპარავდა! – გულიანად გაიკვირვა და ვიწრო შუბლი უფრო მოეწურა, სურდა რაღაც მახვილი ეთქვა... ხასიათად ჰქონდა – სურვილი მუდამ უსწრებდა აზრს. მოიფიქრა და ყბები წინასწარ გაებადრა:

– გაუთბე და უბეში ჩაუდე! – ცეცხლში ჩააგდო ჯვარი და თავისი ჭკუამახვილობით მოხიბლულმა მეჩხერი კბილები გარეთ გადმოაწყო.

– იტყვი თუ არა? – ყარა-მურთაზმა ჯერ შიშველ მკლავზე დაადო გახურებული ურდული. ̣უმალ ტრუსის სუნი ავარდა, ხოლო ბერის ძვალტყავა მკლავზე შავ-ყვითელა იარა აიფუთქა.

შეირხა გაკრული, კვნესით დარეკეს კარის რგოლებმა. სიტყვამიუდგომი ტკივილი შეეჭიდა მოხუცის გულს. კრიჭაში გასხლეტილი გმინვა აღმოხდა.

– ჯერ სად ხარ! იტყვი თუ არა? – ახლა მარცხენა ხელი დაკრუნჩხა შანთმა.

– ღმერთო, მიშველე! სიკვდილო, სად ხარ!? – მოხუცმა ისევ შეიკრა კრიჭა, მხოლოდ ბაგეები უთრთოდნენ, ხანდახან კბილებს უჩენდნენ...

– რა კბილები ჰქონია ამ მოხუცს? – გაავებულად ჰკვირობდა ალაი-ბეგი.

წამება კი გრძელდებოდა... ჯერ ყველა თითი დაუთუთქეს, მერმე მკლავებზე შემოაწვეს ძარღვები. გულისპირიც ცეცხლით ჩაუსერეს, მაგრამ ბერი სდუმდა. ხანდახან გმინვას ლოცვასაც ამოაყოლებდა... ბოლოს გალობა გაბა გმინვით...

– ძელჭეშმარიტო! ჯვარო ძლიერო...

– ჯვარი მოენატრა! ახლავ მიართვით! – ისევ გაიბადრა ბეგი.

ჩოფურა ასკერმა ნაკვერჩხალი მოქექა და გამოსწია...

ჯვარის ვარვარმა თვალი მოსჭრა ბერს, ურდულის შანთისა აღარ ეშინოდა. სულ ერთია, მთელი სხეული ეწვოდა და სტკიოდა, მაგრამ გავარვარებულ ჯვარს უფრთხოდა მლოცველი, მხოლოდღა ჯვრის მმოსავი ხანძთელი... საკუთარი ჯვრის შიში ზარავდა ხანძთელს, იმ ჯვრისა, გულ-მკერდზე რომ ამდენ ხანს სასოებით უტარებია!

უეცრივ ჯვარზე მიმხმარი ეფრემ ბერის სისხლი მოაგონდა. თვალები დახუჭა. მკერდზე რაღაც საშინელი სიმძიმე იგრძნო. ტკივილი აღარ უგრძვნია, აღარ... მხოლოდ... ჰო, ეს სუნი! დამწვარი ხორცის სუნი! საკუთარი ხორცისა!.. გულის აღმრევი სუნი აწამებს ტანჯულს. ფიქრსაც ურევს. მკერდიდან ასული ოხშივარივით ერევა ფიქრიც... როყიოდ მოაგონდა, რომ დღეს მარხვაა... რომ დღეს მას არც არაფერი უჭამია... არა, საჭმელი არა... სწყურია! ახლა მიხვდა, რომ საშინლად სწყურია, ხახაც ჯვარივით გავარვარებული თუ აქვს! ამის გამოა მთელი ტანჯვა და ტკივილი!

– წყალი დამალევინეთ მომაკვდავს! წყალი! აგერ, ახლოს სჩქეფს! ხანძთის წყარო!..

უეცრივ შეშინდა ბერი. იგრძნო, რომ ტკივილსა და წყურვილს ვეღარ აიტანს. ვეღარ გაუძლებს. არა, სიკვდილის კი არ ეშინია, არა, არ თქვას... არ წამოცდეს, რასაც ჰფარავს! განძის ადგილსამყოფელი! თავისი აკლდამის საიდუმლო!

ოჰ, მოჰკალით, ჩააწვინეთ თავის სასურველ აკლდამაში... ჩააწვინეთ! ამოიღეთ იქიდან, რაც იქ არის გადამალული!.. წაიღეთ! თუნდაც გადაჰყარეთ! მას კი, მის დაღლილ-დატანჯულ სხეულს აღირსეთ საკუთარი აკლდამა!

— სიკვდილი მაღირსეთ! სიკვდილი!

— არა, ჯერ გვითხარ!

უფრო შეკრთა გრიგოლი: მაშ ხმამაღლა უთქვამს რაღაც! თავადაც არ გაუგია, ისე! ვაითუ ხორცმა ვეღარ გაუძლოს, ვეღარ აიტანოს ამდენი ტანჯვა და ბარემ თავად წამოროშოს სიტყვა საშინელი და წარსაწყმედი!

ამდენს იღვწოდა, ამდენს ებრძოდა და თრგუნავდა ხორცსა და ნუთუ მაინც ავჯობა ხორცმა — ხატი და ჯვარი გააწირვინა! ნუთუ ეშმაკის კერძი გახდა მკაცრი, წმიდა ბერი, უკანასკნელი ხანძთელი, გრიგოლ-მცირე!?

— ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!

...მაგრამ ახლა ნეკნებზე რომ ჩაიტანა შანთმა შუშხუნი, ბერი საშინელი სიცხადით მიხვდა, რომ ვეღარაფერს დაჰფარავს... იტყვის... მიაფურთხებს და ეტყვის ყველაფერს. აი, სიტყვა თავად აწვება ყელში. კრიჭა შეკრული აქვს, მაგრამ გმინვამ რომ შეუხსნას კრიჭა — ხელად „სიტყვა“ ამოასწრებს. დიახ, ყელში „აკლდამა“ აწვება ბერს. აკლდამა! უნდა დაივიწყოს და არ ავიწყდება. უნდა სხვაზე იფიქროს... აი, თუნდაც, ჰო, მართლა, ახლა შოშიტა... ვინ შოშიტა? ჰო, მისი გაგზავნილი... ახლა უკვე კარგა ხანია ხიდს გასცდებოდა. მდევრები კი გაგზავნეს, მაგრამ ვეღარ!.. დიახ, ვეღარ!.. სამშვიდობოს იქნება გასული!

„აკლდამა“ „აკლდამა“ — ვიღაც მაინც აწვეთებს საშინელ სიტყვას, ოჰ... არა! იმას ფიქრობდა — რაღაც დააბარა შოშიტას... მნიშვნელოვანი და არ კი ახსოვს! აღარ ახსოვს! მეხსიერება ღალატობს, მხოლოდ აკლდამა ახსოვს! კლდეში გამოღებული, თავისი და აღარც თავისი აკლდამა! მთელი ქვეყანა ახლა ამას რომ ედავება!

მაშინ მოეშვებიან. ალბათ ჩამოხსნიან და სადმე მიაგდებენ. სული ამოხდება ბოლოს... დაისვენებს. ესღა უნდა, მხოლოდ ესღა.

— იტყვი, შე წყეულო?

ბერმა ძლივს გააზილა ჩამქრალი თვალები და წაიჩურჩულა...

— ვიტყვი...

ყველანი დადუმდნენ, შემოადგნენ. ბერმა ჯერ ცეცხლში ჩაკიდებულ ჯვარს შეხედა, მერმე სახე აკლდამისაკენ მიიბრუნა და შეკრულ კრიჭას სათქმელად ძალა დაატანა... უეცრივ საშინელი რამ იხილა. დიახ, თვალნათლივ დაინახა — აკლდამიდან საველრებელად იშვერდნენ ხელებს, მას ეველრებოდნენ უძველესი ხატები, წმიდანები, მოციქულები, ჯვარცმული მაცხოვარი, ღვთისმშობელი თავის პირმშოს მას ავედრებდა, მას — ხანძთელს... გრიგოლ-მცირეს...

აჟღერდნენ ჯვრები და ლითონის საბრძოლო დროშები, საოცრად აშრიალდნენ ხელნაწერები, გრაგნილები, ნუსხები... საფლავებიდან წამოიზარდა ყველა ხანძთელი. ყველანი ხმამაღლა ღაღადებდნენ მისი ეპიტაფიის სიტყვებს: „შეუნდე, ვინც შენდობა ბრძანოს!“... „შეუნდე, ვინც შენდობა ბრძანოს!“

შემაშფოთებელი იყო ხატების ეს გოდებ-ვაება და კრიჭა ვეღარ გახსნა ბერმა... ვეღარ შეძლო სიტყვის ამოდგმა. აი, უნდა თქვას — „აკლდამა!..“ და არ ამოდის სიტყვა, ხმა არ არის, ხმა!

ისევ შებრუნდა ყველაფერი — ახლა გავარვარებული ჯვარი და ურდული ადგა ცეცხლიდან. ისევ აშიშინდა ხორცი და ფიქრი.

ამ დროს კარიბჭესთან რაღაც ჩურჩული შეიქნა. იქით მიიქცნენ ოსმალნი. შეეგებნენ მობრუნებულ მდევართ.

გრიგოლმა ახლა იქით გაჰხედა შიშით და... ჯორი დაინახა. არა, არ შემცდარა, ნიშანდობლივად დაუკვირდა — კოჭლობაც კი შეამჩნია ჯორს.

— ნუთუ? ვაიმე... შოშიტავ?! — ჩაიკვნესა ბერმა და ისეთი სევდა შემოაწვა, თითქოს ახლა სულში ჩაუდგეს გავარვარებული ურდული.

თუკი ყველაფერი დაიღუპა, რაც შოშიტას გაატანა? თუკი შოშიტამაც თავი შეაკლა? ვისღა შეუნახოს? არავინ რჩება ადგილის მცოდნე... რაღა ბედენაა, აკლდამის განძი სამარეს დარჩება თუ მტერს?

...და როცა ისევ შემოეხვივნენ ოსმალნი, ბერი შინაგანად მოტეხილი იყო. მას აღარაფერი აკავებდა. უიმისოდ ითქმოდა ყველაფერი, უიმისოდ!

დარკინული კარი აჟღერდა ანაზდად. თითქოს შიგნიდან შემოჰკრეს კვერი. ბერმა თავი მიახალა კარს, ყურით მიეკრა. არა, ეს ხმა ზურგს უკან არ იყო. შორიდან მოდიოდა.

სმენა დაძაბა, მაგრამ ხმაურობდნენ ოსმალნი. ერთი გნიასი ჰქონდათ... მაინც ესმის! მაინც! ნამდვილად ზარის ხმა არის! ზარის!? მაგრამ ზართან ერთად შეფრიალებული გულიც რომ აუჟღერდა, მაშინ კი ეჭვი შეეპარა — იქნებ ეს მხოლოდ მას ეჩვენება... მას — ზარის ხმის უსაზღვრო მსურველს! ან იქნებ ეს სიკვდილის ზარია და მის მეტს არავის ესმის?

— ჩუმად! — მან ისეთი საშინელი ხმით დაიძახა, რომ ყველა გახევდა. ყარა-მურთაზს შანთი შეაცივდა ხელში, ყველანი სმენად იქცნენ — მტერიც და მოყვარეც.

კარჩხალის ქედის თავიდან მკაფიოდ მოისმოდა ზარის ფიცხელი რეკვა! ნუგეშად და ბრძოლის ხმად ვრცელ გარემოს ეფინებოდა.

— მაშ, ზურგით აუტანია, ზურგით... ყოჩაღ, შოშიტავ! — თვალები აენთო ბერს და ისეთი შვება იგრძნო, სრულიად მოჰკვეთა სხეულის ტკივილი და ურვა.

ალაი-ბეგმა ხელი ჰკრა ყარა-მურთაზს, შანთი გამოსტაცა.

— მაშ რაღას იტყვი?! — მეტად უშვერი სიტყვა შესძახა მოხუცს და სახეში მიუმიზნა შანთი. მაგრამ გაშმაგდა ყოვლად სათნო ბერი. შოშიტას ძალა მოიცა. კარზე ამაყად მოიზიდა, ამომშრალი ენის წვერი კბილებში მოიგდო, მოიკვნიტა და სისხლთან ერთად სახეში შეაფურთხა მტარვალს.

ალაი-ბეგმა ვეღარ მოარტყა მიზანში შანთი. წიხლი მოინაცვლა და გამეტებით ფერდში ჰკრა კარზე გაკრულს.

ნაკრავის ძალით ერთბაშად საყდარში შეიღო კარი და ხანძთელი პირნათლად წარსდგა თავისი დიდი სეხნას — გრიგოლ დიდის კედელხატულის წინაშე.

გამფრთხალი მტრედები აფრინდნენ ხანძთიდან.

როცა კარი ისევ გამოსწიეს და შანთი აძგერეს მოხუცს, იგი აღარ შერხეულა.

უკანასკნელი ხანძთელი უკვე მძიმე და ვალმოხდილი ცხოვრების მიღმა იყო... ხოლო ნაჭარბ ილეკრო-ვერცხლისაგან ჩამოსხმული ხანძთის ზარი, მომავალ საუკუნეებში წასულ იმედივით არხევდა თავის ხალასსა და საამო ხმას.

ლევან გოთუა

მწერალი



კაბადოკიის ერთ-ერთი ტაძრის ფრესკა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ქართული ხატი «შენ ხარ ვენახი»



კაბადოკია

კაბადოკია

ღვთის წყალობით, საოცარ ქვეყანაში მოვხვდით (ტერმინს — „ქვეყანა“ საგანგებოდ ვხმარობ, რადგან თავისი მნიშვნელობით ეს სწორედ ქვეყანაა და არა ერთ-ერთი მხარე დიდი სახელმწიფოსი), მას კაბადოკია ჰქვია.

იგი საოცრებაა, რომელთანაც პირველი შეხებისთანავე გავიწყდება ყველაფერი, რაც მის შესახებ იცოდი... ეს სანახაობა მიწიერის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

მხოლოდ გონებისა და ემოციის დამშვიდების შემდეგ აღიქვამ, რომ იგი რეალურია.

კაბადოკია მოიცავდა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილს და წარმოადგენდა უძველესი აღმოსავლური ცივილიზაციის კულტურის ცენტრს. აქ ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი და ხეთების სახელმწიფოს ძირითად ტერიტორიად იქცა.

I საუკუნიდან კაბადოკია შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში და რომაული აღმოსავლეთის ცენტრად იქცა. მისი დედაქალაქი კესარია (ახლანდელი კაისერი) კი მთელი აღმოსავლეთის საეკლესიო მეტროპოლიის ცენტრად გამოცხადდა.

მოგვიანებით კაბადოკია ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა, XV საუკუნიდან კი ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა.

საქართველოსათვის კაბადოკია, პირველ რიგში, წმიდა ნინოს, წმიდა გიორგისა და მრავალ დიდ, მსოფლიო მნიშვნელობის წმიდანთა და ღვთისმეტყველთა სამშობლოა, რაც თავისთავად მოწმობს ამ კუთხის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენთვის.

არსებობს მოსაზრებაც, რომ უძველესი კაბადოკიელები, რომლებიც ხეთთა სახელმწიფოს ნგრევის შემდეგ დასახლდნენ ამ ტერიტორიაზე, ქართველთა წინაპრები იყვნენ. იოსებ ფლავიუსი გვამცნობს, რომ „კაბადოკიის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ტომი ცნობილი იყო მესხების სახელწოდებით“. ამ მოსაზრებას სხვა მეცნიერებიც იზიარებენ. ე. ხინთიბიძის გამოკვლევით, დიდი კაბადოკიელი მამები — ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი ეროვნებით ქართველები იყვნენ.

„ქართველ ხალხს უშუალოდ ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის ფორმირებაშიც მიუღია მონაწილეობა. სავარაუდოა, რომ ბიზანტიის კულტურულ პროცესში გარკვეული წვლილი ეროვნული წარმოშობით ქართველ მოღვაწეებსაც მიუძღოდეთ. ბიზანტიის იმპერიაში შემავალი პონტოსა და კაბადოკიის პროვინციებში ხომ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველური ტომები — კოლხები, მესხები, ჭანები, ტიბერენები, ხალიბები და ა.შ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს — იბერიის, ანუ ქართლის მეზობელი სწორედ ბიზანტია იყო, რომლისკენაც, ბუნებრივია, ქართველები განათლ ების მისაღებად თუ პოლიტიკურ — კულტურული მოღვაწეობისათვის მიისწრაფოდნენ. 1962 წელს ჩვენ მიერ წამოყენებული იყო ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ დიდი კაბადოკიელი წმიდა მამები — ხორციელი ძმები — ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი ეროვნული წარმოშობით ქართველები უნდა იყვნენ. ჩვენი არგუმენტაცია 1965წ. გაიზიარა პროფესორმა გ. გოზალიშვილმა და თავის მხრივ გამოთქვა ვარაუდი, რომ ასევე ქართული წარმოშობის უნდა იყოს მესამე დიდი კაბადოკიელი წმიდა მამა, ბასილის უახლოესი მეგობარი — გრიგოლ ღვთისმეტყველი. (ე. ხინთიბიძე. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1993 წ).

ამგვარი ვარაუდის მტკიცება და არგუმენტაცია, რაღა თქმა უნდა, მეცნიერთა საქმეა. ჩვენ კი საოცარი სანახაობით გაოგნებულებს, ეს ყოველივე ენით უთქმელი სიხარულით გვავსებდა.

იმ გრანდიოზული შთაბეჭდილების გადმოცემა, რასაც მიწის ეს პატარა ნაწილი მნახველზე ახდენს, სიტყვით და თუნდაც კინოკადრით შეუძლებელია.

პირველი, რაც მნახველს აოგნებს, არის ლანდშაფტი, ვულკანური წარმოშობის თეთრი მთები, რომლებიც პერიოდულად იცვლიან ფორმას, ღრმა ნაპრალები და ხეობები, ერთმანეთთან დაკავშირებული გვირაბები და ლაბირინთები. გამოქვაბულებში, რომლებიც თითქმის ყველა მთაში რამდენიმე გვხვდება, უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ ადამიანები, რადგან აქ ზაფხულში საოცარი სიგრილე, ზამთარში კი სითბოა. ამის გამო ბერძნები კაბადოკიელებს ტროგლოდიტებს — გამოქვაბულში მცხოვრებთ უწოდებდნენ. ასეთი ლანდშაფტი ქრის-

ტიანულ ხანაში ერთ-ერთი განმაპირობებელი იყო აქ განსაკუთრებული სამონასტრო-საეკლესიო მშენებლობისა და სამონაზვნო ცხოვრებისა.

ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსი დღემდე შემონახულია გიორემეში. დღეს აქ მუზეუმია სახელწოდებით „ღია ცის ქვეშ".

კომპლექსი მთლიანად კლდეშია ნაკვეთი. იგი მოიცავს ეკლესიებს, კაპელებს, სატრაპეზოებს, აკადემიებსა და სენაკებს.

აქ შემუშავებულია საგამოქვაბულო არქიტექტურის ურთულესი სისტემა, სადაც რამდენიმე იარუსად განლაგებული სათავსები ერთმანეთს ვიწრო კიბეებისა და გვირაბების საშუალებით უკავშირდება.

ეკლესიები სხვადასხვა დროსაა მოხატული. ამდენად, ფრესკები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. დღემდე შემონახული უძველესი საეკლესიო მხატვრობა VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება.

ილიანლისი. იგი პატარა ეკლესიაა. შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი მთლიანად მოხატულია. ფრესკები გვიანდელი, სავარაუდოდ XIII-XIV საუკუნისაა. ერთ-ერთ კედელზე გამოსახულია იმპერატორი კონსტანტინე დედოფალ ელენესთან ერთად. აქვეა წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს გამოსახულებები. ეკლესიაში განირჩევა ნახევრად ქალისა და ნახევრად მამაკაცის უცნაური ფიგურა. ეს გახლავთ ონოფონოსი. ლეგენდის თანახმად, იგი ცნობილი იყო, როგორც თავქარიანი ქალი, რომელმაც ღმერთს შესთხოვა, დაეცვა იგი მამაკაცთა ცდუნებისაგან. ღმერთისაგან შესმენილს, თეთრი წვერი გაეზარდა და დაემსგავსა საშინელ არსებას. სწორედ ასეა გამოსახული ეკლესიაში ონოფონოსის ფიგურა – ქალის მკერდით და მამაკაცის გრძელი, თეთრი წვერით.

გიორემეს სამონასტრო კომპლექსი ცალკეა გამოყოფილი. ესაა დედათა მონასტერი, რომელიც კლდის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავს. მასში ცალკეული სათავსები რამდენიმე იარუსადაა. სართულებადაა განლაგებული სატრაპეზოები, სენაკები, სამლოცველოები, ეკლესიები ერთმანეთს ძალზე რთულად სავალი კიბეებითა და გვირაბებით უკავშირდება.

ანალოგიურია მამათა მონასტერიც.

სამონასტრო კომპლექსის ყველაზე შთამბეჭდავ ადგილს წარმოადგენს **კარანლიკის** ე.წ. ბნელი ეკლესია, რომელიც ზომით, ალბათ, ყველაზე დიდია. იგი თავის დროზე კლდეში ორ იარუსად ყოფილა განლაგებული. ამჟამად მისი შემომსაზღვრელი გარეთა კედლები მთლიანად ჩამონგრეულია.

გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობაა **სანდალიას** ოთხგუმბათიანი ეკლესია, რომელიც სვეტების ორ წყვილს ეყრდნობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვაბულ ეკლესიებში სვეტებს მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა აქვს. სანდალია მთლიანად დაფარულია ძველი და ახალი აღთქმის სურათებით. ფრესკები XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება.

უძველესი მხატვრობის ნიმუშები გვხვდება **წმიდა ბარბარეს ეკლესიაში**. აქ, სხვა ეკლესიებისაგან განსხვავებით, პირვანდელი მხატვრობა ახალი ფენით არ გადაუფარავთ, ამიტომ იგი მკვეთრად განსხვავებულია. წითელი საღებავით მოხატული დეკორი, რომელიც შედგება გეომეტრიული ორნამენტებისა და ზოომორფული გამოსახულებებისაგან, მე-8 საუკუნეს განეკუთვნება.

ეკლესიის გვერდით მოთავსებულია პატარა ზომის აკლდამა, ალბათ, პატარა ბავშვისთვის.

არც ერთ ეკლესიას თუ სხვა ნაგებობას გარედან ტრადიციული ფორმა არა აქვს. აქ ყველაფერი კლდეშია ნაკვეთი. როცა მთაში გამოჭრილ კარში შედიხარ, არასოდეს არ იცი, რა დაგხვდება იქ.

ერთ-ერთ ასეთ, ჩვეულებრივ კარს უკან იმალება **გიორემეს სამონასტრო კომპლექსის** უმნიშვნელოვანესი ნაგებობა – **ტოკალის ეკლესია,** რომელიც რთული არქიტექტურითა და გადიდებული ზომებით გამოირჩევა. გრანდიოზული ინტერიერი საოცრად ამაღლებულ განწყობილებას ქმნის. შთაბეჭდილებას აძლიერებს მხატვრობა, რომელიც მთლიანად ფარავს ეკლესიის კედლებს. სავარაუდოა, რომ ფრესკები სხვადასხვა დროს უნდა იყოს შესრულებული. ტოკალის ეკლესიიდანაა ღვთისმშობლის დიდებული სასწაულმოქმედი ხატი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ქართული ხატი დედ ღვთისმშობლისა „შენ ხარ ვენახი".

მხატვრობის ძირითადი თემა ქრისტესა და მარიამის ცხოვრებაა.

ტოკალის ეკლესიას აქვს მიწისქვეშა ჩასასვლელი, სადაც სხვადასხვა დანიშნულების სათავსები და სენაკებია.

ის, რაც რამდენიმე ნაბიჯის მანძილიდან შეიძლება ჩვეულებრივ მთად ან დიდი ზომის ქვად მოგეჩვენოთ, აუცილებლად აღმოჩნდება სენაკი ან კაპელა, ფრესკებით დაფარული ეკლესიის ფრაგმენტი ან აკლდამა, სატრაპეზო ან სხვა სპეციალური დანიშნულების სათავსი... და ასე, ყოველ ნაბიჯზე...

საოცარია, რომ ამ ერთი შეხედვით თეთრქვიან ხრიოკზე მშვენივრად ხარობს ვაზიც და ხეხილიც. დღემდე შემონახულ ყველა ეკლესიის სახელწოდებას ჩვენამდე არ მოულწევია.

სამონასტრო კომპლექსი ძალიან დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი. მისი სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთს უკავშირდება ურთულესად სავალი კანიონებით, რომლებიც სიღრმეში სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და ბოლოს გაუთავებელ ბნელ გვირაბებად იქცევა. თუმცა აქ მიღებულ ემოციაზე საუბარი წარმოუდგენელია; დაახლოებით ეს ასე შეიძლება აიხსნას: შიში, აღფრთოვანება, რეალობის შეგრძნების დაკარგვა.

გიორემედან რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაშორებული კაბადოკიის მეორე საოცრება, მიწისქვეშა ქალაქი **კაიმაკლი**, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა.

ქალაქი დღეს მუზეუმად არის ქცეული, მის ირგვლივ კი ახალი ქალაქია გაშენებული, იგივე სახელწოდებით.

აქ მოსულ ქრისტიანებს შეჰყვარებიათ ეს ადგილი, გადასახლებულან და ისედაც გრანდიოზული მიწისქვეშა ქალაქისათვის შეუმატებიათ სამლოცველოები, სენაკები და სხვა მათთვის საჭირო სპეციალური ნაგებობები. დღეს კაიმაკლი მიწაში რვა სართულის სიღრმეზეა. სამლოცველოების, სატრაპეზოების და სენაკების გარდა აქ შემონახულია მარნები, სადაც ღვინის სურნელი დღემდე იგრძნობა. აქვთ საგანგებო საჰაერო გვირაბები, რომელთა საშუალებითაც რვავე სართულს მიეწოდება ჟანგბადი. არის წისქვილი უზარმაზარი ქვებით, საძინებელი ოთახები და აკლდამები. ყოველივე ეს წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენს

დღეს კაბადოკიაში უმეტესად თურქები ცხოვრობენ, ცხოვრობენ თავიანთი რწმენით, ადათ-წესებით, მაგრამ პატივს სცემენ იმ წარსულს და კულტურას, რომელზეც თავიანთი ყოფა აქვთ დაშენებული. პატივს სცემენ და უვლიან კიდეც... და მხოლოდ ამის წყალობით, ასე კარგად შემოინახა ყველაფერი, რაც მანამდე ქრისტიანებს შეუქმნიათ.

კეთილმოსურნე და ღიმილიან ადამიანებს, წინაპართა გამოცდილებით, საცხოვრებლად ისევ გამოქვაბულები აურჩევიათ.

კაბადოკიელთა უმრავლესობა ხალიჩების ქსოვით არის დასაქმებული. საოცარი სანახაობაა პატარა ქუჩები და ძველი ნანგრევები მოფენილი ულამაზესი, ჭრელი ფარდაგებით, ნოხებით, ხალიჩებით.

აქ არის უნიკალური კოლექციები, ყველა დროისა და ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი ნაკეთობები. თითოეულ ნახელავს განსაკუთრებული დანიშნულების გარდა თავისი ისტორია და ტრადიცია აქვს.

არის ხალიჩები, რომელთაც მხოლოდ დეკორატიული დანიშნულება აქვთ. ზოგი მხოლოდ ლოცვისათვის არის განკუთვნილი, ზოგი სამგზავრო ან მოსასვენებელი. დედებისაგან ქალი-შვილებისთვის გადასაცემ ფარდაგებს ტრადიციულად ერთი და იგივე ზომა და ფორმა აქვს.

გარკვეული ფერი და ფორმის ორნამენტები ხშირად წერილის დანიშნულებას ასრულებენ. მაგალითად, ქალი მომავალ ქმარს აგებინებს, როგორ სახლში სურს ცხოვრება და რამდენი შვილი უნდა, რომ ჰყავდეს.

არსებობს რელიგიური ხალიჩები, სადაც ცალკეული ორნამენტი სხვადასხვა ლოცვას აღნიშნავს. ერთი სიტყვით, ხალიჩა ფერის, ზომისა და ორნამენტების მიხედვით ისე იკითხება, როგორც წიგნი.

ასეთია, თვალის ერთი გადავლებით, უძველესი კულტურის ქვეყანა, რომელიც მიწიერის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.

ქეთი კაპანაძე
ტელეჟურნალისტი

ჰოი, წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო და დედანო კლარჯეთისანო! შეგ წყალეთ მონანი ესე თქუენნი და გვითხოვეთ შენდობა შეცოდებათა ჩუენთა აურაცხელთა, დღესა მას განკითხვისასა და ამას ცხორებასა დაგვიცავით საფრთხეთაგან ეშმაკისაჲთა და მზაკვარებათაგან კაცთაისა.

ტკბილო მამანო და დედანო სულითა და გონებითა საუკუნომცა არს საკსენებელი თქუენი.

შინაარსი

გრიგოლ ხანძთელი. საგალობელნი აღვსებისანი. საქვეყნო სათხოვარი 8
არა დიდ არს სამოცდაათი წელი 10
თურქეთის საქართველოში 13
დრონი მოვალნის, კარ გაიღების თავადა 15
მ. ლორთქიფანიძე. ამონარიდი წიგნიდან: – ბაგრატიონთა ღვთიური
წარმომავლობის შესახებ 28
გრიგოლ ხანძთელი. ქებად კლარჯეთისა უდაბნოთად 33
ქადაგება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა 34
ი. ჯავახიშვილი. კლარჯეთში... (ამონარიდი წიგნიდან) 37
ხოჯა ნ. ჯიჯანიძე. გურჯული ვაიზი 38
პ. ინგოროყვა. საქართველოს სინად, ანუ კლარჯეთის თორმეტი სავანე 42
ე. (ნელი) გიგოლაევა. ვარსკვლავი უდაბნოთაი 44
შ. ფუტკარაძე. კლარჯეთის ქართული 51
დ. ბაქრაძე. ქვეყნის ეს ნაწილი 56
ილია მართალი. ოსმალოს საქართველო 58
ი. ამირხანაშვილი. ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან 61
მ. დიდებულიძე. ტაო-კლარჯეთის მხატერობა 66
ვ. სილოგავა. პატრიარქის ტიტული X ს-ის პარხლის წარწერაში 71
ე. თაყაიშვილი. 1917 წლის ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში 76
ლ. გუდიაშვილი. ტაო-კლარჯეთში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად 81
თ. კობალაძე. საუბარი ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის
მმართველ, ეპისკოპოს თეოდორესთან 83
პავლე ინგოროყვას სურათთან 86
მ. წიკლაური. დიდი მეუდაბნოის ხორცთაგან განსვლა 87
ლ. კალანდაძე. ქარდუ... ურარტუ... ხეთა... შუმერი 89
გ. ლეონიძე. დიდება მიწას, რომ გეაკვანათ 91
ნ. ვაჩეიშვილი. ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება 92
თ. საყვარელიძე. ტაო-კლარჯული ჯვარ-ხატები 95
თამარ მეფის იამბიკო. მზეობს ცის ქვეშე 101
შ. ამირანაშვილი. ხახულის ღვთისმშობლის ვედრების ხატი 103
რ. ბერიძე. ბექა და ბეშქენ ოპიზრები 104
ზ. ჭუმბურიძე. „ნაშრომი ჰგიეს უკუნისამდე“ 105
ნ. სულავა. ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლის ისტორიიდან 111
საგალობელნი 115
ე. მაჭავარიანი. IX-X საუკუნეებში მოხატული ქართული ხელნაწერები 117
ჯ. ღვინჯილია. მდუღარებად სულისად 121
მიტროპოლიტი კონსტანტინე. დგანან ტაძრები და ცის სივრცეს აპობენ 125

ვახტანგ ჯობაძე 126
გრ. აბაშიძე. ფესვი ჩამრჩა შენს მიწაში 129
რ. ბარამიძე. გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება.
მონაზვნური ცხოვრების წესი გრიგოლ ხანძთელის „ცხორების“ მიხედვით 130
ს. მარი. ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთ-კლარჯეთში (თარგმნა ზ. თორიამ) 137
ქართული ეკლესიები თურქეთში (უცხოელ ავტორთა შთაბეჭდილებები) 144
ა. კალანდაძე. ოშკის მძლე ტაძარო 154
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართველთა
ეროვნული კონსოლიდაციის კერები 155
ც. არდაშელია. რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, რად მწუხარე ხარ...
„შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ 159
მ. ივანიშვილი. რა განძი გვქონია... 166
ზ. გორგილაძე. მინაწერი ფილმზე „ტაო კლარჯეთი“ 170
ნ. ლეჟავა. მუჰაჯირობა 171
ზ. ჭიჭინაძე. წიგნიდან: მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები
საქართველოში 171
გურამ პატარაიას გახსენება 178
ი. ონოფრიშვილი. ტაო-კლარჯეთში გურამთან ერთად 179
ახმედ მელაშვილი 182
მ. ვარშანიძე. აქედან მოჩანს ტაო და 182
ფ. ხალვაში. სადაც აკრძალეს საქართველო, იქ იქართველა 183
ლ. გოთუა. ხანძთის ზარი (მოთხრობა) 186
ქ. კაპანაძე. კაბადოკია 193
ლოცვა წმიდა მამათა და დედათა მიმართ 196
შინაარსი 197

რედაქტორი **თინათინ კობალაძე**

სარედაქციო კოლეგია

მიტროპოლიტი **ანანია ჯაფარიძე, ანდრია აფაქიძე,**
მონაზონი **ევგენია**, ეპისკოპოსი **თეოდორე,**
ზურაბ თორია (პასუხისმგებელი მდივანი), დეკანოზი **მიქაელი,**
ზაზა სხირტლაძე, გივი ღამბაშიძე, ედიშერ ჭელიძე.

კორექტურა წაიკითხა **ნანა ლეჟავამ**

კომპიუტერული მომსახურება **მანანა უკლებასი,**
თამარ ბუჯიაშვილისა და **ნატო გურამიშვილისა**

საქართველოს საპატრიარქო
„ჯვარი ვაზისა“ №2
თბილისი, ერეკლე II-ის №1
ტელ.: 98-95-21

GEORGIAN PATRIARCHATE
"JVARI VAZISA" (The Cross of Vine) №2, 2005
1, Erekle's square,Tbilisi

ГРУЗИНСКАЯ ПАТРИАРХИЯ
"ДЖВАРИ ВАЗИСА" (Лозовый Крест) №2, 2005
Тбилиси, пл. Ираклия II-го, №1

ჟურნალში გამოყენებულია **გ. ჭანიშვილის** რუკის ფრაგმენტები

დაიბეჭდა „საქართველოს მაცნეს“ სტამბაში
თბილისი, გრ. რობაქიძის ქ. №7ᵃ

თბილისი
2005

აცხოვნე, უფალო, ერი ჩუენი და აკურთხე
სამკვიდრებელი ჩვენი. ძლევაჲ ჯუარითა ბარ-
ბაროზთა ზედა ღმრთივდაცულსა ერსა ჩუენსა
მოანიჭე და საფარველსა ქუეშე შენსა დაიცევ,
რათა ვიტჳუოდეთ, უფალო, დიდებაჲ შენდა.

ქართული ანბანი

ა	a	1
ბ	b	2
გ	g	3
დ	d	4
ე	e	5
ვ	v	6
ზ	z	7
თ	e	8
ი	t	9
კ	i	10
ლ	ḳ	20
მ	l	30
ნ	m	40
ო	n	50
პ	j	60
ჟ	o	70
რ	ṗ	80
ს	ž	90
ტ	r	100
უ	s	200
ფ	ṭ	300
ქ	y	
ღ	u	400
ყ	p	500
შ	k	600
ჩ	ḡ	700
ც	ḳ	800
ძ	š	900
წ	č	1000
ჭ	c	2000
ხ	ǯ	3000
ჯ	ç	4000
ჰ	č̣	5000
ჱ	x	6000
ჲ	q	7000
ჳ	ǰ	8000
ჴ	h	9000
ჵ	ō	10000